03

ლიტერატურა და ხელოვნება

N5
5/2008

1522
2008

ხელოვნება
ჯორჯ ბალანჩინი

ლიტერატურა
ვახუშტი კოტეტიშვილი

ეროვნული
სვანი

ისტორიული
მიხაილ ბულგაკოვი

ინტერვიუ
თემურ ინწუა

ფილოსოფია
თამარ გრიგოლია

ფილოსოფიური ესეი
ნანდრო ალბეთელი

ფილოლოგიური ესეი
ტიციან ტაბიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზაფხული. მხატვარი თამარ გრიგოლია

კაქტუსი

ამორძალი

ლიტერატურა და ხელოვნება

N5(29)

5/2008

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
VAZHA OTARASHVILI

ISSN 1512-3189

Literature And Art

დამფუძნებელი, პროექტის ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი მდივანი

დავით კახაბერი

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

გარეკანის მხატვრობა

თამარ გრიგოლია

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი
მხატვრის ქ. №4
ტელ.: (+995 32) 32 73 62;
(+995 32) 31 70 47;
(+995 99) 25 60 14.
E-mail: vajao@mail.ru
Web: www.litandart.com.ge

ვისთვისაც ძვირფასია ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთხოვთ, შეგვეწიოთ!

სარჩევი

ლირიკა, ლირიკა

3 ვახუშტი ტოტეტიშვილი - სონეტები
7 ეკა ცაგარელი - სასნრაფო გისმენთ!
21 ჩამაზ ბერაძე - ლექსები
23 გიორგი შერვაშიძე - ჩემი პირველი უცხო(ვ)ელი
27 მანანა დანგაძე - ლექსები

დრამატურგია

29 ვახტანგ გუჩელი - ჩუსეთის მბრძანებელი

ესსე

39 მიხაილ ბულგაკოვი - ჩინელის ამბავი
/თარგმნა გივი ტიტილაშვილმა/

პროზა

45 მერმან ჯგუბურია - „ვითომ მეც იქ ვარ“...
47 ნესტან სულავა - „უკუნი თვითონ გაიმზიანო“
51 მაცაცო ლოსაბერიძე - „და სულში მტკივა დედამშვილობა“

პოეტური მარგალიტი

53 ტიკიან ტაბიძე - ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურა

ბალადა

59 ილია თავბერიძე - ფეხვა მთვარის შუქზე
/ჯოჯო ბალანჩინი/

ოპერული ლიბრეტო

62 გუბაზ მეგრელიძე - ეპოქის სუნთქვა
/სანდრო ახმეტელი/

ყინო

66 მოჩენა ჯოპალიანი - სვანი

ესეოგრაფია

69 მანანა თევზაძე - მტრიხები პოტტერისათვის
/თემურ ნინუა/

მუსიკა

76 თამაზ გაბისონია - გუჩელი მრავალხმიანი სიმღერა

მხატვრობა

81 საღომე გოგოლაძე - მინის ქალი
/თამარ გრიგოლია/

გილოცავთ
აღდგომის მრწყინვალე დღესასწაულს!
ქრისტე აღდგა!

სალოცავად სიტყვა:

ფასდაც ამირეჯიბი, ბარამიანი ბოლოქაძე, ნანი ბოლოქაძე,
მერაბ ბერძენიშვილი, ანაგა ბურჭულაძე, მაყვალა გოგუაშვილი,
ნათელა ურუშაძე, ჯანსუღი ჩანტლაძე, თემურ ჩხეიძე,
თამაზ ჩხეიძე, ვოგი ჭრელეული.

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



ვასუშტი სოფელიშვილი

ახალი სონეტები

ყოფნა-არყოფნის სონეტი

„ყოფნა - არყოფნა?!" - აი, შენი კითხვა მორიგი,
ჭაბუკო ჰამლეტ, მაგრამ არსი ყოფნა-არყოფნის
ვინ განგიმარტოს?! დუმს გონება, ვით იორიკი,
რომელსაც ამის საპასუხოდ ცოდნა არ ჰყოფნის.

იქნებ არყოფნაც ყოფნა არის, ოღონდ სხვაგვარი,
უფრო მსუბუქად მონანავე, ან უფრო მძიმედ?!
ადამიანად ყოფნის დრო ხომ მხოლოდ აქ არის,
რამე სხვადყოფნა გაამართლებს განა ჩვენს იმედს?!

იქნებ ავჯობებს, რომ დავჯერდეთ იმას, რაც არის
და არ ვისწრაფოთ, სადაც მაინც ადრე თუ გვიან
მოგვიწევს მისვლა, არა ვქექოთ ფუჭად ნაცარი
და აღვასრულოთ ვალი, რასაც სიცოცხლე ჰქვია.

სიკვდილისა რომ არრა ვიცით, ეს ის წესია,
რომლითაც ცოდნა არცოდნაზე უარესია.

17.03.2008.

ადამიანის სონეტი

ქვეყნად მაღალმა ღმერთმა შექმნა არსი ყოველი
და დაანათლა თავ-თავისი ყველას ბუნება:
ქვეწარმავალი თუ ფრინველი, თევზი, ცხოველი
თავის მკმარია და არ უნდა სხვა ფუფუნება.

მხოლოდ ერთია იმათ შორის – ადამიანი,
ვისაც სურს, თავად გამოსჭედოს თავისი ბედი
და რადგან არის იგი ვითომ სხვებზე ჭკვიანი,
უნდა რომ იყოს არა ლოდი, არამედ სვეტი.

მაგრამ ამისთვის მას სჭირდება, გამრავლდეს ხალხად
და დაიმონოს ქვეყნად მინა, წყალი, ტყე-ველი,
და თუ აზვირთდა ოკეანის მძვინვარე ტალღად,
ის უკვე ბრბოა, ყოველივეს დამანგრეველი.

ბრბო ერთსახაა, ვინც მას არ ჰგავს, ვერ ჰგუობს ეგეთს,
ღმერთიც რომ იყოს. ილრიალებს: „ჯვარს აცუ ეგე!"

19.03.2008.

სიზმრის სონეტი

ღამის დარბაზში იდუმალი ჰანგები იძვრის,
თანდათანობით უფრო ეშხში შედის ქეიფი,
მზერას იტაცებს ვნებიანი დეკოლტე სიზმრის
და მიიხვეტავს ზმანებათა გრძელი შლეიფი.

მიმოირხევა სამეჯლისო ცეკვის ნიავი,
ჩემი მეწყვილე მშვენიერი ქალბატონია,
მე მის წინაშე ჩემი გული მოვალიავე
და საკუთარი თავი მეცხრე ცაზე მგონია.

მაგრამ რომ დაჰკრა შუალამემ თორმეტჯერ ზარი,
თვალს და ხელსშუა გამიქრა და აღარსად არ ჩანს,
და დავრჩი ასე, სიზმარეთში უაზროდ მდგარი,
ხელში იმ ქოშით, რომელიც მას კიბეზე დარჩა.

ვეძებე ყველა ქვეყანაში და ყველა დროში,
მაგრამ ვერავის ვერ მოვარგე ის ოქროს ქოში.

20.03.2008.

მადლის სონეტი

ცხოვრებისაგან დაქანცულსა და სასომიხდილს
წამლეკავს ზოგჯერ შემზარავი ტალღა უცები,
დავმწუხრდები და ნაადრევად მოვუხმობ სიკვდილს,
შინაგანად კი კვლავ სიცოცხლეს ვებლაუჭები.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გმირი არ ვიყავ, არც მესიის მქონდა მისია,
რომ უდრტვინველად ამეტანა ტანჯვა და ჯვარცმა.
ცხოვრებამ ყველა განსაცდელი შემომისია,
მაგრამ გავუძელ ამ ყველაფერს უბრალო კაცმა.

რა ძალა იყო, რამაც მომცა ამის შეძლება
და შემომაჭდო ჯადოსნური ჯაჭვის ბეგთარი?!
როგორც ჩანს, ქვეყნად ჩემებრ ტანჯულს შვებად ეძლევა
ღვთიური მადლის თუნდ წვეთ-წვეთი წმინდა ნექტარი.

და მივხვდი, რამაც უკუნეთში აღმავსო ნათლით,
ეს იყო თურმე პოეზიის ღვთიური მადლი.

22.03.2008.

ღირსეგის სონეტი

სანამ ვარ ქვეყნად, რალაც მაინც უნდა ვაკეთო,
რათა დამეტყოს, ამ მიწაზე რომ ვარ ნამყოფი,
ბუტაფორიულ მუყაოდ კი არ ვიმაკეტო,
არამედ ჩემგან თუნდ მცირედი დარჩეს ნაყოფი.

უნდა ვიმინდვრო, ვივენახო, ანდა ვიყანო,
გული ვამტევნო, ვათავთავო ან ვაჩითილო,
მკერდზე ლექსები ყვავილებად ამოვიყვანო
და ჩემს გაზაფხულს ცა და მიწა მოვაჩითინო.

თუმც ბედ-ილბალმა წამებით და ტანჯვით მაცხოვრა
და ათასგვარი ჭირ-ვარამი არ მამყოფინა,
ხალხს თავი მაინც ისე უნდა დავამახსოვრო,
რომ ეთქვათ ჩემზე: „ - ღირსეული კაცი ყოფილა!

ისე გავიდა ამ ცხოვრების ბოლო კარიდან,
რომ სიკვდილს თვალი ერთხელაც კი არ აარიდა!"

22.03.2008.

ამაოების სონეტი

ამაოება ამაოთა. ქვეყნად ყოველი
ამაოაო. – გვეუბნება წმინდა წერილი.
თუ სიყვარულიც ამაოა, რატომ მოველი
ფეხისწვერებზე შემდგარი და თავაღერილი?!

მე სუსტი ვარ და ამ დილემის ამოხსნა მიჭირს.
მთელი ცხოვრება დარს ველი და ველარ იდარა.
ნუთუ ფუჭია სიყვარულის ღვთიური ნიჭი,
ურომლისოდაც მე ამქვეყნად არა მინდა-რა?!

ან რასაც ცალმხრივ სიყვარულზე სიმღერებს წერენ,
ნუთუ ჩალადაც არ ფასობს და დაწვის ღირსია?!
მას თუ არასდროს ვყვარებივარ, რა მოხდა მერე?!
მე რომ მიყვარდა, ეს ხომ უკვე საკმარისია?!

და რომ ეს ჩემი სიყვარულიც არის ამაო,
ვერ დაგიჯერებ, მაპატიე, წმინდა მამაო!

24.03.2008.

მოხუცის სონეტი

ვგრძნობ, რომ ჩემს ირგვლივ რაღაც ხდება არასაჩემო,
არა ბოლომდე საჩემგულო და საჩემგონო,
ამიტომ ვცდილობ, თავი ყველას ისე ვაჩვენო,
რომ სიბერისგან ნირვანაში მყოფი ვეგონო.

ვითომ არც მესმის არაფერი, და ველარც ვხვდები,
რატომ ან რისთვის შეიცვალა გარემო ჩემი?!
ჩემს საჭეს რატომ დაეუფლნენ ამჟამად სხვები,
რად მიაყენეს ჩემთვის უცხო ნავსადგურს გემი?!

ისე ვიცხოვრე, არასოდეს მითვალთმაქცია,
არასდროს მითქვამს თეთრზე შავი და შავზე თეთრი,
მაგრამ ვაი, რომ უმოქმედო კაცად მაქცია
ჩემმა ასაკმა და ამისთვის მხოლოდ მას ვყვედრი.

თქვენ კი, ბოლო დროს ჩემი ბედი ვისაც გებარათ,
იბაირამეთ, მე ხომ არა გამეგება-რა!

25.03.2008.

ხალხის სონეტი

რაშიც კი უნდა ვყოფილიყავ მე გარეული,
ასაკოვანი, თუ ჯერ კიდევ პატარა ბალღი,
ჩამჩიჩინებდა შინაური თუ გარეული:
„ - იფიქრე, მაგ შენს საქციელზე რას იტყვის ხალხი?!"

მაგრამ ხალხი ხომ ცხელ-ცხელ ჭორებს პურივით აცხობს,
ეს არის მისი საარსებო წყარო, საკვები.
ის ხომ მარტოდენ იმას ამბობს, რაიც მას აწყობს,
უგვანოს აქებს, გმობს, რაც არის, მართლაც, საქები.

ვინც ტყუილ-მართლის ცოხნისათვის პირს არ ხურავდნენ,
ხოლო მაშინ კი ჩაიგუბეს პირში სათქმელი,
სანამ ილია მიაღწევდა წიწამურამდე,
ან გალაკტიონს მოისროდა ღია სარკმელი?!
თქვენი „ინილო-ბინილო" და ეს „ალხო-მალხო"
უზნეო ბალღის თამაშს მოჰგავს, ძვირფასო ხალხო!

26.03.2008.

გალიის სონეტი

.ჩემს დას - ლეილას

ბატონებო და მშვენიერო ქალბატონებო,
დღეს თქვენს წინაშე მეცნიერად კი არ მოვედი,
რომ მსჯელობებით გადავლალო თქვენი გონება,
არამედ როგორც უცნაური ვინმე პოეტი,

ვისაც ნეკნებქვეშ უდგას ერთი ოქროს გალია,
რომელშიც ციცქნა ნიბლიებმა დაიდეს ბინა,
მათი მომვლელი დღესაც იგივ სათნო ქალია,
ვინც ეს პოეტი გამოზარდა დიდი ხნის წინათ.

არ იხურება ამ გალიის კარი პატარა
და ამიტომაც ჟივჟივია მუდამ კარებთან,
მან ეს ჩიტები დღევანდლამდე უბით ატარა
და შეუბუმბლავთ ცივ ნიავსაც არ აკარებდა.

და ახლა, როცა მან ცხოვრება თითქმის გალია,
იქნება ვინმემ ჩაიბაროთ მისი გალია?

28.03.2008..

ნამცეცოგის სონეტი

სანამ ქვეყნიდან ავიკრიფო გუდა-ნაბადი
და ცხოვრების გზა ბილიკ-ბილიკ ჩავიდალმართო,
სანამ დაქანცულ და დაბინდულ თვალთ მივნაბავდე,
მე სულის სუფრის ნამცეცობა მინდა გავმართო.

და მოგიწვიოთ ამ სუფრაზე დიდ-პატარანი,
უკლებლივ ყველა, გიმასპინძლოთ მამა-პაპურად,
მოგიღლიავოთ ორნახადი სულის მარანი,
ჩამოგიტეხოთ ლექსის ყუა და დაგაპუროთ.

ასე მთლიანად ჩამოვიხსნა ცხოვრების ტვირთი,
არ დავიტოვო თუნდაც საგზლის მცირე მარაგი,
ვიდგე ლეთესთან, რომლის ტალღას არც ეთქმის ზვირთი,
ჰაი დედასა! მლეთასთან რო მოჰყეფს არაგვი!

ავიალმართო არა გულის ფეთქვით თუ ხეთქვით
და მოვახსენო უფალს: - აჰა, გეახელ - მეთქი.

28.03.2008..

დღევანდელოგის სონეტი

ფარდობითია ჩვენს საზრისთა სხვადასხვაობა
და მას რომ ჩაწვდე, შესაძლოა, დაგცეს თავ ზარი:
ის, რაც სპილოსთვის არის მხოლოდ არარაობა,
ჭიანჭველისთვის ურჩხულია უზარმაზარი.

როგორღა გინდა, რომ გაუგო „ალი-ბალია“
და გაარჩიო ამაქვეყნად ტყუილ-მართალი,
რომაელთათვის ჰანიბალი კანიბალია,
კართაგენისთვის – ბელადი და დიდი სარდალი.

ჩვენ დღეს რომ ასე გვესახება ბედი ქართლისა,
იქნებ ფუჭია ამაქვეყნად ჩვენი მცდელობა,
იქნებ გვესწავლა ჯერ გარჩევა ტყუილ-მართლისა
და ხვალის მზერით განგვეჭვრიტა დღევანდელობა?!

რა გზით ვუშველოთ ჩვენს ქვეყანას და მის ბუნებას?! -
ნუ ველოდებით, ძმებო, ურმის გადაბრუნებას.

30.03.2008.

ასაკის სონეტი

ჩემი ცხოვრების მიწურულს რომ სამდურავს ვბედავ
და გულს ლექსში რომ ვაუონვინებ დარდის მოტივებს,
მეგობრებს უკვირთ და მიკცხავენ: „ - რად გიპყრობს სევდა
და სტრიქონები ცრემლით რატომ დაანოტივე?!

ადრე სხვა განცდა გაღელვებდა, სხვა კერპს ჰმონებდი,
რატომ ალარ წერ სიყვარულზე, რაზედაც წერდი,
და რატომ გინდა იმ მოვლენებს უძღვნა სონეტი,
რომელთაც უკვე ვერ მოგასწრებს ხანი თუ ბედი?!“

რა გითხრათ, უკვე ნაკლებ ვფიქრობ, ახლანდელ ქალთა
სიშიშვლემ თვალი რად მომტაცა და დამიელმა,
რომ კაბის კალთა ჩახლართული, ვით კარვის კალთა,
ჩავჭრა და ჩავაკარაბაკო, ვით ტარიელმა.

ყველაფერს თავის დრო-ჟამი აქვს და თავის ხანი,
ვისთვის „ჰოეა“, ხოლო ვისთვის „ანი“ თუ „ბანი“.

30.03.2008.

კალენდრის სონეტი

ზამთარს სახლიდან გაიტყუებს ბუხრების ბოლი
და ჭირვეული მარტი თვალებს ცრემლით აივსებს,
აპრილი, როგორც მოლალატე, თვალთმაქცი ცოლი,
გაიპარება შინიდან და გაიმაისებს.

პატარძლის კაბით დაკეკლუცობს ველად თუ ტყეში
და ნაპეპლარი ზაფხულის ხვატს წვალებით უძლებს,
ივნის-ივლისი და აგვისტო მოდიან ხვნეშით
და ძლივძლიობით მოათრევენ დაბერილ მუცლებს.

სექტემბერი კი, აჰა, უკვე მეცხრე თვეშია
და ოქტომბერში მთლად სისხლისფრად იმშობიარებს.
ნალოგინარი გრძნობს, დედობას რომ შეეჩვია
და უკვე ზამთრის თეთრეულით იშრობს იარებს.

აღარ გაისმის თითქოს ჩქამი სისხლის მდინარის,
მაგრამ მოიცათ, ყველაფერი ისევ წინ არის!

2.04.2008.

თანამედროვეობის სონეტი

ცხოვრება იქცა სარეკლამო ბრჭყვიალა კლიპად,
და ბაქი-ბუქით გვბერავს მუდამ ტელეარხივით,
სინამდვილეში ყველაფერი ცრუა და "ლიპა"
და ამდენ ტყუილს ველარ იტევს ხსოვნის არქივი.

ცხოვრების რიტმიც კლიპურია: სწრაფი, ზერელე,
აჭყევ და სდიე, იქლოშინე, სული ილაფე.
ოღონდ გახსოვდეს ეს კანონი დაუწერელი:
სახეზე გედოს გალიმების ყალბი ნიღაბი.

ყველას თავი აქვს ვილაცისთვის გადადებული,
კერპებს ვცემთ თაყვანს. დრო გადის და ჩვენ არ ვიზრდებით,
დიდი, პატარა. უბირი თუ განათლებული
აუცილებლად უნდა ვიყოთ "ვილაცისტები".

აზრი და გონი თუ წარმართულ კერპებს მივანდეთ,
გამაგებინეთ, როდის უნდა მოვქრისტიანდეთ?!

2.04.2008.

რჩეულთა სონეტი

"მრავალ არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ."
ასე იყო და ალბათ ასე იქნება მარად.
ცხოვრება რჩეულს, მაგრამ ეულს და ბედით წყეულს
ფიროსმანივით დაატარებს კარიდან კარად,

ვაჟას „რქით მიწას აჩხვერინებს" და სულს ჰხდის ჭლექით,
თავის მერანზე ამხედრებულს ძირს დასცემს ტატოს,
გარიყულ დავით გურამიშვილს ცხოვრების ლექი
უცხოობისთვის გაიმეტებს სრულიად მარტოს.

ეს ყველაფერი კარგად ვიცით და მაინც ოდეს
ჩვენს თვალწინ ხდება გაელვება ღვთიური ნიჭის,
მას ვერც კი ვამჩნევთ, რადგან იგი ჯერ უნდა მოკვდეს,
და რომც შევნიშნოთ, ჩვენ ამის თქმა ხმამაღლა გვიჭირს.
თუთიყუშივით ვიმეორებთ ამ სიბრძნეს ჩვეულს:
"მრავალ არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ."

4.04.2008.

კონტრაცეპციის სონეტი

ტვინში აზრი ხომ იგივეა, რაც ბოთლში ჯინი,
სად, როდის, როგორ ამოხტება, არავინ იცის,
ყველაფერს ხედავს, შეუმცდარი აქვს თვალის ჩინი,
იცის წესი და კანონები ცისა თუ მიწის.

ამიტომ იგი საშიშია, რადგან მზად არის
ძირისძირამდე ჩაძიების იყოს მსურველი;
და თუ შენიშნა მან მეტოქედ აზრი მზაკვარი,
ხდება სრულიად უმართავი, დაუურველი.

კომუნისტებმა დააწესეს აზრის აბორტი
და ჩანასახის მოსასპობად მზად ჰქონდათ დანა,
მაგრამ ეს იყო ჯალათობა, ადრეც ვამბობდით,
ახლა სხვა დროა, ჰუმანიზმის დაგვიდგა ხანა.

ჩვენი ყოფა რომ სახელმწიფოს ლხენად ექცია,
შემოგვთავაზა აზროვნების კონტრაცეპცია.

6.04.2008.

სულის სონეტი

მაგ შენი სულის სალოცავი, სახატე გორი,
მიწის ზედაპირს თუ სცილდება და მომაღლოა,
აღარაფერი ამაქვეყნად არ არის შორი,
შენი გულისთვის ყველაფერი ძალზე ახლოა.

შენი არსების სტუმრიონში ვის აღარ ნახავ,
ბინადრობს ყველა, ვისაც ცისქვეშ არა აქვს სახლი,
ფრთამოტეხილი ბელურა თუ სიონის გლახა,
ობოლი ბავშვი, მაწანწალა, მშიერი ძაღლი.

უკვე შენშია ის, რაც შენმა გონმა ეძია,
რაც არსებობს თუ დღევანდლამდე დადის ამბებად,
ეს მემფისია, ეკბატანა თუ ვენეცია,
ძველი ბეთლემი, შირაზი თუ ადისაბება.

არსება შენი თვალუწვდენი იალაღია.
თუმც სევდაც სუფევს, მაგრამ მაინც რა სილაღეა!

6.04.2008.

სიტყვის სონეტი

„პირველითგან იყო სიტყვა.."
იოანეს სახარება

და რომ ჯერ კიდევ შესაქმემდე პირველი სიტყვა
იყო თვით ღმერთი, სახარებით გავიგეთ ადრე,
რაც იოანე მახარებლის ბაგეთგან ითქვა,
თანდათანობით ვირწმუნე და გავიმეტადრე.

არაფერია ამაქვეყნად სიტყვის მაგვარი,
რაც ადამიანთ ბედად გვერგო ღვთიურ განგებით.
სიტყვაა, რასაც გვაგრძნობინებს ფერით მხატვარი,
სიტყვაა, რასაც მუსიკოსი გვამცნობს ჰანგებით.

ისიც სიტყვაა, ჩვენს გულებში რაიც ინთქმება
და ფესვებს იდგამს ჩვენს წიაღში, როგორც ურთხმელი.
სიტყვაა ქვეყნად ყველაფერი, რაიც ითქმება,
ისიც სიტყვაა, რაც მარადის გვრჩება უთქმელი.
თუ "პირველითგან იყო სიტყვა", ბოლო მიგნებაც
ისევ და ისევ ღვთაებრივი სიტყვა იქნება!

10.04.2008.

ეს საკუთარი

სასნიაფო გისმენთ!

ჩემს მეგობრებს, ჩემს
გენერალურ დირექციას,
ჩემს სამართალდამცავებს იმედით,
რომ ხუმრობაზე არ აცრილან.

მაღვიძარა რეკავს. ესე იგი, დილის შვიდი საათია. თუ მაღვიძარა რეკავს და დილის შვიდი საათია, ესე იგი, მორიგე ვარ. თუ მაღვიძარა რეკავს და დილის შვიდი საათია და თანაც მორიგე ვარ, ესე იგი, უნდა ავდგე.

მეზარება!

თავზე ბალიშს ვიდებ, ზედ საბანს ვიმხობ და არ ვიმჩნევ.

გუშინ, ბენდენაწაკრულ, კბილებამდე შეიარაღებულ სტალონესთან ერთად, ხეებსა და კლდეებზე დავხტოდი, დღეს — განძრევის თავი არ მაქვს.

რა მახტუნავებდა მორიგეობის წინ, მე უპატრონოს?!

საკუთარი თავისთვის სარგებელი რამ მაინც გამეკეთებინა — პედიკიური მაგალითად.

დღეს კი შედეგს ვიმკი — სამსახურში დაღლილ-დაქანცული, გამოუძინებელი და უპედიკიურო უნდა გამოვცხადდე.

მაღვიძარა აგრძელებს — პიპ-პიპ... პიპ-პიპ... თუ არ ავდექი და არ ვეახლე, არ გაჩერდება. რეკავს და რეკავს მანამდე... ისე, სადამდე?! შანსი არასდროს მიმიცია. ჩაიკმენდს ხმას როდესმე, ალბათ, სადღაც თორმეტის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამდენი დრო არასდროს მაქვს. დროც რომ მქონდეს, ნერვი არ მეყოფა.

ავდექი, ვეახლე, ჩავაკმენდინე.

დილის რიტუალს შევუდექი.

შინიდან გასვლამდე ყოველთვის ორი საათით ადრე ვდგები. ერთი საათი მარტო გამოფხიზლებას ვუნდები. გამოფხიზლება ზანტად და აუჩქარებლად მიყვარს. შემდეგ მთელი დღე საგიჟეთი მაქვს, ამიტომ, დილის რიტუალი — ორი ჭიქა ყავა და ოთხი ღერი სიგარეტი — წმიდათა წმიდაა!

ერთხელ, ერთი ყავა და ორი ღერი ვსინჯე. არ იმუშავა. სანამ მეორე წრეზე არ წავედი, თავის ქალაში დაბუდებული ტორიჩელის სიცარიელე ჯიუტად იჯდა და ყურსაც არ იბერტყდა.

რიტუალის მეორე ეტაპი — ათი წუთი შხაპი, ათი წუთი შემოსვა, ათი წუთი სახის დახატვა — ესეც შენი ნახევარი საათი. ნახევარი საათი გზა და ესეც შენი სამსახურში ზუსტად ცხრა საათზე გამოცხადება.

არ ვსაუზმობ. არასოდეს არ ვსაუზმობ. განსაკუთრებით ბოლო დროს. არა, განსაკუთრებით ბოლო დროს არა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დედაჩემი ველარ მერევა ანუ პრაქტიკულად მთელი ცხოვრება.

ბავშვობაში დილაობით ხაჭოიანი თეფშით დამდევდა, ხან "დედას ვენაცვალე" „ბოგ ტროიცუ ლიუბიტ"-ის და ხან "დაეგდე და ხეთქე"-ს ძახილით. თუ იოსტატებდა და სადმე კუთხეში მიმიმწყვდევდა, ხაჭოიან კოვზს ხახაში მთხრიდა, თუ არადა ვიყავი ასე, მშიერი, რომ შემდეგ, მოგვიანებით, „დიდ" დასვენებაზე სოსისებითა და კორჟიკებით ჩავმსკდარიყავი, ან ჩემს მეგობარს "ვარეკეტებდი" და დღის ბოლოს დედამისის გამომცხვარ "ეოზეფინა"-სა და "ზებრა"-ს მოკლე შინაარსს ვუყვებოდი.

მოკლედ, ბოლო დროს განსაკუთრებით იმიტომ არ ვსაუზმობ, რომ დიეტაზე ვარ. ისე, სიმართლე რომ ვთქვა, საუზმისა არ იყოს, სულ დიეტაზე ვარ, უბედური ხუთი კილო კი ორგანიზმს ვერა და ვერ გამოვგლიჯე — ჩალაგდნენ და ჩაკირნენ სხეულის ქვედა ნაწილებში და არიან თავისთვის, მყუდროდ — ნერვებს მიშლიან.

მხატვრული ტანვარჯიშის "ტრენერმა" თა-

ვისი პედაგოგიური ვალი ჩემს წინაშე პირნათლად მოიხადა — იმდენი მეძახა „толстая“, სანამ კარგად არ შემასისხლხორცა. ჰოდა მეც, სარკეში ცქერისას, მისი სიტყვები მახსენდება და ვნაღვლობ.

„— რას იზამ შვილო, აზიელებისათვის დამახასიათებელი აღნაგობა გაქვს“. — თავისი ჭკუით მამშვიდებს დედაჩემი.

კონტრარგუმენტად ნაცნობ “აზიელ“ ქალებს ვიშველიებ და ვუხსნი, რომ ეთნიკური წარმომავლობა და სიმსუქნე სრულიად განსხვავებული მცნებებია.

„— სამაგიეროდ, — არ ცხრება დედაჩემი. — მხატვრები შენნაირი ნატურებით შთაგონებას იღებენ“. — და იწყებს გვარების დაუსრულებელად ჩამოთვლას, განსაკუთრებით რუბენსს ახსენებს ხშირად.

რუბენსი არ მაწყნარებს, რუბენსი მაღიზიანებს! რუბენსს გემოვნება თუ ღალატობდა, მე ვერაფრით დავეხმარები, დაგვიანებულია!

ჰოდა, ვინ მოთვლის მერამდენედ, წიწიბურას დიეტაზე ვარ — წიწიბურა — დილას, წიწიბურა — საღამოს, წიწიბურა — შუადღით. შუალედებში ყავასა და სიგარეტს ვუფენ — სულ რომ არ გავგიჟდე და გადავირიო.

გასვლამდე დედაჩემის ოთახში შევიხედე — “აბა თუ გაიღვიძა“-თქო.

ცალი თვალი ღია აქვს, პირში — სიგარეტი გაჩრილი და არ ინძრევა.

გაუღვიძია!

კაკო იატაკზე გაუნძრევლად ზის და გახელილ თვალში თვალს უყრის — ნუსხავს.

ჩავეხუტე. კაკოს არა, დედაჩემს. დილაობით კაკოსთან ჩახუტება არ შეიძლება. მხოლოდ — საღამოს, ისიც, ადამიანი წინასწარ ძველმანებით უნდა შეიმოსოს, თორემ, კაკო დიდი ოინბაზი პირუტყვი გვყავს — ისე აგაქოთებს და დაგბანჯგვლავს, თბილისის ყველა კატების მოგერიებას ვერ აუხვალ — თავისიანი ეგონები.

„— ძილის სუნები აგდის“. — დედაჩემს ვეუბნები.

„— გშურს“-ო, — მპასუხობს და იზმორება.

„— რამ გაგაღვიძა ასე ადრიანად?!“

„— დილაუთენია ისე აბრაგუნდი, წითლები ხომ არ შემოვიდნენ, შემეშინდა“-ო.

ჩემთვის დღემდე საიდუმლოდ რჩება ისე სად დაოსტატდა, რომ პირში სიგარეტგაჩრილი სათითაო ბგერას მკაფიოდ წარმოთქვამს?! თეატრალური “ბდგი-ფთკი-პტკი“-ს შედეგია, ალბათ.

„— რა გეგმები გაქვს?“ — ვეკითხები.

„— არ მახსოვს, დავთარში უნდა ჩავიხედო. ისე დღეს სამსახურები არ მაქვს“.

ერთი დავთარი აქვს. შესაბამის ორგანიზაციას თუ ჩაუვარდა, ნამდვილად დაშიფრულ “ჩუმათმაძიებლურ“ დოკუმენტაციად ჩათვლიან. ავტორის დახმარების გარეშე, თავს დავდებ, ვერ გაშიფრავენ.

კაკო კვლავ გაუნძრევლად ელოდება — ხმას არ იღებს, თვალს არ ახამხამებს.

„— გინდა “ჯადოსნური სიტყვა“ ვუთხრა?“ — ვთავაზობ დედაჩემს.

„— შენი ჭირიმე, ახლა ეს არსება არ ააჯღავლო, სიგარეტი მაინც მომაწევინე წყნარად“. — მევედრება.

„— კარგი“. — შევიცოდე და გასასვლელისაკენ მივემართები.

ცალი ფეხით სადარბაზოში ვარ და კაკოს “ჯადოსნურ სიტყვას“ ვუყვირი:

„— კაკო, გშიიიაააა???“

კაკოს განწირულ “მიიიაააუუუ“-სა და დედაჩემს „უჰ შენი“-ს სახლში ვტოვებ და ქუჩაში გამოვდივარ.

სამსახურში მისულს ჩემი კაბინეტის კედელზე მიკრული შთამბეჭდავი მოცულობის უკანალი დამხვდა. მოჯადოებულივით დიდხანს ვიდგებოდი, ნატაშას ყურში რომ არ ჩაეჩხავლა:

„—Это вчерашнее, ты представляешь что было?! Целый день звонили и матерились. Вообще-то ЭТО по идее-бардзакис келис мотехлобаа “. — ქართულად დააბოლოვა. მერე ხელი მკრა:

„ — Отойди, пол должна помыть!“

პასუხის გაცემა არ მაცალა, საპნიანი წყლით გაჟღენთილი საეჭვო წარმოშობის ტილო იატაკზე დააპერტყა და ხეხვა დაიწყო. იატაკმა მორუხო-მოშაო ფერის ქაფი გადაიკრა და აფუვდა.

„— Ты что, ненормальная! — სამზარეულოდან უყვირეს. — Не видишь весь город с ума сшел! ახლა, რომ გახვალ გამოძახებებზე, ხვალ დილამდე ვერ დაბრუნდები, იატაკს რას უშვრები?!“

„— წასვლა გვაცალე. — ნამორიგევალი ხალხი აყაყანდა. — მერე რაც გინდა ის გიქნია!“

„— Я это быстренько. — არ ცხრება ნატაშა — Противно на работу приходить!“

„— შენ კიდევ იატაკს რას უყურებ?!“

„— Аба вис шевхедо, амас?!“ — თავს უკანალისაკენ იქნევს. ხელები დაკავებული აქვს — იატაკის “რეცხვას“ აგრძელებს.

„— ნატაშ, — ვეუბნები — სახლი მაქვს დასალაგებელი, წამოხვალ?“

„— Заплатишь და цамовал, ратомац ара?! Зарплату все равно ар гвадзлевен“.

„— კი მაგრამ, ჩემს ხარჯზე აპირებ გამდიდრებას?“

„— Конечно, аба с кого еще содрать деньги?!“

„— Кстати о птичках, რას ამბობს უფროსობა ხელფასებზე?“

„— ხვალო, თითქოს ხვალ გვპირდებიან“.

„— თითქოს თუ გვპირდებიან?“

„— ორივე!“

წამსვლელი ხალხი ნელ-ნელა გაიხიკა. ზოგი — სახლში, ზოგი — მეორე სამსახურში. მოკლედ, ვისაც სად სურდა, ან არ სურდა, მაგრამ სჭირდებოდა.

ნამორიგევალი ოპერატორი — თვალებდასიებული და თმააბურძგნული, ტელეფონის ზარებს შორის ახერხებს და მორიგეობას მაბარებს — ტელეფონებს, საწვავის ბარათებსა და ჩვენს სკამს.

„— ამას რა ვუყო?“ — უკანალზე ვუთითებ.

„— რა და, ჩემო ძვირფასო, ხვალ დილით უფროსობას ჩაახუტე.“

სიტყვა არ აქვს დასრულებული, ქუჩის მოსახვევში საქმიანი ნაბიჯით მიმავალს ვხედავ.

ეჰ ბედნიერი! შხაპს მიიღებს და დაიძინებს.

ყველა ტელეფონი ერთხმად აზრიალდა — “ესენი მოასვენებენ ადამიანს?!“

დავრჩით დღევანდელი მორიგე სმენა — ერთი ოპერატორი — მე, ერთი ოფიცერი — მზია და სამი ბრიგადა — მამუკა-ზვიადი (მე მგონი მესამე მორიგეობას აბამს, მერე კი ზუზუნებს, გოგოებს არ ვუყვარვარო. ვერ ხედავენ და როგორ შეიყვარებენ?!), გიორგი-ნატაშა (იატაკის რეცხვას აგრძელებს) და ირინა-რუსიკო.

დღეს კვირაა. უფროსობა ისვენებს. ვითომ სიწყნარეა.

ქალაქმა სიმშვიდით ტკბობა არ გვაცალა — გამოძახებები შემოვიდა და ბრიგადებიც გავისტუმრე.

ნატაშამ საპონი და ჭუჭყი ერთმანეთში კარგად რომ აზილა, გამოძახებაც მოუვიდა.

„— არ გეგონოს მე გავაგრძელო“. — რაციაში ჩავძახე.

„— Я и не надеюсь, знаю тебя, приду и докончу“. — ამომძახა.

დავრჩით მე და მზია კაბინეტებში შეყუჟულნი, საქმიანნი.

მზია საათს უყურებს:

„— როგორ ფიქრობ, მოკითხვები ათი საათიდან რომ დავიწყო, ადრიანი ხომ არ არის?“ — მეკითხება.

სამხედრო ოფიცრების საქმიანობასა და მოვალეობაზე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს, ჩვენი ოფიცრების საქმიანობასა და მოვალეობაზე — კიდევ უფრო ბუნდოვანი.

ადრიანად გამოცხადდებიან, კაბინეტში შეიკეტებიან და პაციენტებს ურეკავენ — მოკითხვებს უთვლიან — “ჩვენი მომსახურებით როგორი კმაყოფილი ბრძანდებითო? რამე თუ დაგჭირდეთ თქვენს სამსახურში გვიგულეთო!“ — მოკლედ, აგიუებენ.

ერთხელ, ერთს, ქმრის საყვარლის ოინბაზობა ეგონა. მთელი საღამო საპასუხო ზარებით აგვიკლო. ვერაფრით დავარწმუნეთ, რომ “მართლა გადაუდებელი სამედიცინო სამსახური“ ვართ. ბოლოს, ჩვენ კი შეგვეშვა, მაგრამ ქმარს რა ბედი ეწია, ვერ გავარკვიეთ.

„— გააჩნია რა შემთხვევაში. — მზიას შეკითხვას ვპასუხობ. — ჩემს შემთხვევაში თორმეტი საათიც ადრიანია. ისე, რა გენაღვლება, შენ დაიწყე, ბოლო-ბოლო ან ყურმილს დაგიკიდებენ ან შეგაგინებენ, ხომ არ მოგკლავენ?!“

მზია, მსუბუქად რომ ვთქვა, ცოტა არ იყოს, შეცბუნებულია. ახალი ხილია — სამსახურის სპეციფიკისა და ტერმინოლოგიაში კარგად ვერ ერკვევა. თანაც, ნაზი ყურები და ნაურყვნელი პირი აქვს. არა უშავს რა, პატარას წაიმუშავებს და ევოლუციასაც გაივლის — ტრანსფორმირდება. რამდენიმე თვეში მშობლებმაც ვერ იცნონ იქნება.

„— ყავა გინდა?“ — ვეკითხები.

„— მინდა“. — მპასუხობს.

მოვადუღე. ვსხედვართ, ყავას ვსვამთ, სიგარეტს ვაბოლებთ — ვმუშაობთ, მოკლედ,

ტელეფონის ზარები არ წყდება. ხან ეშლებათ, ხან არა. რამდენიმე გამოძახება ჩამივარდა, ერთი — ბრიგადის გათავისუფლებას ელოდება.

მეტად რისკიანი თანამდებობა მაქვს — ილეთები თუ არ იცი, კისერს მოიტეხ. მთელი სამყარო ჩვენით არის უკმაყოფილო:

ბრიგადა დაიგვიანებს — ჩვენ ვილანძღებით.

ბრიგადა არ დაიგვიანებს — მაშინაც რატომღაც ჩვენ გვლანძღავენ.

გამოძახების ფასს ვახსენებ — „რა დროს ფულია, ადამიანი კვდება, სულ გამხეცებულხართ“-ო. — გვარცხვენენ.

ფასს არ ვახსენებთ — უფროსობა თავში გვიკაკუნებს — „კომუნიზმი ხომ არ გგონიათ“-ო.

„— ბრიგადები დაკავებულია, ხომ არ დაგველოდებით ბატონო (ან ქალბატონო)“? — ზრდილობიანად ვთავაზობ.

„— მე კი დაგელოდები, საყვარელო, მომაკვდავი არ ითმენსო“. — უზრდელად მპასუხობენ.

გამოძახება ვარდება — „სწრაფად იმუშავეთ, ნუ იზლაზნებითო“. — უფროსობა გვიბღვერს.

გამოძახება არ ვარდება — „რა ხდება, ტელეფონებს რამე ხრიკები ხომ არ მოუწყვეთო?!“ — ბღვერას უმატებს.

ექიმები და ექთნები ხავიან — „ორი წუთით ოფისში შემოგვიშვი, ადამიანურად მაინც მოგვაფსმევინე, ღმერთი არ გწამსო?“

მძღოლები ილრინებიან — „მანქანები არ ვარგა, გზები არ ვარგა, შუქნიშნები არ მუშა-

ობს, სახლები დანომრილი არ არის, ბენზინში წყალს ურევენ...“

თითქოს ეს ორომტრიალი არ გვყოფნიდა, გენერალურმა დირექციამ ახალი გასართობი გამოგვიგონა.

რით ერთობა ჩვენი უფროსობა დილის “ხუთწუთიანი“-ს შემდეგ, ვერ გეტყვით. შეიკეტებიან კაბინეტებში და მათი წკრუნიც არ ისმის.

საღამო ჟამს კი ინტერნეტში “ვარსკვლავურ ომებს“ თამაშობენ, რომელსაც სხვანაირად “თათბირი“ ჰქვია. ასეც გვიბარებენ — „ვინმემ თუ გვიკითხოს, გადაეცით, რომ “თათბირი“ გვაქვს“.

ის “ვინმე“, ჩვეულებრივ ოჯახის წევრები არიან და კიდევ უფრო ჩვეულებრივ — ცოლები.

სულ მაინტერესებდა ეს “ვარსკვლავური ომები“ რა ხილია. ერთხელ თხოვნა მინდოდა — „რა მოხდება, მეც რომ თქვენს “თათბირს“ დამასწროთ“-მეთქი. კომპიუტერის ეკრანს მიჭიჭინებულების, ისეთ სერიოზულ-კონცენტრირებულ სახეებს წავაწყდი, თხოვნა სასწრაფოდ გადავაკეთე, რაღაც უაზრობით შევცვალე — “ხელფასები როდის იქნება“, ან ამის მსგავს რამედ.

არ ვიცი “თათბირს“ დავაბრალო, თუ სხვა რამ შთაგონებას, უფროსობამ ახალი თამაში გამოგვიგონა — “რეტგენოლოგობანა“ ჰქვია და გასაგორებელი კოჭებიც — ტექნიოსები შაქრო და ზაქრო, თუ ზაქრო და შაქრო — მოაყოლა.

გამოცხადდებიან შაქრო-ზაქრო დილაობით, „ჩვენ აქა ვაართო“ — ოპერატორს დაუბარებენ და ხელს გაურკვეველი მიმართულებით იშვერენ. ყოველ შემთხვევისათვის, “ისე, რამე რომ იყოსო“ — რაღაც ტელეფონის ნომერიც დატოვეს ერთხელ. რამდენჯერ ვცადე დაკავშირება — ყურმილს არავინ არასოდეს იღებს.

ჰიჩკოკის ერთ ფილმში მოხუც მანდილოსანს ღამღამობით ყოფილი შეყვარებული ურეკავს და „ძალიან მომენატრე, მინახულეო“ — აგიუებს. (მაინც რა უზნეო თვისება აქვთ ამ “ყოფილ შეყვარებულებს“ — მაინცდამაინც შუაღამისას რომ აუტყდებათ “მონატრებულობანას“ თამაში, თითქოს დღის საათები სათვალავში არ იყოს).

ეს ამბავი გასაგიუებელი სულაც არ იქნებოდა, “ყოფილი შეყვარებული“ კარგა ხნის გარდაცვლილი და მიწას მიბარებული რომ არ ყოფილიყო.

მოხუცი მანდილოსანი საგიუეთში ხვდება, ნათესაობას შიშის ზარი სცემს, პოლიციას გამოძიების ძაფები მუდმივად ხელიდან უსხლტება...

ფილმის ბოლო კადრი — ჩამოწყვეტილი სატელეფონო ხაზი “ყოფილი შეყვარებულის“ საფლავზე გდია...

ამ ჩვენი შაქრო-ზაქროს გაუჩინარებებით შეწუხებულმა, ერთხელაც თავი თუ გადავდე და სატელეფონო ხაზს გავყევი, ძალიან მაინტერესებს, რას ან ვის მივადგები.

დროგამოშვებით სასწაულიც ხდება და შაქრო-ზაქროს გამოჭერაც ხერხდება. შედეგად, ჩვენი ოფისის კედლები ვიღაც-ვიღაცების არალიტერატურული ნაწილების რენტგენოლოგიური სურათებით იფარება.

„— აბა რა ჩვენი ბრალია, ძაბვა არ ვარგოდაო“. — მხრებს იჩეჩენ შაქრო-ზაქრო.

ფეხმოტეხილებსა და ბეჭნაღრძობებს კი ძაბვა-მაბვა სულაც არ აინტერესებთ, გვირეკავენ და გვლანძღავენ. ვერაფრით შევაგნებინე, რომ საჩივლელად ჩვენთან კი არა, ზაჰესში უნდა დარეკონ.

სამსახურში მეორე რიტუალს ვასრულებ — ვლოცულობ — “ნეტავ, ჩემს მორიგეობაზე ფეხი არავინ იღრძოს და კისერი არავინ მოიტეხოს, და თუ ბედისწერამ მაინც გაწირა, მოიფიქრონ და სახლში “ექიმბაშობანას“ თამაშს, პირდაპირ ტრავმატოლოგიურს მიმართონ“.

ზუსტად რვა წუთი ვილოცე. ათას ორი წუთი აკლდა, დარეკეს:

„— კოჭ-წვივის სახსარს თუ იღებთ?“ — იკითხეს.

„— კი ბატონო“. — წარბიც არ შემიხრია.

„— რა ღირს?“

ვუპასუხე.

მცირედი ყოყმანის შემდეგ ხმამ ერთი ამოიოხრა და:

„— რამდენ ხანში შეძლებთ მოსვლას?“ — მეკითხება.

„— ტექნიკოსებს როგორც კი დავუკავშირდები“. — რაც შეიძლება ბუნდოვნად ვპასუხობ. შემდეგ რომ არ მომედავონ — „ხომ დაგვპირდი 1 სთ-შიო (2, 3 და ა.შ.)“?

“როგორც კი დავუკავშირდები“ კი დროის გვარიანი მონაკვეთის მომცველია — საჭიროების შემთხვევაში ერთ თვემდე გაიწელება.

მივიღე კოჭ-წვივის სახსრის რეტგენის შეკვეთა და მოვიწყინე. ყოველი შემთხვევისათვის “გაურკვეველი მიმართულებებიც“ დავძებნე, “მოჯადოებულ“ ნომერზეც გადავრეკე და უფრო მეტად მოვიწყინე.

საღამო ჟამს ორი-სამი “ტკბილი“ სიტყვა არ ამცდება!

ეჰ, რას ვიზამ?!

ტელეფონის ზარები არ წყდება, გამოძახებები არ წყდება, ბრიგადები გამოძახებიდან გამოძახებაზე გადადიან, მზია პაციენტებს მოკითხვებს უთვლის, მე ყავას ვსვამ და ვეწევი — ერთი სიტყვით, ვმუშაობთ.

დრო იწელება. ერთი-ორჯერ ბრიგადებიც გამოჩნდნენ. მოირბინეს, ორი ლუკმა გადაყლაპეს, გავარდნენ.

ნატაშამ საკუთარ ნამუშევარს ფეხი წამოკრა და კინაღამ კისერი მოიტეხა.

„— ფრთხილად იყავი, рентгенологи пропали, как всегда, так что без фокусов!“ — გავაფრთხილე.

„— Эхла вер васцреб, вечером, может быть полегчает и дакончу .“

იატაკის ჯოხი და ტილო, ყოველი შემთხვევისათვის, კუთხეში მიაჩოჩა.

„ — Ты что, опять на диете? — ჩემს წიწიბურას თვალი რომ მოჰკრა — Совсем хочешь улетучиться?“

„— მაცალე რა, ჩემთვის ვგიჟდები, ხომ ხედავ. შენ იატაკის რეცხვით გიჟდები, მე — დიეტით. Оставим друг друга в покое!“

მე და მზია ისევ მარტო ვართ, კაბინეტებში შეყუჟულნი — მუყაოთი გადატიხრული სათითეს ზომის ჰაერის მოცულობებში. ერთმანეთს მუყაოშივე გამოჭრილ სარკმელში ვუმზერთ.

სამი საათი ხდება. ირაკლიმ შემოიარა. წიწიბურა შევთავაზე, იუარა. ყავა — “სიამივნებითო“.

„— კაკოს “კატლეტიკები“ როგორ არიანო?“ — დაინტერესდა.

„— გმადლობთ, კარგად“-მეთქი.

„— ცოლს არ ირთავსო?“

„— ერთი თვის წინ კარგი გოგო შევურჩიეთ — ნაზი, ლამაზი, ოჯახიშვილი, ქალიშვილი. ერთი გენახა, რა დღეში ჩავარდა! ჯერ ზიზღით ახედ-დახედა, მერე კარგა ხანს იფურთხა, ბოლოს სადღაც მიიმალა. ორი დღე არ გველაპარაკებოდა“.

„— მძიმე ხასიათის კაცი გაგიზრდიათ“-ო

„— ტიპიური ქართველია“-მეთქი.

მზია გაფაციცებით გვაყურადებს, სიტყვას არ ტოვებს.

„— კაკოს“ კატლეტიკები“ რა არის?“ — ვეღარ მოითმინა ბოლოს.

ცოტა მოწყენილად ვიყავი. გამხიარულება არ მაწყენდა. ამიტომ, არც ვაციე, არც ვაცხელე, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მზიას შუბლში ვახალე:

„— რა და კაკოს ყვერებია“.

„— ვაი მე, ვაი მე“. — ალუღლუღდა. თვალებს ჩემიდან ირაკლიზე და ირაკლიდან ჩემზე აცეცებს, სუნთქვა შეეკრა, აჭარხლდა.

გავმხიარულდი.

შევიცოდე ბოლოს.

„— კაკო ჩემი კატაა“. — ავუხსენი.

მზიას ოდნავ მოეშვა, ბოლომდე არა — ყურები კვლავ უკიაფებდა.

„— მე შენი ძმა მეგონა, გამიკვირდა, რა თავისუფლად მოიხსენიებდი იმის, იმის...“ — ისევ ალუღლუღდა, წინადადებას ვერ ასრულებს.

მზიას მოკვლა განვიზრახე.

„— ისე, ძმაც რომ ყოფილიყო, მეეჭვება კაკოზე უკეთესი “კატლეტიკები“ ჰქონოდა. ხასიათი, მართალია, არ უვარგა, მაგრამ რაც ააქვს, ააქვს, ვერ წაართმევ, ჩვენი ოჯახის სიამაყეა! რას იტყვი ირაკლი?“ — ირაკლი მკვლელობის თანამონაწილე გავხადე.

„— ჩემები, კაკოს ფონზე, სახსენებელიც არ არის“. — სერიოზულად დამეთანხმა.

მზია მოკვდა.

„— ხელფასებზე რას იტყვიო?“ — ირაკლი მეკითხება.

„— რა უნდა გითხრა, ხელფასები კარგია და შიგადაშიგ სასარგებლო“.

„— არა, მართლა, ხუმრობის გარეშე, რას ამბობენ?“

„— ხვალ, თითქოს, გვპირდებიან“.

„— თითქოს თუ გვპირდებიან?“

„— ორივე.“

პატარა ხანს ენა ვაქავეთ, აქეთური-იქეთური ვთქვით. ბოლოს ირაკლიმ განაცხადა:

„— კარგი წავედი, აბა თქვენ იცით, არ გადაიღალოთ“. — დაგვიბარა.

„— ვეცდებით“. — დავემშვიდობე.

და წავიდა.

ისევ მე და მზია. საათი ხუთს უახლოვდება.

ატირებული ირინა შემოდის, გაცოფებული რუსიკო მოყვება:

„ — Сволочи. — ყვირის. — ჯერ ხომ გვლანძღეს და გვლანძღეს, მერე, ერთმა მუტრუკმა საცემრად გამოიწია“.

„— დაიგვიანეთ?“

„— რა დავიგვიანეთ, სამ წუთში იქ ვიყავით“.

„— მოკვდა?“

„— რა მოკვდა. Наркотики хотели б-и“.

შავი სია ავიღე. ჩავწერე სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი და თავის ქალაც მივახატე გადაჯვარედინებული ძვლებით.

ამასობაში გამოძახებაც შემოვიდა.

„— რას იზამთ?“ — ირინას ვუყურებ.

აღარ ტირის.

„— წავალ, გულს გადავაყოლებ“.

„— შენ არ იდარდო! სიტუაცია თუ არ მოგეწონა, მოტრიალდი და წამოდი. პასუხს მე გავცემ!“

„— ვეცდები“.

წავიდნენ.

ექვსი ხდება. ნატაშამ მოირბინა და იატაკს ეცა.

„— Слушай, брось, ხომ ხედავ გაშრა და აქაურობა თავიდან აღარ ააქოთო“. — ვეხვეწები.

ვინ გისმენს?!

თხუთმეტი წუთი ნატაშას ქოშინი და სველი ტილოს ტყლაშუნი ისმოდა. ბოლოს:

„ — Все, моврчи!~ — თქვა და არაქათგამოცლილი სავარძელში ჩაესვენა.

„— Вот видишь! რა შავიც იყო, ის შავი დარჩა, только еще хуже, весь воняет и ты вообще ни на что не годишься!“ — ლექციას ვუკითხავ.

„— Подожди, гашреба да карги икнеба. Не чувствуешь как свежо стало?“

ვერაფერსაც ვერ ვგრძნობდი.

„— გიორგი, რამეს თუ გრძნობ?“ — გიორგის მივუტრიალდი. იქვე იჯდა და კითხულობდა.

„— არა-ო, ისე ან ერთ ენაზე ილაპარაკეთ ან მეორეზე. ორივეს რყვნით თქვენი უზნეობითო“

არ შევიმჩნიე, მართალია, მაგრამ მაინც არ შევიმჩნიე. მზიას მივუტრიალდი

„— მზია, შენ გრძნობ რამეს?“

მზიას შეკითხვა ვითომ არც გაუგია — ფურცლებშია ჩარგული. “კატლეტიკებს“ არ მპატიობს მგონი.

გამოძახება შემოვიდა. გასვლამდე ნატაშამ დამიბარა:

„— Дзалиан чучхиани вар, когда приду искупюсь.“

„— კარგი, ოღონდ გვიან ღამით, გამოძახებები რომ შეთხელდება“.

ისე, სად აპირებს “ისკუპაიუს“-ს, წარმოდგენა არ მაქვს.

ისევ მე და მზია.

ბიჭებს რაციით შევეხმიანე.

„— ისევ გამოძახებებზე არიან, არ გამოსულან“. — სურიკა მპასუხობს.

„— სურიკ, კვდებით შიმშილით?“

„— არა, გოგო-ჯან, ხაჭაპურები ვიყიდეთ. შხამი იყო, მაგრამ კუჭები გაგვივსო.“

„— კარგი, რომ გამოვლენ, დამიკავშირდით“.

„— გამოძახება გაქვს ჩვენთვის?“

„— ჯერ არა, მაგრამ აქ ისეთი შემოტევაა, იქნება!“

ტელეფონები ერთბაშად გაგიჟდნენ.

„— სასწრაფო გისმენთ! სასწრაფო გისმენთ!“ — ორს ვერევი.

„— სასწრაფო გისმენთ!“ — მესამეზე მზია შემეშველა.

ყურმილს მაჩეჩებს.

„— რა ხდება?!“

„— რენტგენისათვის რეკავენ, ოპერატორი უნდათ. — ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ ამატებს : — მე მგონი დილანდელები არიან.“

ცივმა ოფლმა დამასხა. სულ გადამავიწყდნენ. არც შაქრო-ზაქრო გამოჩნდა, ესენიც არ შემხმიანებიან და დამავიწყდა.

„— უთხარი ოპერატორი მოკვდა“-თქო.

მზია ყურმილს ხელში მჩრის და სიამოვნების მოლოდინში ინაბება. “კატლეტიკების“ სამაგიეროს გადახდის დრომ მოუწია.

„— გისმენთ“. — რაც შეიძლება ნაზად, მაგრამ საქმიანად ვპასუხობ.

„— ეს მე გისმენთ. — მიტევს ძალიან გაბრაზებული ხმა. — რა ხდება ქალბატონო, დღეს დილით შეკვეთა მოგეცით და აქამდე არავინ გამოჩენილა!“

რამდენიმე ვარიანტიდან საუკეთესოს ვირჩევ.

„— აპარატი გადაეწვათ. — პაუზას ვარტყამ, არავინ მპასუხობს, ვაგრძელებ, — ადრიანად სხვა გამოძახებაზე იყვნენ, აპარატმა ძაბვის მერყეობას ვერ გაუძლო და გადაიწვა.“

„— რომ გადმოგერეკათ და გაგეფრთხილებინეთ, არ შეიძლებოდა? — აღრენით მპასუხობს. ტყუილი უნდა მოვიფიქრო. — ტექნიკოსები აღარ დამკავშირებიან და თქვენც აღარ გამოჩნდით, ჩავთვალე, რომ აპარატი შეაკეთეს და შეკვეთაც შეასრულეს.“

„— როგორც ხედავთ, არა!“ — ხმა ღრენას უმატებს.

„— რით შემიძლია დაგეხმაროთ?“

„— თქვენ არაფრით, ხვალ თქვენ ხელმძღვანელობას დაველაპარაკები. ამ ნომერზე უნდა დავრეკო?“

„— არა, სხვა ნომერი აქვთ.“

უფროსობის პირად ნომერს დამარცვლით ვკარნახობ, — ემანდ ციფრი არ შემეშალოს, — ვნერვიულობ. სამჯერ გავუმეორე და “გამიმეორეთ“ მოვთხოვე.

„ — მადლი ჰქენი და უფროსობას დაელაპარაკე. მთავარია დღევანდელი ტონი ხვალამდე გაგყვეს.“ — ყურმილში ჩავძახე.

ხმას ჩემი თხოვნა არ გაუგია — წყვეტილი ზარებიღა შემეპასუხნენ. ყურმილი დავკიდე.

ტელეფონი კვლავ რეკავს.

მზია პასუხობს და ყურმილს ცივად დებს.

„— რა ხდება?“ — ვეკითხები.

„— ვაიმე, რაღაც გაუგებრობა მკითხეს, კარგად ვერ გავარჩიე. შეეშალათ მგონი.“ — უხერხულად იშმუშნება და წითლდება.

საათს ავხედე. ცხრა დაიწყო. დაახლოებით ვხვდები, ვის რა შეიძლებოდა შეშლოდა.

კვლავ ზარი.

„— სასწრაფო გისმენთ!“

„— რა გაცვია?“

ასეც ვფიქრობდი — ჩვენი მანიაკია. ამ დროს ეწყება. ისე, უწყინარი ვინმეა, მაგრამ საღერღელი თუ აეშალა, მტრისას, დილამდე ვერ ისვენებს და ჩვენც არ გვასვენებს.

„— თუ ღმერთი გწამს, შენ მაინც თავი დაგვანებე“. — შაქრო-ზაქროზე გაბრაზებული, მანიაკზე ვიყრი ჯავრს — ვვუხეშობ.

ყურმილს ვახეთქებ და მზიას საქმის ვითრებას ვაცნობ.

„— ჩვენი სასწრაფოს მანიაკია.“

გაუგებარ თვალებს ვაწყდები.

„— ფუძის კეთილი ანგელოზი ხომ გაგიგია?“

„— კი“

„— ჰოდა, ეს, ჩვენი სასწრაფოს კეთილი მანიაკია.“

მაინც ვერ მიმიხვდა. არა უშავს რა, ორ-სამ მორიგეობაში, მანიაკი დილის ოთხ საათზე „რა გაცვია“-თი რომ დააცხრება, მიხვდება, მიხვდება, სხვა რა გზა აქვს?!

კვლავ ზარი.

„— სასწრაფო გისმენთ!“

„— რა გაცვია?“

„— ახალგაზრდავ...“ — წერტილი უნდა დამესვა. ღლაბუცის თავი არ მქონდა, — მშიოდა, მწყუროდა, მეძინებოდა და კლიენტის უზრდელობასა და შაქრო-ზაქროს უპასუხისმგებლობაზე გაბრაზებული ვიყავი.

„ — ახალგაზრდავ, — გავიმეორე, — კარგად მომისმინეთ, ხომ იცით სახელმწიფოში ეკონომიკურ-პოლიტიკური კრიზისი რომ არის. — გავჩერდი, მივაყურადე, ჩამიჩუმი არ ისმის, განვაგრძე, — ჰოდა, ხელფასები არ გვირიგდება და ტანსაცმელს ვერ ვყიდულობთ, დავდივართ დედიშობილები, გასაგებია?! კიდევ რა საკითხის გარკვევაში დაგეხმაროთ?“

გავჩუმდი, პასუხს ველი.

„— რა გაცვია?“

ან ეს მანიაკი ძალიან გონებაშეზღუდული გვერგო (უფრო ინტელექტუალურნი, ალბათ, კონკურენტებმა დაიტაცეს), ან არადა „რა გაცვია“ მაგნიტაფონზე აქვს ჩაწერილი, თვითონ კი სადმე, ახლო-მახლო, ჩაის სვამს და საკუთარ ხმაზე კაიფობს.

რას გაუგებ მანიაკებს?!

ყურმილი დავკიდე.

ბიჭები რაციით დამიკავშირდნენ “თავისუფლები ვართო“ . “კარგით, დაბრუნდით.“ — თქმა ვერ მოვასწარი, გამოძახება შემოვიდა და ბიჭები “ზეემკა“-ში გავუშვი.

კვლავ ზარი.

„— სასწრაფო გისმენთ!“

ქალი რეკავს, ზლუქუნებს:

„— ქმარი ძალიან ცუდად მყავს, სასწრაფო მჭირდება.“

„— ქალბატონო, ყველა ბრიგადა დაკავებულია, გირჩევთ სხვა სასწრაფოს მიმართოთ.“ — ვურჩიე.

„ — არა, თქვენი სასწრაფო მინდა, დაგელოდებით.“ — გაჯიუტდა.

მისამართის ჩაწერა დავიწყე. ტელეფონი არ აღმოაჩნდა.

„— საიდან რეკავთ?“ — დავინტერესდი.

„— ქუჩიდან.“

„— მეზობლებსაც არ აქვთ?“

ყველა გაწყვიტა — „ვინც სახლშია იმათ არ აქვთ, და ვისაც ააქვს, სახლში არ არის“-ო (რატომ არ დავეჭვდი?!)

„— ვერა, ქალბატონო, ვწუხვარ, მაგრამ ბრიგადას ვერ გამოვუშვებ. გადაუმოწმებელ მისამართზე ბრიგადის გაშვების უფლება არ მაქვს, — უფროსობის ბრძანებაა. — სხვას მიმართეთ.“

ყურმილი ცივად დავკიდე.

სინდისი ამიჯანყდა, ხმა ჩავაკმენდინე.

ნახევარ საათში იგივე ქალი, უკვე მოტირალი, რეკავს:

„— ქმარი იატაკზე გდია, არავინ მოდის, მარტო ვარ, არ ვიცი, რა ვქნა.“

კვლავ კანონს ვებღაუჭები. სინდისი აჯანყებას უმატებს.

სადღაც ორმოც წუთში კვლავ ის ქალი რეკავს, კივილით:

„— მიშველეთ, მიშველეთ, შენი ჭირიმე გოგონი, შენ გენაცვალე, უკვე აღარ სუნთქავს, შენ იმედზეღა ვარ. მიშველეთ, მომიკვდა ქმარი. დავიღუპე.“

მესამე ზარს ველარ გავუძელი. მესამე ზარზე გავტყდი.

„— კარგით, დაწყნარდით ქალბატონო. როგორც კი ბრიგადა გათავისუფლდება გამოვუშვებ. თქვენ ქუჩაში გამოსჩენ ადგილას დადექით, — ბრიგადამ მისამართის ძებნაში დრო რომ არ დაკარგოს.“ — დირექტივებს ვაძლევ.

„— კარგი, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, ისე მოვიქცევი, როგორც მეტყვი“, და ყურმილს კიდებს.

ორიოდე წუთში ბიჭები დამიკავშირდნენ. ვარკეთილში მომკივან ქალთან ვაგზავნი “გადაუმოწმებელია“ — ვაფრთხილებ.

„—გასაგებია“-ო. და წავიდნენ.

„— ნეტა ცოცხალს თუ მიუსწრებენ?“ — სინდისი მეკითხება.

„— შენი კრინტი არ გავიგო, ბრიგადა მაინც არ მყავდა“. — თავში ვუკაკუნებ.

კვლავ მე და მზია. მარტო. თერთმეტის ნახევრის ფარგლებია.

მზია “მშია, მშია“-თი სამზარეულოში გავარდა. „შენც ხომ არ გინდაო“, — იქიდან მეძახის.

„— არა, გმადლობთ, წინიბურით „სავსებით“ კმაყოფილი ვარ“-მეთქი.

წამოვდექი. ჯდომისაგან სახსრები გამხევებოდა და ერთი ადგილი შემბრტყელებოდა. გავიჭიმე, “ცოტას წავივარჯიშებ“-მეთქი გავიფიქრე და ის იყო შპაგატში ჩაჯდომა დავაპირე, რომ...

...ის იყო შპაგატში ჩაჯდომა დავაპირე, შემოსასვლელი კარი, ზამბარის გულის გამაწვრილებელი ჭრიალის თანხლებით (არ დამავიწყდეს ნატაშას გაფრთხილება, იქნებ ორგანიზაციამ სიკეთე გაგვიკეთოს და ტანის დაბანამდე ზამბარა შეგვიზეთოს), ბრახუნით იღება და საეჭვო გარეგნობის “ჰომოს ერექტიკუსის“ მსგავსი ორი სულიერი ძალიან საქმიანი ნაბიჯით შემობრაგუნდა.

სულიერები "ჰომოს ერექტიკუსებს" იმით წააგავდნენ, რომ გადასაადგილებლად აშკარად მხოლოდ უკანა კიდურებს ხმარობდნენ, წინა კიდურებში კი, კომბლის ნაცვლად, იარაღი ეჭირათ.

"ჰომოს ერექტიკუსები" სულიერებად იმიტომ აღვიქვი, რომ თავები არ უჩანდათ და ასე ნაუცბათევად გარჩევა გამიჭირდა, ადამიანები იყვნენ თუ სხვა რამ არსებანი.

სულიერების თავებს შავ სამყაროში ნიღბად წოდებული ნაქსოვი ხელსაქმე ფარავდათ.

მოკლედ, ვინც იყვნენ, შემოსვლისთანავე დაიფანტნენ: ერთი, უფრო მსუქან-მსუქანი და ჯეჯგვი, მე მომვარდა, მეორე — მომცრო და ჩია — სავარაუდოდ, მზიას.

ჩემი "ერექტიკუსი" დამიპირისპირდა, წინ დამიდგა და მიყურებს — ნიღბის ჭრილებიდან თვალს მისწორებს, ხმას არ იღებს.

სულ ერთი წამით გონებაში გამიელვა: — "ესენი ჩვენი რენტგენოლოგიური სამსახურით უკმაყოფილო საზოგადოების წარმომადგენლები ხომ არ არიან"-მეთქი. აზრი სასწრაფოდ უგულვებელვყავი. არა მგონია, კომუფლიაჟის შოვნაზე დრო დაეკარგათ.

მერე ვიფიქრე — „რომელიმე ჩვენიანის ოინბაზობაა", მაგრამ რომლის? ის იყო ნიღაბში წვდომასა და "ოლოლო მოიგე, ვერ გამოგიცან" — თქმა დავაპირე, ნიღბიანი "ერექტიკუსი" უშველებელი ტორით მხარში მწვდა, 90-ით შემატრიალა, ბეჭებში გვარიანად ჩამაზილა, "იატაკზე"-ო წაისისინა და გაშოტილს კეფაზე იარაღი მომადო.

მზიას "ვაი" გავიგე. ისიც იატაკზე გაშოტეს, ალბათ.

მეორე "ერექტიკუსი" — პატარა და ჩია — სეიფის კარს დაეჯაჯგურა, უშედეგოდ. ჩემი ნიღბიანისათვის თქმა მინდოდა — "მიეშველე, ის ვერას გახდება, ძალიან დალეულია", მაგრამ გასაგები მიზეზების გამო გაჩუმება ვარჩიე.

ვწევარ და თითქმის არ ვსუნთქავ — ჰაერს ტრაქეის ბიფურკაციამდე ვუშვებ, ზედმეტ მოძრაობას ვერიდები — ამ ჩემს ნიღბიანს საეჭვო რამ არ მოეჩვენოს და სროლა არ ამიტეხოს.

ჟანგბადის ნაკლებობას იატაკის აქოთებული სუნიც დაემატა (ნატაშა, რომ დაბრუნდება, საკუთარი ნახელავი უნდა ვასუნთქო, ღირსია! თუ, რა თქმა უნდა, ყველაფერი მშვიდობით დასრულდება.)

ტვინმა ჟანგბადის ნაკლებობასა და იატაკის სიმყრალეს ადექვატურად უპასუხა. — ვწევარ და თავში ათასგვარი სისულელე მიტრიალებს. თან ვცდილობ რეალობას მთლად არ მოვწყდე და "შიბზიკასა" და სეიფის ორთაბრძოლას ვუყურადებ.

„შიბზიკამ", როგორც იქნა, სეიფის კარი გამოანგრია (კარგი სეიფი გვაქვს, ჩემმა მზემ, მადლობა ღმერთს!) და რაღაცას ფათურობს — შიგთავსს შარი-შური აუტეხა.

ჩემთვის მაინც ეკითხათ, დროსაც დაზოგავდნენ და ენერგიასაც. საგულე საშუალებებსა და ერთჯერად შპრიცებთან ერთად, დიდი-დიდი, ანალგინ-დიმედროლსაც გამოჰკრან ხელი (თუ დიმედროლი აღარ გვაქვს?! ესე იგი, სუპრასტინს უნდა დასჯერდნენ!). ჰო. კიდევ ვიღაცის ჭუჭყიან სამედიცინო ხალათს, აგერ უკვე ერთი წელი საგულდაგულოდ რომ ინახება (არავის მოუკითხავს) და კიდევ, იმ დღის გამოძახებით შემოსული თანხას. ეს არის და ეს.

დავიჯერო, ასეთი მეწვრილმანე ყაჩაღები გვერგო?! ამისათვის მოაწყვეს ამხელა ბალმასკარადი?!

"ჰომოს ერექტიკუსები" როგორც შემობრაგუნდნენ, ისე გაბრაგუნდნენ, სულ რაღაც 2-3 წუთში (რაც მე, იატაკზე გაშოტილს და კეფაზე იარაღმიდებულს, საუკუნედ მეჩვენა).

მზია წამოხტა და "ერექტიკუსებს" დაედევნა. მე წამოვხტი და მზიას დავედევნე. მზია ნიღბიანებს ველარ დაეწია, მე მზიას დავეწიე, თმებში ვწვდი, ოფისში შევათრიე, დავსვი და დამარცვლით ვუთხარი: "ტრაკი დააყენე". იმ დროს მისი ნაზი შემოხედვის დარდი არ მქონდა. ისე, არც გაწითლებულა.

ვსხედვართ, ერთმანეთს ვუყურებთ. მზიას სიფათი მარჯვნივ აქვს გადაქანებული, მე, ვგრძნობ — მარცხნივ, სიმეტრიისათვის.

ამ დროს შემოსასვლელი კარი, ზამბარის გულის გამაწვრილებელი ჭრიალის თანხლებით, ბრახუნით იღება და...

ჩვენი ბიჭები დაბრუნდნენ ხორხოცითა და მხიარული შეძახილებით. „ცრუ მისამართი იყო, ცრუ! ასეთი მისამართი ვარკეთილში საერთოდ არ არსებობს!"

ჩემში პროფესიონალი ალაპარაკდა:

„— ნამდვილად არ არსებობს? კარგად ნახეთ?"

„— რას ნიშნავს!" — სურიკაც შემოსულიყო, გამიბრაზდა.

„— არც ქალი ვინმე დაგინახავთ, უნდა დაგხვედროდათ?"

„— არც მკივანა ქალი და არც მამაკაცის ცხედარი, საერთოდ კაციშვილის ჭაჭანება არ იყო". — ბიჭები ჭიხვინს განაგრძობდნენ.

ბოლოს ჩვენი შეშლილი სახეებიც შეამჩნიეს:

„— რა ხდება, ხომ მშვიდებაა?"

იმ დღეს, ქვეყნის დამნაშავეთა სამყაროს, როგორც მოგვიანებით გავიგეთ, ბაირამობა გაუმართავს. თუ სადმე ფორმიანი ელემენტი

მოიძებნებოდა — ჩინოსანი თუ არაჩინოსანი — ყველამ ჩვენს ოფისში მოიყარა თავი.

ერთს ორი მოჰყვა, ორს-ხუთი, ხუთს-ოცდაათი. მოდიოდნენ და მოდიოდნენ — სერიოზულნი, საქმიანნი, ქვეყნისა და მოქალაქეების სადარაჯოზე მდგარნი. ოფისის კედლები გაიწელნენ, გაიჭიმნენ, ფორმა შეიცვალეს, ფართობი გაიზარდეს და ყველა მეგობრულად დაგვიტიეს.

ფორმიანმა ელემენტებმა მე და მზია ცალ-ცალკე კუთხეში მიგვიმწყვდიეს და მომდევნო სამი საათი თავისი ყურადღების ცენტრად გვაქციეს.

მზიასი არ ვიცი, მაგრამ მე, ამდენი მამაკაცით გარემოცული, გავიფურჩქნე და ავყვავდი.

სამართალდამცავებს იატაკზე გაშოტვისა და იარაღის კეფაზე მიდების მიზანსცენა რამდენჯერმე გავუთამაშე. დავემხობი იატაკზე — თვალის კაკლებს ქვემოთ ჩამოაგორებენ, წამოვხტები — ზემოთ ამოაგორებენ. ისე იყვნენ დაოსტატებულნი, თავის განძრევაც არ სჭირდებოდათ.

სათქმელი რომ დავასრულე, გარკვეული პუნქტების მეტად გასააზრებლად, ფორმიანი ელემენტები შეტევაზე გადმოვიდნენ და კითხვათა უწყვეტი ჯერი დამიშინეს:

„— რამდენი იყვნენ?“

„— ორნი, — ახლახან არ გითხარით-მეთქი“, — გამიკვირდა.

„— რა ეცვათ?“

„— რუხი ფერის შარვალ-პერანგი, ესეც ხომ გითხარით.“

მკაცრად შემხედეს, განაგრძეს:

„— ავი განზრახვით რომ იყვნენ, ეჭვი როდის მიიტანე?“

„— თვალი როგორც კი მოვკარი.“

„— რატომ, მაინც რა არ მოგეწონა?“

„— რა ვიცი, ნიღბები ეკეთათ და იარაღი ეჭირათ. ეს ორი ფაქტი ცოტა არ იყოს არ მომწეონა“-მეთქი.

„— რა ფერის ნიღბები ეკეთათ?“

„— შავი“.

„— მთლიანი ნიღბები იყო, თუ მხოლოდ თვალებს უფარავდათ?“

„— თვალების ნიღბები რა, ზოროები კი არ იყვნენ. “

„— გოგონი, რაღაც მხიარულ განწყობაზე ხართ“. — უკანა რიგებიდან დამიყვირეს.

ხმის მიმართულებას თვალი გავაყოლე, მაინტერესებდა, ის ურცხვი ვინ იყო. „ის ურცხვი“, ალბათ, ჩემმა გამგმირავმა მზერამ შეაშინა, მისი წკრუნი აღარ გამიგია.

„— ისე მაინც ვის ჰგავდნენ, ვინმე ნაცნობს ხომ არა?“

„— ვის ჰგავდნენ და გადაჭრილ მორგვებს ჰგავდნენ, აი ვის ჰგავდნენ. არავისაც არ მივამსგავსებდი, მორგვებთან მეგობრობას ვერიდები.“

ამ დროს მზია მეორე კუთხეში აყვირდა:

„— პატარა სულ ჩვენ მნეს ჰგავდაო,“

„— ჰაა?? ვისაო??“

ფორმიანთა თვალებში სიცარიელემ დაისადგურა. ყველა მე მომაჩერდა, მზიას წილიც კი.

„— ზავხოზსო.“ — ვუთარგმნე.

ზუსტად იმ დროს ჩვენი მნე-ზავხოზი, შუქნიშანის ყვითელ ფერზე დაუმუხრუჭებისათვის, კანონის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. მტკიცე ალიბმა ეგზეკუციას გადაარჩინა.

„— რა იცი, რომ იარაღი ეჭირათ.“ — კანონდამცველებმა დაკითხვა განაახლეს.

„— იარაღს ჰგავდა. “ — ცოტა არ იყო დამაბნიეს.

„— რევოლვერი იყო თუ პისტოლეტი?“

„— ??? მაგი რაღაა?“

კითხვის პატრონმა დეტალური ახსნა დამიწყო.

ერთადერთი რასაც მივხვდი, ეგ გადაჭრილი თოფი დიდი შრომატევადი საქმე უნდა იყოს.

„— გოგონი, იქნებ ჯოხი იყო და შეშინებულს იარაღი გეგონაო“. — ვიღაცამ ჭკვიანური რეპლიკა მესროლა.

სიკვდილს “გოგონი“-მ გადაარჩინა.

ერთი განსაკუთრებით დაინტერესდა:

„— გენაცვალე, იარაღი სადმე გინახავს?“ და პასუხის მოლოდინში თვალები სიამოვნებით მილულა.

მივხვდი, სტალონეს ხსენება კარგს არაფერს მომიტანდა და...

„— რა ვიცი, მივამსგავსე. — ჩემთვის ჩავიბურტყუნე. — ისე ჯოხი ნამდვილად არ იყო.“ — დარწმუნებით გავიმეორე.

„— იქნებ სათამაშო იარაღი იყო?“

ხო, როგორ არა, შვილისაგან ითხოვა: „შვილო, თამაშს მორჩი, ახლა პატარაზე მამიკო უნდა გაერთოს.“ — ასე არა?!

ისე კი დავეთანხმე.

„— შეიძლება სათამაშოც იყო, არ უსვრიათ და დარწმუნებით ვერ გიპასუხებთ“.

„— რამე ხომ არ უთქვამთ?“ — სამართალდამცავები არ ჩერდებოდნენ.

„— იატაკზე“-ო ჯერ... და მერე ჩემმა “ერექტიკუსმა“ მზიასას გადასძახა: — “გოგი ჩქარა, გოგი ჩქარა“-ო.

„— ჰაა, ვინო?“

ანთროპოლოგიაში ჩაღრმავება არ მსურდა, სწრაფად მოვუთარგმნე:

„— ჩემმა ნიღბიანმა მეორეს გადასძახა:“ — გოგიო“.

„— ესე იგი, გოგიო, ხომ, ნამდვილად გოგიო?“

„— ნამდვილად!“

„— ერთხელ?“

„— კი, ერთხელ გადასძახა, მაგრამ “გოგიო“ ორჯერ თქვა. “

“—ესე იგი, გოგიო?“

„— კი, გოგიო!“

ფორმიანები ჩაფიქრდნენ.

„— პადსტავნოი სახელია“. — ბოლოს ერთხმად დაასკვნეს.

სამართალდამცავთა მიხვედრილობამ გამაოგნა.

ფორმიანთა ნაკადი არ წყდებოდა. ფორმიანთა ნაკადს გამოძახებიდან დაბრუნებული ბრიგადები და ჩვენი აურაცხელი გენერალური დირექციაც შემოჰყვა. ადამიანთა ამ აბობოქრებულმა ტალღამ შაქრო-ზაქროც კი შემორიყა. იდგნენ შეშინებულნი და თვალებს აცეცებდნენ.

ის იყო, ფორმიანები ახალ შეტევაზე უნდა გადმოსულიყვნენ, ჩემს წინ მდგარი სამართალდამცავი, რაც შეიძლება ფრთხილად, განზე გავწიე, ცოცხალი კედელი გავაპე და შაქრო-ზაქროს მოსაკლავად გავენთე.

„— როგორა ხარ, გენაცვალე, ძალიან ხომ არ შეშინდი“-ო. — ისეთი “მდგომარეობაში შესული“ კილოთი მკითხა, აუგის სათქმელად ენა ვერ მოვატრიალე. “ჯანდაბას თქვენი თავი, იცოცხლეთ“. — გავიფიქრე.

ისე, ეს საგიჟეთი რომ მიწყნარდება (თუ ვეღირსე!) უფროსობას.პოლიციელის ვაკანტური ადგილი უნდა გამოვტყუო — შაქრო-ზაქროს სამწყემსად.

„— ამათ ყველაფერი რა უდროო დროს აუტყდებათ-ხოლმე, არშიყობა არ მომინდომეს ამ გაგანია მოწმეებით გარემოცულს?“ — ვიფიქრე და...

„— რა ხდება? გამაგებინეთ, თქვენს ნიშნებს ვერ ვიგებ!“ — შევუტიე.

შაქრო-ზაქრო არ ჩერდებიან. თვალის პაჭუნს კისრის უცნაური მოძრაობა დაურთეს — ინდაურებმა რომ იციან გაფხორვის წინ. მაინც ვერაფერს მივხვდი.

კისრების მოძრაობის მიმართულებას გავყევი, რამაც 180°-ით შემატრიალა და პირდაპირ ფორმიანის ცხვირს შამაჯახა.

ვხედავ, ჩემი ფორმიანები, მწკრივში ორ-ორად ჩალაგებულან, კისრები დაუგრძელებიათ, ყურები გაზრდიათ და ჩვენი საუბრიდან სიტყვას არ ტოვებენ. უკანა რიგებში ჭოგრიტიც დავლანდე.

ლიდერმა (პირველი იდგა და ამიტომ ლიდერობა მივაწერე), თითი შაქრო-ზაქროსკენ გაიშვირა და მკაცრად იკითხა:

„— ეს მოქალაქეები ვინ არიან? ჩვენ რომ მოვედით აქ არ იყვნენ.“

„ ეჰ, ვიფიქრე, „აქ არ ყოფნა“ ამათი პერმანენტული მდგომარეობაა“, ხმამაღლა კი ვუპასუხე:

„— ესენი მოქალაქეები არ არიან, ესენი ჩვენი შაქრო-ზაქროა.“

„— ვიინ?“

„— ჩვენი ტექნიკოსები.“

მაგალითისთვის ხელი ჩემი “კაბინეტის“ კედლისკენ მივმართე.

რენტგენოლოგიური საოცრება გამქრალიყო. არ ვიცი, ვინმე კანონდამცველთა მხედვალობას გაუფრთხილდა და გადამალა, თუ ნიღბიანებმა ხელს გააყოლეს, „რა იცი რაში გამოგვადგებას“ მოტივით.

ან იქნებ, ჩვენმა მანიაკმა ამ არეულ-დარეულობით ისარგებლა და “უკანალი“ გაიტაცა. ახლა კი, ალბათ, თვალსაჩინო მასალის დახმარებით თავისუფალ დროს აზრს ანიჭებს.

„— შაქრო-ზაქროს შეეშვით. — ლიდერს მივმართე. — მთელი დღეები ისე აქვთ გადატვირთული, მაიმუნობისთვის დრო არ რჩებათ. თანაც, ხომ ხედავთ, რამხელები მოესწრნენ დედებს, ნიღბიანები კი, ხომ გითხარით, გადაჭრილი მორგვები იყვნენ. ამათ თავი დაანებეთ, გამოძიებას მცდარ გზაზე ნუ დააყენებთ.“

ნატაშას მოვკვარი თვალი. ჩემი არ იყოს, შექმნილი სიტუაციით აღფრთოვანებული, არც ნატაშა უნდა ყოფილიყო. სიფათზე გვარიანად ამჟავებული სოუსის იერი გადაჰკროდა. იდგა ამხელა ხალხში და უსინდისოდ ტანს იფხანდა. ღირსია! რას რეცხავდა იატაკს? ვინ თხოვდა?! ვინ ეხვეწებოდა?! იატაკი ისევ შავია, თვითონ კი გვარიანად გატურტლიანდა. რა გარეცხავს ახლა?!

ნატაშასკენ გავემართე. ჩამწკრივებულ ფორმიანთა ნაბიჯების ხმა უკან მომყვა. გავჩერდი, ნაბიჯებიც გაჩერდნენ. მივიხედე, სამართალდამცავები არ იმჩნევენ — ვითომ სხვა საქმით ერთობან — ზოგი მარცხნივ იყურება, ზოგი — მარჯვნივ, ზოგი უბის წიგნაკში რაღაცას ეძებს, ზოგიც ამთქნარებს.

ნატაშასთან მივედი, ვებუნები, — ხმამაღლა და დამარცვლით:

„ — ნატაშ, მაპატიე, დღეს დაბანას ვერ მოახერხებ, ხომ ხედავ ამ ხალხში განმარტოებას ვერ ეღირსები. რომ ეცადო, უკან გამოგყვებიან და გითვალთვალებენ. არ მგონია, ეგსჰიბიონიზმით იყო დაკავებული. “

„— Карги ра, как ты?“

ხელი ჩავიქნიე.

ამ დროს ერთ-ერთმა ფორმიანმა — მეცხრამეტე საუკუნის ტელეფონის ზომის რაციისათვის ყური რომ მიედო და მთელი ამ ხნის განმავლობაში წკრუნიც რომ არ დაუძრავს — ორ-ორად ჩამწკრივებული რიგი დაარღვია და ამეყუდა:

„— ვიღაცები აუყვანიათ, ამოსაცნობად უნდა წამოხვიდე“-ო.

მე კიდევ ერთი საქმე მქონდა მოსაგვარებელი, ფორმიანებს გავუსხლტი და შექუჩულ გენერალურ დირექციას დავუჩოქე:

„— ოპერატორის პატიოსანი სიტყვას გაძლევთ, მე ვიყო ასეთი და ისეთი, თუკი „ცრუ“ მისამართზე ბრიგადა კვლავ გავუშვა. თუ რამ ადამიანური გრძნობა შემომრჩა, ვფიცავ, შემდეგი მორიგეობისათვის სრულად განვიწმინდო.“

„— რა ცრუ მისამართი? რის ცრუ გამოძახება?“ — მშვიდობის დამცველებს ახალი საქმე გავუჩინე.

ახლა ამ ეპიზოდის მოყოლა მომთხოვეს. პირი ავიქაფე. არც ის გამოვტოვე: ქალმა სამჯერ დარეკა-თქო, ტიროდა-თქო, ქმარი უკვდებოდა, მიშველეთო, თქვენი სასწრაფოს იმედზეღა ვარო, ტელეფონი არ ჰქონდა, ქუჩიდან რეკავდა-თქო, ბრძანებას არ დავემორჩლე და გადაუმოწმებელ მისამართზე ბრიგადა გავუშვი-თქო.

„— მერე“-ო? — სამართალდამცავებმა.

„— მერე და ასეთი მისამართი არ არსებობს“-თქო. — დავაბოლოვე.

შემდეგ, მე და მზიას ჩაგვავლეს და ბოროტმოქმედთა ამოსაცნობად გაგვიტაცეს.

ჩემი აღსარებით გულაჩუყებული ერთ-ერთი გენერალური დირექტორიც წამოგვყვა: „ემანდ გოგოები არავინ დამიჩაგროსო“-ო. შეეშინდა, ალბათ.

თავდაპირველად თვალწინ ნიღბები გვიფრიალეს.

„— ნიღბებს თუ ცნობთო?“

კარგი ნამუშევარი იყო. პროფესიონალის ხელი ემჩნეოდა — ყველა თვალი ერთი ზომის მკაცრი მწყობრში ჩამჯდარი. მე ასე ოსტატურად არასდროს გამომდის. ჩემთან ზოგი თვალი დიდია, ზოგიც პატარა. ზოგი ამობურცული, ზოგიც შებურცული.

„— ვწუხვარ, ვერაფრით დაგეხმარებით“. — მივუგეთ.

შემდეგ რაღაც უზარმაზარი შენობის უზარმაზარ ფოიეში შეგვასხეს და "მოემზადეთო" — გაგვაფრთხილეს.

ვდგავართ, ვემზადებით.

მე ჩემს შეფს მუშტრის თვალით ვუყურებ: „რაღა ეს მოწკიპული გამოგვყვა-მეთქი. — ვდარდობ — სროლა რომ ატეხონ ამოსაფარებლადაც ვერ გამოვიყენებ — ცარიელი ძვალი და ტყავია. ჯობდა მეორე, უფრო დიდრონი წამოსულიყო, ფარად ის უფრო ივარგებდა“.

თქმით კი, არაფერს ვამბობ, თორემ მომიტრიალდება და "ვირო მადლიო" მომახლის. ყოველი შემთხვევისთვის ახლოს მივუჩოჩდი. იქნებ, ძირითადი სასიცოცხლო ორგანოები მაინც გადავირჩინო.

ბოლოს გამოიყვანეს ორნი, დააყენეს.

გვიყურებენ, ვუყურებთ.

„— რას გვეტყვით“-ო? — ფორმიანები მოგვიტრიალდნენ.

„— ვერაფერ გასახარს, ისინი ნიღბით იყვნენ, ესენი — არა. ცოდვას ხომ არ დავიდებთ?“

შეგვეშვნენ ბოლოს, გვარიანად ნირწამხდარნი. გამოგვისტუმრეს.

ოფისში დაბრუნებულებს გაშლილი პურმარილი დაგხვდა. ვიღაც დალოცვილს ხაჭაპურები, ნამცხვრები, ტორტები და სხვა სასუსნავები დაეხვავებინა — დღის მშვიდობიანად დასრულებას (თუ ღამის?!) ილოცებოდნენ.

ხაჭაპურის გვარიანად მოზრდილი სამი ნაჭერი კარგა ხანია ჩემს ორგანიზმში ზეიმობდა, როცა ტორტს მივუცუცქდი, პირველივე ლუკმა ყელში გამეჩხირა.

ჩემი დიეტა! ორი კვირის ტანჯვა წყალში მეყრებოდა.

მომდევნო ათი წუთი სინდისთან მოლაპარაკებას ვაწარმოებდი, ის იქით იქაჩებოდა — „არ გრცხვენია“-თი, მე აქეთ — „განსაკუთრებული შემთხვევები“-თ.

ჩემი გავიტანე და სინდისი დავიზავე. შეიარაღებული თავდასხმა "განსაკუთრებულ შემთხვევად" ჩავათვლევინე.

სინდისმა ბოლოს: „რაც გინდა ის გიქნია, ხეთქე რამდენიც გინდა, ოღონდ მერე — გამაფრთხილა, — შედეგებზე პასუხს არ ვაგებო, თვალცრემლიანი მე არ მომადგეო“. ხმა გაკმინდა და ზურგი მომაქცია.

ჩემიანები, ჩემი მადით გაოცებულ სტუმრებს უხსნიდნენ: „ორი კვირის მშიერია, აცადე, გაიხაროსო“. მერე კი ლუკმას პირიდან მგლეჯდნენ, — „ამ ნაშიმშილარზე ნაწლავები არ გადაგეხლართოსო“.

ვიღაცამ გამოძიების სამუშაო ვერსია მოგვაწოდა:

„— ეს ყველაფერი დედამისის მოწყობილია (ჩემი) — დიეტობანა რომ დაესრულებინა შესაშინებლად ყაჩაღები მოისყიდა, აბა სხვა ხერხებმა არ გაჭრესო. ნატაშაც საქმის კურსში იყო — იატაკი ამიტომ მოხეა — ეს (მე) რომ სუფთად დაწოლილიყო.“

კი, სუფთად! ამათ იმ "სუფთა" იატაკისთვის არ უყნოსავთ.

მოკლედ, ვსხედვართ, მივირთმევთ, ვხორხოცობთ და ვინ მოთვლის მერამდენედ მომხდარის ინსცენირებას ვაწყობთ.

არ ვიცი, ტელეფონები ვიღაცამ გამორთო თუ რა, მაგრამ ერთი ხმა არ ამოუღიათ, თითქოს მთელი ქალაქი უცბად გამოჯანმრთელებულიყო.

ამასობაში ტორტს მუსრი გავავლე და იერიში ეკლერზე მივიტანე.

„— ისე, ნადავლის განაწილებისას მაგრად იხალისებდნენ. — "ერექტიკუსებს" ვაშაყირებ. — ძალიან მაინტერესებს ჭუჭყიანი ხალათი რომელმა დაითრია?!“

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, არა თუ ყბების ქნევა, სუნთქვაც კი შეწყდა, სხედან, მიყურებენ.

„— რა ხდება?"-მეთქი, და ეკლერს კბილები დავუმიზნე.

„ — Она еще не знает!" —თქვა ნატაშამ ბოლოს.

„— рa не знает? " — ეკლერს შევეშვი, პასუხს ვუცდი, ტანი მიგრძნობს — არაფერს სასიკეთოს.

ვილაცამ ამოილუღლუღა:

„— სეიფში ჩვენი ხელფასები იდო. ხვალ უნდა დაერიგებინათ."

ეკლერი თეფშზე ცივად დავდე, უფროსობას რისხვით გადავხედე, თავები ჩაქინდრეს, თვალს მარიდებენ.

ლაპარაკის უნარი დავკარგე, ანდა რა უნდა მეთქვა?! კუთხეში ხომ არ დავაყენებდი და ყურებს ხომ არ ავუწევდი?!

მე კრეტინი! "ერექტიკუსებზე" ვლადაობდი, იმათ კი ჩვენი ხელფასები გაუტანიათ. ვინ არის საშაყირო?!

ამასობაში სამი მშვიდობის მაძიებელი მოგვევლინა.

„— ჩვენების მისაცემად განყოფილებაში უნდა წამოხვიდეთო". ჩემსკენ, მზიასა და ახლა უკვე ქეთისკენ (ჩვენი მენეჯერი, გენერალური არა, ისე ჩვეულებრივი, მოკვდავი) თითებს იშვერენ.

უფროსობაზეგანრისხებულსკომპანიისგამოცვლის შანსი გამეხარდა. „ამათ სიფათებს ცოტა ხანს მაინც არ შევხედავ"-მეთქი.

თეფშიდან ეკლერი ნაღვლიანად მიმზერდა. ხელი დავტაცე, ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ კიდევ ორი მივაყოლე — ბოლო-ბოლო სამნი ვართ! სამივე ერთად ხელსაწმენდში, გაზეთში და ბოლოს პარკში შევფუთე, ჩანთაში სათუთად მოვათავსე და "წავედით", მშვიდობის მაძიებლებს გავძახე.

ჩაგვსხეს მანქანაში და განყოფილებაში გვიკრეს თავი.

ადგილზე მისულნი "მშვიდობის მაძიებლობას" შეეშვნენ, ახალი როლები სახელდახელოდ გადაინაწილეს და "კარგი პოლიციელი, ცუდი პოლიციელი"-ს თამაში დაიწყეს. უფრო კონკრეტულად კი — "კარგი პოლიციელი, ცუდი პოლიციელი და იმაზე უარესი პოლიციელის".

„— გოგონებო, როგორ ხართ? როგორ უძლებთ ასეთ ღამეს? ძალიან ხომ არ დაიღალეთ? ყავა ხომ არ გესიამოვნებათ?" — "კარგმა" ერთბაშად მოგვაყარა და გაგვიღიმა.

"ცუდი" და "იმაზე უარესი" კი დგანან და გვიბღვერენ.

„კარგს" მარჯვნივ ავეტუზე, ქეთი — მარცხნივ, მზია კი ზურგს ამოეფარა და იმ ორს, საპასუხო ბღვერას ვუგზავნით.

მეტი დამაჯერებლობისთვის „კარგს" ხელკავიც გამოვდე, თვალებში ჩავხედე, საპასუხო ღიმილი ვტყორცნე და "დიახაც, ძალიან გვესიამოვნება." — მივუგე.

ოთხკაციანი ჯგუფი ყავის მოსადულებლად გავეშურეთ. ვხედავ, ქეთისაც "კარგისთვის" ხელკავი გაუკეთებია, მზიამ კი შარვლის საქამრეს მოკაკული თითი გამოსდო და ცოცხალი თავით არ უშვებს.

ყავის დალევა არ გვაღირსეს. მეორე ოთახში სულ კინწისკვრით შეგვყარეს. — თითის ანაბეჭდები აგვიღეს და შემდეგ მესამე ოთახში გაგვამსევეს.

დავსხედით — ჩვენი ოთხეული ერთ მხარეს, იმათი ორეული — მოპირდაპირეს.

„ — აბა გოგოებო, გულში რაც რამ გაქვთ დაგროვილი და გაწუხებთ, ყველაფერი თქვით, თქვენც მოგეშვებათ და ჩვენც მუშაობას შეგვიმსუბუქებთ." — პირდაპირ საქმეზე გადავიდნენ.

„არ მგონია, ესენი ჩემს ჩამონგრეულ ჭერზე მეკითხებოდნენ." — ვფიქრობ.

„— თუ შეიძლება, კითხვა დაგვიკონკრეტეთ." — ვთხოვ და "კარგს"ვეხუტები — ხელკავი აღარ მყოფნის.

"კარგი" თვალს მიკრავს, „თქვენს მხარეს ვარ გოგოებო, არ შეშინდეთო!" — მზერით მეუბნება.

"იმაზე უარესი" კითხვას მიკონკრეტებს:

„ — როგორ ახსნი, შენს მორიგეობებზე რომ სულ რაღაც-რაღაცები იკარგება?"

„— მაგალითად, რა და როდის?"

„— მაგალითად, რა და, თებერვალში კარდიოგრაფი დაკარგულა. ერთი თვით ადრე კი საბურავები გამქრალა. სულ შენი მორიგეობის დღეებს ემთხვევა."

(მოქმედება ივნისის შუა რიცხვებში იშლება).

„— ვერაფრთი ავხსნი, მორიგეობები აპრილიდან დავიწყე, ამიტომ ახსნა გამიჭირდება."

დადუმდნენ, დაღონდნენ.

ცოტა ხანში "ცუდი" გამოცოცხლდა:

„ — ძმები თუ გყავს?" — ეშმაკურად მეკითხება.

„— დიახ, ორი ძმა მყავს, მამაჩემის მხრიდან. ისე დედისერთა ვარ — არც ძმა მყავს, არც და, მამრობითი სქესის მარტო კატა მყავს — კაკო." — ვცდილობ ამომწუარავი პასუხები გავცე სამართალდამცავებს.

დედა, გაიხარეს, მაგრამ რა გაიხარეს! სულ ნათება დაიწყეს. "კარგსაც" კი მკერდის კუნთები დაეჭიმა, ვიგრძენი.

„— რამხელები არიან? რას საქმიანობენ?"

„— რამხელები არიან, ჩემო ბატონო და ერთი რვა წლის გახლავთ, მეორე თერთმეტის, რას საქმიანობენ და, სკოლაში დადიან."

გაბრაზდნენ, მაგრამ რას გაბრაზდნენ. სულ გველეშაპის ცეცხლს აფრქვევენ!

"იმაზე უარესი" კარგა ხანს მაკვირდებოდა, თვალებმოწკურული მეკითხება ბოლოს:

„— ასეთ კარგ გოგონას, როგორ დავიჯერო, მეგობარი ბიჭი არ გყავსო?"

„— მეც ამას არ ვჩივი-მეთქი, დილაობით სარკეში საკუთარ თავს ვეკითხები — ასეთ კარგ გოგოს ერთი მეგობარი ბიჭი როგორ არ უნდა გვყავდეს?" — ჩემი გულისტკივილი გავუზიარე.

ყურები ჩამოყარეს, ატირდნენ ლამის.

ისევ "იმაზე უარესი" მეკითხება:

„— მზია ყაჩაღებს რომ გაეკიდა, შენ რატომ შეეწინააღმდეგე, რატომ დააბრუნე?"

„— მოწმეებს არ ტოვებენ" ფილმი არ გინახია?"-მეთქი.

მერე კი ენას კბილი დავაჭირე. ახლა ამათ ფილმის შინაარსი რომ მომთხოვონ, საიდან მოვუტანო. ფილმის შინაარსი კი არა, რომელი ქვეყნის წარმოებაა ის არ მახსოვს. ისე, მგონი, ფრანგულია, მგონი, ალენ დელონი თამაშობს.

ფილმის შინაარსი არ მოუთხოვიათ, ჩემს მიმართ ინტერესი სულ დაკარგეს, ქეთის მიუტრიალდნენ:

„— ბიჭები დილაობით სეიფზე რომ გსვამენ, ამ საკითხთან დაკავშირებით რას იტყვიო?"

(ეს სადღა გამოჩხრიკეს, საკვირველია!)

ქეთის მოულოდნელობისაგან ენა ჩაუვარდა, თვალები ცრემლით აევსო, ქვედა ყბა აუკანკალდა.

სასწრაფოდ შველა სჭირდებოდა.

„— ჩვენი ორგანიზაციის ტრადიციაა. ბიჭებს კარგად აქვთ დაცდილი — ქეთის სეიფზე რომ შემოსვავენ, იმ დღეს არავინ უკვდებათ. აი მე მაგალითად"...

წინადადება არ დამასრულებინეს. სულ არ აინტერესებდათ „აი მაგალითად რა"...

„— კარგი, კარგი, გენაცვალე, გასაგებია"-ო და შემდეგ ერთხმად დაიღრიალეს:

„— სეიფში ხელფასები რომ ინახებოდა თუ იცოდით"-ო?

„— აჰ, შენი ჭირიმე, მაგ თემაზე ნუ მელაპარაკებით. — ხელები ავასავსავე. — ისედაც ამიქოთქოთდა ხასიათი და თქვენ უარესად არ ამიქოთოთ" . — ვთხოვე.

არა, ესენი გამაგიჟებენ, კიდევ მეკითხებიან "რატომაო?"

„— იმიტომ რომ, ერთი გამაგებინეთ, რომელი გენიოსის იდეა იყო იმ რკინის კასრში ხელფასების გადამალვა?! მერე კი გენერალურ დირექტორობას იბრალებენ."

პასუხი ვერავინ გამცა.

შესაშინებელი მეთოდებით ვერაფერს რომ გახდნენ, ზუზუნი დაიწყეს, თავებს გვაცოდებენ:

— გოგოებო, ჩვენ მდგომარეობაშიც შედით — სამსახურში ვათენებთ და ვაღამებთ, ხშირად მშიერ-მწყურვალები ვართ, პირში ლუკმის ჩადების დრო არ გვაქვს. ცოლ-შვილს კვირაობითაც ვერ ვხედავთ. გამოტყდით რომლის ჩადენილია და საქმე გავათაოთ."

პირში ლუკმის ჩადებაზე ეკლერები გამახსენდა, კრინტი არ დამიძრავს, ყავა რომ არ გვაღირსეს?!

„— ძალიანაც შევდივართ თქვენს მდგომარეობაში, მაგრამ სხვისი მაიმუნობის საკუთარ თავზე აღებას და ციხეში ჩაჯდომას არ ვაპირებთ"-თქო.

საუბარი ნელ-ნელა მიწყნარდა. სამივემ — "კარგმა", "ცუდმა" და "იმაზე უარესმა" ხმას დაუწია, შემდეგ აჩურჩულდნენ, ბოლოს დადუმდნენ.

სულ მალე სიჩუმეს სამი მამაკაცის ხვრინვაღა არღვევდა.

"კარგი" ჩემი მარწუხებიდან გავათავისუფლე. "კიდურები გაშალოს-მეთქი", შევიცოდე.

ერთობ ძვირფას სანახაობას წარმოვადგენდით — მძინარე პოლიციელებით გარშემორტყმული ეჭვმიტანილი ფხიზელი ქალები.

გამეღიმა, მერე უფრო ფართოდ გამეღიმა, მერე გამეცინა, ბოლოს ავხარხარდი და სკამიდან გადმოვვარდი.

ორიოდე წუთში სამივე ეჭვმიტანილი იატაკზე დავფოფხავდით, ვხარხარებდით და პირველ შემხვედრ საგნებს თავს ვურტყამდით.

შუა ხარხარში აზრი დამებადა — ამათ ჩვენი ისტერია გამარჯვებულთა ყიჟინად არ ჩათვალონ, თითქოს საქმე გავჩარხეთ და ახლა ვხარობთ. ამ აზრმა კიდევ უფრო გამამხიარულა.

თავს ახლა "ამაზე უარესის" სავარძელს ვუბრაგუნებ და ვკივი.

"ამაზე უარესს" გაეღძა, ხელი იარაღზე შეივლო.

„— ნუ გეშინია, ჩვენა ვართ." — კივილის შეტევებს შორის მოვახერხე და სიტყვა ჩავაკვეხე. მეტი დამაჯერებლობისათვის მხარზე ხელი მოვუთათუნე.

ამასობაში "კარგსაც" და "ცუდსაც" გაეღვიძათ. იმათაც ხელი იარაღზე შეივლეს, მერე გონს მოეგნენ.

სამივემ, ერთხანს, გაოგნებულებმა გვიყურეს, შემდეგ მხრები აიჩეჩეს და მარტო დაგვტოვეს.

დაწყნარება რომ დავიწყეთ, მზე გვარიანად ამოწვერილიყო. დავწყნარდით ბოლოს, დავდუმდით, დავსერიოზულდით კიდეც.

ორგანიზმმა ტეხვა დამიწყო, — პირველი ჭიქა ყავისა და ორი ღერი სიგარეტის დრო იყო. შხაპიც არ მაწყენდა.

ქეთი და მზიაც უკეთეს დღეში არ უნდა ყოფილიყვნენ.

"ცუდმა" შემოიხედა.

„— გოგოებო, თავისუფლები ხართ." — გვითხრა და ჩანთები გამოგვინოდა.

„— ესე იგი, წასვლა შეიძლება?" — ყურებს არ დავუჯერე.

„— რა თქმა უნდა".

„— არ გვაპატიმრებთ?"

„— საიდან მოიტანეთ?"

აღარ ავუხსენი "საიდან მოვიტანეთ."

შენობიდან გამოგვაცილა. სიგარეტს მოუკიდა.

„ცუდს" დღის სინათლეზე ადამიანური იერი მიეღო. უძინარი და მშიერი ადამიანის "ადამიანური" იერი.

არც "კარგი" და „არც უარესი" გამოსამშვიდობებლად არ გამოსულან. "კარგისგან" მეწყინა. ბოლო-ბოლო ნახევარი ღამე ვეხვეოდი და ერთი საცოდავი "ნახვამდის" როგორ დაინანა?!

წამოვედით.

შუადღემართზე რაღაც გამახსენდა, გამოვტრიალდი.

"ცუდი" კვლავ შესასვლელთან იდგა და ეწეოდა.

მივუახლოვდი, ჩანთიდან შეკვრა ამოვიღე, ვაწვდი.

„— ეს რა არის?" — ეჭვით იკითხა, მაგრამ გამომართვა.

„ — ეკლერებია". — მივახალე და უკანმოუხედავად გამოვიქეცი.

დღეს დილით მაინც არ იზუზუნებენ "მშივრები ვართ"-ო.

კარგა დიდრონი ეკლერები იყო.

•

სახლში მისულს არც ყავა დამილევია, არც შხაპი მიმიღია. ასე ტურტლიან-ჭუჭყიანი, იატაკზე ნახოხი და სხვადასხვა ინსტანციაგამოვლილი, ლოგინში ჩავეგდე. კაკოც მომიწვა და ორივე გავითიშეთ.

•

ტელეფონს „სასწრაფო გისმენთ!" — მძინარემ ვუპასუხე.

„ — მოგიკვდა დედა". — დედაჩემის ხმამ ყურმილში ღრმად ამოიოხრა.

„ — გამაგებინე, სად ვარ, რას ვაკეთებ და რა ხდება? — ჯერ კიდევ გონზე მოსული არ ვიყავი. — უნდა ავდგე თუ არ უნდა ავდგე?"

„ — სახლში ხარ, გძინავს და არ უნდა ადგე, საღამოს თერთმეტის ნახევარია." — დედაჩემის სიტყვები ჩემს გულს მალამოსავით მოედო.

თავს ისე ვგრძნობდი, რომ ეთქვა "სამსახურის დროა"-ო, იქვე ფანჯრიდან გადავხტებოდი.

„— შენ სად ხარ და როდის მოხვალ?"

„— გულიკოსთან, უკვე გამოვდივარ. შენ როგორ იმორიგევე? ძალიან დაღლილი ხმა გაქვს."

„ — ჩვეულებრივად, როგორც ყოველთვის, არაფერი განსაკუთრებული."

სიმართლე რომ მეთქვა "ცუდსა" და "იმაზე უარესს" მიუვარდებოდა და სულ თმებით ითრევდა, "კარგსაც" ზედ მიაყოლებდა. მერე "გენერალურ დირექციასაც" დაერეოდა — „ეს რა გაბედეთ, ბავშვი როგორ დამიჩაგრეთო", — კუდით ქვას ასროლინებდა — ერთი სიტყვით, თავს მომჭრიდა.

ყურმილი დადებული არ მქონდა, სასწორზე ვიდექი — გუშინ ჩადენილი ცოდვა რა ფასად დამიჯდა — მაინტერესებდა.

თვალებს არ დავუჯერე — ორი კილო გამქრალიყო.

„— ეჰ ამდენი ტორტი არ მეჭამა, იქნებ, სამიც ყოფილიყო." — ვინანე.

ტორტმა ეკლერები გამახსენა, დარდი შემომაწვა. ეს რა გულუხვობა ამიტყდება- ხოლმე ხანდახან, ერთი ეკლერი მაინც დამეტოვებინა, ვითომ ორი არ ეყოფოდათ?!

ახლა, ჩაისთან ერთად დამხატავდა.

წავედი, დავწექი. მშია, ვკვდები, მაგრამ განძრევის ოფსილა არ მაქვს. დედაჩემი მოვა, რამეს მაჭმევს. კაკო ისევ წევს და გრუხუნებს. გასაოცარია, რამდენ ძილს იტევს ეს არსება!

ვწევარ და ვფიქრობ, რომ არავის, არც ფორმიანს და არც უფორმოს, არც ჩინოსანს და არც უჩინოს, არც ცუდსა და არც კარგს, არც შინაურს და არც გარეულს ყველაზე მთავარი შეკითხვა არ დაუსვამს:

„— რას ფიქრობდი და რას დარდობდი, შე საცოდაო, მიზანში ამოღებული ჭუჭყიან იატაკზე რომ ეგდეო?"

•

ჟანგბადის ნაკლებობას იატაკის აქოთებული სუნიც დაემატა. ტვინმა ჟანგბადის ნაკლებობასა და სიმყარლეს ადექვატურად უპასუხა — ვწევარ და თავში ათასგვარი სისულელე მიტრიალებს:

„— ვაი და, გაისროლა ამ ჩემმა "ერექტიკუსმა", ვაი და, მომხვდა ტყვია. თუ მოვკვდი და მოვკვდი, ხომ კარგი. ერთიც ვნახოთ და არ მოვკვდი, დავიჭერი მხოლოდ."

საოპერაციო მაგიდაზე გაშოტილს ხომ მომეჭრა თავი...

გუშინ სტალონესთან ღლაბუცს, ჩამეყარა ფეხები ცხელ წყალში და გამეკეთებინა ეს უბედური პედიკიური, გამეკეთებინა!



რამაზ ბერძენიშვილი

რწმენა

უწმიდესა და უნეტარესს
ილია II

უფლის ნებით — ებრძოდა რა ბნელი ნათელს,
სულს ჭოჭმანი — უღმერთობა როცა ფლობდა,
ღვთის სახელით და სახსნელად ყველა ქართველს
უწმინდესი მოგვევლინა საუფლოდან.

ნათელს მზერას ვარიდებდით —
ლიბრგადაკრულს,
მზედ დავინთეთ — გავაღმერთეთ ცრუ,
მამონა,
შევატოვეთ ჯვარი ძე ღმერთს, ჩვენთვის
ჯვარცმულს
და სატანას, რომ ეგონა დაგვიმონა, —
ირწმუნეთო! იწამეთო! სცადეთ! შეძლებთ!
გაბრწყინდება იბერია შუქით ნათლით,
მამა ღმერთმა მოგვივლინა შვილებს შემწედ
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

ნუგზარ!

ძმას

გაზაფხულს უკვე სულ სხვა ფასი აქვს, —
ცივი დეკემბრით სხვა თვალით მოსჩანს
დრო უგვანია — ყოფა ფარსია —
— სიკვდილმა ცოტაც ჩამოიჩოჩა.
ლაში მომადო თითქმის ზედ ყურთან
ჩაიქირქილა, თუ ჩამსისინა.
— რა ხელი გაქვსო შენ გაზაფხულთან
რატომ არ გძინავს.
ნუგზარ, ოცნებამ დაიხრჩო თავი,
დრო გაიყინა, აღარ გათენდა,
ეს პაპიროსიც მუდამ მხრჩოლავი
ჩაქრება — მკვდარი ციცინათელა.
აქ რა, ვნებები ისევ თარეშობს,
— ოხერი გული ვერ დავიოკე,
ყოფა მეც მალე დამამთავრებსო
მოვხავი დამწყდარ ყელის იოგებს.
ზამთარი ერთი პანაშვიდია
— მანდ სიმშვიდეა? რა ამბებია?!
აი თენდება, თითქმის შვიდია,
ნუთუ ეს ყოფა დამსიზმრებია.
დრო აღარ იცვლის ადგილსამყოფელს,
მგონი გაუტკბა ძილი უხიაგს,
აღარ მოვითხოვ — ცოტაც მამყოფე,
აქ ყველაფერი ისე რუხია.
მანდ, ზევით მეტი სიმშვიდე მოსჩანს,
აქდან, თორემ ისე რა ვიცი,
ცოტაც გავუძლო, ცოტაც და... მორჩა,
მჯერა სულ ცოტას კიდევ დამიცდი.
მერე კი ერთად ვდიოთ ვარსკვლავებს,
ან, ჯოჯოხეთი მივლეწ-მოვლეწოთ,
მეც ის მაწვალებს, რაც შენ გაწვალებს
გუშინდელი დღეც, დღეის ხვალეცო.
აღარ დაადგა საშველი ღამეს,
არადა, თითქმის შვიდია უკვე,
მშვიდად ვარ, ცოტა კიდევ მაცალე
და მოვიცილებ აქ ყოფნის უღელს.

4.12. 2007ნ.

უშენოდ!

შორს, — სადღაც მილმა, და იქით კიდევ,
სული შეუყვა სიზიფეს აღმართს,
და... დარდის წრეში ჩაწნული კიბე
უფსკრულს უამბობს სევდიან ამბავს.
გადატყდა წამი, შეჩერდა უცებ,
დავრჩი დროიდან ამოვარდნილი.
ფიქრი საფეთქელს ტყვიას შეუშვერს,
ახლა სიკვდილიც არის ადვილი.
დროს სინანული უპირებს დაღლას,
სხივი ჩაუქრა ხეიბარ იმედს,
აღმართზე ფიქრში ჩავყევი დაღმართს,
და სისწრაფეში ვეშვები მძიმედ.
მარტოსულების მშთანთქავს სამყარო,
საშინლად შავი შიმშილის თვალით,

უბედობასთან ვარ წილნაყარი,
მკვდარიც მე ვარ და ჭირისუფალიც.
ბედმა მომტაცა ოცნება ჩვილი,
ამ სიყვარულშიც ვერ გავდგი ფესვი,
არ ვარ ჩვეული ურვას და ჩივილს,
თუმც, უშენობა სამსალად შევსვი,
შორს, სადღაც, მიღმა, და იქით კიდევ
უსულოდ გდია წარსულიც, აწმყოც,
და დარდის წრეში ჩაწნული კიბე
მითრევს! —
ჯანდაბას! —
ჩავყვები! —
მაწყობს!

ჩემს თბილისს

ჩემს შვილიშვილებს

ჩურჩულად მოჰყვა წლებს თბილი სიო
ლამაზ ლეგენდად რომ მოისმინო,
სთქვა მან — აშენდეს აქ თბილისიო
და დაეწია ხოხობს მიმინო.
საუკუნეებს ჟამი ლეწავდა,
ცოდვილთა ზრახვებს დრო მტვერს აყრიდა.
ვერ დაგაჩოქეს, თუმც ბევრს ეწადა,
თუმცა მრავალმა უღვთოდ გაგყიდა.
შენს სიყვარულს რომ ვეღარ მალავდა
ბეჭედიაო ალმასიანი,
აქ იწყებოდა ჩვენი მარაბდა,
ჩვენი დიდგორი და ბასიანი.
დრო აჩლუნგებდა შუბის ბუნიკებს,
შურთ! შურის ციხე გედგა მძლე ფარად,
აქ მზეჭაბუკი მზეს გაურიგეს,
აქ აბო სინდისს გადაეფარა.
არ აწუხებდა მარწუხი დროს სვლის,
ხან იყო დრო ხსნის, ხან არგამოხსნის,
აქ იწყებოდა სამშობლო მგოსნის
შემქმნელი დიდი ვეფხისტყაოსნის.
გფარავს, მეტეხთან დაღვრილი სისხლად
ასიათასი ქართველის სული,
დრომ დაიწონა სულ მისხალ-მისხალ
სიკეთე შენში დაბუდებული.
აქ ვერაგობაც სხვანაირია
მიკვირს სიქველეს როგორ ვუთავსებთ,
აქ — წიწამურთან მოკლეს ილია
ერის ტკივილით და დარდით სავსე.
ავიც და კარგიც ღვთით შეგვისვია —
თასს ქართვლის დედა ხმლით ხომ გვაწვდიდა,
ზეობს სიცოცხლე და თბილისია
წმინდა ბარი და წმინდა მთაწმინდა.
ჩურჩულად მოჰყვა წლებს თბილი სიო
ლამაზ ლეგენდად რომ მოისმინო,
ღმერთმა! — აშენდეს აქ თბილისიო
და, დაეწია ხოხობს მიმინო.

სიყრმის მეგობრებს

როიალის — ფაიფურის თოჯინები,
თეთრი სპილო, — განუყრელი ხორთუმით,
წარსულიდან გვიყურებენ დაჟინებით
უდარდელი სიყმანწვილით მორთულნი.

ბავშვობიდან მოვიყოლეთ მოგონება,
დიდობაში თვით დროსაც რომ იჭერდა,
ბავშვობაში — ბიჭებმა და გოგონებმა,
დიდობაშიც გოგონებმა, ბიჭებმა.

სკოლის მერხი, გაკვეთილი, გამოცდები, —
მხიარული, უზრუნველი ბავშვობა,
ნათლად მოსჩანს, — ასე შორს რომ
გამოსცდები
და რაც ასე უმოწყალოდ დაგვშორდა.

ცხოვრებაა უდიდესი გაკვეთილი,
ვისთვის, — ოდენ ერთიანი შატალო,
ხან სვიანნი, ხანაც სასოწარკვეთილნი —
ჩვენი ჯვარი ჩვენვე უნდა ვატაროთ.

შემდეგ — ძმამ რომ გამოალო ზეცის კარი,
არ ველოდით, შევიგრძენით დავბერდით,
უკან დარჩა სიჭაბუკე სანუკვარი,
სინამდვილეს შევეჩეხეთ ავბედითს.

თუმცა, ისევ ტკბილად ვცხოვრობთ
მოგონებით,
ჩვენი დარდით, იმედებით, იჭვებით,
ბავშვობაში ბიჭები და გოგონები,
დიდობაშიც გოგონები, ბიჭები.

მარადიული წამი

ძლივს მოვათრევ წამიერი სისუსტიდან
სიზიფეს ლოდს, აღმართს აღარ უჩანს ბოლო,
ბელზებელმა ეულ სულში დაიბუდა
რომ, ლოდს თავის მძვინვარება დააწონოს.
ასე მძიმე სიმარტოვე სადა თქმულა
კამკამა ცა უკუნეთში იძირება
ორ „მე-ს“ შორის დღეს მარულა გამართულა,
მითრევს ლეთა, დავინყება მიძინებად,
წამიერი სისუსტიდან — სულ წამია
ყოფა არსი, — მხოლოდ ერთი გაელვება,
იმედია მირაჟია — ცრუ ღამეა
და სიკვდილი დროს დროსაზღვრად გაევლება.
ლოდი აღმართს აათავებს ალბათ მალე,
რა სისწრაფე, ან სინელე, სულ წამია,
ვერ გინამებ ბელზებელო, გამეცალე
ნუ მაწამებ ვერ დამთრგუნავ ადამ იანს,
სამჯერ, ასჯერ, ათასჯერ და კიდევ იქით,
კიდევ იქით, იქით კიდევ, კიდევ! კიდევ!
მსურს, კენჭივით დალეული მძიმე იმ ქვით
უსასრულო სინათლეში ამოვფრინდე.
რაა შიში, შიში რაა, რაა შიში, —
ვინ დაითვლის წამიერი ყოფის ბორცვებს,
შეიცვლება ლოდი, მცირე მარცვლით ქვიშის...
რაც დაიწყო უცილებლად უნდა მორჩეს!

გიორგი შერვაშიძე

ჩემი პირველი უცხო(ვ)ელი

სახალისო მოთხრობა

რა დამავიწყებს იმ დღეს, როდესაც დედამ, პირველად ჩემს ცხოვრებაში, უცხოელი მანახა. თანაც, რაც უნდა გასაოცარი იყოს, ეს უცხოელი, თვით იმ დიდ-უფროსი უცხოელების ნაშიერი, ანუ „ბოვში" იყო, რომლებიც რომ კაპიტალიზმს აშენებდნენ. თითქმის სასწაული ვიხილე, რადგან ის "გადაოკეანელი" მთლად ჩემხელა არ აღმოჩნდა?! მე კი მაშინ, ალბათ, ათის ვიყავი, ხოლო ჩემი ძმა — ხუთის. არ ვიცი, რას შევადარო ის სიხარული, რაც მე იქ, იმ დღეს განვიცადე. გარწმუნებთ, რომ ერთ პირამდე სავსე კოკა-კოლის ბოთლსაც კი მერჩივნა იმ არსების ცქერა. მთლად "იმპორტული" ჟურნალიდან ცოცხლად გადმოსულს ჰგავდა. თავი ულამაზეს სიზმარში მეგონა. რეტი რომ არ დამსხმოდა და არ გამღვიძებოდა, კედელს მივეყუდე. ის კი იდგა ჩემს ნინ, თავის ოკეანეებს იქით წარმოებულ სამოსში გამოწყობილი და გულუბრყვილოდ, ყოველგვარი ამპარტავნობის გარეშე მიღიმოდა. ასე ხალისიანად და ლაღად ღიმილი ჭეშმარიტად მხოლოდ იმ თბილ ქვეყნებში მცხოვრებთ შეეძლოთ, სადაც ჩემი სადარბაზოს მერცხლები მიფრინავდნენ ზამთარში. მერცხლები, რომლებიც მოფრინდებოდნენ თუ არა გაზაფხულზე, იწყებდნენ მანჭვა-გრეხვას, აქაოდა ჩვენ საზღვრებს გარედან მოვედითო; კვირის თავზე კი ნირწამხდრები ყველაფერს განურჩევლად ასკინტლებდნენ, ვითომცდა ესეც თქვენს სამშობლოსო. მაგრამ ამ არსების ღიმილი კიდევ უფრო სხვა იყო, უფრო ნაღდური, ვიდრე იმ მათხოვარი მერცხლებისა, რომლებიც ერთ კვირაში ბოროტდებოდნენ. მე კი, მეტის სიხარულით დაბნეულმა, აღარ ვიცოდი, რა მექნა და ისე ავიჭერი, რომ საკუთარ სახლში სტუმრად ვიქეცი. ჰო, მართლა, ეს ყველაფერი ჩემს ქართულ-მობეზრებულ და სულაც ვერუცხოურ სახლში ხდებოდა. ვიდექი ასე პირდაბჩენილი და მის განკარგულებას, დაბრძანდითო, ველოდი. ის კი, რატომღაც, დუმდა. არადა, მისი თუნდაც ერთი სიტყვა ჩემთვის უდიდესი პატივი იქნებოდა, ხოლო სტუმრისთვის — აბორიგენებისადმი გამოჩენილი გულუხვი მოწყალება. მერე, როგორც იქნა, თავი დამიკრა და მეც უმალ სავარძელზე მივესვენე. ბოლომდე არ მჯეროდა, რომ ჩემს "ზალაში" ნამდვილი უცხოელი "ბაღანე" იდგა. თუმცა კი მალევე ვირწმუნე, რადგან პატარა ხანს ჩუმად ყოფნის შემდეგ რომ მოაღო პირი და დაიწყო ინგლისურად ლაპარაკი, ყბა მუხლებზე ჩამომივარდა და საბოლოოდ ვირწმუნე, არ მესიზმრებოდა. აბა, ვინ ოხერი დაიწყებდა ჩემს გლახაკ ზმანებებში ასეთი გამართული ინგლისურით საუბარს? არ ძალმიძს იმის სიტყვით გადმოცემა, თუ რა სიამოვნების მომგვრელი იყო მისი წარმოთქმული ხმოვნებისა და თანხმოვნების მოსმენა. ასე გახევებული ვიჯექი მცირე ხანს, სანამ დედამ არ შემიძახა, მიდი და ელაპარაკეო. სად მქონდა ახლა მე მაგისი თავი, მეტის მღელვარებისგან, ისიც კი ვერ შევამჩნიე, რომ ჩემი ძმა ჩემზე ახლოს იჯდა მასთან (ეს არის უპატიებელი შეცდომა, რომელიც უფროსმა ძმამ შეიძლება უმცროსის მიმართ დაუშვას, ანუ თავისზე წინ რამე "აქნევინოს"). მერე, როგორც იქნა, თითქოს ზრდილობამ და სტუმართმოყვერეობამ მძლია, მეც ისე გავკადნიერდი, რომ ერთი-ორი წვალებით ნასწავლი "მისენოვანი" სიტყვაც კი შევკადრე: "ჰელოუ, აი ემ ე თეიბალ"-მეთქი. ესეც ისევ სამშობლოს ხათრით წამომცდა, თორემ "ჩემიზა" სირცხვილით დავიწვებოდი და კრინტს არ დავძრავდი, რადგან ჰოი, რამდენად შორ-

სმდგომი იყო ჩემი პრონონსი მისი ნარნარი სიტყვათწყობისგან (ის კი აღარ გამხსენებია, რომ ის მშობლიურ ენაზე საუბრობდა, თორემ აგრერიგად ნამდვილად აღარ შევიცხადებდი). ჩემს მიერ ნათქვამ სიტყვათა შინაარსით კი შემდეგი გავაგებინე: მობრძანდი, ჩემო ბატონო, სუფრასთან, პატარა წავიხემსოთ (ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია) და იმანაც დასტურის ნიშნად კიდევ ერთხელ დამანახა თავისი ბროლივით თეთრი კბილები.

სადილობისას ის მაგიდასთან იჯდა და მადიანად მიირთმევდა ნაირნაირ კერძებს, ხოლო მე, კედელთან ატუზული, მისი ცქერით ვძღებოდი. მართალია, იმან დანა-ჩანგლის ხმარება არ იცოდა და ძირითადად ხელიდაყვით გეახლებოდათ, მაგრამ ესეც სასიამოვნო მოულოდნელობასა და მისი ერის წინწასულობას მივაწერე. უმალ საკუთარ თავს აღვუთქვი, ხვალიდან მეც აუცილებლად ასე შევჭამ-თქო. დიახაც, სწორედაც რომ მისი ქცევა იყო მისაბაძი, რადგან, ის ხომ თავისუფლების დედაბოძი ქვეყნიდან გახლდათ და განა, აბა, იქ უკეთ არ იცოდნენ რა, როგორ და სად? ჩვენებური კერძები კი დიდად მოიწონა ზრდილობიანმა სტუმარმა და ალბათ, მეც ძალიან მესიამოვნებოდა იმათი თქვლეფა, მით უმეტეს, რომ ჩვენსას (იგულისხმება როგორც ქვეყანა, ასევე ოჯახი), მაშინ დიდი გაჭირვების დრო იდგა და ეგეთი სუფრა მთელს ნათესაობას, ბარე, რამდენიმე წელი არ გვენახა. მაგრამ რა დროს ჭამა იყო, როდესაც ნატურში ვუცქერდი საოცნებო კოკა-კოლა-პირთსავსე-ბავშუცხოელს და თანაც ცოცხალს. გარდა მაგისა, მე და ჩემს ძმას რომ იქ ყბა გაგვექნია და სტომაქი ამოგვევსო, სრულიად შესაძლებელია, ის ჩვენი დესერტსტუმარიც შემოგვჭმეოდა. აზრი, გვიჭირდა-თქვა და არ გაგვემტყუნებოდა. უცხოელმა ბავშვმა კი მართალაც მაგრა მოულხინა და ისე გალაღდა, რომ შემწვარ ნიწილს ხაჭაპურსა და ყველას ატანდა. ამისი ახლა საყელოც ჭამსო, თქვა დედამ და ლორი შესთავაზა. არადა, მაგ დროს მე და ჩემი ძმის მკლავებიც კი ჭამდა და მაგიტომაც იყო, რომ მკლავებაკაპიწებული დავდიოდით, თუმცა ჩვენთვის იქ სუფრასთან მისვლა და ჭამა არავის დაუძალებია. როგორც მერე გაირკვა, მისი მშობელი დედ-მამა ვეგეტარიანელები, თუ რაღაც მაგდაგვარი სექტა-მოძრაობის წარმომადგენლები ყოფილან და ქათმის ხორცსაც კი არ აჭმევდნენ ბავშვებს. ღმერთმა შეგარგოსო, მოეფერა თავზე გულაჩუყებული ბებიაჩემი და თან დედას გადაულაპარაკა, მე მგონი, ეყოფა ამ უპატრონოს, თორემ სადაცაა გასკდება და ახლა ცოტა ჩვენი ნადირებიც (მე და ჩემი ძმა) მიუშვი სუფრასთანო. იმან კი, უცხოელ-ბავშვმა, ბებოს კბილებით სავსე პირი დაანახვა და ერთიც გემრიელად დააბოყინა. უი, დედაო, შეიცხადა ბებიაჩემმა და რა ვიცოდით მაშინ, რომ ზოგიერთ მუსლიმანურ ქვეყანაში, ეს თითქოსდა უმსგავსო საქციელი, მადლობის აღმნიშვნელი იყო. ისე, ნამეტანი თავისუფალ ადამიანად მეც კი მომეჩვენა ეს ჩვენი სტუმარი და ერთი პირობა ისიც გავიფიქრე, ნეტავ მაგისი მამაც თუ უთაქუნებს თავში ამგვარი საქცელისთვისთქო. მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ბედნიერებამ ამამჩატა და გონს მოვეგე. ძალიანაც სასიამოვნოდ დააბოყინა და ჩვენც უნებურად გავიცინეთ-თქო.

მერე დედამ სასეირნოდ წაგვიყვანა და მე და ჩემს ძმას კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი გვამცნო. თურმე, გზად, ჩვენი სტუმრის უმცროსი ძმისთვის უნდა გაგვევლო, რომელიც ასევე რომელიღაც ქართულ ოჯახში იყო გათხოვებული სათაყვანებლად. აი, იქ კი ჩემმა ძმამ გაიხარა, მაგრამ რა გაიხარა?! ეს უფროსი, შენტოლა, შენი იყოს და იმ უმცროსით, ჩემტოლათი მე ვითამაშებო. ეს აზრი მეც ძალიან მესიამოვნა, რადგან შემცირებული ნაკლები მეყოლებოდა ჩემს წილ უცხოელში და თანაც სახლში დარიგებული ვყავდი, რაც შეიძლება მეტი ესაუბრე, რათა ინგლისურში ენა გაიტეხოო. ამ სასიხარულო ამბით გულმოცემულს კი, კომპლექსი მომეხსნა თუ რა იყო, ვერ გეტყვით, მაგრამ იმ ჩემს თვინიერ სტუმარს მთელი გზა ყურები გამოვუჭედე ჩემთვის ასე ნაცნობი, ხოლო იმისთვის ვერ გეტყვით, როგორი სიტყვებით: „ვოლ; ფენ; დოგ; რეფრიჯირეიითორ“ და სხვა მრავალი მისთანათი. მართალია, სეირნობისას ამ სიტყვების კონტექსტში მორგება, ნამდვილი განსაცდელი იყო, მაგრამ მე მაინც უბედნიერესი ვიყავი ჩემი მცდელობებით. თუმცა კი ქალაქში სეირნობისას, ყველაზე უფრო დასამახსოვრებელი ქუჩაში შემხვედრი ხალხის გაოგნებული სახეები და ჩემი სიამაყით გაბადრული „როჟა“ იყო. აღფრთოვანებული ხალხი თვალ-ყურს არ უჯერებდა, როდესაც ქუჩაში მოსეირნე უცხოელ ბავშვს ხედავდა. მათ, უბრალოდ, ვერ წარმოედგინათ, რომ უცხოელებს ბავშვებიც ჰყავდათ და თანაც ისეთები, რომელთაც საქართველოში გასაგზავნად გაიმეტებდა მშობელი. მე კი, ხალხის ამგვარი რეაქციით გაყოყოჩებული, რამდენიმეჯერ ხელითაც შევეხე მის „უუცხოელესობას“ სხვის დასანახად და ბევრ შემხვედრს გულიც გავუხეთქებოლმით. ამ ღირშესანიშნავმა გარემოებებმა ისე გამახალისა, რომ მზად ვიყავი ხელში ამეტატებინა ეს მშვენიერ-უცხო არსება და მეტის სიხარულ-პატივისცემით კისერზე

შემომესვა, მიუხედავად იმისა, რომ ვგონებ, ტანითაც და ასაკითაც სწორედაც რომ ჩემხელა იყო. ისე რა კარგი სანახავი ვიქნებოდი, მე რომ კისერზე შემომესვა, ის კიდევ ფეხებით მიწას მისწვდომოდა და მერე ასე "ფხოკინით" გვევლო.

ძალიან მინდოდა, რაც შეიძლება მეტი ნაცნობი შემხვედროდა ქუჩაში, რათა სათითაოდ ყველასთვის დამენახვებინა ჩემი ახალი "შენაძენი". მაგრამ, სამწუხაროდ, აღფრთოვანებისაგან გაცისკროვნებული, ვერავის ვამჩნევდი ჩემს ირგვლივ, საკუთრივ სტუმრის გარდა და თქვენ წარმოიდგინეთ, ლაღიძის სახაჭაპურესაც კი ისე ჩავუარეთ, ნერწყვიც არ მომდგომია. ამ სეირნობა-სეირნობაში კი ისე გავერთეთ, ვერც შევამჩნიეთ ჩემი უცხოელის ძმისთვის "გავლის" დრო როგორ დადგა. ის კი ზუსტად დათქმულ დროზე თავისუფლების მოედანზე დაგვახვედრეს გამოფენილი. ნახევარი სოლოლაკი თვალცრემლიანი აცილებდა და ისიც თავის მადლს ვერმიმხვდარი, უდარდელად ლოღნიდა ჩირის ჩურჩხელას. საოცარია პირდაპირ, მაგრამ ეს უმცროსი უფრო ქერა, ჭორფლიანი და პირკბილებგამოვსებულღიმილიანი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ წარმოვიდგენდით. ჩემმა ძმამაც ეგრევე გულში ჩაიკრა და გაეცნო სიტყვებით, „აი ემ ე ფენსილ"-ო. თან ცალი თვალი ჩამიკრა, ნახე, ნახე ჩემი უფრო სულყველაფერია და ამიტომაც შენსას სჯობსო. მე კიდევ გეგონოს-თქო. იმან კიდევ, უმცროს-უცხოელმა "ოქეი"-ო და მეგობრების ხელი გაუწოდა უმცროს-ქართველს. აბა, სეირნობა თქვენ მერე გენახათ. ატყდა "გულაობა" (ოტ სლოვა გულიატ (მიახკი ზნაკი)), მარა რა ატყდა. მე — უფროსი, ჩემს ძმას — უმცროსი და პირველად მოხდა ცხოვრებაში ისე, რომ გასაყოფი არაფერი გვქონდა. მართალია, სათამაშოებს ყოველთვის წყვილად გვყიდულობდნენ და ჩვენ მაინც მუდამ ვხოცავდით ერთმანეთს, მაგრამ ამ შემთხვევაში ასე არ მოხდა. ეტყობა ორივე უცხოელი ზუსტად ისეთი იყო, როგორიც ჩვენ ჩვენთვის გვინდოდა და სწორედ ამიტომაც არ გაგვქვცევია თვალი ერთმანეთის გასართობისკენ. ნამდვილ ზღაპარს ჰგავდა ეს ყოველივე და დედამ კიდევ, საერთოდ, უნახავ სიზმრად გადააქცია, როდესაც გადაწყვიტა, ყველა კუს ტბაზე ავეყვანეთ. ალბათ, იფიქრა, სტუმრების მუზეუმებში ტარებით ფონს ვერ გავალ და ჩემს გიუებს კიდევ, იქ მეორედ აღარ მივიყვან, რადგან წინაზე ისე იჭიდავეს და ისე გულდასმით მოწმინდეს იქაურობა, რომ დღემდე არავის გამოუგვია საგამოფენო დარბაზიო.

სიმართლე გითხრათ, კუს ტბაზე ასულს, ცოტა არ იყოს, გული დამწყდა, ამის დედა ვატირე, რამდენს ვეხვეწებოდი ამ ჩემს მშობლებს, აქ ამოყვანას და სანამ ეს ოკეანისგაღმელები არ გვესტუმრენ, არავინ მაღირსამეთქი. თუმცა ეს ხინჯიც მალევე გაქრა, რადგან უცხოელ ძმებს მოეფსათ და მე და ჩემს ძმას პატივი გვერგო ის ორი ბედნიერი ბუჩქი ამოგვერჩია, რომლებზეც მათი "ინომარკა" შარდი უნდა დანთხეულიყო (ალბათ, ახლა ის ბუჩქები მსხმოიარე ქოქოსის უშველებელი პალმები არიან, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ მაყვლისანი გახლდნენ. თქვენ გგონიათ, ხემ არ იცის პატივისცემის დაფასება?!). მეგობლეობის ამ მცირე "ტრეინინგის" შემდეგ, დადგა ჯერი გართობისა და ჩვენც, ქართველებმა უმალ ტანთ გავიძრეთ და შევცვივდით კუს ტბის ამყაყებულ წყალში, რათა ოკეანთგაღმელებს ეჭვი არ შეეტანათ ჩვენი სამშობლოს სისპეტაკეში. იმ ორს კიდევ ჩვენმა დედამ არ დაანება "ჭაობში" ჩასვლა, ჩაბარებულები არიან ეგენიო და ისინიც მხოლოდ წყალში ფეხების ჩაყრით შემოიფარგლნენ. მომეჩვენა თუ რა იყო, არ ვიცი, მაგრამ მგონი, უცხოელმა ძმებმა ცოტა არ იყოს მოიწყინეს და ჩემდა გასაკვირად, საერთოდაც არ მიუქცევიათ ყურადღება იმ ამბისთვის, თუ როგორ გულდასმით ვაყურყუმალავებდი ჩემს ძმას იქაურ შმორიან წყალში. ვიფიქრე, ესენი ნაღდი ჰუმანისტ-დემოკრატები არიან და ამიტომ გადგნენ გვერდზე-თქო, მიუხედავად იმისა, რომ ეგ სიტყვები ჯერ კიდევ საერთოდაც არ გამეგო, მაგრამ ერთი კი შევნიშე, რომ ბავშვები მალიმალ სულ იმ ჯიხურისკენ იცქირებოდნენ, სადაც წელან მზესუმზირა ვიყიდეთ. თურმე, როგორც მერე გაირკვა, „მესემიჩკეს" რომ "აკმულიატორზე" შეერთებული პატარა ტელევიზორი ედგა, იმას მოუხიბლავს ეს ჩვენი ნაქები სტუმრები. მე ეგ უცნაური ინტერესი ეგზოტიკისადმი ტრფობად ჩავთვალე, რადგან გაგონილი მქონდა, უცხოელები სპეციალურად სანთლის შუქზე სადილობენ, რათა უფრო მეტი სიმყუდროვე შეიქმნანო (ეს როცა, ჩვენ ელექტროენერგიას სანთლით ვეძებდით). სინამდვილეში კიდევ, საქმე ის იყო, რომ მაგათი ვეგეტარიანელი მშობლები ტელევიზორის ყურებასაც უკრძალავდნენ ამ ანგელოზივით უწყინარ ბავშვებს. აბა, გაგონილა, კაცო, ამისთანა რამე? მეც, ცოტა არ იყოს, გული მომივიდა მაგათ მტარვალ მშობლებზე, რომელნიცბავშვებს შავ-თეთრ ტელევიზორსაც არ აყურებინებდნენ და გავიფიქრე უხ, მაგათი კაპიტალისტი-მეთქი. მაგრამ მერე მალევე შევუნდე, რადგან გამახსენდა, რომ სახლში ფერადეკრანიანი გველოდა და გადავწყვიტე, ამაღამ მაგრა გავუსწორებ და

დავაძლობ ჩაგრულთ აქაური მაუწყებლის გამოსხივებით-თქო.

როდესაც სახლში დავბრუნდით, მიუხედავად ემოციათა სიჭარბისა, მე და ჩემს ძმას დაღლა საერთოდ არ გვეტყობოდა და ეგრეევე იმაზე ფიქრს შევუდექით, ახლა რით ვასიამოვნოთ ჩვენს მეგობარებსო. სტუმრებმა კი თითქოს განგებ დაიწყეს მთქნარება და ჩამოყარეს ყურები. ჩვენც გადავწყვიტეთ, გაგვერთო ისინი, სანამ დედა ვახშამს გაამზადებდა და გავაჩაღეთ ჩვენებური თამაში "ბურგლაობა", ანუ ძაღლებივით ნავეკიდეთ ერთმანეთს და მერე კი სტუმრებს. გამოვიდა შემდეგი: სამსახურიდან დაბრუნებულმა მამამ კარი გააღო და რას ხედავს, მე უფროსი უცხოელი მყავს ფეხებით დაკიდებული და მუხლით ვურტყამ პანჩურებს, ხოლო ჩემი ძმა წამოჯდომია უმცროსს, თმებით ჰყავს დათრეული და ძირს არტყმევინებს თავს. გაიკვირვა-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ შეწუხებით ნამდვილად შეწუხდა და მით უმეტეს, მაშინ, როდესაც შეიტყო, რომ ჩაგრულნი იმ ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ, სადაც რომ ძალადობისთვის შვილები მშობლებს უჩიოდნენ. ისე, სიმართლე ითქვას და მართლა კარგ დროს კი მოგვისწრო მამამ, რადგან სტუმრებმა აშკარად ბურგლაობაში ვერ ივარგეს და ჩვენც ახლა ლახტის სწავლებას ვუპირებდით. გაუშვით მაგათ ხელი, თქვე ვირებოო, დაგვიყვირა მამამ და ექპანსირებულთ დახმარების ხელი გაუწოდა. თქვენ ეგენი მეზობელი რესპუბლიკის შვილები ხომ არ გგონიათ, ეგრე რომ იმეტებთო. ეგენი ოკეანის გადაღმელები არიან და რამე რომ ატკინოთ, „კაკ მინიმუმ", ცივი ომი არ აგვცდებაო. ჩვენც, სხვა რაღა გზა გვქონდა, ვუშვით ხელი უცხოელთა სხეულებს და კომპენსაციის მიზნით ტელევიზორი ჩავურთეთ. ისინიც ძალიან კმაყოფილები იმ ამბით, რომ თავი დააღწიეს სადისტურ თამაშობებს და ნება დართეს ცისფერი ეკრანის ყურებისა, უმალ სავარძლებში მოკალათდნენ და გაფაციცებულნი გაისუსნენ. ოღონდ ერთი კი იყო, სანამ უცხოელები საბოლოოდ ჩავარდებოდნენ სატელევიზიო ტრანსში, უფროსმა გვთხოვა, "მამე ნე გავარინეო". ეს რაღა თქმა უნდა, მე და მამაჩემმა გავშიფრეთ ასე მისი სიტყვები და უმალ დავამშვიდეთ, ჯიგარო, სულ ტელეფონების საძიებელი წიგნი რომ გვირტყან გვერდებში, ჩვენ მაინც კრინტს არ დავძრავთ-თქო. ისინიც დაწყნარდნენ და იმ საღამოს ჩვენსკენ აღარც კი გამოუხედავთ. იჯდნენ პირდაღებულები და მისჩერებოდნენ მეორე მსოფლიო ომზე გადაღებულ შავთეთრ კინოსურათს სახელად: „სინ პალკა".

ჩემს ძმასთან ჭიდაობას აღარანაირი აზრი არ ჰქონდა, რადგან ზუსტად ვიცოდი, რომ იმ დღისით აუდიტორია აღარ მეყოლებოდა. თანაც სკოლაში, კლასელებისთვის საჩვენებლად მაგ გასართობ-უცხოელებს არავინ გამატანდა და სიგარეტს კიდევ მაშინ ჯერ არ ვეტანებოდი, მისი წევით რომ შემექცა თავი. ამიტომაც, სასწრაფოდ რამე საქმე უნდა მომეფიქრებინა, რათა სტუმრების ტრასნში ჩავარდნით გამოწვეული სიცარიელე შემევსო. ვხვდებოდი, რაც უფრო მეტს ვიფიქრებდი ჩვენს უცხოელებზე, მით უფრო მეტ ეჭვს შევიტანდი მათ სიკარგეში, რადგან იმათი გადებილებული სახეების შემხედვარეს, ცოტა არ იყოს, გუნება წამიხდა (ასე ხდება ხოლმე ყოველთვის, ცეცხლი რომ განელდება, მერე ხვდები რას წვავდი). ძალიან არ მინდოდა, ის აღმაფრენა დამეკარგა, რაც მათი გამოჩენით განვიცადე. ამიტომაც დავჯექი სტუმრების შორიახლო და დავიწყე მათი ახალი, თეთრი და საზღვარგარეთული ბოტასებისა და ჩემი ყავისფერი, დახეული და ერევანში შეკერილი სალამანდრების შედარება. ერთი შეხედვითაც აშკარა იყო, იმათი სჯობდა ჩემსას და არ გასაკვირია, რომ ბავშვური გულუბრყვილობით მხურვალედ ვისურვე, მეც მაგათი მიწა-წყლის შვილი ვყოფილიყავი. ოღონდ, ვოცნებობდი რაც შეიძლება სწრაფ-სწრაფად და დაგეგმარების გარეშე, რათა იმ ძმების ჭამა, წყალში ჩაყრილი ფეხები და სინთეტიკური სახეები არ გამხსენებოდა. გამომივიდა შემდეგი: ძალიან მსურდა უცხოელობა და თანაც აქ, საქართველოში ცხოვრება. მინდოდა თეთრი ბოტასები, ოღონდ სკოლის ეზოში ფეხბურთის სათამაშაოდ. ვოცნებობდი გალექსილ ინგლისურზე, ფართოდ მომღიმარ პირზე და მშვიდობიან ცაზე, თუმცა ისევ ჩემი სოფელი, მისი სიდუხჭირე და დაბლა დახრილი თველები მერჩივნა ყველას. მოკლედ, ვითხოვდი, ვყოფილიყავი ქართველი უცხოელი. მაგარია, არა? დიახაც, თან ქართველი და თან უცხოელი (რაღაცნაირად დამენანა ქართველობა და ვცადე, ერთგვარი სინთეზი შემექმნა). სულ ბოლოს კი ძმებმა მაინც გადაწონეს და მეც რაღაც ძალიან უსიამოვნო განცდებით განვიმსჭვალე. მეგონა, რომ თუ "გავუცხოველდებოდი", აუცილებლად ნივთად უნდა ვქცეულიყავი და ამიტომაც, ეგრეევე ბოტასებზე დავედი. ვიფიქრე, ჯანდაბას, ვიყო ქართველი, ოღონდ კი მქონდეს თეთრი ბოტასები და ეგეთივე თეთრი პირსახოცის წინდები-მეთქი.

P.S. ახლა ვხვდები, მგონი, ამიხდა ბავშვობის ოცნება, რადგან დღესდღეობით ნაღდად უცხო(ვ)ელივით ვგრძნობ თავს საკუთარ მიწა-წყალზე.

მანანა დანგაძე

მაცხოვარს!

რა უნდა გითხრა იმაზე მწველი,
რაც უკვე ითქვა შენზე ჩემამდე,
შენს მოსვლას უკვე მეორედ ველი,
ვერ ავიკიბე სულით ზენამდე.
მოისრა ირგვლივ სიწმინდე ძველი,
ქვეყნად გამეფდა შურის ბაცილა,
აღარ გვყავს ტაძრად თევდორე მღვდელი,
მტერი მეფის გზას რომ ააცილა.
აღარც დემეტრე „თავდადებული“,
თითქოს დიდგორზეც ხავსმა იმწვანა,
წმინდა ქეთევან —რწმენით ქებული
ვერ ჩაიხუტა მშობელ მიწამა...
ნატვრად გაგვიხდა სიმართლე — წვეთი,
მომძლავრებულა ქვეყნად პილატე,
ღმერთო, მაჩვენე ხნული და ბელტი,
რწმენა მომეცი, ძალა მიმატე...
რა უნდა გითხრა იმაზე მეტი,
რაც უკვე ითქვა შენზე ჩემამდე...
უშენოდ მიჭირს, შენს მოსვლას ველტვი —
ვერ ავიკიბე სულით ზენამდე!

ოდა ქალს

შენ რომ არ იყო,
ვის უმღერონ ჰანგი მგოსნებმა,
ან ვარდი წითლად
რომელ ფუნჯით შეიმოსება.
ვერც ლეონარდო დახატავდა
თავად ჯოკონდას,
თუმც თავი მისით საუკუნის
მხატვრად მოჰქონდა.
შენ ააჟღერებ ეკლესიის გუმბათს ზაროსანს,
ვისთვის შექმნიდა დიდი შოთა
ვეფხისტყაოსანს?
უკუდინებით წავიდოდა აღმა რიონი
და თუ არა შენ, ვის უმღერდა გალაკტიონი...
ტრფობა, ალერსი,სიყვარული —
სამი რამ გინდა,
თუმც გაგიშენეს ბაღნარები სემირამიდას...
მოიმწუხრები,
როცა ერთგულს სხვა არ გენდობა
და ამიტომაც უცხო გახდა შენთვის შენდობა.
ხარ ღმერთი, მუზა, ყირმიზ-ლალი,
ქალი-მისანი
და იარაღად სიყვარულის მოგცეს ისარი.
შენ წმინდა ნინოს თეთრი კაბით შეიმოსები,
შენ რომ არ იყო,
ვის უმღერდნენ ჰანგებს მგოსნები...

უკანასკნელი შემოღამება

ჩამოღვენთილა წლები წვეთებად,
მოვკრძალე ყოფის შუა სამიჯნე...
სულზე სალბუნად, ლექსად მედება
წარსული, რითაც დღეს დავაბიჯებ.
ხან სიყვარულის კვარცხლბეკზე შემსვეს,
ხანაც შური და ბოლმა მესია;
ვიშველიებდი იმედად ლექსებს,
ურვით ერთხელ არ დამიკვნესია.
ჰოი, რამდენი სევდა-ტკივილი,
გამილეწია კალოზე მშვიდად...
არ დამცდენია ღმერთთან ჩივილი,
თუმც სიყვარულით განგება მსჯიდა.
რამდენჯერ ბედი გაბოროტებით,
მემუხთლებოდა დარდად ყოფითა...
თუ ჩემი ჯვარით განვმეორდები -
ვარდს გავიყოლებ წუთისოფლიდან...
ვგრძნობ, ნაცრისფერი საღამო დგება,
ჩამოღვენთილა წლები წამებად...
უმწუხარესად გამიჟამდება
უკანასკნელი შემოღამება.
ჟამი დამდგარა მონანიების,
ვერ ავემგზავრე გრძნობის შარაგზას...
ჩამოფურცლული ლურჯი იებით
დრომ მოლოდინი სევდად ჩარაზა...

ლომო ვერკვლის ციხის

(ტარიელ ხარხელაურს)

მზეო, სიყვარულით ანთებულო,
სულო, ტკივილისგან ხვავრიელო,
ღამევ, სევდიანად გათეულო,
მთათა მეციხოვნევ, ტარიელო.
გულო, ხანჯლისაგან დასერილო,
მაინც ვაუკაცო და ჟამიერო,
უფლის ხატის სახედ დაწერილო,
ცვილად დაღვენთილო, ტარიელო.
ქვევრო, მირონივით ღვინით სავსევ,
აღვსილ სიყვარულით ცარიელობ,
სხივი ნათელივით გადგას თავზე,
შუქო, შუბლნათელო ტარიელო.
ძმისთვის ერთგულების მაგალითო,
მტრისთვის კედელო და ბარიერო,
გულო ბაჯაღლოვ და მარგალიტო,
თვალთა შუქმფინარო, ტარიელო.
ხმელო წიფელო და ცრემლო შვლისა,
ლომო ვერკვლისციხის, სანაღველო,
ძუძუ დაგელოცოს დედავ ღვთისა—
ეს ვინ გაგიზრდია, საქართველოვ!

სამარტო განწყობა

წვიმამ ფიქრები არია,
წვიმა სადარდელს შობს...
ფიქრს მოენატრე ძალიან,
ფიქრი მიფრინავს შორს.
სადღაც სიცხე და დარია,
ვიღაც სიყვარულს მთხოვს,
ჩემო ოცნების გალიავ,
ჩემს სულში რატომ თოვს?
მარტის გიჟმაჟი ქარია,
მარტიც ქალივით ბჭობს.
უკვე რამდენი ხანია,
გული შენს ნახვას მთხოვს...
წვიმა, თოვლი თუ ქარია,
ვერ ვითავისებ დროს.
წვიმის სევდიან არიას
ზეცა ცრემლებად ქსოვს..
ფიქრს მოენატრე ძალიან,
მიფრინავს ფიქრი შორს...

მინდა, მომენატრო...

მინდა, ისევ მომენატრო,
წამებს ისევ ვითვლიდე,
და ბარათით პაემანზე
მოსვლას ისევ მითვლიდე.
მინდა, ისევ მომიფინო
სულში იაგუნდები...
მახსენდება ქმარი რომ ხარ...
და მიწაზე ვბრუნდები.

ნ+გ

ვინც რა უნდა თქვას აწი,
ვისაც ვინ უნდა — სდიოს,
გიო ნათიას =
ნათია კიდევ გიოს.
ცას შეელეწა დარდი,
სულში ყვავილი ღიობს,
გიო ნათიას =
ნათია კიდევ გიოს!
ვისა აქვს ორი თავი,
ზედმეტად აიტკიოს,
ყველამ იცოდეს აწი
ნათია = გიოს!

***

ნუ შემადარებთ ვარდსა და მიხაკს,
არ მინდა ბედად ყვავილთ მეფობა,
მე დედის ცრემლით მოვიბან ნიღაბს
და სევდად იის ფერიც მეყოფა.

სევდის ანარეკლი

არც არასა გთხოვ, არც რას მოველი,
გრძნობას ვუმღერე მწუხრის ჰანგები,
აქ, ცისქვეშეთში ცრემლად მოვედი
და ცვარ-ნამივით დავიკარგები.
არც არასა გთხოვ, არც რას მოველი,
სევდამ ააავსო გული ფერფლითა,
სულს შემოაცვდა განცდა, რომელიც
დროს წუთებივით შემოეფლითა.
არც აღარას გთხოვ დედამიწიერს,
დაე, ხანძარმა გული დანაცროს...
შენ სავანეში შემომიმწყვდიე
და გინდა დამხვდე ყოვლის სანაცვლოდ!..
მე კი არას გთხოვ, არც რას მოველი,
უხმოდ მივყვები გზას ნარ-ეკლიანს,
მაცხოვრის ხატში სევდა ყოველი
ჩემი ცხოვრების ანარეკლია!..

მივდივარ...

კლდე ვიყავ, ახლა ვარ ნაშალი,
მზე ვიყავ, ახლა კი ბინდი ვარ,
წარსული სათუთად წავშალე —
მივდივარ! მივდივარ! მივდივარ!
კარს მიმტვრევს სუსხი და ავდარი,
ღამეს ვკლავ ცივსა და წვალებას,
ჩემთვის რომ მღეროდა სად არის?!.
სად უცდის ჩემს გარდაცვალებას...
კლდე ვიყავ, ახლა კი ნაშალი,
არც სხივი, მხოლოდღა ბინდი ვარ,
წარსული მთლიანად წავშალე —
მივდივარ, ნისლეთში მივდივარ!



ვახტანგ გურული

ჩუსეთის მბრძანებელი

(პიესა ორ მოქმედებად)

პირველი მოქმედების

მეექვსე სცენა

თბილისი. ილია ჭავჭავაძის სახლი ანდრიას ქუჩაზე. სამუშაო კაბინეტში მაგიდასთან ზის ილია ჭავჭავაძე და კითხულობს. დრო: 1905 წლის ნოემბერი

(შემოდის მოსამსახურე. ილია თავს აიღებს)

მოსამსახურე: ბატონო ილია! ვიღაც მამაკაცი გკითხულობთ, ვინაობას არ ასახელებს. იაკობი სახლში არ უშვებს. ის კი ამბობს: ბატონი ილია მელოდებაო.

ილია ჭავჭავაძე: თხოვეთ!

(კაბინეტში შემოდის იოსებ ჯუღაშვილი, ილია წამოდგება, ხელს ჩამოართმევენ ერთმანეთს. ილია სკამზე ანიშნებს, თავადაც დაჯდება).

იოსებ ჯუღაშვილი: ბატონო ილია! დიდი ბოდიში, რომ გალოდინეთ, დღე ჩემი აქ მოსვლა არ შეიძლებოდა!

ილია ჭავჭავაძე: მეგონა, აღარ მოხვიდოდით. თუ არ მეშლება, ეს ჩვენი მესამე შეხვედრაა.

იოსებ ჯუღაშვილი: ასეა, მესამე შეხვედრაა.

ილია ჭავჭავაძე: სამწუხაროდ, მოხდა ის, რისიც ასე ძალიან მეშინოდა! გახსოვთ, ჩვენი მეორე შეხვედრისას ვისაუბრეთ ამ საშიშროების თაობაზე?

იოსებ ჯუღაშვილი: ძალიან კარგად!

ილია ჭავჭავაძე: მინდოდა მთელი ერის, ძირითადი ნაწილის მაინც, გამაერთიანებელი პოლიტიკური პარტია შემექმნა, ვიფიქრე, რევოლუციას, დაპირისპირებასა და ხოცვა-ულეტას შევაჩერებთ-მეთქი!

იოსებ ჯუღაშვილი: უკვე გვიანაა, ამ პროცესს უკვე ვერაფერი შეაჩერებს, იგი ბოლომდე უნდა მივიდეს!

ილია ჭავჭავაძე: ესე იგი, სისხლი, კიდევ ბევრი სისხლი უნდა დაიღვაროს?

იოსებ ჯუღაშვილი: ასეა, უნდა დაიღვაროს. ყოველივე ამაში, ბატონო ილია, ნურავის დაადანაშაულებთ, ნურც სოციალისტებს.

ილია ჭავჭავაძე: მაშ, ვინაა დამნაშავე? ასე გულხელდაკრეფილი ვიყოთ და ვუყუროთ, ძმა ძმის სისხლს როგორ ღვრის?

იოსებ ჯუღაშვილი: სხვა გამოსავალს მე ვერ ვხედავ!

ილია ჭავჭავაძე: ისტორიის წინაშე ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა იმაზე, რაც ახლა საქართველოში და, საერთოდ, რუსეთში ხდება?

იოსებ ჯუღაშვილი: მოპასუხე ერთია — რუსეთის ხელისუფლება, იმპერატორი და მისი მთავრობა!

ილია ჭავჭავაძე: ეს ბევრჯერ მსმენია, ყველა სოციალისტი ამას გაჰკივის! თქვენ, სოციალისტები, არ იზიარებთ პასუხისმგებლობას?

იოსებ ჯუღაშვილი: ბატონო ილია! თქვენი წერილებიდან, ჯერ კიდევ 10-15 წლის წინ რომ ბეჭდავდით, აშკარა იყო, რომ შესანიშნავად იცნობთ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სისტემას. თქვენეულ ანალიზსა და შეფასებას ვერას დავუმატებდი, მაგრამ შევხედოთ საქმეს სხვა კუთხიდან. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სოციალისტური პარტიები რუსეთის სოციალისტურ პარტიებზე გაცილებით ძლიერია, მაგრამ

(დასაწყისი №4/2008)

ვერცერთ ქვეყანაში სოციალისტურმა პარტიებმა რევოლუცია ვერ წამოიწყეს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ხელისუფლება ყველა სოციალურ პრობლემას იმაზე გაცილებით ადრე გადაჭრის ხოლმე, ვიდრე პოლიტიკური პარტიები, მათ შორის, სოციალისტები, ამ პრობლემას ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხის ასაჯანყებლად გამოიყენებდნენ.

ილია ჭავჭავაძე: ეს გასაგებია, ოტო ფონ ბისმარკი იყო ასეთი პოლიტიკის დიდოსტატი, ასევე ინგლისელები.

იოსებ ჯუღაშვილი: რუსეთის მთავრობას კი 1861 წლის შემდეგ არც ერთი მწვავე სოციალური საკითხი არ მოუგვარებია, არაფერზე არ უზრუნია. ამასთან ერთად, რუსეთი ჩაება მისთვის სრულიად არაფრის მომცემ, უაზრო ომში იაპონიასთან და დამარცხდა კიდეც. თავისი სულელური და უაზრო საშინაო და საგარეო პოლიტიკით რუსეთის ხელისუფლებამ სოციალისტებს მრევლი გაუმრავლა და მიიღო კიდეც რევოლუცია. ამიტომ მოგახსენეთ, პასუხისმგებლობა ისტორიის წინაშე რუსეთის ხელისუფლებას დაეკისრება-მეთქი.

ილია ჭავჭავაძე: თქვენს წილ პასუხისმგებლობაზე რას იტყვით? რაც ხდება, ყველაფერი ხალხის შეგნებაში სოციალისტებს უკავშირდება!

იოსებ ჯუღაშვილი: ბატონო ილია! პოლიტიკური პარტიები და მათი ლიდერები შეიძლება იყვნენ უპასუხისმგებლონი, მაგრამ იმპერატორი, სახელმწიფო საბჭო, მთავრობა არ შეიძლება იყოს უპასუხისმგებლო. დამერწმუნეთ, კარგად ვიცი, როგორ დაიწყო ყოველივე ეს, სად და როგორ იგეგმებოდა ის, რაც დღეს ხდება. ხელისუფლების სრული უსუსურობა რომ არა, რევოლუციის თავიდან აცილება შეიძლებოდა!

ილია ჭავჭავაძე: ვერ დაგეთანხმებით! პირიქით მგონია!

იოსებ ჯუღაშვილი: ბატონო ილია! როგორც ჩანს, ამ რევოლუციას რუსეთის ხელისუფლება გაუმკლავდება, მაგრამ დაიმახსოვრეთ: ათ წელიწადში მთავრობა თავისი უგუნური პოლიტიკით უარეს დღეში ჩააგდებს ქვეყანას, უარესი ამბებია მოსალოდნელი.

ილია ჭავჭავაძე: კარგით! მე სხვა საკითხზე სასაუბროდ მოგიწვიეთ. პირდაპირ გკითხავთ: რატომ ეწინააღმდეგებით სოციალ-დემოკრატები საქართველოს ავტონომიისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნას. არ დაგიმალავთ, სხვებთანაც მქონდა ამ საკითხის თაობაზე საუბარი, მაგრამ ზოგადი, უაზრო ფრაზების გარდა ვერაფერი მოვისმინე!

იოსებ ჯუღაშვილი: რასაც ახლა გეტყვით, ყველა სოციალისტმა კარგად იცის, ოღონდ თქვენ ამას პირდაპირ არ გეტყოდნენ. რუსეთის იმპერატორმა რომ იმპერიაში შემავალ ერებს, ყველას არა, ნაწილს, ავტონომია უბოძოს, ეკლესიის საკითხიც გადაუჭრას, ამით ჩვენ, სოციალისტებს, დიდ დარტყმას მოგვაყენებს, დაგვაუძლურებს. იმპერიაში მცხოვრები არარუსი ერები კეთილად განეწყობიან იმპერიის ხელისუფლებისადმი. ხალხისა და ხელისუფლების ერთობა ჩვენთვის, სოციალისტებისათვის, კატასტროფის ტოლფასია. ჩვენი მიზანია დაპირისპირების შენარჩუნება და გაძლიერება, ხელისუფლების დისკრედიტაცია. აი, ამიტომ არ გვინდა ჩვენ საქართველოს ავტონომია და ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა.

ილია ჭავჭავაძე: მიუხედავად ამისა, მე მაინც ვაპირებ ვიბრძოლო საქართველოს პოლიტიკური ავტონომიისათვის, მხარი დავუჭირო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. ცხადია, სოციალ-დემოკრატები დიდ წინააღმდეგობას გამიწევენ, თქვენ ამას არც მალავთ!

იოსებ ჯუღაშვილი (ილიმება): ხომ შევთანხმდით, რომ გულახდილად ვისაუბრებდით!

ილია ჭავჭავაძე (იცინის): ეს დიდი ხნის წინ იყო! უფრო ადრე ჩვენ შევთანხმდით, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ „ივერიაში" მოხვიდოდით სამუშაოდ!

იოსებ ჯუღაშვილი (ილიმება): არ შევთანხმებულვართ, თქვენ ბრძანეთ და მე გავიგონე.

ილია ჭავჭავაძე: მაშ, მთელი სოციალ-დემოკრატია ჩემს წინააღმდეგ დაირაზმება?

იოსებ ჯუღაშვილი: ასე იქნება! თუმცა ჩვენ დიდი თავის გამოდება არ დაგვჭირდება.

ილია ჭავჭავაძე: რატომ? ასე უძლური ვარ?

იოსებ ჯუღაშვილი: არა, პირიქით, დიდი ძალა გაქვთ. ძველ დროზე ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ინგლისის ბოლო ათი პრემიერ-მინისტრიდან თქვენ ვერც ერთი კოჭებამდეც ვერ მოგწვდებოდათ. რუსეთის იმპერია კი ისე დაასრულებს არსებობას, რომ თქვენნაირი გონიერი ადამიანის პრემიერ-მინისტრობას ვერ ეღირსება!

ილია ჭავჭავაძე: ხომ არ აჭარბებთ?

იოსებ ჯუღაშვილი: არა!

ილია ჭავჭავაძე: თქვენ რუსეთის იმპერიას უკვე გამოუტანეთ განაჩენი, არც ამ შემთხვევაში აჭარბებთ?

იოსებ ჯუღაშვილი: არა!

ილია ჭავჭავაძე: ჰო, რაზე შევჩერდით?

იოსებ ჯუღაშვილი: ავტონომიის საკითხის მოგვარება თქვენს შესაძლებლობებზე არ არის დამოკიდებული-მეთქი.

ილია ჭავჭავაძე: აბა, რაზეა დამოკიდებული?

იოსებ ჯუღაშვილი: იმპერიის ხელისუფლება არც ავტონომიას გიბოძებთ და არც ავტოკეფალიას. სოციალისტების გასაკეთებელს ამჯერადაც უნიჭო იმპერატორი და მისი უსუსური მთავრობა გააკეთებს!

ილია ჭავჭავაძე: დარწმუნებული ხართ?

იოსებ ჯუღაშვილი: დარწმუნებული ვარ! თუ იმპერატორი დაითანხმეთ, ჩვენი მიტინგები და საგაზეთო წერილები ავტონომიისა და ავტოკეფალიის საქმეს ვერ შეაფერხებს. ამ შემთხვევაში ჩვენ რეალურ ძალას არ წარმოვადგენთ, ხელისუფლების იმედად ვართ, ხელისუფლება კი იმედს არ გაგვიცრუებს (იღიმება).

ილია ჭავჭავაძე: გმადლობთ გულახდილი საუბრისათვის!

იოსებ ჯუღაშვილი: იმედია, კიდევ შევხვდებით?

ილია ჭავჭავაძე: ღმერთმა იცის! ალბათ შევხვდებით! ნახვამდის!

(ილია წამოდგება, იოსებ ჯუღაშვილს ხელს გაუწვდის, ორივენი კარებისაკენ მიდიან).

მეშვიდე სცენა

თბილისი. რსდმპ თბილისის კომიტეტის კონსპირაციული ბინა. ოთახში სხედან იოსებ ჯუღაშვილი და ნოე ჟორდანია. დრო: 1905 წლის დეკემბერი.

(ნოე ჟორდანია აღელვებული ჩანს, ეტყობა, ცხარედ კამათობდნენ. იოსებ ჯუღაშვილი ირონიულად იღიმება).

ნოე ჟორდანია: კობა! მენშევიკებისა და ბოლშევიკების უთანხმოებამ ხალხი დააბნია, ვერ გაუგიათ, ერთი პარტიის ორი წევრი რატომ მსჯელობს სხვადასხვაგვარად.

იოსებ ჯუღაშვილი: პლეხანოვი და ლენინი უნდა შერიგდნენ და ეშველება ამ საქმეს!

ნოე ჟორდანია: პლეხანოვი და ლენინი სულ უფრო სცილდებიან ერთმანეთს, რომელ შერიგებაზე ლაპარაკობ!

იოსებ ჯუღაშვილი: ჰოდა, დასცილდნენ. თუ ისინი ვერ შერიგდებიან, ჩვენი შერიგებაც არ გამოვა!

ნოე ჟორდანია: დაიბნა ხალხი, კობა! დროზე უნდა საქმეს შველა!

იოსებ ჯუღაშვილი: ნოე! სიმართლე გინდა გითხრა?

ნოე ჟორდანია (ოდნავ გაბრაზებული): აბა, რითვის მოვედი აქ?

იოსებ ჯუღაშვილი: მენშევიკები და ბოლშევიკები ვერასდროს შერიგდებიან! შენც ბევრს ნუ იღებ შენს თავზე, მშვიდად იყავი.

ნოე ჟორდანია: კობა! თავი დავანებოთ პლეხანოვსა და ლენინს. მოდი, ჩვენ ორმა კაცმა პატიოსნად, მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვიმსჯელოთ.

იოსებ ჯუღაშვილი: რაზე ვიმსჯელოთ?

ნოე ჟორდანია: იმ საკითხებზე, რომელთა თაობაზე ჩვენ სხვადასხვაგვარი აზრი გვაქვს.

იოსებ ჯუღაშვილი: თუ ამით საქმეს ეშველება, ვიმსჯელოთ!

ნოე ჟორდანია: რატომ არ გჯერათ თქვენ, ბოლშევიკებს, რომ რუსეთი იმავე გზას გაივლის, რა გზაც გაიარეს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა?

იოსებ ჯუღაშვილი: პეტრე დიდიდან მოყოლებული რუსეთის ისტორია ერთსა და იმავეს გვასწავლის: რუსეთის ევროპეიზაცია — ეს უტოპიაა. რუსეთს განვითარების საკუთარი გზა აქვს. ევროპეიზაცია რუსეთში ისეთ ქაოსს გამოიწვევს, შეიძლება ძველი ყოფა სანატრელი გაგვიხდეს. იქნება ოდესმე, დიდი ხნის შემდეგ, დადგეს დრო და შესაძლებელი გახდეს კიდეც რუსეთის ევროპეიზაცია, მაგრამ უახლოეს მომავალში ეს წარმოუდგენელია.

ნოე ჟორდანია: ესე იგი, შენთვის დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა იდეალი არ არის?

იოსებ ჯუღაშვილი: ღმერთმა დამიფაროს!

ნოე ჟორდანია: რა არ მოგწონს ევროპის ქვეყნების სახელმწიფო სისტემაში?

იოსებ ჯუღაშვილი (გაბრაზებული): ახლა ნუ დაიწყე მენშევიკური... მე არ მითქვამს, არ მომწონს-თქო! მე ვამტკიცებ: რუსი მუჟიკისათვის და, შენ წარმოიდგინე, რუსი ინტელიგენტისთვისაც კი, შენთვისაც კი, ნოე, რუსული სამყაროს დანგრევა ტრაგედია იქნება! მე ამას ახლავე ვხვდები, შენ კი გვიან მიხვდები!

ნოე ჟორდანია: რატომ ფიქრობ ასე?

იოსებ ჯუღაშვილი: ვთქვათ, დაანგრევინეთ რუს მუჟიკს რუსული სამყარო. მერე ვინ მიართმევს მას ხონჩით ევროპულს? შეგიძლიათ თქვენ ააშენოთ, შექმნათ ევროპული სამყარო? არ შეგიძლიათ! იცოდეთ: თქვენგან მოტყუებული და გაუბედურებული ის მუჟიკი თავს გაგიჩეჩქვავთ!

ნოე ჟორდანია: გამოდის, რომ რუსეთში პროგრესი შეუძლებელია?

იოსებ ჯუღაშვილი: მოგწონთ არა დასავლური სამყარო: ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია? მოგწონთ არა დასავლური დემოკრატია? ვითომ არ იცით, რომ დიდი რევოლუციის შემდეგ დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებამდე ფრანგებმა ნაპოლეონ ბონაპარტისა და ბურბონების რესტავრაციის ეპოქა გამოიარეს, მერეც ბევრი სისხლი დაიღვარა. ის დემოკრატიული

სისტემა, რომელიც შენ ძალიან მოგწონს, საფრანგეთში დიდი რევოლუციიდან ერთი საუკუნის შემდეგ ჩამოყალიბდა. დაახლოებით იგივე გზა გაიარა ინგლისმა.

ნოე ჟორდანია: ეს მეც კარგად ვიცი, მაგრამ როდის უნდა დაიძრას რუსეთი მკვდარი წერტილიდან? იქნებ არასოდეს? ან იქნებ გვიბრძანოთ, რომ რომანოვების სადიდებელი ჰიმნი ვიმღეროთ და იმპერიის მარადიულობაზე ვიოცნებოთ!

იოსებ ჯუღაშვილი: არა ხართ თქვენ, მენშევიკები, რუსეთის მკვდარი წერტილიდან დამძვრელი ხალხი! რომც დაძრათ, იცით კი, რა უნდა გააკეთოთ? იმპერატორს შეცვლით არჩევითი პრეზიდენტით, შემოიღებთ პარლამენტს, დამოუკიდებელ სასამართლოს, თვითმართველობას!

ნოე ჟორდანია: რაც ჩამოთვალე, არც ერთი არაა ირონიის საგანი!

იოსებ ჯუღაშვილი: სწორედ ირონიით შეხედავს ყოველივე ამას რუსი მუჟიკი და ერთ მშვენიერ დღეს თქვენც ძველი ხელისუფლების გზას გაგიყენებთ!

ნოე ჟორდანია: შენი ნება რომ იყოს, რას იზამდი, რით შეცვლიდი რომანოვების მონარქიას?

იოსებ ჯუღაშვილი (წამოდგება): მოვა დრო და მაგასაც გაიგებთ! ახლა არ მინდა გუნება გავუფუჭო ევროპულ დემოკრატიაზე მეოცნებე მენშევიკებს, მერეც გეყოფათ სადარდებელი და თავში საცემი!

ნოე ჟორდანია: კობა! გულახდილად მითხარი: დემოკრატიის მტრებს რა გესაქმებათ რევოლუციაში?

იოსებ ჯუღაშვილი: ნოე! გულახდილად მითხარი: რუსი ხალხის მტრებს რა გესაქმებათ რუსეთში?

ნოე ჟორდანია (ხელს ჩაიქნევს): არ იქნება თქვენი საშველი!

იოსებ ჯუღაშვილი (იცინის): ან ჩვენი საშველი იქნება, ან თქვენი! ორიდან ორივეს მხოლოდ ევროპული დემოკრატია აიტანს. რუსეთი ორიდან მხოლოდ ერთს ირჩევს ხოლმე, ერთს და ძლიერს! მე წავედი, ნოე! (იოსებ ჯუღაშვილი გადის).

მერვე სცენა

შვეიცია. სტოკჰოლმი. რსდმპ კონსპირაციული ბინა. ოთახში სხედან: ვლადიმერ ლენინი, გრიგორი ზინოვიევი და იოსებ ჯუღაშვილი. დრო: 1907 წლის მაისი.

(იოსებ ჯუღაშვილი ცუდ ხასიათზეა, მალიმალ შეხედავს ლენინსა და ზინოვიევს. ლენინი ადგება და წინ და უკან სიარულს დაიწყებს, ლაპარაკობს ისე, რომ იოსებ ჯუღაშვილს არც უყურებს).

ვლადიმერ ლენინი: კობა! შენ რსდმპ ბოლშევიკური ფრაქციის ლიდერი ხარ კავკასიაში. უნდა ვაღიაროთ, რომ ამჟამად ბოლშევიკების საქმე ცუდად მიდის კავკასიაშიც და მთელს რუსეთშიც. განსაკუთრებით ცუდადაა საქმე კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში. მთელი სოციალ-დემოკრატია, მთელი მუშათა კლასი ნოე ჟორდანიას მიჰყვება. ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი იყო ბოლშევიკების მარცხი რსდმპ IV ყრილობაზე შარშან და კიდევ უფრო დიდი მარცხი წელს — V ყრილობაზე. გუშინ რსდმპ ცენტრალურ კომიტეტში აირჩიეს ნოე ჟორდანია და არ ამირჩიეს მე. ახლა ნახე, რა ზეიმი ექნებათ მენშევიკებს თბილისსა და ბათუმში. შენი ჩასვლა არც ღირს საქართველოში. ან საზღვარგარეთ უნდა დარჩე, ან პეტერბურგსა და მოსკოვში გადახვიდე. შენ დიდ საქმეთათვის ხარ მოწოდებული. პეტერბურგისა და მოსკოვის ორგანიზაციებს შენისთანა ერთგული, გაბედული და მებრძოლი ბოლშევიკი სჭირდება. მენშევიკებს საგაზეთო წერილებით ვერ დავამარცხებთ, მოქმედებაა საჭირო. შენ შეძლებ მენშევიკების დამარცხებას სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში. შენისთანა გამოცდილი კაცი ჰაერივით გვჭირდება სათათბიროში. ამის შესახებ დაწვრილებით შემდეგ მოვილაპარაკებთ. ახლა კი გრიგორის მოუსმინეთ. შენ დიდი, სერიოზული და სახიფათო საქმე უნდა დაგავალოთ.

გრიგორი ზინოვიევი (ფეხზე წამოდგება): კობა! ამჟამად საქართველოში ჩვენთვის მენშევიკებზე უფრო მეტად საშიში სხვა ძალაა. ჩვენამდე მოღწეული სანდო ცნობების თანახმად, ილია ჭავჭავაძე ცდილობს ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური პარტიის შექმნას. ეს პარტია იქნება ნაციონალისტური, ამავე დროს, პარტიის პროგრამაში დიდი ადგილი დაეთმობა კონსტიტუციური დემოკრატიზმის პრინციპებს. ჭავჭავაძე შეძლებს ეროვნული და დემოკრატიული ძალების გაერთიანებას. პარტიის პროგრამაში შეტანილია მოთხოვნა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის აუცილებლობისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჭავჭავაძეს მხარს დაუჭერს მთელი ნაციონალისტური ძალები, ქართველი სამღვდელოება და ეკლესიის მრევლი. ჭავჭავაძეს მიზნის მიღწევას გაუადვილებს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრობა. თუ ჭავჭავაძემ ლიბერალურ-დე-

მოკრატიული პარტიის შექმნა მოახერხა, სოციალ-დემოკრატია საქართველოში უმნიშვნელო ძალად იქცევა. ვერც ქართველი მენშევიკები და ვერც ქართველი ბოლშევიკები ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლას ვერ შეძლებენ, ეს უპერსპექტივო საქმეა: თანაც დრო არ ითმენს. ამიტომ გადავწყვიტეთ, ილია ჭავჭავაძე თავიდან მოვიცილოთ, უნდა მოვკლათ.

იოსებ ჯუღაშვილი (მშვიდად): ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილება?

ვლადიმერ ლენინი: რსდმპ ხელმძღვანელობამ, ცენტრალურმა კომიტეტმა.

იოსებ ჯუღაშვილი: ნოე ჟორდანია თუ ესწრებოდა სხდომას?

გრიგორი ზინოვიევი: ნოე ჟორდანიამ გუშინვე დატოვა სტოკჰოლმი, ვერ გავაფრთხილეთ.

იოსებ ჯუღაშვილი (ფეხზე წამოდგება, გამჭოლი მზერით ჯერ ლენინს შეხედავს, შემდეგ ზინოვიევს): თქვენ არ იცნობთ ქართველ ერს, საქართველოს, წარმოდგენა არა გაქვთ ვინ არის ქართველი ერისათვის ილია ჭავჭავაძე! მგონი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობასა და თბილისის პოლიცმაისტერის მკვლელობას შორის განსხვავებას ვერ ხედავთ. ნუ სულელობთ, ნუ ღუპავთ სოციალ-დემოკრატიის საქმეს! ილია ჭავჭავაძის მოკვლით დააჩქარებთ ყოველივე იმას, რისიც ასე ძალიან გეშინიათ!

გრიგორი ზინოვიევი: ჩვენ დიდხანს ვიფიქრეთ....

იოსებ ჯუღაშვილი (აწყვეტინებს): ხშირად სწორედ ის იღებს სულელურ და დამღუპველ გადაწყვეტილებას, ვინც ძალიან დიდხანს ფიქრობს. აი, მე ერთი წუთიც არ მიფიქრია და პირდაპირ გეუბნებით: თავი დაანებეთ ამ სისულელეს! თუ ამას არ იზამთ, მე დამანებეთ თავი, მე არ გამოგადგებით! (იოსებ ჯუღაშვილი დაუმშვიდობებლად ტოვებს ოთახს).

ვლადიმერ ლენინი (აღელვებული): ასეც ვიცოდი. საქართველოში ცუდად წაგვივა საქმე, კიდევ უფრო ცუდად, ვიდრე დღესაა!

გრიგორი ზინოვიევი: გუშინაც გითხარით, ამ საქმეს ქართველს ნუ დავავალებთ-მეთქი. ხედავთ, როგორ აღმერთებს ილია ჭავჭავაძეს? ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს ჩვენი გადაწყვეტილების სისწორეს: ილია ჭავჭავაძე უნდა მოკვდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ სამუდამოდ დავკარგავთ საქართველოს და, მაშასადამე, მთელ კავკასიასაც. შეიძლება დადგეს დრო და ჟორდანია და ჯუღაშვილი ჭავჭავაძის პარტიაში აღმოჩნდნენ. მათ, უბრალოდ, სხვა გზა აღარ დარჩებათ (ორივენი ტოვებენ ოთახს).

მეცხრე სცენა

თბილისი. ავლაბარი. რსდმპ თბილისის კომიტეტის კონსპირაციული ბინა.
სხედან: ბოგდან კნუნიანცი, ფილიპე მახარაძე, სერგო ორჯონიკიძე.
დრო: 1907 წლის ივნისის დამდეგი

ბოგდან კნუნიანცი: ჩვენი შეკრება ტარდება სრულიად საიდუმლოდ. შეკრების შესახებ არ უნდა გაიგოს რსდმპ თბილისის კომიტეტმა, არც ერთმა ამხანაგმა, როგორი სანდოც არ უნდა იყოს იგი.

ფილიპე მახარაძე: ბინის პატრონმა ხომ იცის, შეიძლება მან ჩვენგან დამოუკიდებლად აცნობოს კომიტეტს.

ბოგდან კნუნიანცი: ბინის პატრონი გაფრთხილებულია.

სერგო ორჯონიკიძე: მაინც სჯობდა სხვაგან შევკრებილიყავით, თუნდაც სადმე სოფელში.

ბოგდან კნუნიანცი: ორი კვირის წინ დავბრუნდი ჟენევიდან. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელმა ამხანაგებმა განიხილეს ამიერკავკასიაში და, მათ შორის, საქართველოში შექმნილი ვითარება. გამოითქვა საერთო აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ ბოლო ხანებში მასებში გავლენა დაკარგა. რევოლუციის დამარცხების ფონზე ეს ბუნებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. არის უფრო სერიოზული მიზეზიც. ჩვენმა ბრძოლამ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ 1905 წელს (გადახედავს ფილიპე მახარაძეს) სათანადო შედეგი არ გამოიღო. ამჯერად, ილია ჭავჭავაძე ჩვენთვის ძალზე საშიში მოღვაწეა. ეს ცხადად დაადასტურა მისმა არჩევამ რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად. ჭავჭავაძეს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეუძლია დააყენოს ჩვენთვის მეტად საზიანო საკითხი მთავრობის თავმჯდომარისა და თვით იმპერატორის წინაშეც. ჭავჭავაძე ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს. ჩვენ გვაქვს უტყუარი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჭავჭავაძე სულ მალე დააყენებს საკითხს საქართველოს ავტონომიის შესახებ. საყოველთაოდაა ცნობილი მისი მხარდაჭერა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის მებრძოლი სამღვდელოებისადმი. საქართველოს ავტონომია და საქართველოს ეკლესიის ავტონომიის აღდგენა ძლიერ დარტყმას მიაყენებს ჩვენი პარტიის პოზიციებს. ყოველივე ამის გამო რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა: ილია ჭავჭავაძე უნდა მოკვდეს. აი, ბარათი, რომელსაც ხელს აწერს ამხანაგი ლენინი. ტერორისტული აქტის განხორციელება დავალებული გვაქვს ჩვენ სამს (გადასცემს ბარათს ფილიპე მახარაძეს).

ფილიპე მახარაძე: აქწერია, რომ მნიშვნელოვანი პარტიული დავალების განხორციელებაში მე და სერგო უნდა დაგეხმაროთ თქვენ, მაგრამ არაფერი წერია ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ (ბარათს სერგო ორჯონიკიძეს გადასცემს).

ბოგდან კნუნიანცი: ამხანაგო ფილიპე! თქვენ არ იცით, რომ ასეთი რაიმეს შესახებ ბარათში არ წერენ? (ბოგდან კნუნიანცი სერგო ორჯონიკიძეს ბარათს გამოართმევს და ორივეს თვალწინ დაწვავს).

ფილიპე მახარაძე: იქნებ მაინც საჭიროა თბილისის კომიტეტის აზრის გაგება? ილია ჭავჭავაძის მკვლელობას დიდი ამბები მოჰყვება, ამხანაგები საქმის კურსში უნდა იყვნენ!

ბოგდან კნუნიანცი: თბილისის კომიტეტი კი არა, უმკაცრესი მითითებაა: ტერაქტის შესახებ არაფერი არ უნდა გაიგოს იოსებ ჯუღაშვილმა.

სერგო ორჯონიკიძე: რატომ?

ბოგდან კნუნიანცი: პარტიის V ყრილობის შემდეგ ამხანაგი ლენინი ლონდონში ორჯერ შეხვდა და ესაუბრა ჯუღაშვილს. ჯუღაშვილი კატეგორიულად წინააღმდეგია ილიას მოკვლისა. ახლა ის ბაქოში უნდა იყოს, მაგრამ შეიძლება თბილისში ჩამოვიდეს. არაფერი უნდა იყნოსოს. ეს უმკაცრესი მითითებაა.

ფილიპე მახარაძე: მე, რა თქმა უნდა, ვემორჩილები პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას, მაგრამ ყველაფერი ეს შეიძლება ცუდად დამთავრდეს!

ბოგდან კნუნიანცი: ცუდად მაშინ დამთავრდება ყველაფერი, თუ საქართველომ ავტონომია მიიღო და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგა. ჩვენ მესამეხარისხოვან ძალად ვიქცევით, თუ საერთოდ გაგვაჩერეს საქართველოში.

ფილიპე მახარაძე: ამხანაგო ბოგდან! ჯუღაშვილი სულელი არ არის! არ გაფიქრებს მისი უარი?

ბოგდან კნუნიანცი: დღეს ჯუღაშვილის პოზიციის შესაფასებლად არ შევკრებილვართ, ჩვენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალება უნდა შევასრულოთ!

სერგო ორჯონიკიძე: ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია, მისი ხელახალი განხილვა კი ჩვენი საქმე არ არის! არც ჯუღაშვილის პოზიციის გარკვევაა ჩვენი საქმე!

ბოგდან კნუნიანცი: გადავიდეთ საქმეზე. ილია ჭავჭავაძე შეიძლებოდა მოგვეკლა ჩასაფრებიდან გასროლით სადმე, ტყიან ადგილას, ან სულაც თბილისში. ჟენევაში ამხანაგებმა სავსებით სწორად გამოთქვეს აზრი იმის შესახებ, რომ აუცილებელია ჭავჭავაძე მოკლან გლეხებმა, ვითომდა, მასზე გაბოროტებულმა გლეხებმა. ამით დაიფარება მკვლელობის დამკვეთი და პოლიტიკურ მკვლელობაზეც ვეღარ ისაუბრებს ვინმე. გლეხებმა ბევრი მემამულე მოკლეს ამ წლებში. ჭავჭავაძის მკვლელობას რომ პოლიტიკური მკვლელობის ხასიათი მიეცეს და კვალი ჩვენკენ წამოვიდეს, ყოვლად დაუშვებელია. ამხანაგო ფილიპე! თქვენ გევალებათ საგურამოს გლეხების დარაზმვა ჭავჭავაძის წინააღმდეგ, ეს კარგად გააკეთეთ 1905 წელს, იმედია, ახლა კიდევ უფრო კარგად გაართმევთ თავს. პირადად გლეხებს არ ეჩვენოთ, უნდა იმოქმედოთ არა მეორე, არამედ მესამე პირის მეშვეობით. მგონი გასაგებია, რომ მესამე პირი თქვენ არ უნდა გიცნობდეთ. რაც შეეხება მეორე პირს, იგი უნდა მოკლათ ტერორისტული აქტის დღესვე, ან მეორე დღეს მაინც. გლეხების ჯგუფმა, 5-6 კაცმა, ჭავჭავაძის ეტლი უნდა გააჩეროს ან საგურამოდან თბილისში მიმავალი, ან პირიქით – თბილისიდან საგურამოში მიმავალი. თუ გლეხები ჭავჭავაძეს მოკლავენ, ხომ კარგი, თუ არადა, იქვე ჩასაფრებაში იქნება ერთი ტერორისტი, რომელიც ესვრის ილიას. გლეხებს ბოლომდე ვერ ვენდობით, შეიძლება ბოლო მომენტში მერყეობა დაიწყონ. ტერორისტმა კი თავისი საქმე კარგად იცის. ამხანაგო სერგო! ამ ტერორისტის მოძებნა შენ გევალება. ჩვენ მისი გასროლის იმედად ვართ. ფულზე უკან ნუ დაიხევ. ამხანაგო ფილიპე! ამ ტერორისტის შესახებ გლეხებმა არაფერი უნდა იცოდნენ, ხოლო ტერორისტმა გლეხების ჩასაფრების ადგილი წინასწარ უნდა დაათვალიეროს და სროლისათვის ადგილი შეარჩიოს. ფული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უკვე გადმომცა და ჩემთან ინახება. კიდევ ერთი დეტალი. ილიას მეეტლე ან მისი მცველი, უკეთესია მეუღლე, ცოცხალი გადარჩეს, ბიებას გლეხების თავდასხმის ფაქტი რომ დაუდასტურონ. ეს უკვე თქვენ გეხებათ, ამხანაგო ფილიპე! შეიძლება გლეხების მიერ ჭავჭავაძის მოკვლა არადამაჯერებელი გამოდგეს, ამიტომაც იმავე დღეს უნდა დაირხეს ხმები, რომლის მიხედვითაც, ჭავჭავაძე მოკლეს ძარცვის მიზნით. ან იმის შესახებ, რომ ჭავჭავაძე მოკლეს რუსის ოფიცრებმა, ან უცნობმა პირებმა, რომლებიც სომხურად ლაპარაკობდნენ. ამხანაგო სერგო! ტერორისტი ქართველი უნდა იყოს. შეასრულებს თუ არა თავის საქმეს, იგი იმავე დღეს ბაქოში ან ბათუმში უნდა გადაიყვანო და ორი-სამი კვირა დამალო. ახლა დავიშალოთ. ჯერ მე წავალ, შემდეგ თქვენ, ოღონდ ცალ-ცალკე, ათი წუთის ინტერვალით (ბოგდან კნუნიანცი გადის).

ფილიპე მახარაძე: სერგო! ამ საქმეში ყველაზე მეტად ჯუღაშვილის პოზიცია მაშინებს. ვერაგი კაცია! ახლა შეიძლება ვერაფერი გაიგოს, მაგრამ ეჭვს აიღებს და ვინ იცის, როდის გაგვიხსენებს!

სერგო ორჯონიკიძე: ვერაფერს გაიგებს! ამ-ხანაგი ბოგდანი ჭკვიანი კაცია, იმიტომ ენდობა ამხანაგი ლენინი. ჩვენ არ გვითხრა, თორემ რა მიხვედრა უნდა: გლეხები, რუსი ოფიცრები და სომხები ჯუღაშვილის დასაბნევადაც არის გამიზნული.

ფილიპე მახარაძე: სერგო! კნუნიანცისთანა კაცები ჯუღაშვილისთანა კაცებს ვერ მოატყუებენ. ვგრძნობ, ამ საქმიდან ლენინიც თავს დაიძვრენს და კნუნიანციც, ჩვენ კი ცუდი დღე დაგვადგება. მე წავედი (გადის).

სერგო ორჯონიკიძე (თავისთვის ჩაილაპარაკებს): თუ ეს დავალება არ შევასრულე, ლენინს ვერასდროს დავუახლოვდები, ვინ ჩამაგდებს მე კაცად, ვის რაში ვჭირდები! მთელი ცხოვრება ფილიპეს ჩრდილში უნდა გავატარო? (გადის).

მეათე სცენა

თბილისი. ხარფუხი. კონსპირაციული ბინა. ოთახში სხედან: იოსებ ჯუღაშვილი და სიმონ ტერ-პეტროსიანცი (კამო). დრო: 1907 წლის ივნისის მეორე ნახევარი.

(იოსებ ჯუღაშვილი ამრეზილია, ალმაცერად უყურებს კამოს).

კამო: როდის ჩამოხვედი ბაქოდან?

იოსებ ჯუღაშვილი: შენ რა იცი, საიდან ჩამოვედი? საქმეზე ილაპარაკე! რამდენჯერ გითხარი: ნუ მეძებ, თუ საჭირო იქენი, მე თვითონ გიპოვნი-თქო?

კამო: სასწრაფო საქმეა, კობა! გადადება არ იქნებოდა!

იოსებ ჯუღაშვილი: ამოღერღე!

კამო: გაიგებდი, ესერებმა ერევანსკის მოედნიდან ხაზინის ფული გაიტაცეს, დიდი ფული.

იოსებ ჯუღაშვილი: ვინ გაიტაცა?

კამო: სარქის ოთაროვი იყო და კიდევ ექვსნი.

იოსებ ჯუღაშვილი: ოთაროვს შენი ჭკუა აქვს, მაგრამ შენ ის მაინც გასწავლე, რომ ერევანსკის მოედნიდან ფულის გატაცებას სულელის მეტი ვერ გაბედავს. ხომ ასეა?

კამო: მაშ!

იოსებ ჯუღაშვილი: შენ ვინ გითხრა, რომ ოთაროვი ხელმძღვანელობდა ფულის გატაცებას?

კამო: მთელი ქალაქი ამას ლაპარაკობს!

იოსებ ჯუღაშვილი: მთელი ქალაქი რომ ლაპარაკობდეს, სიმონ ტერ-პეტროსიანცი მეფისნაცვლად დანიშნესო, დაიჯერებ?

კამო: ვაჰ!

იოსებ ჯუღაშვილი: სანდო წყარო უნდა იყოს, რამდენჯერ გითხარი?

კამო: პოლიცმეისტერსთან ხომ არ მივიდოდი და ვკითხავდი?

იოსებ ჯუღაშვილი: მორჩი! რამდენჯერ უნდა აგიხსნა, როგორ უნდა გაიგო, ამბავი ნამდვილია თუ არა?

კამო: ესერებმა ფული ქალაქიდან ვერ გაიტანეს და ავლაბარში გადამალეს. ოცი ტერორისტი დარაჯობს იმ ფულს. ჟანდარმერიამ ფულის ადგილსამყოფელი იცის, მაგრამ სისხლისღვრას ერიდება, ტერორისტებს რამდენიმე ბომბიც აქვთ, სროლა რომ ატყდეს, მთელი ავლაბარი გადაიწვება. ძალიანაც რომ ეცადონ, ესერები ფულს ქალაქიდან ვერ გაიტანენ, მე მთხოვეს დახმარება.

იოსებ ჯუღაშვილი: ხომ გითხარი, სულელია ეგ შენი ოთაროვი!

კამო: ნაღდად! ერევანსკის მოედანზე სროლის დროს ცხენები დაფრთხნენ, ეტლმა პატარა ბავშვი გაჭყლიტა! თუ დაიჭირეს, ოთაროვს კატორღა არ ასცდება!

იოსებ ჯუღაშვილი (გამოცოცხლდება): სულელი კი ხარ, მაგრამ შენზე უკეთ მაგ საქმეს ვერავინ გააკეთებს!

კამო: რა ვქნა? დავეთანხმო?

იოსებ ჯუღაშვილი: ფულის გატანის გეგმა შენი შეთავაზებული უნდა იყოს. თუ ესერების გეგმით იმოქმედე, იცოდე, ფულს გაგატანინებენ და მერე მაგ სულელ თავსაც გაგიხვრეტენ, შენ დიდ გასამრჯელოს ვინ მოგცემს?

კამო: ვაჰ!

იოსებ ჯუღაშვილი: შეიძლება არ მოგკლან, მაგრამ ფულს ნამდვილად არ მოგცემენ!

კამო: ვაჰ!

იოსებ ჯუღაშვილი: შენთვის სულ ერთია: გინდ ფული არ მოუციათ და გინდ მოუკლიხარ. ხომ ასეა?

კამო: რო შევეშვა მაგ საქმეს?

იოსებ ჯუღაშვილი: არავითარ შემთხვევაში! დღეიდან ეს ფული ესერებს რომ ჟანდარმერიამ წაართვას, შენ გაეხვევი შარში. მიდი და უმტკიცე მერე ესერებს, რომ ჟანდარმერიის აგენტი არა ხარ, უეჭველად მოგკლავენ.

კამო: ე რა ხათაბალაში გავეხვიე! კიდევ კარგი, რომ ჩამოხვედი!

იოსებ ჯუღაშვილი: მისმინე! ოთაროვს ხომ კარგად იცნობ?

კამო: ერთად არ გავზრდილვართ, მაგრამ კარგად ვიცნობ.

იოსებ ჯუღაშვილი: ოთაროვს ნახავ და ასეთ გეგმას შესთავაზებ: უნდა გაითამაშოთ ქორწილი. შენ ნეფე იქნები, დედოფალს ესერები მოძებნიან. იცოდე, ის ქალი ტერორისტი იქნება და შენ ყოველ ნაბიჯს გააკონტროლებს. იქნება შენი მოკვლაც უბრძანონ! მატარებლით ჩახ-

ვალთ ბათუმამდე, ბათუმიდან გემით, სადაც გნებავთ, ევროპის რომელ ქვეყანაშიც გინდათ. შენ პასპორტი არა გაქვს, რომც გქონდეს, შენი პასპორტით წასვლა არ შეიძლება.

კამო: რატომ?

იოსებ ჯუღაშვილი: რატომ და საბაჟო უნდა გაიაროთ. ეგ საქმე ოდესმე გასკდება და დაგიჭერენ. თუ ესერებმა არ მოგკლეს, ციმბირში გიკრავენ თავს. საბაჟო სხვისი პასპორტით უნდა გაიარო. იცი, პასპორტი სად უნდა მოიპარო?

კამო: ბაზარში!

იოსებ ჯუღაშვილი: მთელ ბაზარში ათ კაცს არ ექნება პასპორტი ჯიბეში, მთელ ბაზარს ხომ არ გაჩხრეკ? გარდა ამისა, შენ უცხოელის პასპორტი გჭირდება.

კამო: მა რა ვქნა?

იოსებ ჯუღაშვილი: უცხოელები გოგირდის აბანოში დადიან ხშირად. იქ უნდა მოიპარო პასპორტი, თანაც ტანსაცმელთან ერთად, ვითომ ჩვეულებრივმა ქურდმა მოიპარა.

კამო: ადვილი საქმეა! წავიდე?

იოსებ ჯუღაშვილი: სად უნდა წახვიდე? კარგად მისმინე! გემიდან ჩახვალ თუ არა, იმ შენს დედოფალს უნდა დაუსხლტე ხელიდან. ფრთხილად იყავი, შეიძლება სხვა ვინმეც გითვალთვალებდეს, თუ რაიმე შეგატყვეს, იქვე მოგკლავენ!

კამო: ვა! რა შარში გავეხვიე, კაცო! ო, ეგ სარქისა ოთაროვი მომცა ახლა აქა!

იოსებ ჯუღაშვილი: შენს დედოფალს რომ დაუძვრები, თუ იცი, მერე სად უნდა წახვიდე, ვის უნდა მიუტანო ფული?

(კამო გაშტერებული იყურება, დაბნეულია, არ იცის რა უპასუხოს, ხმას ვერ იღებს).

იოსებ ჯუღაშვილი: ჰა, ასე იფიქრე ხომ: იმ ფულს უკან წამოვიღებ, დავჯდები და სიკვდილამდე ფეხი ფეხზე გადადებული ვიცხოვრებო! სარქისას არ გაუყოფდი?

კამო: სარქისასა?

იოსებ ჯუღაშვილი (იცინის): ფული ჟენევაში უნდა მიუტანო ლენინს და პირადად ჩააბარო. ჟენევის მისამართს წასვლისას სადგურზე გადმოგცემს ჩემი კაცი, არსად ჩაიწერო, ზეპირად უნდა დაიმახსოვრო. ჟენევაში შენს წილ ფულს მოგცემენ, ახალ პასპორტსაც. სასწრაფოდ დაბრუნდი თბილისში. ეგ მოპარული პასპორტი დახიე და გადააგდე. საზღვარგარეთ ხეტიალი არ დაიწყო, მაშინვე დაბრუნდი თბილისში.

კამო: მერე სარქისამ რომ მკითხოს ფული სად წაიღეო?

იოსებ ჯუღაშვილი: ეგ შენი სარქისა მანამდე ციმბირში იქნება. მის ტერორისტებს კი ეგ ფული ფეხებზე ჰკიდიათ, იმათ თავის წილი უკვე მიღებული ექნებათ. შენ აღარავის გაახსენდები, ბოლშევიკები და ესერები მორიგდებიან!

კამო (დაფიქრებული): წავიდე?

იოსებ ჯუღაშვილი: წადი და ჩემთან მოსვლა აღარ გაბედო, მე თვითონ მოგძებნი (კამო გადის).

იოსებ ჯუღაშვილი (მარტო რჩება, დაფიქრდება და ჩაილაპარაკებს): ეს საქმე ზედგამოჭრილია ამისთანა რეგვენისათვის. ვერც კი ხვდება, რა შარში გაეხვა. აბანოში პასპორტის მოპარვასა და საზღვარგარეთ ფულის გატანას შორის განსხვავებას ვერ ხედავს. თუ სიხარბემ არ დაღუპა, გააკეთებს ამ საქმეს.

მეთერთმეტე სცენა

თბილისი. ავლაბარი. რსდმპ კომიტეტის კონსპირაციული ბინა. ოთახში სხედან იოსებ ჯუღაშვილი და ვასილ ცაბაძე. დრო: 1907 წლის ივნისის დამლევი.

(იოსებ ჯუღაშვილი და ვასილ ცაბაძე ფიქრს მისცემიან. დუმილს ვასილ ცაბაძე დაარღვევს)

ვასილ ცაბაძე: მაშ, მიდიხარ?

იოსებ ჯუღაშვილი: მივდივარ!

ვასილ ცაბაძე: ბაქოში?

იოსებ ჯუღაშვილი: არ გადამიწყვეტია!

ვასილ ცაბაძე: ჩვენ სხვადასხვა ფრაქციას ვეკუთვნით, მაგრამ მე ვაფასებ შენს ნიჭს, შენს გამბედაობას. ფრთხილად იყავი, შენისთანა ადამიანს ბევრი მტერი ჰყავს, ფრთხილად იყავი!

იოსებ ჯუღაშვილი: ვის გულისხმობ?

ვასილ ცაბაძე: ცხადია, ჟანდარმერიასა და ოხრანკას არა. ესენი რომ შენი მტრები არიან, შენც კარგად იცი (ილიმება). მე ჩვენს პარტიას — რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ვგულისხმობ. პარტიაში ბევრი მტერი გყავს, რუსეთში კიდევ უფრო გაგიმრავლდებიან მტრები. ფრთხილად იყავი!

იოსებ ჯუღაშვილი: შენთან შეიძლება თქვა. სანამ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში ორი ფრაქცია — ბოლშევიკური და მენშევიკური — არსებობს, შეიძლება ითქვას, პარტია არც არსებობს. სტოკჰოლმის ყრილობაზე დავრწმუნდი, რომ ბოლშევიკთა და მენშევიკთა გაერთიანება უიმედო საქმეა. ერთადერთი პერსპექტივაა: ერთის ნაცვლად ორი პარტია უნდა შეიქმნას, ორი დამოუკიდებელი პარტია. სამწუხაროდ, ამის გაგება არ სურს არც გიორგი პლეხანოვს და არც ვლადიმერ ლენინს. ერთმანეთი ეზიზღებათ და, ამავე დროს, ერთ პარტიაში უნდათ ყოფნა, ვერ გაიგეს, რომ უნდა დასცილდნენ ერთმანეთს.

ვასილ ცაბაძე: გიორგი პლეხანოვი ჭკვიანი კაცია, ვერ გამიგია, რა მოსდის?

იოსებ ჯუღაშვილი: გიორგი პლეხანოვს ყველაფრის ნიჭი აქვს, გარდა სახელმწიფო მოღვაწისა. ის კარგი მწერალი, კარგი პუბლიცისტი და კარგი ფილოსოფოსიც იქნებოდა, სახელმწიფო მოღვაწედ კი ვერ გამოდგება. სახელმწიფოებრივი აზროვნების ნასახი არ გააჩნია, ზის და ოცნებობს. თავისი შეხედულებებით არც რუსია და ევროპელი, სადღაც რუსეთსა და ევროპას შორის ჩარჩა და ამ მდგომარეობისათვის თავის დაღწევა ვერ მოუხერხებია — ვერც წინ მიდის, ვერც უკან ბრუნდება. ესაა ყველა მოაზროვნე რუსის ბედი!

ვასილ ცაბაძე: ვლადიმერ ლენინს ნაკლებად ვიცნობ, რა აქვთ საერთო პლეხანოვსა და ლენინს?

იოსებ ჯუღაშვილი: ლენინთან პირველი შეხვედრისას უნებურად გამიჩნდა შეგრძნება, რომ ვესაუბრებოდი ჯიბის ქურდს. ნაკითხი კაცია, მაგრამ განათლება არა აქვს. თითქმის არ იცის ისტორია, ძალზე მოიკოჭლებს ფილოსოფიაში, ლიტერატურით, მათ შორის — რუსულით, ალბათ, არასოდეს დაინტერესებულა. პლეხანოვთან მისი შედარება არ შეიძლება. პლეხანოვი გრძნობს ამას და ზემოდან უყურებს, "ულიკს" ეძახის. პლეხანოვთან შედარებით, ლენინს ერთი უპირატესობა აშკარად აქვს: რუსეთს ასე თუ ისე იცნობს. სახელმწიფო მოღვაწე არც ლენინისაგან დადგება. მამამისმა კარგი პროფესია შეურჩია. ადვოკატობით რომ დაკმაყოფილებულიყო, მთელს ცხოვრებას მშვიდად გაატარებდა.

ვასილ ცაბაძე: ახლა აღარ მიკვირს, რატომ ეგებიან რუსეთში ფეხქვეშ ნოე ჟორდანიას.

იოსებ ჯუღაშვილი: ნოე ჟორდანია მაგათთან შედარებით ჰეგელია. პლეხანოვი გვერდიდან არ იცილებს, ლენინი კი ეხვეწება: ხელს ნუ გვიშლი, დაბრუნდი კავკასიაში და რაც გინდა, ის აკეთეო. ლენინს აშკარად ეშინია ნოესი.

ვასილ ცაბაძე (იცინის): ნოე რას პასუხობს?

იოსებ ჯუღაშვილი: რა უნდა უპასუხოს? არც ეგ გაუჩენია სახელმწიფო მოღვაწედ ღმერთს. გაზეთის რედაქტორობა და თბილისის თვითმმართველობაში ლაყბობაა მაგისი საქმე. უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებენო, სწორედ ნოეზეა ნათქვამი.

ვასილ ცაბაძე (იცინის): აბა, აბა, მეგობარს ნუ გამილანძღავ!

იოსებ ჯუღაშვილი: არ არის ნოე ჟორდანია შენი მეგობარი. ნოე ჟორდანია სილიბისტრო ჯიბლაძის მეგობარია! ჰო, მართლა, სად აგდია სილიბისტრო?

ვასილ ცაბაძე: სადუნდა იყოს, აქაა, თბილისში.

იოსებ ჯუღაშვილი: რა ქნეს, გადააბრუნეს სილიბისტროს მიერ განსწავლულმა მუშებმა მეფის ტახტი? თურმე თბილისში მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს, ხოლო პეტერბურგში ნიკოლოზს გული უსკდებოდა: არიქა, გვიშველეთ, სილიბისტრო ჯიბლაძემ რომ მუშებს კარლ მარქსის "კაპიტალი" შეასწავლა, სწორედ ის მუშები მოდიანო! (იცინის).

ვასილ ცაბაძე (იცინის): შენც მასთან არ იყავი, მისი მოწაფე არა ხარ?

იოსებ ჯუღაშვილი (დაფიქრებით): ვიყავი, სილიბისტროს მოწაფე ვიყავი, შენი მოწაფეც ვიყავი! ერთი რამ უნდა გითხრა, თუ არ მიწყენ!

ვასილ ცაბაძე: თქვი, რატომ უნდა მეწყინოს?

იოსებ ჯუღაშვილი: სილიბისტრო ჯიბლაძესაც, ვასილ ცაბაძესაც, ნოე ჟორდანიასაც, გიორგი პლეხანოვსაც, ვლადიმერ ლენინსაც და ბევრ სხვასაც რუსეთსა და საქართველოში სოციალ-დემოკრატობა პროფესიად გექცათ. ძალიან მშვიდად ხართ და აგრძელებთ თქვენს საქმიანობას. ნუ გეწყინება, და ასე მგონია, თქვენ რომ მოხუცდებით, ნიკოლოზ II პენსიასაც მოსთხოვთ. ვერ გაგიგიათ რომ სოციალ-დემოკრატობა პროფესია არ არის, ეს პოლიტიკაა და ყველა პოლიტიკოსის მიზანი ხელისუფლების დაპყრობაა. ასე იყო და ასე იქნება! ის მუშები, შენ და სილიბისტრო რომ სოციალიზმის თეორიის დოგმებს აზუთხვინებთ, ნიკოლოზის ტახტს ვერ გადააბრუნებენ! თავსაც იტყუებთ და იმ საცოდავებსაც ატყუებთ! ციხემ და კატორღამაც ვერ გასწავლათ ჭკუა. ძალაუფლებას თქვენ ვერასოდეს ჩაიგდებთ ხელში. სასწაული რომ მოხდეს და ჩაიგდოთ, მალევე დაკარგავთ. თქვენ რუსეთის იმაზე ცუდი პატრონები იქნებით, ვიდრე რომანოვები არიან! ხომ ასეა?

ვასილ ცაბაძე (დაფიქრებული): შენ რას აპირებ?

იოსებ ჯუღაშვილი (დაფიქრებული): არ ვიცი, თქვენსავით უქმად ჯდომას არ ვაპირებ, მომწყინდა ეს ყველაფერი! მაქვს რაღაც მოფიქრებული, მაგრამ ბოლომდე დალაგებული არა მაქვს, რომც მქონდეს მაინც ვერ გეტყვი.

ვასილ ცაბაძე: ფრთხილად იყავი, კობა! ადრეც გითხარი: შენისთანა ადამიანს ბევრი მტერი ჰყავს. ის, რაც მითხარი, კიდევ უფრო ბევრ მტერს გაგიჩენს. ფრთხილად იყავი! როგორ მოგძებნო?

იოსებ ჯუღაშვილი: მე თვითონ მოგძებნი, ხომ იცი, ძველ ჩვეულებას არ ვღალატობ (ორივენი წამოდგებიან, ერთმანეთს გადაეხვევიან. იოსებ ჯუღაშვილი პირველი ტოვებს კონსპირაციულ ბინას).

ვასილ ცაბაძე (მარტოდ დარჩენილი): არავის არ დაინდობს: არც სილიბისტრო ჯიბლაძეს, არც ვასილ ცაბაძეს, არც ნოე ჟორდანიას, არც

გიორგი პლეხანოვს, არც ვლადიმერ ლენინს და არც ნიკოლოზ II! არავის დაინდობს! (გადის).

მეთორმეტე სცენა

გორი. იოსებ ჯუღაშვილის სახლი. ოთახში სძინავს კეკეს. დრო: 1907 წლის ივლისის დამდეგი.

(იოსებ ჯუღაშვილი კარზე ფრთხილად აკაკუნებს. კეკე გამოფხიზლდება, ტანთ ჩაიცვამს და კართან მივა).

კეკე: რომელი ხარ?

იოსებ ჯუღაშვილი: მე ვარ, დედა, არ შეგეშინდეს!

კეკე (სასწრაფოდ გააღებს კარებს): მაინც არ იშლი შუაღამით სიარულს ხომ? (დედა და შვილი ერთმანეთს გადაეხვევიან). როგორა ხარ, შვილო? (ორივენი საწოლზე ჩამოსხდებიან).

იოსებ ჯუღაშვილი: არა მიჭირს. შენ როგორა ხარ, დედა?

კეკე: მოვხუცდი, შვილო, ჯანი აღარ მომდევს... ჰო, კინაღამ დამავიწყდა შენი თხოვნა, პირველი რა უნდა გითხრა: სამჯერ მოგაკითხა ყანდარმმა მომონოვმა, სად არისო, იკითხა.

იოსებ ჯუღაშვილი: რა უპასუხე მაგ ლოთს?

კეკე: როგორც დამარიგე: დიდი ხანია არ მინახავს, წერილიც არ მოუნერია-მეთქი.

იოსებ ჯუღაშვილი: ძალიან კარგი!

კეკე: დამაცადე, კიდევ უნდა გითხრა რაღაც. ყანდარმერიის კაცი რომ არის ერთი, რას ეძახი შენ ველარ დავიმახსოვრე...

იოსებ ჯუღაშვილი: ფარული მეთვალყურეობის აგენტი.

კეკე: ჰო, აი, ეგა! სამი დღეა სულ ჩვენს უბანში დაეთრევა, ორჯერ ჩვენთანაც შემოიარა, თითქოს ისე, სხვათა შორის. კარზე კაკუნი რომ გავიგონე, ეგ ოხერი მეგონა, შემეშინდა.

იოსებ ჯუღაშვილი: ეტყობა იყნოსეს, თბილისში რომ ჩამოვედი, იფიქრეს, გორში დედას აუცილებლად ნახავსო. ჭკვიანი ხალხია, მაგათ იმედად იყოს ნიკოლოზ II (იცინის).

კეკე: საიდან ჩამოხვედი თბილისში?

იოსებ ჯუღაშვილი: აგარაკიდან (იცინის).

კეკე: შენ იცინი და იცი, რამდენი კაცი დაიჭირეს გორში? სად გადაკარგეს, არავინ იცის! სულ გადამავიწყდა, ვახშამს მოგიმზადებ, პური ჭამე, შვილო (წამოდგება).

იოსებ ჯუღაშვილი: არაფერი არ მინდა. მალე უნდა წავიდე, ჩამოჯექი, ვისაუბროთ. აი, ცოტა ფული მოგიტანე, დრომდე იკმარე, შემდეგ კიდევ გამოგიგზავნი (ფულს გადასცემს).

კეკე (დანაღვლიანებული): კითხვა აღარ უნდა, სადღაც შორს მიდიხარ!

იოსებ ჯუღაშვილი: შეიძლება წავიდე!

კეკე: სად?

იოსებ ჯუღაშვილი: შენთვის რა მნიშვნელობა აქვს (იცინის).

კეკე: მამა თუ ნახე, შვილო!

იოსებ ჯუღაშვილი (მოიღუშება): გუშინ ფული გავუგზავნე, მითხრეს, გამუდმებით სვამსო. ის ფული ალბათ გუშინვე დახარჯა.

კეკე: ქმარმა მიღალტა, ღმერთმა შეუნდოს (პირჯვარს გადაისახავს). აი, შენ რომ დაგეჯერებინა და მღვდელი გამოსულიყავი, ჩემზე ბედნიერი ქალი არ იქნებოდა გორში!

იოსებ ჯუღაშვილი (დაფიქრებული): აკი დაგიჯერე და სასულიერო სასწავლებელი დავამთავრე, სასულიერო სემინარიაშიც შევედი, მაგრამ მივხვდი, რომ ჩემგან მღვდელი არ გამოვიდოდა!

კეკე: რატომ, შვილო?

იოსებ ჯუღაშვილი: ამ ქვეყანას პატიოსანი მღვდლის კეთილი სიტყვა ვერას უშველის, მე კი მრევლს ვერ მოვატყუებდი. მღვდელმა სიმშვიდისა და მორჩილებისაკენ უნდა მოუწოდოს მრევლს. ეს რომ გამეკეთებინა, ჩემი თავის მოტყუება გამოვიდოდა. ამას ვინ ჩივის, ღმერთთანაც და კაცთანაც მართალი არ ვიქნებოდი, რადგან არა მწამს, რომ ჩაგრულს, დევნილს, ღატაკს რაიმე ეშველება, თუ ეს ქვეყანა არ გადატრიალდა და სამართლიანობა არ დამყარდა. ამაში რომ დავრწმუნდი, იმიტომ ვთქვი მღვდლობაზე უარი.

კეკე: თუ ქვეყანას რაიმე ეშველება...

იოსებ ჯუღაშვილი (წამოდგება, დედას გადაეხვევა): ჩემი წასვლის დრო მოვიდა. ყანდარმი მომონოვი გაიღვიძებდა და დამიჭერს (იცინის). შენ ნუ გამოხვალ, დაწექი. ხვალ ან ზეგ მოგაკითხავენ. რას გკითხავენ და რა უნდა უპასუხო, იცი. მშვიდობით! (იოსებ ჯუღაშვილი კიდევ ერთხელ ეხვევა დედას, კეკე შვილს პირჯვარს გადასახავს. იოსებ ჯუღაშვილი გადის კეკე ხატების წინ დაიჩოქებს და ლოცვას იწყებს).

ფარდა

(პირველი მოქმედების დასასრული)

(გაგრძელება იქნება)



ჩინელის ამბავი

ექვსი სურათი მოთხრობის ნაცვლად

I

მდინარე და საათი

იგი შესანიშნავი ხოძია[1], ციური იმპერიის ნამდვილი ზაფრანისფერი წარმომადგენელი, ასე 25 წლისა, ანდა, შესაძლოა, ორმოცისა? ეშმაკმა უწყის! მგონი, 23 წლისა გახლდათ.

არავინ იცის, იდუმალებით მოცულმა ხოძიამ რამდენიმე ათასი ვერსი ხმელი ფოთოლივით რატომ გადმოიფრინა და მდინარის სანაპიროზე აღმართული ქონგურებიანი დაღრღნილი კედლის ძირას აღმოჩნდა. ხოძიას მაშინ გაბურძგნული ყურებიანი ქუდი ეხურა, ნაკერებზე გარღვეული მოკლე ქურქი და უკანალზე გამოფხრეწილი დალიანდაგებული შარვალი ეცვა, ხოლო ფეხებზე საუცხოო, ყვითელი, მაღალყელიანი ფეხსაცმელი ემოსა. ეტყობოდა, რომ ოდნავ მოღუნული, მაგრამ დაძარღვული ფეხები ჰქონდა. ფული კაპიკიც არ გააჩნდა.

კედელთან ყურებიანი ქუდივით გაბურძგნული უსიამოვნო ქარი დაქროდა. ერთხელ თვალის შევლებაც კმაროდა იმის მისახვედრად, რომ მდინარე ძალზე ცივი და უცხო იყო. ხოძიას უკან ტრამვაის ცარიელი ხაზი მოჩანდა, ხოლო წინ დასვრეტილი გრანიტი, გრანიტს იქით, ფერდობზე, ძირგახვრეტილი ნავი, ნავს იქით ის წყეული მდინარე, მდინარის იქით ისევ გრანიტი, გრანიტს იქით კი სახლები, ქვიტკირის სახლები, ეშმაკმა უწყის, რამდენი სახლი. სულელური მდინარე რატომღაც შუა ქალაქში მიედინებოდა.

გრძელი წითელი მილებისა და მწვანე სახურავების თვალიერებით გული რომ იჯერა, ხოძიამ მზერა ცას მიაპყრო. ცა ყველაფერზე უარესი იყო, რუხზე-რუხი, ჩაჟანგულ-ჩაჟამებული. ძალზე დაბალი, კედლის მიღმა ამოზიდული გუმბათების გასწვრივ, რუხ ცაზე მიცურავდა ჩარუმბულ-ჩათქვირული ღრუბლები. ხოძიას ცა გაბურძგნულ ქუდზე მძიმედ ჩამოემხო. აშკარა შეიქნა, რომ ახლა თუ არა, ცოტა ხნის შემდეგ მაინც ამ ციდან ცივი, სველი თოვლი ჩამოცვიოდა და, საერთოდაც, იმედი არ უნდა ჰქონოდა, რომ ასეთი ცის ქვეშ რაიმე სასიკეთოს მიაკვლევდა, სიმაძღრესა და სიამოვნებას ჰპოვებდა.

— ოოო, — რაღაც ჩაიბუტბუტა ხოძიამ და რამდენიმე სიტყვა სევდიანად კიდევ დაუმატა იმ ენაზე, რაც არავის გაეგებოდა.

ხოძიამ თვალები მოჭუტა და უმალვე მის წინაშე ამოტივტივდა ძალზე მცხუნვარე, მრგვალი მზე, ყვითელი, მტვრიანი გზა, გვერდზე ოქროს კედელივით აღმართული გაოლიანის[2] ტევრი, შემდეგ ტოტებგაშლილი მუხა, მიწაზე მოჩუქურთმებულ ჩრდილს რომ ჰფენდა, და ფანზის[3] წინ ალიზის ზღურბლი. ზღურბლთან ვითომ პატარა ხოძია დაყუნცულიყო და ძალიან გემრიელ ლავაშს შეექცეო-

1. ხოძია — იმხანად ჩინელის მეტსახელი რუსეთში

1. გაოლინი — მაღალი, ოთხი მეტრის სიმაღლე მცენარე, ჩინური ფეტვი.
2. ფანზა — ჩინური პატარა სახლი.

და, ხოლო თავისუფალ მარცხენა ხელს ცეცხლივით მხურვალე მიწაზე აფათურებდა. ხოძიას ძალიან სწყუროდა, მაგრამ წამოდგომა ეზარებოდა და ელოდა, მუხის იქიდან დედა როდის გამოჩნდებოდა. დედას მხრეულზე ორი ვედრო ეკიდა და ყინულივით ცივი წყალი მოჰქონდა...

ხოძიას მკერდი შიგნიდან თითქოს სამართებელმა ჩაუსერა და გადაწყვიტა, რომ კვლავ უზარმაზარ სივრცეთა გადასალახავად გასწევდა. გასწევდა, მაგრამ როგორ? როგორ ესაზრდოვა? როგორმე. კიტაი-სა... შეუშვი, ვა-გო-ნო.

უზარმაზარი ქონგურებიანი კედლის კუთხიდან ზარების მუსიკა მოისმა. ზარები ბუნდოვნად წკრიალებდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ, მაგრამ მაინც ცხადყოფდნენ, რომ ცდილობდნენ, რაღაც მელოდია ხმაშეწყობილად და ძლევამოსილად ეგალობათ. ხოძია იქით გაემართა, კუთხეს გასცდა, შორს, მაღლა აიხედა და ნახა, რომ მუსიკას რუხი ნოპწოპა კოშკის ოქროსისრებიანი, მრგვალი, შავი საათი გამოსცემდა. საათი რეკვა-გალობას მორჩა და დადუმდა. ხოძიამ ღრმად ამოიოხრა, პირდაპირ კოშკში ტრასტრახით შესულ გაქერცლილ მოტოციკლეტს თვალი გააყოლა, ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა და გაურკვეველი მიმართულებით გაემართა.

II

შავი კვამლი, ბროლის დარბაზი

საღამოთი ხოძია ქალაქის განაპირას აღმოჩნდა. შორს დარჩა მგალობელი საათი და რუხი სათოფურები. ჭუჭყიანი გარეუბნის მეორე გასასვლელ ეზოში, რომლის მიღმაც დამყაყებული რუხი თოვლის ზოლებითა და წითელი აგურის ნამსხვრევებით დაფარული უშენი ადგილი იწყებოდა, ორსართულიანი სახლი იდგა. მყრალი დერეფნის ბოლოს, პატარა ოთახში, კარზე დაფხრეწილი მუშამბა რომ ჰქონდა აკრული, მომცრო ღუმელი იდგა. ღუმელში შეშა იწვოდა და მოწითალო ალი ავად ბრიალებდა. ღუმლის ცეცხლოვანი, მრავალნასვრეტებიანი კარის წინ ძალზე ხნიერი ჩინელი ჩაყუნცულიყო. ასე ორმოცდათხუთმეტი, ანდა იქნებ ოთხმოცი წლისა იქნებოდა. სახის კანი ქერქად ჰქცეოდა, ღუმლის კარს როცა გამოაღებდა, თვალები დემონივით ავად უელავდა, ხოლო როცა მიხურავდა, ჩაუღრმავდებოდა და ცივად, სევდიანად იმზირებოდა. ხოძია დიდრონი, სხარტი ბაღლინჯოებით გაძეძგილ, ჩაღუნულ დასაკეც საწოლზე დაფენილ, ნაკუწებისგან შეკერილ, გაზინთლულ საბანზე იჯდა, შეჭვარტლულ ჭერზე მოფარფატე და მოთამაშე შავ და წითელ ჩრდილებს დაფეთებული და გაფაციცებული უცქეროდა, მხრებს მალიმალ ისე არხევდა, თითქოს აურჟოლებსო, ხელს საყელოში შეიყოფდა, გააფთრებით იფხანდა და ბებერი ჩინელის მონაყოლს უსმენდა.

ბერიკაცი ლოყებს აბურცავდა, ღუმელს უბერავდა და თვალებს მუშტებით ისრესდა, როცა მწარე კვამლი აუწვავდა. ამ დროს თხრობას წყვეტდა. მერე ღუმელის კარს მიხურავდა, ჩრდილში ჩაიკარგებოდა და ხოძიას გარდა ყველასთვის გაუგებარ ენაზე ალაპარაკდებოდა.

ბებერი ჩინელი მოკლე-მოკლედ ძალზე გულგასატეხ რაღაცას ამბობდა, რაც შემდეგს ნიშნავდა: პური არ არის. სრულებით არ არის. მეც მშიერი ვარ. ვაჭრობა არ არის. ცოტა კოკაინი მაქვს, ოპიუმი არ არისო. ბოლო სიტყვები ეშმაკმა ჩინელმა განსაკუთრებით გამოკვეთილად წარმოთქვა. ოპიუმი არ არის, ოპიუმი არა, არ არის, ვაი, ვაი, არ არისო. ბებრული ჩინური თვალები ამ დროს ირიბ ჭრილებში მთლად იმალებოდა და ღუმლის შუქი თვალთა იდუმალ სიღრმეში ვერ აღწევდა.

— მაშ რა არის? — ჰკითხა სასოწარკვეთილმა ხოძიამ და მხრები აუცახცახდა.

— რა არის? — რაღაც, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ ყველაფერი ისეთია, ჯობდა, არ ყოფილიყო. — სივრცე არის, ჩეკისტებისგან დევნა არის. კოკაინის პაკეტი უნდოდათ წაერთმიათ და დანა დამარტყეს. მკვლელი მართმევდა, ნასტკას არამზადა.

ბერიკაცმა თხელ კედელს თითი ატაკა. ხოძიამ ყური მიუგდო და ქალის ჩახრინწული სიცილი და სისინ-ხიხინი შემოესმა.

— არაყი არის, — თქვა ბერიკაცმა, მერე გაქონილი კოფთის სახელო გამოიწია და ძარღვებით ჩახლართულ-ჩაკვანძულ წინამხარზე ახალი ირიბი სამგოჯიანი ნაიარევი გამოაჩინა. კარგად ეტყობოდა, რომ ეს ბასრი ფინური დანის ნაკვალევი იყო. ბერიკაცმა მეწამულ ნაიარევს დახედა, თვალები მიეინისლა, ხმელი კისერი ჩაუმუქდა, კედლისკენ პირი მიაქცია და ჩაიჩურჩულა:

— ბანდიტი არის!

მერე დაიხარა, ღუმლის კარი გამოაღო, ცეცხლოვან ხახაში ორი ნაფოტი შეტენა, ლოყები გაბერა და ჩინურ ავსულს დაემგვანა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ შეშა თანაბრად

და მძლავრად გუგუნებდა, შავი მილი თანდათან წითლდებოდა. ოთახში სიმხურვალე დატრიალდა, ხოძიამ ქურქი გაიძრო, საწოლიდან ჩაჩოჩდა და იატაკზე ფეხმორთხმული დაჯდა, სითბოში გულმომბალი ბებერი ჩინელი ფეხებაშოკეცილი იჯდა და რაღაც აბდაუბდას ჩმახავდა. ხოძია ყვითელ ქუთუთოებს ახამხამებდა, დასიცხული ფშუტუნებდა და ბერიკაცს შეცბუნებული სევდიანად ხანდახან თუ შეეკითხებოდა რაიმეს. ბერიკაცი კი ბურტყუნებდა: მე ბებერი ვარ და აღარაფერი მადარდებს. ლენინი არის, ყველაზე მთავარია და ძალიან არის, ბურჟუები არ არის, ოჰ, არ არის! სამაგიეროდ, წითელი არმია არის. ბევრი არის. მუსიკა? არის, არის. მუსიკა იმიტომ არის, რომ ლენინი საათიან კოშკში ზის. კოშკის იქით? კოშკის იქით წითელი არმია არის.

— შინ დაბრუნება? არა, არა! საშვი არ არის, კარგი ჩინელი წყნარად ზის.

— მე კარგი ვარ, სად ვიცხოვრო?

— სად იცხოვრო? არა, არა. წითელი არმია ყველგან არის.

— წითელი... — ჩაიჩურჩულა გაოგნებულმა ხოძიამ და ცეცხლოვან ნახვრეტებს ჩააშტერდა.

ერთი საათი გავიდა. გუგუნი ჩაწყნარდა, ღუმლის კარის ექვსი ნახვრეტი ექვსი ცეცხლოვანი თვალივით იმზირებოდა. მოცახცახე ჩრდილებსა და მოწითალო ათინათებში გახვეული ხოძია იატაკზე დამხობილიყო, ხელებს ბერიკაცისკენ იწვდიდა და რაღაცას ემუდარებოდა.

გაიარა საათმა, კიდევ ერთმა საათმა. ღუმლის კარის ექვსი ნახვრეტი დაბრმავდა, გამოღებული სარკმლისკენ შავი, ტკბილი კვამლი მიიწევდა. კარს ზემოთ ღრიჭო ძონძებით იყო გამოჭედილი, ხოლო გასაღების ნახვრეტი ჭუჭყიანი ცვილით ამოგოზილი. სპირტქურის წვრილი, მოლურჯო ალი იატაკზე თრთოდა. ხოძიას ქურქი სპირქურასთან გაეშალა და ცალ გვერდზე მოსწოლოდა, ხელში ნახევარი არშინის სიგრძეზე ჩიბუხი ეჭირა. ჩიბუხზე ფეხებგაფარჩხული დრაკონ-ხვლიკი იყო ამოჩუქურთმებული, ხოლო ოქროსფრად მოელვარე სპილენძის ბუნიკში შავი ბურთულა მეწამული წერტილივით დნებოდა. სპირტქურას მეორე მხრიდან ბებერი ჩინელი მოსწოლოდა. იატაკზე დაფხრეწილი საბანი გაეშალა, ხელში ისეთივე ყვითელი ჩიბუხი ეჭირა. მის გარშემო, ისევე, როგორც ხოძიას ირგვლივ, შავი კვამლი იბოლქვებოდა, დნებოდა და სარკმელისკენ მიიწევდა.

გათენებისას იატაკზე, ოდნავ მბჟუტავი ალის გვერდით, ბუნდოვნად მოჩანდა მოყვითალო-მოშავო კბილთა ორი რიგი. ბერიკაცი სად იყო, არავინ უწყოდა. ხოძია კი უზარმაზარი საათის ქვეშ ბროლის დარბაზში ცხოვრობდა. საათი ყოველ წუთში აწკრიალდებოდა, როგორც კი ოქროს ისარი წრეს შემოირბენდა. საათის წკრიალს ბროლის დარბაზში სიცილი მოჰყვებოდა და ძალზე მხიარული ლენინი გამოჩნდებოდა. ლენინს ყვითელი კოფთა ეცვა, ხელში უზარმაზარი, პირგამართული, მოელვარე ცელი ეჭირა, თავზე ღილდაკერებული ქუდი ეხურა. იგი ქანქარა ისარს ჩაეჭიდებოდა და მარჯვნივ გააქანებდა — მაშინ საათი მარცხნივ აწკრიალდებოდა, ხოლო როცა მარცხნივ გააქანებდა, ზარები მარჯვნივ აწკრიალდებოდა. ლენინი ზარების რეკვას როცა მორჩებოდა, ხოძიას ხელს მოჰკიდებდა, აივანზე გაიყვანდა და წითელ არმიას აჩვენებდა. ბროლის დარბაზში ცხოვრებას რა ჯობდა — თბილოდა, თან ნასტკასაც ხედავდა. მზეთუნახავი ნასტკა ბროლის სარკეზე მიაბიჯებდა, ქოშები ეცვა და ისეთი პატარა ფეხები ჰქონდა, კაცს მუჭაში ჩაეტეოდა. ნასტკას არამზადა, მკვლელი და ბანდიტი დარბაზში შემოძრომას აპირებდა, ხელში ფინური დანა ეჭირა, მაგრამ გოლიათივით შემზარავი და მამაცი ხოძია წამოდგა, პირფართე მახვილი მოუქნია და თავი წააგდებინა. თავი აივნიდან ჩაგორდა, ხოძიამ კი თავმოკვეთილ გვამს ხელი წამოავლო, მოიქნია და თავს კვალდაკვალ მიაყოლა. მთელმა ქვეყნიერებამ მოისვენა და გაიხარა, რადგან ის არამზადა დანამომარჯვებული ვეღარ იწანწალებდა. ლენინმა ხოძიას დასაჯილდოვებლად ზარებით მქუხარე ჰანგი დასჭექა და მკერდზე ბრილიანტის ვარსკვლავი ჩამოჰკიდა. ზარები ისევ აწკრიალდა და იქამდე წკრიალებდა, სანამ ბროლის იატაკზე გაოლიანის ოქროსფერი ტევრი არ ამოიზარდა; თავს ზემოთ მცხუნვარე, მრგვალი მზე გაბრწყინდა, ტოტებგაშლილი მუხა მოჩუქურთმებულ ჩრდილს ჰფენდა, მუხის იქიდან დედა მოდიოდა, მხრეულზე ვედროები ეკიდა და ყინულივით ცივი წყალი მოჰქონდა.

III

სიზმრები გაქრა, სინამდვილე დაბრუნდა

არავინ იცის, შემდგომ ოთხ დღეს ორსართულიან სახლში რა ხდებოდა. მხოლოდ ის

ვიცით, რომ მეხუთე დღეს ხუთიოდე წლით მობერებული ხოძია ატალახებულ ქუჩაში გამოვიდა, ოღონდ ქურქი აღარ ეცვა, ზურგზე ტომარა ჰქონდა მოხურული და ტომარას შავი დამღა აჩნდა: "ცოიჰი 4712". აღარც საუცხოო მაღალყელიანი ფეხსაცმელი ემოსა, ფეხები მოწითალო ჯღანებში ნაეყო და ამ ჯღანებიდან სადაფისფერფრჩხილიანი, დიდრონი, წითელი თითები მოუჩანდა. ქუჩის კუთხეში გადაბრეცილ ფარანთან ხოძიამ რუხ ცას თვალები ჩააშტერა, ხელი მტკიცედ ჩაიქნია და ვიოლინოსავით ჩაიმღერა:

— წითელი...

მერე გურკვეველი მიმართულებით წავიდა.

IV

ჩინელი ქამრადი

ორი დღის შემდეგ ხოძია მრავალთაღებიან უზარმაზარ დარბაზში ფიცარნაგზე იჯდა, ჯღანებიანი ფეხები ძირს ჩამოეკიდა, თავად თითქოს ბელეტაჟში იყო, ხოლო პარტერი ულვაშიანსა და უულვაშო თავებს გაევსო. ყველას წვეტიანი ქუდი ეხურა და ზედ უზარმაზარი წითელი ვარსკვლავი ჰქონდა მიკერებული. ხოძია ვარსკვლავიანთა სახეებს დიდხანს დასცქეროდა, ბოლოს იგრძნო, რომ ყურადღებაზე პასუხი რაიმეთი უსათუოდ უნდა გამოეხატა, თავდაპირველად ზაფრანისფერ სახეზე თავისი საუკეთესო ღიმილი გამოსახა, ??ამდეგ ნვრილ ხმაზე წამღერებით თქვა ყველაფერი, რაც მრგვალი მზიდან ზარებიანი საათის მქონე დედაქალაქამდე შემზარავი გადარბენისას დაისწავლა:

— პური... ვაგონო შეუშვი... წითელი... კიტაი-სა — მერე სამი სიტყვა დააყოლა, რომელთა შეთავსება სასწაულებრივი ეფექტის მქონე გასაოცარ კომბინაციას იძლეოდა. ხოძიამ გამოცდილებით იცოდა, რომ ამ კომბინაციას თბილანა ვაგონის კარის გაღება შეეძლო, მაგრამ ასევე შეეძლო, ჩინელის გადახოტრილ თავზე მუშტების საშინელი ბაგუნიც გამოეწვია. ქალები ამ სიტყვების გაგონებაზე გარბოდნენ, ხოლო კაცები ძალზე სხვადასხვაგვარად იქცეოდნენ: ზოგი პურს აძლევდა, ზოგიც საცემრად მოიწევდა. ამჯერად სასიხარულო შედეგი იქონია. თაღებიან დარბაზში სიცილის მქუხარე ტალღა აგორდა და ჭერამდე ავარდა. ხოძიამ პირველ დაქუხებას შეთქმულების ოდნავი ელფერით შეხამებული №2 ღიმილით უპასუხა და სამი სიტყვა გაიმეორა. ამის შემდეგ გაიფიქრა, დავყრუვდებიო. გუგუნი გამკივანმა ხმამ გაკვეთა:

— ვანია! აქ მოდი! მოხალისე ჩინელი, ნახე, დედას რა მაგრად იგინება!

ხოძიას ირგვლივ ჩოჩქოლებდნენ, მერე დაწყნარდნენ, მერე ერთბაშად მისცეს წეკო, პური და თუნუქის ტოლჩით მღვრიე ჩაი. ხოძიამ კბილებში მოხრაშუნე სამი ნატეხი პური თვალის დახამხამებაში გააფთრებით შესანსლა, ჩაი დალია და წეკო ხარბად გააბოლა. შემდეგ ხოძია ვიღაცა მწვანე გიმნასტურიანი კაცის წინაშე წარსდგა. საბეჭდი მანქანის გვერდით გატეხილთალფაქიანი ლამპის ქვეშ მჯდარმა კაცმა ხოძია კეთილგანწობილად შეათვალიერა და კარში თავშემორგულს გასძახა:

— ამხანაგებო, ცნობისმოყვარეობა დაიოკეთ. ჩვეულებრივი ჩინელია...

თავშემორგული გაქრა თუ არა, უჯრიდან ქაღალდი ამოიღო, კალამი მოიმარჯვა და ხოძიას ჰკითხა:

— სახელი? მამის სახელი და გვარი?

ხოძიამ პასუხად გაიღიმა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

გიმნასტურიან კაცს სახეზე დაბნეულობა აღებეჭდა.

— კხ... რაო, ამხანაგო, რუსული არ იცი? ჰა? რა გქვია? — მან თითი ხოძიაკენ გააქნია, — სახელი? ჩინელი ხარ?

— კიტაი-სა... — ჩაიმღერა ხოძიამ.

— ჰო! ჰო! ჩინელი რომ ხარ, ეს გავიგე, მაგრამ რა გქვია, ქამრად? ჰა? — ხოძიას სახე ღიმილმა გაუბადრა. კუჭი პურსა და ჩაის ინელებდა და სასიამოვნოდ თენთავდა.

— აი, ხათაბალა, — ჩაიბურტყუნა მწვანეგიმნასტურიანმა და მარცხენა წარბი ბრაზიანად მოიფხანა.

მერე დაფიქრდა, ხოძიას ახედ-დახედა, ქაღალდი უჯრაში ჩადო და დამშვიდებულმა თქვა:

— ახლა სამხედრო კომისარი მოვა და მაშინ შევავსებთ.

V

ვირტუზი! ვირტუზი!

ორი თვე გავიდა. ჰოდა, როცა ცა რუხი ფერის ნაცვლად მტრედისფრად დაიფარა და ზედ კრემისფერი, გაფიუვინებული ღრუბლები აცურდა, უკვე ყველამ იცოდა, როგორც

ფრანც ლისტი იყო დაბადებული იმისათვის, რათა როიალზე შემზარავი რაფსოდიები დაეკრა, ხოძია სენ-ზინ-პო ამ ქვეყანას იმიტომ მოევლინა, რომ ტყვიამფრქვევიდან ესროლა. თავდაპირველად ბუნდოვანი ხმები გავრცელდა, შემდგომ ეს ხმები გაიბერა, ლეგენდებად იქცა და სენ-ზინ-პო დიდებით შემოსა. ჯერ იმით დაიწყო, რომ თქვეს, ჩინელმა ძროხა სროლით შუაზე გადაჭრაო, და იმით დასრულდა, რომ პოლკებში ლაპარაკობდნენ, ხოძია ტყვიამფრქვევით ორი ათას ნაბიჯზე თავებს ასხეპავსო. თავებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ასპროცენტიანი მოხვედრა ნამდვილად ჰქონდა. აზრი გაჩნდა, 100 არამყარი და პირობითია, იქნებ 105 იყოსო? ირიბჭრილიან აქატისფერ თვალებში დაბადებითვე საუცხოო სამიზნე პანორამა იჯდა, სხვაგვარად ასეთი სროლის ახსნა შეუძლებელი გახლდათ.

სასროლეთზე უზარმაზარი მანქანით მოვიდარუხმაზარიანი, ფუმფულაულვაშებიანი მედიდური კაცი. იგი დურბინდმომარჯვებული იდგა და ხოძიას სროლას ცნობისმოყვარედ აკვირდებოდა. ხოძია შორეთს თვალებმოჭუტული ჩაშტერებოდა, აგრიალებული "მაქსიმის" სახელურებს აწვებოდა და კორდს ისე ცელავდა, როგორც დევკაცი ყანასა მკის.

— ეშმაკმა უწყის, მართლა რა საკვირველი ამბავია! ასეთ რამეს პირველად ვხედავ, — თქვა ფუმფულაულვაშიანმა, როცა გავარვარებული "მაქსიმი" დადუმდა, მერე ხოძიას მიუბრუნდა და თვალებმომცინარემ უთხრა: — ვირტუოზი ხარ!

— ვირტუ-ზი... — უპასუხა ხოძიამ და ჩინურ ანგელოზს დაემგვანა.

ერთი კვირის შემდეგ პოლკის მეთაურმა მეტყვიამფრქვევეთა რაზმის მეთაურს ბოხი ხმით უთხრა:

— ნამდვილი მამაძაღლია! — მერე მხრები აღფრთოვანებით აიჩეჩა, სენ-ზინ-პოსკენ შეტრიალდა და დაუმატა: — ამას პრემია უნდა ვაძლიოთ.

— პრე-მი... აძლიო, აძლიო, — უპასუხა ხოძიამ და მოყვითალო ნათება დააფრქვია.

მეთაურმა როგორც კასრიდან, ისე ამოიგრგვინა და მეტყვიამფრქვეებმა მქუხარე ხმით უპასუხეს. იმავე საღამოს კანცელარიაში ჩამტვრეული ტიტის ქვეშ მჯდარმა გიმნასტურიანმა კაცმა პოლკის მეთაურს მოახსენა, ქალალდი მოვიდა, ხოძია ინტერნაციონალურ პოლკში გადაგზავნეთო. მეთაურს სახეზე სისხლი მოაწვა და წამოჭარხლებულმა ჩაიბუხუნა:

— კიდე რა უნდათ? — თანაც უზარმაზარი, ბალნიანი თითი მოკაკვა და ბრანი აჩვენა. გიმნასტურიანი კაცი უმალვე შეუდგა წერილის შავად წერას. წერილი ამ სიტყვებით იწყებოდა: "რკინის პოლკის მეტყვიამფრქვევე სენ-ზინ-პო პოლკის სიამაყე და ვირტუოზია..."

VI

ბრწყინვალე დებიუტი

ერთი თვე გავიდა, ცაზე პაწაწკინტელა ღრუბელიც კი არსად ჩანდა, თავს ზემოთ მცხუნვარე მზე იდგა. ორი ვერსის იქით ტყის პირას ჩაყოლებული ლურჯი წარაფებიდან სამხედრო ჭექა-ქუხილისმაგვარი გრგვინვა-გრიალი მოისმა, ხოლო მარცხენა მხარეს რკინის პოლკი უკან იხევდა, გამშრალ მიწაზე სწრაფად მიაბიჯებდა. მხრებზე ლენტებგდაკიდებული ხოძია დამრეც ფერდობზე იდგა ცხვირწვეტა ტყვიამფრქვევის გვერდით. სახეზე ჩაფიქრება ეხატებოდა. დროდადრო ცას ასცქეროდა, მერე წარაფებს აკვირდებოდა, ხანაც თავს გვერდზე მიატრიალებდა და ნაცნობ ტყვიამფრქვევს ხედავდა. მისი თავი და მკერდზე გამონასკვული წითელი ბაფთა ორმოციოდე ნაბიჯის იქით ბუჩქებში გაკრთებოდა ხოლმე. მეტყვიამფრქვევეს წამით გახედავდა, მერე თვალებმოჭუტული კვლავ მზეს აცქერდებოდა, მზისგან გაფიცხებულ ქუდს შუბლიდან აიწევდა, ოფლს მოიწმენდდა და იცდიდა, ჭახაჭუხს რა მოჰყვებოდა.

ცდა დიდხანს არ დასჭირვებია. შორს, ლურჯ წარაფებში, შავი მწკრივები გამოჩნდა. ეს მწკრივები ხან მიწას გაერთხმებოდა ხან წამოიმართებოდა, თანდათან ფართოვდებოდა, ხშირდებოდა და ბორცვის ფერდობს უახლოვდებოდა. ხოძიას უკან და მარცხნივ რკინის პოლკმა გააფთრებული გრგვინვა-ქუხილი უფრო გაახშირა. ხოძიას ზურგსუკან გამკივანმა შეძახილმა მთელ ბორცვს გადაუარა:

— ცე-ცხლი!

ბაფთიანმა მეტყვიამფრქვევემ ბუჩქებში ტყვიამფრქვევი უმალ ააკაკანა. ამ ხმას სადღაც მარცხნივ სხვა ხმაც აჰყვა და წამომართული მწკრივის წინ მიწიდან მტვრის ბურუსი ავარდა. ხოძია ტყვიამფრქვევთან მარჯვედ ჩაჯდა, ვირტუოზული ყვითელი ხელები სახელურებს ჩასჭიდა, ლულა ერთხანს უხმოდ ოდნავ მიატრიალ-მოატრიალა, მერე მოკლედ და მომწოდებლად ააკაკანა, შეჩერდა... კიდევ ააკაკანა და უცებ გამაყრუებელი გაბმული ჭახჭახით თავისი შემზარავი რაფსოდია ააჟ-

ღერა. გავარვარებულმა ტყვიებმა მწკრივი ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე რამდენიმე წამში გალოკ-გამოლოკა. მწკრივი მიწას გაერთხა, ისევ წამოიმართა, ალაგ-ალაგ დაწყდა და დაიმსხვრა. უკან აღფრთოვანებული, ჩახლეჩილი ხმა გაისმა:

— ხოძია! მოცელე! ცეცხლი! ცე-ცხლი!

ხოძიამ მტვერსა და ბურუსში მეორე მწკრივისკენ ტყვიების განუწყვეტელი თქეში მიმართა. ამ დროს მარჯვნივ, შორს, მიწიდან მუქი ზოლები ამოიზიდა და მათ გასწვრივ მტვრის სვეტები ავარდა. ბორცვის ფერდობს განგაშის უხილავმა ელვამ ჩაურბინა. ჩახრინწული ხმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ გაისმა:

— მოიერიშე კავალერიისკენ...

გუგუნმა მიწა ხოძიამდე შეარყია. მუქი ზოლები საშინელი სისწრაფით ახლოვდებოდა. ამ დროს, როცა ხოძია ტყვიამფრქვევს მარჯვნივ ატრიალებდა, მის თავს ზემოთ ჰაერი მკრთალმა შუქმა გაკვეთა. და იგი რაღაცამ მკერდით სახელურებზე მიანარცხა. ხოძია ვეღარაფერს ხედავდა.

როცა მზე ხელახლა შეიგრძნო, მის წინ ბურუსიდან ტყვიამფრქვევი და გათელილი ბალახი ამოცურდა; ირგვლივ ყოველივე დაიმსხვრა და საითკენღაც გაფრინდა. უკან, პოლკში, ცეცხლი ჭახანით კანტიკუნტად გაიკვესებდა და გაქრებოდა. ხოძია მკერდში ისეთ მწვავე ტკივილს გრძნობდა, ძლივსღა სუნთქავდა, თავი შეატრიალა და დაინახა, რომ უკან მტვრის ღრუბლებში გახვეული უამრავი მხედარი ელვისებურად მიექანებოდა იქით, სადაც რკინის პოლკი ისროდა და, სადაცაა, ზედ დააცხრებოდა. მარჯვნივ მეტყვიამფრქვევე გამქრალიყო. მწვანეტანსაცმლიანთა მწკრივები აღმართზე ამორბოდნენ. სირბილით მომავლებს სამხრეები ოქროსფრად უბრწყინავდათ. ისინი ყოველ წამს მატულობდნენ და ხოძია უკვე მათ სპილენძისფერ სახეებსაც არჩევდა. ხოძიამ ტკივილისგან დაიწრიპინა, დაბნეულად მიმოიხედა, სახელურებს ჩაეჭიდა და ტყვიამფრქვევი ააგრიალა. სახეები და ოქროსფერი სამხრეები ბალახში ჩაემხო. სამაგიეროდ, ახლა მარჯვნივ წამოიმართნენ და ხოძიასკენ გამოექანნენ. გვერდით მეტყვიამფრქვევეთა ოცეულის მეთაური გამოჩნდა. ხოძიამ ერთ წამს თვალი ბუნდოვნად მოჰკრა, რომ მას მარცხენა სახელოდან სისხლი ჩამოსდიოდა. მეთაურს ხოძიასთვის აღარაფერი დაუყვირია. ფეხზე წამოიმართა, მარჯვენა ხელი წინ გაიწოდა და მომხდურებს სროლა აუტეხა. მერე განცვიფრებული ხოძიას თვალწინ მაუზერის ლულა პირში ჩაიდო და გაისროლა. ხოძია წამით დუმდა, მერე კი ტყვიამფრქვევი კვლავ ააგრიალა.

შაშხანამომარჯვებულმა, სირბილისაგან სულშეხუთულმა, სპილენძისფერსახიანმა იუნკერმა მწკრივს გამოასწრო. იგი ხოძიასკენ მარჯვნიდან მოისწრაფოდა.

— ტყვიამფრქვევს ხელი უშვი... წყეულო ჩინელო!!! — ხრიალებდა იგი. ტუჩებზე ქაფი ებუშტებოდა, — დაგვნებდი...

— დაგვნებდი!!! — ღრიალებდნენ მარჯვნიდანაც და მარცხნიდანაც, ოქროსფერი სამხრეები და წვეტიანი ხიშტები უკვე ფერდობის კიდეზე ათამაშდა. ა-რ-რა-პა-ხა! — უკანასკნელად წაიმღერა ტყვიამფრქვევმა და ერთბაშად დადუმდა. ხოძია წამოდგა, ნებისყოფის დაძაბვით ჩაიხშო მკერდის ტკივილი და ავისმომასწავებელი გრძნობა, რამაც გული უეცრად შეუკუმშა. უკანასკნელ წამს მის თვალწინ სასწაულებრივად გაიელვა მცხუნვარე მზის ქვეშ დამსკდარმა მიწამ, ნაჩუქურთმევმა ჩრდილმა და ოქროსფერი გაოლიანის ტევრმა. შინისაკენ, შინისაკენ უნდა გასწიოს. ხოძიამ ტკივილი დათრგუნა, ირიბ სახეზე სხივმომფინარე ღიმილი აიყვავილა და თუმცა უკვე გრძნობდა, იმედი ქრებოდა, თვალები ცისკენ აღაპყრო და მაინც თქვა:

—პრემი... წითელი ვირტუზი... აძლიო! აძლიო!

გოლიათმა სპილენძისფერ-წითელმა იუნკერმა ხიშტი მძლავრად გამოაქანა და ყელში ისე ატაკა, რომ ხერხემალი შეუმტვრია. ოქროსისრებიანმა შავმა საათმა სპილენძის მჟღერი ზარებით ჰანგის ჩამონკრიალება მოასწრო და ხოძიას ირგვლივ ბროლის დარბაზი აელვარდა. ამ დარბაზში ვერავითარი ტკივილი ვერ შეაღწევდა. ტკივილგაყუჩებული, მშვიდი, სახეზე ღიმილშეყინული ხოძია ვერ გრძნობდა, იუნკერები ხიშტებით როგორ ჩხვლეტდნენ.

თარგმნა
გივი კიკილაშვილმა



მარმან ჭეიშვილი

„ვითომ მეს იქ ვარ“...

(სიტყვა წარმოთქმული ფრიდონ ხალვაშის წიგნის „ომრის“ პრეზენტაციისას)

ამას წინათ, ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი ვინახულე. საბაბიც მქონდა, თავი რომ არ მოვიწონო, — ახლახან, ჩვენი კოლეგის, ვაჟა ოთარაშვილის საშურველი გულისხმიერებით გამოცემული ჩემი პატარა წიგნი მივუტანე.

ჭაბუას, საწერ მაგიდაზე წიგნი ედო. დავხედე:

„ომრი“. ფრიდონ ხალვაში.

თავში წიგნის სახელწოდებაა მოზრდილი ასოებით გამოყვანილი და ქვემოთ, მომცრო ასოებით — ავტორის სახელი და გვარი.

მე ვინო, ესე იგი, წიგნი მჯობიაო, ასე თუ იგულისხმა ბატონმა ფრიდონმა იმ წარწერების წყობადალაგებისას. არადა, პირიქით უნდა ეწეროს, ცხადია. ჯერ ავტორი და მერე წიგნი, მაგრამ , თუ რატომ მოიქცა ასე ბატონი ფრიდონ ხალვაში, ეს რომ გავიგოთ, მთელი მისი ცხოვრება (მისი ომრი), მისი მსოფლმხედველობა უნდა გავისიგრძეგანოთ, რასაც მკითხველს დრო და ხანი არ ეყოფა.

— ნახე, რა სათაური შეურჩევია, — მითხრა ქალბატონმა თამარ ჯავახიშვილმა, ბატონი ჭაბუას ერთგულმა თანამგზავრმა და შესანიშნავმა პოეტმა.

შემდეგში რომ ვესტუმრე, ბატონ ჭაბუას ის წიგნი ისევ მაგიდაზე ედო ხელის ახლოს.

მერე იყო და ბატონმა ფრიდონმა წიგნი მისახსოვრა.

„ომრი“, ანუ წუთისოფელი.

„ომრი“ — ანუ ერთი კაცის მთელი ცხოვრება, ფაქტობრივად, მთელი ქვეყნის ისტორიის ნაწილიც თუ არას“...

ასე წერს თავად ბატონი ფრიდონი.

და მეც შევუდექი ცხოვრების კითხვას.

„მე და სახლი გორაზე ვართ მარტონი“, — ასეთი მწარე პოეზიით იწყება ეს წიგნი.

მეცხრე ათეულში გადამდგარი პოეტი მარტოა თავის სოფელში, თავის გეგელიძეებში, მაგრამ, მარტოც არაა, როგორც გვითხრა.

„დილიდან წვიმს. დაბლა სიმინდები ფურჩულებენ“. კი არ შრიალებენ, ფოთლები შრიალებენ, სიმინდები ფურჩულებენ. ჩურჩულებენ? საუბრობენ? და უფრო მეტიც:

„აგერაა შენი წვიმა, აგერაა შენი აგვისტო, და შენი შემოდგომაც...“

შემოდგომა ზამთრის მეზობელია. ზამთარი — ომრის დასასრულია.

ცხოვრების დასასრულზე რა არ თქმულა, მაგრამ ასეთი!

„ღმერთო ერთო, გმადლობ, თუ არ მაცოდინებ, როდისაა ჩემი აღსასრული...

ემინი, მართლაც, ამ დუნიაზე ეს ხომ ერთადერთი არცოდნაა, ყველა ცოდნას რომ გირჩევნია...“

სოფელში იტყვიან, ჩემს სათქმელს ჩემი ასაკის კაცი თუ გაიგებსო.

ერთხელ კიდევ წავიკითხოთ და გავიმეოროთ

„ეს ხომ ერთადერთი არცოდნაა, ყველა ცოდნას რომ გირჩევნია...“

„ომრი“ იწყება გაღვიძებით, რაც სიმბოლურად წერა-კითხვის შესწავლასთანაა გაიგივებული, ქართული ასო-ნიშნების პირველ გამოყვანა-გამოსახვასთან.

„ნენემ, მახასით, ჩემი დახატული ქართული ანბანები ცალ-ცალკე გამოჭრა, ძაფზე აასხა და, ყელზე ჩამოიკიდა...“

იქვე:

„დედაჩემი თავისუფლად კითხულობდა არაბულ ქითაბებს, „ჯენგ-ნამებს“ (ომის წიგნი), ალაგ-ალაგ, კიდეც ჩაგვახედებდა...“

მუსლიმანურ წიგნში კაცის დახატვა არ შე-

იძლება (ვაშინერს, ჩვენებურად რომ მოვუქციოთ), რასაც ასე განმარტავს ავტორი:

„ადამიანს მხოლოდ ღმერთი, ალაჰი ქმნის, ამიტომ შენ უფლება არა გაქვს მას მიმართო, "ჯენგ-ნამეს" გვერდებზე, ტექსტის კიდეებში (არშიებზე) ჩამოსმული მოკლე ხაზები კაცებს ნიშნავდა. ზოგი წანვენილი ჩანდა — ეს მირბისო, სწორედ ჩამოსმულ ხაზზე, ესაო დგასო, — მაჩვენებდა ნენეი"...

დააკვირდი, ძვირფასო მკითხველო:

არაბულში — ახედებდა.

ქართულს — ატარებდა ("ყელზე ჩამოიკიდა").

სიმინდები რასაც ფურჩულებენ, გავიგონეთ.

ახლა ამ სურათს მივაწვდინოთ თვალი.

„ბუხრის გვერდით, ძელებშორის, ღრიჭოში, შუქი ჩანდა. მივაჭირე ცალი თვალი..."

ამ "მივაჭირეს", რა გინდა გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს ათასი ცხენის ძალა რომ მივაყენოთ ვერ დავძრავთ ადგილიდან...

თვალის ამბავი კი ასეთია:

არის თვალი. თვალის ჩინი. გველის თვალი. სულის თვალი. რა ჩამოთვლის.

ფრიდონის თვალი, ლაზი კაცის თვალია.

მენავის, მეზღვაურის. ეს თვალი შორს იყურება.

დიდი ჩინელი მსახიობი, მეი ლან ფანი, თავის მოგონებების წიგნში წერს, რომ იგი მოხუცებულობის ასაკში ახალგაზრდა ჩინელი ქალის როლებს თამაშობდა (ჩინურ სცენაზე მამაკაცი ანსახიერებს ქალის როლს), და რომ თვალები ახალგაზრდა ქალივით უბრწყინავდა. და რამ განაპირობა ეს? ცაში ვიყურებოდიო გამუდმებით, წერს მსახიობი. ცის სიღრმეში შეჭრილ ფრინველებს ვაკვირდებოდიო.

ფრიდონს ახლაც ახალგაზრდული თვალები აქვს. ამას ბატონი ფრიდონი უკეთ იტყოდა.

ცალი თვალი მივაჭირეო, გვითხრა.

"ჯენგ-ნამეს" ფურცელზე რომ ხაზებად კაცები ეხატნენ, ისეთ ხაზებად ჩანდნენ ჩალიღერტებში მიმავალი ჭვანელები. ამ დროს, ერთ-ორჯერ გაიკაკანა რუსთა "მიტრალიოზმა". რამდენიმე შავი ხაზი რუს ნასიმინდარში რომ ჩანდა, მიწაზე წაიქცა..."

აი, თვალის კიდევ ერთი ეპითეტი:

„ჭოვ, შენ არ იცი, რამდენი მოჭიტინე ყავან სოფელში..."

მოვიდა მოყურაადეო, ვაჟა ამბობს.

მოჭიტინე სხვა არას.

იქ ყურია მთავარი

აქ — თვალი.

იქ ყური იმახსოვრებს.

აქ — თვალი იმახსოვრებს.

კოტე მარჯანიშვილს ეკუთვნის ასეთი განმარტება (ნატო ვაჩნაძის მოგონებების წიგნიდან მახსოვეს):

თეატრი — ყურია, სიტყვაა.

კინო — თვალია, სანახავი.

წარმოდგენას ვუყურებთ.

კინოს — ვნახულობთ.

აქედან — ცოტაც რომ წავიწიოთ, ასეთ სურათს მივიღებთ:

არიან ყურის (განაგონის, ისტორიის) მწერლები

არიან თვალის, ანუ თანამედროვე მწერლები.

ფრიდონ ხალვაში, ამ კუთხით რომ შევხედოთ, ფრიდონ ხალვაში, ანუ "ომრი", ერთიც არას და მეორეც. ისე ენაცვლება ერთმანეთს წარსული და აწმყო.

"ვითომ მეც იქ ვარ", გვეუბნება იგი "ომრის" დასაწყისშივე.

ეს წერია წიგნის მე-17-ე გვერდზე.

წიგნი კი 400 გვერდზე მეტს მოიცავს.

კიდევ ვილაპარაკო?

წიგნმა ილაპარაკოს.

არავინ იცის ის, რაც იცის ბატონმა ფრიდონმა.

ფრიდონ ხალვაშის ომრი სხვათა ომრისგან განსხვავებულია. მან გამოიარა ის, რაც გამოიარა მისმა საყვარელმა აჭარამ. არავის იმდენი არ უფიქრია, და არ უსაუბრია ჩვენს დროში მუსლიმანური და ქრისტიანული სარწმუნოების ურთიერთკავშირზე, რამდენიც ფრიდონ ხალვაშს. იმაზე, რაც მან თავად განიცადა და შეიცნო. გოგლამ სახელი დაანათლა, "ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, ცხადია. უწმინდესმა და უნეტარესმა მონათლა. გაერთიანდა ენა და სარწმუნოება.

„რატომ არ მოდიოდი,
რატომ სხვასთან გაჩერდი?
გული როგორ მტკიოდა,
მარტო შენ მომარჩენდი".

როგორი ქართულია, რა სივრცე-მასშტაბის მომცველია აქ ეს: "რატომ?"

ეს ლექსი ეხება საყვარელ არსებასაც და საყვარელ სამშობლოსაც. მე ასე ვკითხულობ. ასე მგონია. ("წიგნი ბევრია, შენ მითხარ კითხვა").

ტოლსტოი ნატრობდა, დაეწერა თავისი ცხოვრების წიგნი ანუ ომრი და არა სხვათა და სხვათა ცხოვრება, ანუ რომანები და მოთხრობები.

ბატონმა ფრიდონმა დაწერა თავისი ცხოვრების წიგნი, რომელიც მისივე ერთი სამყურა (ლექსი-შედევრი) ასე გამოხატავს:

„არ ვიცი, ჩვენი სიყვარული
სანამდე გასტანს,
ქალი რომ იყო, ეჭვი მომკლავს,
მაგრამ ლექსი ხარ,
და მიხარია, თუ წახველ სხვასთან..."



ნოქცან ოკრასვ

„უსუნი თვითონ გაიმზიანო“

2006 წელს გამომცემლობა "ეროვნულმა მწერლობამ" დასტამბა გიორგი გიგაურის ბალადებისა და პოემების კრებული, რომელსაც პოეტმა „კაცი სარკმელთან" უწოდა. კრებულის რედაქტორია ვაჟა ოთარაშვილი. "კაცი სარკმელთან" ერთ-ერთი პოემის სახელწოდებაა და პოეტმა კრებულის სახელწოდებად გამოიტანა. ცხადია, თვით პოემის არსი იძლევა საამისო საფუძველს.

ცნობილია, რომ მხატვრული ნაწარმოების სათაური დედააზრს გამოხატავს და მწერლის მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკურ მრწამსს მიუთითებს. ამიტომ აუცილებელია სარკმლის მხატვრული ფუნქციის შესახებ საუბარი, რომლის გარეშე სწორად ვერ გავიაზრებთ თვით პოეტის სულიერ სამყაროსა და ამ კრებულში წარმოდგენილი თხზულებების დედააზრს.

მითოპოეტური თვალსაზრისით სარკმელს აქვს თავისი მხატვრული ფუნქცია, რაც სემანტიკურად სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოვლინდეს, კერძოდ, ხილულისა და უხილავის, გარეგანისა და შინაგანის, ღია და დახურული სივრცის გამყოფის ნიშნით. სარკმელი გარესამყაროსთან კავშირის დამყარების საშუალებაა, ძირითადად იგი სულის სარკმელს უკავშირდება. ადამიანი სარკმლით ამყარებს ურთიერთობას ღმერთთან, მზესთან, საერთოდ — გარესამყაროსთან. სარკმელი არის ხილულ და უხილავ, გარე და შინაგან, ღია და დახურულ სივრცეთა გამყოფიც და გამაერთიანებელიც. სარკმელი იმედის შუქია, მან სიახლე უნდა შეიტანოს შემოქმედის ცხოვრებაში, მისი სულიერი გარდასახვის რთულ პროცესში, სულიერ განახლებაში მიიღოს მონაწილეობა. სარკმლიდან განსხვავებულად აღიქმება გარესამყარო, ხილული, ღია სამყარო. სარკმელი სამყაროს მოსალოდნელი განახლების სიმბოლოდ მოიაზრება, სარკმლიდან და სარკმელში ჭვრეტა ადამიანის სულიერი მდგომარეობის გამოხატულებაა.

სარკმლიდან ჭვრეტა, საგანთა და მოვლენათა დანახვა ახალი სამყაროსაკენ მიმავალი გზის კონტურებს სახავს, დახურული სივრციდან ღია სივრცეში პოეტის გასვლის დასაბამია. მწერლის შინაგანი, სულიერი სამყაროს, სამშობლოს, შინა სივრცის გამოხატვა ძირითადად საკუთარი თავის შემეცნებისა და შეცნობის, მოყვასისათვის გარჯისა და თავდადების მეშვეობით ხორციელდება. სარკმლიდან ღია სივრცეში ჭვრეტა სივრცულ ხატ-სახესთან არის დაკავშირებული. სარკმლიდან ჭვრეტა გარესამყაროში შინა სამყაროში მყოფი ადამიანის თვალით ჭვრეტაა. დახურული, შიგა სივრციდან ჭვრეტა მიუთითებს გარესამყაროში გასული ადამიანის თვალთახედვასა და საზრისს, რომელიც ცდილობს ერთიანი სამყაროს აღქმასა და შეცნობას.

გიორგი გიგაური არ აკონკრეტებს, გარესივრცისაკენ არის მისი სულიერი თვალი მიმართული, თუ შინასამყაროსაკენ; ეს არცაა აუცილებელი, რადგან პოეტის მზერა მიმართულია როგორც შინა, ისე გარე სამყაროსაკენ. თავისთავად ეს ფაქტი მიუთითებს, რომ მისი პოეტური ნაწარმოებები სივრცულად დაშორებულ ორ სამყაროს წარმოაჩენს; აგრეთვე, იგი კრავს პოეტის მიერ წარმოსახულ სამყაროს დიაქრონიულ ასპექტში, ვერტიკალურ ჭრილში, ანუ ისტორიული თვალთახედვით. სარკმელთან მჯდომი ადამიანი თავის თავში აერთიანებს და, ამავე დროს, ანაწევრებს ორ სამყაროს, რაც პოეტური ხილვების საფუძვლებს ქმნის. ამ სარკმლიდან ჭვრეტს გიორგი გიგაური სამყაროს. ბალადებისა და პოემებისათვის მის მიერ შერჩეული სათაურები ნათლად გამოკვეთენ შემოქმედის სათქმელს. პოემა "კაცი სარკმელთან" კი რამდენიმე პოეტური ხილვითაა წარმოჩენილი ცოდვა-მადლის არსი და სიმბოლიკა:

„კაცი სარკმელთან მტკიცე მარჯვენით
ისევ ცოდო-მადლს წონის,

ყველა მოვლენის სწორად განმსჯელი,
კაცი ღმერთების ტოლი,
იძირებიან კუპრის მორევში
ავი სულები სრულად;
ის კი ბოროტთა ხელისმომრევი
ხატავს სიცოცხლის სურათს".

პოეტის სათქმელს ფერადოვანი სახე-ხატები და სურათები ისე გადმოგვცემენ, რომ მკითხველში ფიქრის, განსჯის, არსის წვდომის მოთხოვნილებებს აღძრავს. მისი პოეტური წარმოსახვები ფერშეუცვლელად აჩვენებენ ადამიანის არსებობის აზრსა და მნიშვნელობას, რასაც იმედის ნათელი მოსავს და ამკობს.

კრებულში რამდენიმე პოემა და ბალადაა დაბეჭდილი, რომელთაგან რამდენიმეზე შევაჩერებთ ყურადღებას. პოემა "სოფელი სიკვდილს გადარჩენილი" ეძღვნება სოფელ ბლოს ერთადერთ მცხოვრებს ჩაჩაურ გიგაურს, "ნოეს კიდობანს" გამოქცეულ ვაუკაცს, რომელმაც კერა არ ჩააქრო და 30 წელი მარტოკა ინახავდა სოფელს! ერთი კაცია სოფელი და გვარი, ერთი კაცი იცავს და ინახავს სოფელს. ეს დიდი ტკივილი გასდევს ნაწარმოების პირველ ნაწილს: "შენი ზეცისთვის, შენი მინისთვის, შენი ციხისთვის უნდა ეწამო". და ბოლოს, პოეტი ნაოცნებარის ასრულებასაც გვამცნობს, "ბლოში მოვიდა თვალშურთხა რძალი, ვაუკაცის სულის თანაზიარი, რძალი კი არა იმედი ხვალის, რძალი კი არა ყანა მზიანი", რამაც გაფანტა მარტოობის ბურუსი და თან მოიტანა იმედი ხვალის.

ბალადაში "ვეფხვის მკურნალი" ხალხური ვეფხვისა და მოყმის ბალადის გამოძახილი შეიგრძნობა, მონადირეს მტრული განზრახვა ვეფხვის მოკვლისა შეაცვლევინა და სიკეთე ჩაადენინა, რითაც ზღვარი ნაშალა მტერ-მოყვარეს შორის: "ვეფხვი კი, ვეფხვი, — უცნაური უცხო სტუმარი, — თოვლზე წვება და სისხლიან თათს უჩვენებს მშვიდი, მის გაჭირვებას მონადირე ხვდება გუმანით, ნადირისაკენ უთოფოდ და უშიშრად მიდის! ამოაცალა კლანჭებიდან ნამსხვრევი კლდისა, გაჭირვებაში დახმარება წესია მთისა". ავტორის სულისკვეთებაც გამჟღავნდა, მონადირის თანალმობა ვეფხვისადმი ბალადას განსაკუთრებულობას ანიჭებს, მტრულად მიმავალი მკურნალად ევლინება და იმარჯვებს ურთიერთსიყვარული, ჰუმანიზმი.

ბალადა "სიყვარული და ადათი" სიყვარულის გრძნობას განადიდებს და, შეიძლება ითქვას, თავისი მიზანდასახულობით ვაჟას პოეტური აზროვნების გამოძახილადაც გვევლინება; სიყვარული ორი თემის მტრობის საფუძველი ვერ გახდა, აქაც ჰუმანიზმმა გაიმარჯვა, თუმცა არც ბალადის პერსონაჟი ვაჟკაცი და არც მისი სატრფო ბედნიერნი ვერასოდეს იქნებიან უერთმანეთოდ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც თავისი თემის ინტერესები, თანამოძმეთა სიცოცხლე უფრო მაღლაა დაყენებული, ვიდრე სიყვარულის უკვდავი გრძნობა.

„დიდ ქალში" იშვიათი თანაგრძნობისა და თანალმობის სიდიადეა წარმოჩენილი; დიდია დედის მსხვერპლი — ომიდან მომავალ შვილს ვერ დახვდა, შვილის განცდებსაც არად დაგიდევთ, რადგან შვილმკვდარ დედებთან თავისი სიხარულის გამჟღავნებისა ერიდება, თავად კი კერასთან მუხლჩაჩოქილი ღმერთს ევედრებოდა შვილის შინ დაბრუნებას. მართლაც როგორი სიდიადეა სულისა და ზნეობრივი სიმაღლე დედისა, რომელიც ომიდან შვილის დაბრუნებას ელის და არც კი იცის, დაბრუნდება თუ არა. მაგრამ მაღლიდანაა ყოველივე განგებული, დედის ჭეშმარიტ ლოცვას ღმერთი შეისმენს.

უნდა აღინიშნოს, რომ "კენჭები კამკამა მორევში" გიორგი გიგაურის პოემებიდან გამორჩეულია. წიგნის "კაცი სარკმელთან" ბოლოთქმაში ვკითხულობთ, რომ ეს პოემა გიორგი გიგაურის პოეზიის სავიზიტო ბარათია. მკითხველის მეხსიერებას უთუოდ შემორჩება ამ პოემის არსი და აზრი, გაცხადებული მეტაფორული მეტყველებით. იგი წერს იმ მკითხველისათვის, რომელიც წვდომისა და თანაშემოქმედების უნარითაა დაჯილდოებული. აქ ერთმანეთს ენაცვლება აზრი და განცდა, მოვლენების პლასტიკურად ჩვენება, დინამიკური სურათები. სათაურშივეა გაცხადებული პოეტის მიზანსწრაფვა და იდეალი. ადამიანის წარმოსახვაში მორევი ცხოვრებაა, რომელიც მან თავად უნდა განწმინდოს. კენჭი კი თავადაცაა, წინაპარიცაა, მემკვიდრეცაა. რა არის საჭირო კენჭების რაობისა და არსის შესანარჩუნებლად, მორევის სიწმინდის დასაცავად? გიორგი გიგაურის ამ პოემაში დასაწყისშივეა დასმული კითხვა: „თქვი, უტკბილესი რა არის ქვეყნად?" და იქვე პასუხიცაა გაცემული:

"პირველი — დედა,
მერე?
გონიერ ქალწულთან შეყრა,
რომ გაგიმართლოს მომავლის ბედმა.
აკვნიდან შვილის ღიმილი ნაზი,
ულვაშზე ხელის ნაპოტინება
და სტრიქონებში ჩაღვრილი აზრი,
ადევნებული ფიქრთა დინებას...
ტკბილს და უტკბილესს რა დამავიწყებს,
ან ამ სიკეთის წმინდა სათავეს —
მამულს..."

სრულიად ნათელია, რომ გიორგი გიგაურის პოეტური ხედვა არაორდინარულიცაა და ამავე დროს ორდინარულიც. სახეობრივად გააზრებული ყოფიერება და სულიერება ადამიანისა პოეტის მრწამსს გვამცნობს და მის ზნეობრივ სამყაროს ესთეტიკურ საფანელსაც ანიჭებს, რაც ინდივიდუალური ხელწერის გამოხატულებაა.

ავტორის მიერ სიღრმისეულად შეგრძნობილ-გააზრებული განცდა და აზრი ცხოველმყოფელად, პირველქმნილი შეფერილობით მიდის მკითხველის გულამდე და გონებამდე. მას ძალუძს სულიერისა და მატერიალურის შე-

ზავება, რაც საუცხოოდ დასტურდება ზემოხსენებული სიტყვებით. არც ისაა შემთხვევითი, რომ შვილის ხსენება სიმბოლურ-მეტაფორული ხატ-სახითაა ნაჩვენები, ესაა "ულვაშის" სიმბოლიკა, რომელიც მომავალი თაობის ღირსეული აღზრდის მოტივითა და აზრითაა შთაგონებული. მაგრამ მასში არაა მხოლოდ ახალი თაობის ნამუსიანი აღზრდა მოაზრებული, არამედ სამშობლოს მომავალზე ზრუნვაც ნამუსის სიმბოლიკითაა შემოტანილი პოემაში. ასე, რომ ნაწარმოების დასაწყისშივეა ის ძირითადი სათქმელი მონიშნული, რასაც ეძღვნება იგი. ფესვებთან მიბრუნება! ეს ის მარადიული თემაა, რომელსაც მხატვრულ ნაწარმოებთა უდიდესი ნაწილი ეძღვნება. არც გიორგი გიგაურის პოეტური ხილვებია ამ მხრივ გამონაკლისი.

მაგრამ ერთი რამ მაინც ბადებს მკითხველში კითხვას: რატომ თავშივე არ ჩანს მამის ხატება და რატომ შემოდის იგი სიმბოლიკით?

ავტორს მკითხველისადმი ნდობა, უშუალო განცდა და მონათესავე სულის ძიება აწერინებს და აქმნევინებს მხატვრულ ნაწარმოებს. მას იმედი აქვს, მკითხველი მიუხვდება და თავადაც შესანიშნავად აგნებს იმ უხილავ გზამკვლევს, რომელიც აზრისა და გრძნობის თანამოზიარეს, ანუ მკითხველს, თან გაიყოლებს და საკუთარი ინტიმური, უშუალო განცდების მოწმედ გაიხდის. ამიტომ პოეტი ხშირად ანაცვლებს რეალობასა და მეტაფორულ აზროვნებას, რეალობიდან მეტაფორულობისაკენ მიგვიძღვის და, პირიქით, მეტაფორული აზროვნებიდან რეალობაში გვაბრუნებს.

პოემა უმთავრეს თემად მამა-ძეობის პრობლემას სახავს, რითაც აჩვენებს იმ მარადიულ მონაცვლეობას სამყაროში, რომელიც განსაზღვრავს კაცობრიობის მომავალს. ამის საჩვენებლად ავტორის მხატვრულ ენასა და პირობითობას კონკრეტული დეტალები ეხამება და იქმნება პოეტის სრულიად ორიგინალური მხატვრული სამყარო, რომელიც მარადიულსა და წარმავალს ერთიანობაში აჩვენებს. სწორედ ამ კუთხითაა ეს პოემა ორიგინალური და საინტერესო. მასში ვხვდებით გადაძახილს წინარე ლიტერატურასთან, განსაკუთრებით ბიბლიასთან, რაც, შესაძლოა, წინასწარგანზრახულად არც იყოს, მაგრამ პოეტის სულში დავანებული და დაშრევებული ცოდნა-გამოცდილება თავისთავად იჩენს თავს და იქმნება ასოციაციური ჯაჭვი, რომელსაც მხატვრული აზროვნების სათავეებისაკენ მივყავართ.

გიორგი გიგაური წარმოსახავს ადამიანის ცხოვრების დრამატულობას, სირთულეს, ბოროტების მოძალებას და ადამიანის ძალის მისადმი დაპირისპირებულობას. ყოველივე ამას რთული მეტაფორული აზროვნების კვალი ატყვია. მას ის ასულდგმულებს, რომ ადამიანი მზადაა ახალი ცხოვრებისაკენ შემობრუნებისათვის, რაც ძალზე საინტერესო ხატ-სახეში გამოვლინდა:

„ვინ იცის,...
კარგს აბდაუბდად გიქცევენ შურით,
გაგიმუქებენ ლამაზ ფერადებს,
რომ შეგილახონ სიწმინდე სულის,
მერე აგავსონ ბოღმით ყელამდე,
ხმელ ფოთოლივით გზაზე გაგნირონ,
სითბოს, სიხარულს
არ გაზიარონ...“

რა მოაქვს ბოროტებას, სიცრუეს, გაუტანლობას, დაუდევრობას? მხოლოდ სულიერი სიმშვიდისა და წონასწორობის რღვევა, რაც ადამიანში ფსიქიკური გარდასახვის პერსპექტივებს აფერხებს, ამიტომაა საჭირო მისი დაძლევა, რათა "მიხედო მორევს, დააწმინდაო, ააანკარო, აკრიფო წყალში ჩაყრილი განძი და ვინც ღირსია ყველას აკმარო".

ღმერთი ადამიანს აყენებს არჩევანის წინაშე, თუ რა უნდა გააკეთოს? და აი, სწორედ აქ ჰმართებს ადამიანს გმირობა, სულის სიძლიერის გამოვლენა, რაც ლიტერატურული ტრადიციებით დამკვიდრებული ალუზიებითა და მეტაფორებით აირეკლება პოემაში:

„და მაშინ უნდა გაიარწივო,
უკუნი თვითონ გაიმზიანო...“

ორივე ხატ-სახე ღრმა პოეტურ წარმოსახვებს ეყრდნობა და ავტორის სათქმელს მეტაფორულად გვააზრებინებს, შეინიშნება "ციტაციური აზროვნების" კვალი, რასაც ადამიანის ზენაარსთან, ნათელთან ზიარებისაკენ მივყავართ. "გაარწივება" და "გამზიანება" ღმერთისაგან ბოძებული თავისუფალი ნების წყალობით არის განსახორციელებელი. სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა. ხოლო არსის, არსებობის აზრის ძიება, წყვდიადის სინათლედ, უიმედობის — სასოებად, ბოროტების — სიკეთედ გარდასახვა მხოლოდ ღვთაებრივ საწყისთან ზიარებულ ადამიანს ძალუძს. ამიტომაა იგი მუდმივ ძიებაში, რასაც ევანგელურ-აპოსტოლური მოტივით ამცნობს პოეტი მკითხველს: "ეძებე მოყმე, ჰპოვე კიდევაც"... მოძმის ძიება ამ სულიერებისაგან დაცლილ სამყაროში ადვილი არ არის. მოძმეში ალუზია და ენიგმური აზროვნების პრინციპები, ერთი მხრივ, სახარებისეული იგავური სიბრძნისაკენ, მეორე მხრივ, ლიტერატურული ტრადიციების, კერძოდ ტარიელ-ავთანდილის იშვიათი თანაგრძნობა-თანალმობის წინასახედ მიჩნევისაკენ გვიბიძგებენ. პოეტი იდუმალის, მიღმიერის შეცნობას ცდილობს, მან ყოველგვარი შიში, მოლოდინი, სევდა სილამაზედ, აზრის მშვენიერებად უნდა გარდასახოს. და იგი მკითხველის სათქმელსაც ამბობს, რადგან ჩვენს ეპოქაში სიძულვილი და ზოოლოგიური ზიზღი ქცეულა კაცთა მოდგმის არსებობის ერთგვარ ატმოსფეროდ, რის დაძლევასაც ცდილობს ავტორი პოემისა. განსაკუთრებით პოეტისათვის, შემოქმედი კაცისათვის მძაფრია სამშობლოში

უსამშობლობის განცდა! მაგრამ მას სწამს და სჯერა ახალი სამყაროს დამკვიდრებისა, რასაც საოცრად ხატოვანი აზროვნებითა და მსჯელობითაღწევს, რომელშიც ბუნების ხილვით გამოწვეულ აღტაცებას ერთვის პოეტის ვედრება:

მთის თხემი ველებს ამაყად უმზერს,
ტყე იტალღება,
კორდი ბიბინებს,
ნამად ილვრება,
უტკბესი სულზე,
იის სინაზე,
ვარდის სილბილე,
ყაყაჩოების აღაღანება,
ყაყაჩოების ანაღვერდლება,
ლორთქო სათიბთან,
მწიფე ყანებთან
მიმობნეულა,
როგორც ვედრება,
რუ მორაკრაკებს მზიან ფერდობზე,
მთებზე სიმღერას აღარ ათავებს,
როგორც სინდისი,
როგორც შენდობა
უწმინდესია წყაროს სათავე...

რისთვის ილვწის ადამიანი? რა სურს მას? რა უნდა აკეთოს? აი, კითხვები, რაც კაცობრიობას აწუხებს თავისი არსებობის განმავლობაში. გიორგი გიგაურის პასუხი ასეთია: „გაიფრთიანე, გაიჭაბუკე და ისევ გახსენ ლურჯი ცისკარი. რომ მშვიდად იყოს ანკარა წყარო და კამკამებდეს ფსკერი მორევის“.

მორევი არ უნდა აიმღვრეს, რადგან „მღვრიე მორევში კენჭები არ ჩანს“! კენჭი, თითოეული კენჭი უნდა შეეცადოს ინდივიდულობის შენარჩუნებასა და ბოროტებასთან ბრძოლას. ცოდვამადლითაა დახუნძლული ცხოვრების ხის ტოტი, ხის ფესვების სიღრმე განფენილი და განტოტვილია წარსულში, მისი ტანი — აწმყოა, ხოლო ფოთოლ-ყვავილნი — მომავალი! სიტყვებითაა გარშემონერილი ის სივრცე, რომელშიც პოეტს უწევს ცხოვრება, ფიქრი, ოცნება. ამიტომაც არის ამ პოემაში იგავურ-პარაბოლურიცა და აფორისტულიც, თხრობითიც და ლირიკულიც. ლექსწყობაც, რითმაც, რიტმიც თავისებურია, ტრადიციულიც და პოეტისეულიც. ყოველი სიტყვა, ფრაზა, აზრი ზუსტია, თვით პოეტის მხატვრულ პრიზმაში გარდატეხილი და ახლად აღმოჩენილი. ამ თვალსაზრისით გამოვარჩევდი სახეობრივი აზროვნების გამომხატველ სიღრმით გამორჩეულ მხატვრულ ხატ-სახეებს: “იქონიე შენი მორევი, შენი ბილიკი, კიბე, ბორანი....“ “მომივარდება სარკმელთან დილა“...

მთელი პოემა მკითხველს გასაოცარი სიმშვიდის იმპულსებს გადასცემს, მისი სურათების ემოციური ინტენსივობა თანაბარია, რაც თვით პოეტის გაწონასწორებულ სულიერ სამყაროს წარმოაჩენს. იგი ერთგვარი სულიერი აღსარებაცაა, ოცნებაცაა, ანდერძიცაა, როგორც საკუთარი შთამომავლებისათვის დასატოვარი, ისე საზოგადოებისათვის.

პიროვნული ღირსებისა და თვითდამკვიდრების განცდით აღსავსე პოეტი პოემაში ამყარებს დიამეტრულად საპირისპირო ეპოქათა შორის უშუალო კავშირს. მისთვის მთავარია ტრადიციის თაყვანისცემა და თანამედროვეობასთან ჭიდილი, რითაც ჩანს, რომ პოეტი მაინც თავისი ეპოქის შვილად რჩება.

ეს წერილი არ არის რეცენზია, იგი ოდენ კითხვისას მიღებული შთაბეჭდილებების შედეგია, რაც, ცხადია, სუბიექტურ აღქმას წარმოადგენს.

ბევრისაგან შეუმჩნეველ ნათელს გამოსცემს გიორგი გიგაურის ეს წიგნი, კონკრეტულად პოემა „კენჭები კამკამა მორევში“, ნათელს, რომელიც ნარმართავს ყოველი ადამიანის, მით უფრო შემოქმედი კაცის, აზრიან ცხოვრებას. მისი პოეზია თავისუფალია მოჭარბებული ტროპული აზროვნებისაგან, რადგან მისთვის მხოლოდ სიტყვიერი შინაარსის მკითხველამდე მიტანა არაა საკმარისი, საჭიროა გააზრება, გონით მიღება, რაც პარალელიზმებისა და კონტრასტული მხატვრული ხერხების საშუალებით ხდება შესაძლებელი.

ვედრება

ვუძღვნი უწმინდესსა და უნეტარეს ილია II

უწმინდესო, ქრისტეს ჯვარით,
მრევლს უქარვებ გულის ვარამს,
სივრცეს გასწვდა ექო ზარის,
რწმენის დროშა გაიშალა.

გვედრებ, ჩვენი მიწა-წყალი
ადიდგორო, ალაშარო,
რომ მტარვალმა, ყორნის ბრჭყალით,
ქართველობა არ ნაშალოს.

აიტაცე ნება ერის,
აზიარე აღზევებას,
შველას მარად შენგან ელის,
მაშ, მიეცი სულის შვება.

არ დამშვიდდე, არ დაღონდე
და არც ლოცვით დაიღალო,
გაიკვალო უნდა კბოდე,
ცისარტყელად დაიღვარო.

...ზეიმია ტაძრის კართან
წუთი შენი გამოჩენის,
მაფარია შენი კალთა,
მიცავს შენი განაჩენი.

აიკინძა ვერცხლის შიბად
ამ ცხოვრების ანაბანა,
გასათიბი გაითიბა,
დასაბარი დაიბარა.

დამილოცე ჭირნახული,
ამაღლებით ამაღელვე,
დამაპურე უფლის პურით,
ერთხელ კიდევ ამამღერე!

გიორგი გიგაური
2007 წელი, 23 აგვისტო

მასალა ოსმაძისა

„და სულში მტკივა დედაშვილობა“

წუთისოფლის სიმრუდეს ყოველთვის ალამაზებს დედაშვილური სიყვარულის სიმძაფრე. იგი იმ დიდი გრძნობის საწყისად მიიჩნევა, რომლითაც უფალი შემოდის სულში, რადგან "გიყვარს? ე. ი. ღმერთი განდობს თავს".

დედა აცოცხლებს, დედა ზრუნავს, დედა გასცემს სითბოს, სიკეთეს და სანაცვლოდ არაფერს ითხოვს, ამიტომ მისი ზეცამდე ასული სიყვარული აფიქრებდა კიდეც კაცს, რომელმაც თქვა:

„დედას ვუყვარვართ შვილები,
დედა არ გვახსოვს შვილებსა,
ამიტომ წუთისოფელი
სულ მუდამ გვაცოდვილებსა“.

თქვა და ამით გამოხატა კიდეც უმთავრესი პრობლემა დედაშვილობისა, რომელმაც შვილისაგან მიტოვებულ ოთარაანთ ქვრივს ათქმევინა: ჩემგან მიდის და თითქოს ძაფიც არ იჭერს, სხვასთან მიდის და თითქოს თოკით ეწევიანო.

დედა ყოველთვის ბუნებრივად იფერებს ამ მტკივნეულ განცდას და "შვილისად მაყურებელი თვალით" დადის და ცოცხლობს. თუ ნიკო ლორთქიფანიძის "თავსაფრიან დედაკაცსაც" გავიხსენებთ, შვილის მხოლოდ "თავისად ხედვის" პოზიცია მუდამ აწუხებდა და აფიქრებდა ქართულ მწერლობას.

ვაჟა ოთარაშვილის პოეზიამ თითქმის გადაჭრა ეს მარადიული პრობლემა — იგი "დიდი" შვილია და ამბობს, "სულში მტკივა დედაშვილობა", რადგან იცის, რომ "დედასავით ვერ შეიყვარებს ვერც ერთი ქალი".

პოეტი თითქოს არასოდეს დაშორებია დედას. იგი ყოველთვის გრძნობს თავს დედაში და დედას საკუთარ თავში, რომ თითქოს, როცა დედა იყო ჯერ კიდევ ბავშვი, ხატივით წმინდა და უცნაური, სჯერა პოეტს, რომ თვითონაც მასთან ერთად იყო და მაშინაც, როდესაც სიმშვიდით სავსე გააცილა; როცა გაიგონა მისი კუბოს თავზე მიწის ხმაური, მას ეჩვენება, რომ

"მგონია, ჯერ არ დავბადებულვარ,
დედას უბრწყინავს ლალის საყურე,
კაბას ისწორებს თავისებურად
და ჩემით სავსე სხეულს დაჰყურებს“.

ამით პოეტი გვაგრძნობინებს, როგორ ვართ მიჯაჭვულნი იმ წიაღზე, რომელსაც დედა ჰქვია, რომელსაც მიწა ჰქვია. იგი დედასთან ერთად გრძნობს დაბადებას და მისი მიწად მიქცევის შემდეგ

„მზე გახდა თითქოს დედისთვალება...
მე კი... უფლისკენ ხელაპყრობილი
ვჩურჩულებ: (იქნებ ხილვადა ვხედავ...)
"მიწა იყავ და მიწად იქეცი!“
"დედა იყავ და მიწად იქეცი!“
"მიწა იყავ და გამიხდი დედა!“..

ვაჟაოთარაშვილისპოეზიამისიცმაგრძნობინა, ჩვენი კაპილარები როგორ უერთდება დედამიწის ლურჯ ძარღვებს და რაც უნდა წინ ვიხედოთ, მიწადქცეული დედა მაინც უკან მოგვახედებს.

„დედა! ისევ ვეწევი
სიგარეტს და ღვინოს ვსვამ...
ბებერი ბლის კენწერო,
აპრილს ისევ მილოცავს...
და კვლავ ბავშვურ შეცდომებს
ვუშვებ... მერე ვბრაზდები...
კაცთა მოდგმის შეცნობას
არ ჰგავს ეს ნააზრევი...
მაგრამ კვლავ ძველებურად,
ჩვენს შეხვედრას მოველი...
ნეტა შენთან მოფრენის
დღე იქნება — რომელი?“

ცრემლით დანასველებია დედის საფლავისაკენ მიმავალი გზა, მაგრამ იგი შვების მომცემია. იქ სითბო და დაულეველი სიყვარული ელოდება პოეტს, რადგან თითქოს აქ ვერავინ უგებს და სურს, ისევ დედას მიაშუროს: „ვერც შინ და ვერც გარეთ მე ვეღარ მიგებენ... ისევ შენ მიშველე, ძვირფასო დედიკო!"

მერე რა, რომ დედა თვალს მიეფარა, პოეტი ხომ ისევ მისი გაკვეთილებით ცხოვრობს, ისევ მას ეკითხება, მას ანდობს თავის ნააზრევს. მეხუთედან მეათე კლასამდე მერხზე არ უჯდა საკლასო ოთახში? დედა, მისი ქართულის მასწავლებელი, არ იყო მისი ყველაზე მკაცრი შემფასებელი? სახლში კი ნათლისმფრქვეველი ღიმილით ავიწყებდა ყველაფერს. ჰოდა, ახლაც მას წერს წერილს, რადგან სულის უკვდავებისა ყოველთვის სჯეროდა:

„თუ არ ირწმუნე სულის უკვდავება, ბუნების კანონებამდე ვერასდროს აღზევდები, ხომ ფაქტია, წასული თაობების მიერ მოპოვებული სულიერი საუნჯე სიკვდილისთანავე რომ ქრებოდეს, მაშინ ქვეყნად მარადიული ღირებულებები აღარ იარსებებდა. მწამს, რომ მომავალ თაობებში გაგრძელებული ხსოვნის ხანგრძლივობა ვერაფრით შეცვლის სულის უკვდავების იდეას. როდესაც გარდაცვლილ ახლობელს ვიგონებთ ან მათი ხსოვნის პატივსაცემად მიცვალებულთა მოხსენიების დღეებში საფლავებზე გადავდივართ, ჩვენთვის გარდაცვლილები არამინიერ, მაგრამ უკვდავ ცოცხალ სულებად წარმოგვიდგება. მე ყოველთვის ვგრძნობ, რომ დედაჩემის სული, როდესაც მიჭირს, ყოველთვის ჩემთან არის. მისი სიტყვები ჩამესმის... სულის უკვდავების რწმენა ღმერთთან მაახლოებს. მე მგონია, სიტყვები სულის ასოითი გამოსახულებაა ფურცელზე. იოანეს სახარებაც ხომ გვეუბნება: "პირველთაგან იყო სიტყვაჲ იგი". სწორედ სიტყვებია ჩვენთვის უკვდავ სულებთან გასაუბრების საშუალება. სიკვდილიც ხომ ჩვენი ცხოვრების ნაწილია და მეც წერილს ვწერ"... (წერილი დედას).

პოეტი წერს ქართულ ტკივილზე, რომელიც დედასაც ძალიან აინტერესებდა და აბა, მასზე უკეთესად ვინ გაუგებს სევდას...

ვაჟა ოთარაშვილისათვის მშობლიურთან კავშირი არასოდეს წყდება და როცა ცხოვრების მარწუხებს ვეღარ უძლებს, ვერ ითმენს ტკივილებს, ისევ დედას ეძახის, იქნებ მან დაუყვავოს, მოეფეროს... ასეც ხდება.

„შვილო, ჯერ გაუძელი
ამ სიკვდილის მოლოდინს,
მე იმ ქვეყნად, იცოდე,
არაფერი მაწუხებს".

მშვიდია დედა — „ტალღებად დაღლილი თოლია", რადგან სააქაოში ჰყავს შვილი — "მხოლოდ ლექსებით ავსილი რვეული", აკი დატოვა კიდეც სიკვდილის წინ პატარა წერილი:

„მე ვიკვებები შენი ლექსით ისე, როგორც შენ იკვებებოდი ჯერ ჩემი სისხლით, შემდეგ კი სიტყვით.

დედა გენაცვალოს, შვილო, მომშივდება და მომწყურდება ხოლმე შენი ლექსები და მეც ვკითხულობ ხან ჩუმად, ხანაც ხმამაღლა, ჩემს სიხარულზე მევე მაჟრჟოლებს, ბუსუსს მაყრის" (დედის წერილი).

ამაყია თვითონ პოეტიც, რადგან

„ვიცი, ზურგს უკან
დედაჩემის თბილი ლანდია,
ოდნავ ამაყი,
ვერცხლისფერი და მომღიმარი".

ილია ჭავჭავაძემ თავის "ოთარაანთ ქვრივში" უტყვად, უთქმელად დაგვანახა დედაშვილური სიყვარულის სიმძაფრე, რომელიც ქართულ კლასიკურ მწერლობაში გენიალური კალმის მოსმად ითვლება:

"მარტო დედაშვილობაღა თავის დიდებულის ზარით ჰღაღადებდა უთქმელად, უტყვად, ხმაამოუღებლად.

ამას მარტო თვალი გულის-ღა თუ ჰხედავდა და ყური გულის-ღა თუ ისმენდა!.. ხორციელი სმენა, ხორციელი ხედვა ამისათვის უღონოა"...

ვაჟა ოთარაშვილმა თავისი უფაქიზესი სტრიქონებით ახსნა ილია ჭავჭავაძის უტყვად, უთქმელად დანახული უდიდესი გრძნობა, რომელსაც დედაშვილობა ჰქვია. იგი, ილიასგან განსხვავებით, შვილის პირით მეტყველებს, შვილის განცდებს გადმოგვცემს და ამბობს, რომ მართალია, დედას ტკივილით სხეული დაღლია, მაგრამ „ჯერ კიდევ თბილია გული — საფიცარი..."

რომ დედასავით მართლა ვერავინ შეიყვარებს, ვერავინ ინაღვლებს და ვერავინ დალოცავს, ამიტომაც ასე მძაფრად განიცდის ზეცამდე ასულ სიყვარულს პოეტი და "სულში ტკივა დედაშვილობა".

ლილიან ტაბიძე

ტისიან ტაბიძის უსნობი ნაშრომი

არქაისტების მეთაურმა გრიგოლ ორბელიანმა ფრიად გაამდიდრა ქართული ლექსი, მისცა მას არაჩვეულებრივი შეკუმშულობა და შექმნა თავისებური Vers librs. მისი ლიტერატურული მოწინააღმდეგე, საპირისპირო, განმანახლებელთა ბანაკის მეთაური ილია ჭავჭავაძე იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „ორბელიანმა პირველად გვიჩვენა ქართული ურითმო ლექსის არაჩვეულებრივი მაგალითი და დაამტკიცა, რომ ქართულ სიტყვას გააჩნია თავისი მახვილი, მანვე დაამტკიცა Vers librs შესაძლებლობა, რომ გამომსახველობითა და ლირიკულობით არ ჩამოუვარდება რითმიან ლექსს."

შემდგომში ეს აღმოჩენა გრ. ორბელიანისა ი. მაჩაბელმა შექსპირის თარგმანისას გამოიყენა.

გრიგოლ ორბელიანის შინაგანი ალიტერაციები და ბგერწერა იძლევა გამოსახვის განსაცვიფრებელ სიზუსტეს ბატალურ სცენებსა და ბუნების აღწერებში.

გრ. ორბელიანი თარგმნიდა რუს პოეტებს. ზოგიერთი ამ თარგმანებიდან შესრულებულია დიდი ოსტატობით, როგორც თარგმანები პუშკინისა და რილეევისა, ასევე კრილოვის იგავებისა და ჟუკოვსკის ბალადისა.

გრიგოლ ორბელიანს მოჰყვებიან **ალექსანდრე** და **ვახტანგ ორბელიანები. ალექსანდრე ორბელიანი** (1801—1869) ასევე მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში და ზოგიერთი წყაროს ცნობით, მისი მთავარი ორგანიზატორიც კი იყო. იგი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა შეურიგებელი და ჯერ კიდევ 50—იან წლებში ფარული ურთიერთობა ჰქონდა შამილთან, თუმცა, ამ საქმეში მარტოდმარტო იყო. იმ დროისათვის ქართველმა თავადაზნაურობამ უკვე მოასწრო საკმაოდ გარუსება და ბრძოლის ველზე როგორც შამილის, ასევე თურქეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ რუსულ ჯარში იბრძოდა. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ კავკასიის მეფისნაცვალმა მ. ვორონცოვმა არ გაახმაურა შამილთან ურთიერთობის საქმე და პირადი შეგონებით დაკმაყოფილდა.

ალექსანდრე ორბელიანმა შინაური აღზრდა მიიღო, შემდეგ პეტერბურგში სწავლობდა, სამხედრო სკოლაში, მაგრამ კარიერა ვერ გაიკეთა, მალე გავიდა თადარიგში და მთლიანად საზოგადო მოღვაწეობაში ჩაერთო; უშუალო მონაწილეობას იღებდა ჟურნალ-გაზეთების გამოცემაში. წერდა ბევრს და ნაირნაირ თემებზე, მაგრამ განსაკუთრებული კვალი ლიტერატურაში მაინც ვერ დატოვა. მისი ლექსები უფერულია, დრამები მოკლებულია კონკრეტულობას და წარსულიდან მოდიან. კრიტიკული გამოკვლევები და მონოგრაფიები დილეტანტიზმით არიან აღბეჭდილი, თუმცა კი არ არიან მოკლებული მძაფრ ინტერესს, ხოლო ზოგჯერ საზრიანობასა და ალღოს. უმეტესად მას იზიდავს ისტორიული თემები, კერძოდ მისი პაპის, მეფე ერეკლეს, უკანასკნელი მეფობა.

მისი ნაშრომები ტენდენციურია. იგი ერთობ პატრიარქალურად აშუქებს საქართვე-

ლოს ისტორიას. განსაკუთრებით ეს იგრძნობა გამოკვლევაში "უწინდელი დროის ბატონყმობა საქართველოში", სადაც იგი აიდეალებს ბატონყმურ ურთიერთობას. იმ დროს, როცა ბატონიშვილი იოანე თავის "კალმასობაში" ამათრახებს ფეოდალების თავგასულობას, ყმათა გაყიდვას და ბატონყმობის სხვა საზიზღარ გადმონაშთებს, ალ. ორბელიანი აიდეალებს ამ სამარცხვინო ინსტიტუტს და ფარავს ძველი კეთილი დროის ტრადიციებით. მაგრამ იგი თავისი დროის იდეოლოგი იყო და ამაშია გარკვეულწილად მისი ისტორიული მნიშვნელობა.

ვახტანგ ორბელიანი (1812—1890) ასევე მეფე ერეკლეს შვილიშვილია; იზრდებოდა დედის, თეკლე ბატონიშვილის, დიდად მგრძნობიარე გულის პატრონის, ზედამხედველობით. ბავშვობის მოგონებები წარუშლელად დაედო საფუძვლად ვახტანგ ორბელიანის მთელ ცხოვრებას და განმსჭვალა მისი პოეზია პასიურობა—მჭვრეტელობითა და უმოქმედობით..

ის ასევე მონაწილეობდა შეთქმულებაში, ასევე იყო გადასახლებული და ასევე გაიარა სამხედრო კარიერა, მაგრამ მთელი ცხოვრება ავადმყოფურად აღიქვამდა საქართველოს ბედს და თავისი შემოქმედება იდეათა ამ წრით შემოფარგლა. იგი დაუნდობლად დასცინოდა გრიგოლ ორბელიანს მისი ეპიკურელობის გამო, აშულურ ლექსთა ტონისა და ბაზრული მხიარულებისათვის.

კლასიკური პოეზიის—გოეთეს, შილერის, შექსპირის—საუკეთესო ნიმუშებზეაღზრდილი, იგი თავის ლექსებში არაერთხელ მოგვიწოდებს, ისინი კიდევ ერთხელ გადავიკითხოთ. ვახტაგ ორბელიანში პოეტმა გვიან გაიღვიძა, 45 წლისამ დაბეჭდა პირველი ლექსი. თუმცა იგი რომანტიზმის ეპოქაში დაიბადა, აღიზარდა და დავაჟკაცდა, მაინც ილია ჭავჭავაძის ახალ, რეალისტურ სკოლას მიემხრო. სიმართლე რომ ითქვას, იგი სხვა თაობის ადამიანია და ეს შემოქმედებითი დუალიზმი ბოლომდე განსაზღვრავს მის გზებს. იგი მაინც წარსულშია, მაგრამ მას აკლია გრიგოლ ორბელიანისა და ბარათაშვილის მთლიანობა. მეორე, მხრივ მისთვის უცხო დარჩა 60—იანი წლების პოზიტიური იდეები და მისი პატრიოტული ლირიკა მოკლებულია პატრიოტულ მიზანდასახულებას.

ვახტანგ ორბელიანი თავისი წინამორბედი უფროსი რომანტიკოსების მანერით აღწერს საქართველოს წარსულს. იგი ასევე აღსავსეა გარდასული ისტორიის გუგუნით, მაგრამ მას მაინც მოეპოვება იმედის გამოკრთომანი. თუ გრიგოლ ორბელიანი ფიქრობდა, რომ საქართველო მთავრდებოდა ორბელიანების საგვარეულოთი (იგი თავად დარჩა უშვილოდ და საერთოდ მის თვალწინ გადაშენდა გვარი), ვახტანგ ორბელიანი უფრო შორს იყურება და ზოგჯერ მისი მზერა მესიანიზმით არის განათებული. განსაკუთრებით ეს იგრძნობა ლექსებში "იმედი", "ჯვარი ვაზისა", სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ სახელოვანი ისტორიის მქონე ხალხი შეუძლებელია დაიღუპოს.

ვახტანგ ორბელიანთან ასევე იგრძნობა ბუნდოვანი ქროლა სამოქალაქო მოტივებისა, მაგრამ მისი სოციალური იდეალი მოკლებულია კლასობრივ შეგნებას და ზედაპირულ ხასიათს ატარებს. სანიმუშოა ეს მოტივი რომანტიკული შეგნებისა და მომავალი ქარიშხლების გაურკვეველი წინათგრძნობის აზრით.

როგორც ოსტატი, ვახტანგ ორბელიანი ჩამოუვარდება უფროსი თაობის პოეტებს; მისი ენა არაა გამომეტყველი, პოეტური გამონაგონი სუსტია, იგრძნობა ერთფეროვნება და ეპიგონობა.

იგი არის კაცი, რომელიც შემთხვევით მოხვდა 60—70—იან წლებში. ეპოქის სული და მისი მამოძრავებელი ძალები, რამაც სხვებს გარკვეული მსოფლმხედველობა მისცა, მას იმდენად არ შეხებია, რომ თავისთვის ორგანულად ექცია; თუმცა, ისიც, რაც გამოხატა ვახტანგ ორბელიანმა, არანაკლებ დამახასიათებელია ეპოქისათვის და ლიტერატურული სტილის ევოლუციისათვის.

ქართული რომანტიზმის წინამძღოლია პოეტი **ნიკოლოზ ბარათაშვილი** (1816—1945). გვარი ბარათაშვილებისა ორბელიანების მეორე შტოა და პოეტის დედაც ორბელიანი

იყო, პოეტ გრიგოლ ორბელიანის ღვიძლი და.

ბარათაშვილის მამა, მელიტონი, ახალგაზრდობაში თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო. ხმაურიანმა ცხოვრებამ მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის კარზე და ვორონცოვის ეპოქის მთელმა სისტემამ იგი მალე გააღარიბა და ბარათაშვილმა გამოსცადა მწარე ხვედრი სიღატაკისა. ადგილობრივი თავადაზნაურო-

ბის გაღატაკებაში იმალება ბარათაშვილის შემოქმედების სოციალური ფესვები. ნ. ბარათაშვილმა, როგორც ყველა მისმა თანატოლმა, მდიდარი არისტოკრატული ოჯახის შვილებმა, დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო დედის, თავისი დროის გამოჩენილი ქალის, მეთვალყურეობით. შემდეგ იგი შეიყვანეს კალოუბნის ეკლესიასთან არსებულ სამრევლო სკოლაში და კეთილშობილთა სასწავლებელში, შემდეგ გიმნაზიაში, რომლის კურსიც დაასრულა. ამ დროს გაღარიბდა მისი ოჯახი და იგი დიდ გაჭირვებას განიცდიდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მომავალ პოეტს არ ჰყოფნიდა ფული სახელმძღვანელოებისთვისაც კი. ამასთან ერთად მას შეემთხვა უბედურება—მოიტეხა ფეხი და სამუდამოდ დაკოჭლდა. მგრძნობიარე, თანაც სიცოცხლით სავსე ბიჭისათვის, დიდი ოხუნჯისა და ცელქისათვის, ამან საბედისწერო შედეგი იქონია.

გიმნაზიის კურსის შესანიშნავად დასრულების შემდეგ, იგი სიღარიბის გამო ვერ შევიდა უნივერსიტეტში, ხოლო სამხედრო სამსახურის კარი დახშული ჰქონდა ფიზიკური ნაკლის გამო.

ამ პეროდის წერილები აღსავსეა ჩივილით მკაცრ ცხოვრებაზე და ბედის დაუნდობლობაზე. ნაცვლად სწავლის გაგრძელებისა, რისკენაც ასე ისწრაფვოდა იგი, ნ. ბარათაშვილს მოუწია სამსახურის დაწყება სასამართლო ექსპედიციაში და მცირე ხელფასით ოჯახის რჩენა. ასეთი მდგომარეობა გაჰყვა მას სიკვდილამდე, ხოლო გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა და ვერც შემოქმედებითად მომწიფება მოასწრო. თბილისში დარჩენილი ყელამდე ჩაეფლო მაღალი საზოგადოების ცხოვრების მორევში. მისი წარმომავლობა უხსნიდა მას კარს უმაღლეს საზოგადოებაში. სიღარიბე მხოლოდ პირადი შეურაცხყოფა იყო ახალგაზრდა პოეტისათვის.

მალე იგი გახდა სული და გული გარემომცველი საზოგადოებისა და არ აცდენდა მაღალი საზოგადოების არც ერთ წვეულებასა და ბალს. იგი ყველგან სასურველი სტუმარი იყო. მისი გონებამახვილობა და ცოცხალი ხასათი მას შეუცვლელს ხდიდა.

აღმოჩდნენ ადამიანები, უშინაარსო სიცოცხლის ვითარებაშიც დაიწყეს ფიქრი მშობლიური ლიტერატურის ბედზე და აქ ბარათაშვილი მეთაურობდა მეგობრების ახალ წრეს.

მალე მან იგრძნო გარემომცველი წრის მოჩვენებითობა. ჩინოვნიკური ცხოვრების და თავადური თავაშვებულობის უშინაარსობა და მასში ხდება სულიერი გარდატეხა. სმენას მიაპყრობს სინდისის იდუმალ ხმას—ახალი ხვედრის წარმომჩენს. იავარყოფა, ირგვლივ მყოფთა ეგოიზმი და ნიკოლოზ I პოლიტიკური რეჟიმის უღელი განსაზღვრავენ მის განწყობილებას.

ამ დროს საქართველომდე უკვე აღწევს ევროპის რომანტიკული ბრძოლების გუგუნი. ბაირონის დაღვრემილი პესიმიზმი ბარათაშვილში თავის გამოძახილს პოულობს და ხდება პოეტის საბოლოო თვითგამორკვევა.

ბაირონიზმის შემოტევას, პუშკინისა და ლერმონტოვის გავლენას ბარათაშვილის შემოქმედებაში ღრმა კვალი არ დაუტოვებია. მისმა ადრე მომწიფებულმა გენიამ აჯობა საკუთარ თავში უცხო პოეტთა გავლენას და შეინოვა რა მღელვარე საუკუნის საერთო დინებები, ჩამოყალიბდა როგორც ორგანული და ნაციონალური.

ნ. ბარათაშვილმა გააფართოვა იდეათა წრე და XIX საუკუნეში პირველად საქართველოში ზოგადსაკაცობრიო მოტივები შემოიტანა. მსოფლიო სევდის საფუძველის ნაციონალურთან დაკავშირება, ილია ჭავჭავაძის თქმით, ესაა ნ. ბარათაშვილის დამსახურება ქართულ პოეზიაში. მისი სტატია ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაზე, პოეზიისა და ეპოქის ანალიზის სიღრმე კრიტიკული აზრის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს.

თავისი შემოქმედების დასაწყისში ნ ბარათაშვილი ვერ ასცდა სპარსული ლირიკისათვის ხარკის გაღებას. მართალია ასეთი ლექსები ბევრი არაა, მაგრამ ყველა ისინი აღნიშნავენ პოეტის მიერ განვლილ პოეზიის ტრადიციულ გზას. ბულბულები და ვარდები აქაც გადასძახიან ერთურთს და წარმავალი სიყვარულის რომანტიკულ სევდას გვგვრიან.

მაგრამ ნ. ბარათაშვილმა ჩქარა და სამუდამოდ მიატოვა ეს ლირიკა. ჩაუღრმავდა საზოგადოების სოციალურ ძირებს და საზოგადოებრივ ურთიერთობათა მახვილმა ანალიზმა მას თავისი ეპოქის პირველი მოაზროვნე პოეტის სახელი მოუპოვა. ნ. ბარათაშვილთან თავისი და მომდევნო თაობების ყველა პოეტზე მწვავედ იგრძნობა გადაძახილი ახალ ეპოქასთან. იგი გამოხატავს ახალი ადამიანის ნაღველს, რომელიც ხედავს და გრძნობს მისი

წარმომშობი კლასის დაღუპვას, სიკვდილისწინა აგონიის ხმას. აქ განცდებისა და თავისი ეპოქის გამოხატვის სილრმე ერთი ნაბიჯით წინ უსწრებს, სხვა ცხოვრების მოახლოვებას გვამცნობს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პესიმიზმის საფუძველი ზოგადფილოსოფიურია, თუმცა მისი შემოქმედების სოციოლოგიური ანალიზი იოლად ააშკარავებს მის სოციალურ ფესვებს. მისი პესიმიზმი მისი თანამედროვე საქართველოს საზოგადოებრივ წყობას ემყარება. ვორონცოვის ეპოქა გადაგვარების გზაზე მდგომი თავადაზნაურობის ნიკოლოზის რეჟიმთან ოფიციალურ მორიგების გზაზე გაიბზარა, მდიდრული ბალ—მასკარადები წარმართავდა საზოგადოების ზედა ფენის გემოვნებას, მაგრამ ამ ფენის გამოფხიზლებაც მწარე იყო—იგი გაღატაკდა. მევახშე ბურჟუაც თავის საქმეს აკეთებდა და ფეოდალურ ურთიერთობათა დასასრული ატმოსფერულად იგრძნობოდა. პოეტის ფხიზელ სმენას კიდევ უფრო მკაფიოდ ესმოდა ეს ხმები—ყველგან წარსულის დამღუპველი გზის შემხსენებელი. მისი სახით მისი წარმომშობი კლასი სამგლოვიარო მარშს შეიგრძნობდა და გული ელეოდა გამოუვალ ნაღველში. ასე ხორციელდებოდა გადასვლა სხვაზე. ვორონცოვის მიერ თავადაზნაურობის გადარჩენის მცდელობამ საპირისპირო შედეგები გამოიღო, არც თუ ისე გაუცნობიერებელი იყო ეს მუშაობა. იგი გამოცდილი კარისკაცის მიერ ზუსტად იყო გათვლილი.

გარდამავალი მომენტის გრძნობათა ეს შფოთვა და ტანჯვა განსაკუთრებით ცხადდება ბარათაშვილის პოემაში "ბედი ქართლისა". პოემა დაწერილია ახალი ბაირონული პოემის მანერით, მაგრამ ბაირონული მიზანდასახულების გარეშე.

პოემაში აღწერილია საქართველოს ისტორიის მოვლენები—ქართული სამეფოს უკანასკნელი დღეები, აღა—მაჰმად—ხანის შემოსევა, თბილისის აოხრება, რამაც ობიექტურად გადაწყვიტა საქართველოს ბედი. უპირისპირდება ორი მიმდინარეობა, მეფე ერეკლე რუსული ორიენტაციისაკენ იხრება, სახელმწიფო კანცლერი სოლომონ ლეონიძე კი საპირისპირო შეხედულებას იცავს. კანცლერი ხედავს მდგომარეობის გამოუვალობას, მაგრამ მაინც ფიქრობს, რომ კრიზისის აღმოფხვრა შესაძლებელია საკუთარი ძალებით.

გადასწონის მეფის თვალსაზრისი. ეს დიალოგი გაკეთებულია ლაკონურად.

ავტორის სიმპათია მსაჯულის მხარესაა, რომელიც არწმუნებს მეფეს, რომ რუსთა და ქართველთა მართლმადიდებლური სარწმუნოების ერთიანობა საქმეს ვერ უშველის მაშინ, როცა სახელმწიფოთა ინტერესები ურთიერთსაპირისპიროა, რომ ბულბულის ხვედრი სულაც ვერ შემსუბუქდება, თუ გალია ოქროსი იქნება. მაგრამ მეფეს გულში გადაწყვეტილი ჰქონდა ქართლის ბედი. ამ პოემაში ნ. ბარათაშვილი აშკარად გამოხატავს თავის პოლიტიკურ შეხედულებებს. ავტორის თვალსაზრისი ემთხვევა 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა პოლიტიკურ პროგრამას, ხოლო ეს უკანასკნელი რუს დეკაბრისტთა პროგრამას. ნ. ბარათაშვილი აშკარად იცავს მმართველობის კონსტიტუციურ ფორმას, სათანადოს მიაგებს მეფე ერეკლეს, მისი გმირობის, ქვეყნის წინაშე დამსახურებისა გამო, მაგრამ მაინც არ თვლის შესაძლებლად, რომ ერთი ადამიანი წყვეტდეს ხალხის ბედს.

გზადაგზა პოემაში გვეძლევა წარსულის ქართველი ქალის გმირული ხასიათის აღწერა და ქარაფშუტობა თანადროული ქალებისა, იმ დროს, როცა ვორონცოვის მიერ დაგებულმა მახეებმა, ფუფუნებამ და სიმდიდრემ ყველაზე ადრე ქალის გული შეცვალა.

ბუნების აღწერით, სურათ—ხატების შინაგანი აღვსებულობით და უწყვეტი აღმაფრენით ეს პოემა დღემდე სწორუპოვარია.

ნ. ბარათაშვილის პესიმიზმი არ არის მოკლებული აქტიურობას და მყარ მოქალაქეობრივ მიზანდასახულებას.

ლექსში „მერანი" — მთლიანად წინასწარმეტყველურში, რომელშიაც მან იწინასწარმეტყველა თავისი სიკვდილი და სიკვდილის გარემოების დეტალებიც კი, — ნ. ბარათაშვილი მიმართავს მერანს, დებს რა მერანში საკუთარ იდეალს, სთხოვს, გააქროლოს უკეთეს მხარეში, სამშობლოდან, ახლო მეგობართა და სატრფოსაგან შორს, სადაც დაუღამდება ან გაუთენდება, იქ იქნება მისი მიწა—სამშობლო, მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა გაანდობს გულის საიდუმლოს. მას არ უნდა მშობლიურ მიწაში დამარხვა, ნათესავთაგან და ახლობელთაგან დატირება. მხოლოდ ყორნები გაუთხრიან უდაბოში სამარეს და დაიტირებს ქარი, იგი მიაყრის სამარეს მიწას. მას არ სურს ბედს დაემორჩილოს და სიკვდილს

ორთაბრძოლაში იწვევს, მაგრამ ნუგეშად ის რჩება, რომ ტყუილად არ ჩაივლის მღელვარებანი სულისა, მერანის მიერ გაკვალული გზა დარჩება და სხვა თანამოძმეს შეუმსუბუქებს გზას ბედთან უშიშარი ბრძოლისათვის.

ეს ლექსი გარკვეულმა შემთხვევამ განსაზღვრა, ეძღვნება იგი ბიძას—ილია ორბელიანს, რომელიც შამილს ჩაუვარდა ტყვედ. მაგრამ პოეტმა აქ შეძლო თავისი იდუმალი განცდების გამოხატვა. სინამდვილეში იგი დაიღუპა სამშობლოდან შორს, განჯაში და იქვე დაკრძალეს. ნათესავებმა და ახლობლებმა ვერ მოასწრეს მისი დატირება, მაგრამ 1893 წელს მისი ნეშტი განჯიდან თბილისში გადმოასვენეს და ეს გადმოსვენება საერთო სახალხო ზეიმად გადაიქცა.

ასეთივე განწყობილებაა გამოხატული ლექსში "ფიქრნი მტკვრის პირას". პოეტი აღწერს ბედის უკუღმართობას და სოფლის ამაოებას. რომელთაც ვერავინ გაექცევა, მაგრამ ლექსის დასასრულს იგი მაინც პოულობს სიმხნევეს და ასე ამთავრებს:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან —
შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივსდიოთ მას,
გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა,
რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის
არა იზრუნვოს".

მისი სატრფიალო ლექსები ეძღვნება ეკატერინე დადიანსა და ნინო გრიბოედოვას, რომელიც მას უყვარდა, მაგრამ ღიად არ შეეძლო ემღერა მაინც თავისი სიყვარულისათვის, თავისი ბიძის გრიგოლ ორბელიანის გამო, რომელსაც ნინო მთელი თავისი ცხოვრება უყვარდა და რომელმაც თავის დისშვილზე ბევრად დიდხანს იცოცხლა.

რამდენიმე ლექსი ეძღვნება გრიგოლ ორბელიანს. ამ ლექსებში პოეტი იხსენებს თავის ბავშვობას და სიჭაბუკის უშფოთველ გართობებს ყაბახზე ორბელიანთან ერთად, მაგრამ ეს ლექსებიც სავსეა მელანქოლიით. მისი ინდივიდუალისტური განწყობილებებისათვის ნიშანდობლივია ლექსი "ნაპოლეონ".

ქართულ ლექსს ბარათაშვილმა მიანიჭა ინტიმურობის ახალი თრთოლა, მისი ლირიკულობა უჩვეულოა. აქამდე საქართველოში ბარათაშვილის ძლიერება ლირიკული აღმაფრენის საზომად ითვლება. აფორისტულობა აზრისა, როგორც ტიუტჩევთან, არ არის გადატვირთული და მიუხედავად გაჯერებულობისა, ბოლომდე მუსიკალურია. ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში მისი დაუბეჭდავი ლექსები მთელ საქართველოში იმღერებოდა და აქამომდე ხალხში იმღერება ყველა ინსტრუმენტის ხმაზე. ზოგიერთი ამ ლექსთაგანი, მაგალითად "სულო ბოროტო", იმდენად ხალხურია, რომ ხალხური შემოქმედების ნაყოფი გეგონება.

ბარათაშვილმა იდეათა სამყაროს განახლებით ლექსის ფორმაც გადაასხვაფერა. მისი პოეტური ენა, რომელიც მან უნივერსალური გახადა, ხალხურს მიუახლოვდა. მან ბევრი საზომი გამოიგონა და შექმნა ე.წ. ბარათაშვილური მეტრიკა.

უდროო სიკვდილის გამო მან შედარებით ცოტა დაწერა, სამაგიეროდ მთელი მისი ნაღვაწი მასში მოწიფულ ოსტატს ავლენს. ამიტომ იგი რომანტიკული ეპოქის ყველაზე დასრულებული პოეტია. მან შეძლო გამოეხატა თავისი თაობის მისწრაფებანი და დამდგარიყო ორი სამყაროს გზაგასაყარზე.

მისი გავლენა მომდევნო თაობების პოეტებზე უზარმაზარია და დღემდე მისი ჰანგი, როგორც პუშკინისა, ისმის ყველა პერიოდის სხვადასხვა მიმართულების პოეტებში.

რომანტიკოსთა ამ თაობას მიეკუთვნება ასევე **გიორგი ერისთავი** (1811—1864), თუმცა მისი ლიტერატურული ცხოვრება სხვაგვარად წარიმართა და მას ქართული მწერლობის ისტორიაში თავისებური როლის შესრულება მოუწია.

გიორგი ერისთავი ასევე მიეკუთვნებოდა 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს. ისიც იჯდა ციხეში, მერე პოლონეთში გადაასახლეს, ბოლოს კი სამშობლოში დაბრუნდა.

მხურვალე რომანტიკოსი, იგი დასტირის საქართველოს ისტორიულ ბედსა და თავის გადასახლებას.

პოლონეთში ახალგაზრდა პოეტი გაეცნო მიცკევიჩის პოეზიას და მოექცა მის ტყვეობაში, პოლონური მესიანიზმით დაავადდა, ბევრს თარგმნის მიცკევიჩიდან და სხვა პოლონელ პოეტთაგან. მისი პოეტური ცდები სუსტია, ლექსი მას არ გამოსდიოდა, თუმცა დიდხანს ცდილობდა. იგი ასევე დარჩებოდა მეორეხარისხოვან პოეტად და მთარგმნელად, მაგრამ ზოგიერთმა გარემობამ მკვეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად შეცვალა მისი ბედი. მაშინ კავკასიის მეფისნაცვლის მ. ვორონცოვის რეფორმების ეპოქა იდგა. მან თბილისში დააარსა რუსული თეატრი და იტალიური ოპერა. გაჩნდა აზრი ქართული თეატრისა და ლიტერატურული ჟურნალის დარსებისა. ვორონცოვს მიუთითეს გ. ერისთავზე. ასე დაავალეს მას ჟურნალის რედაქტორობა და დანიშნეს ქართული თეატრის დირექტორად

1852 წელს დაარსდა პირველი ქართული ჟურნალი "ცისკარი". ჟურნალის რედაქტორმა გიორგი ერისთავმა ჟურნალის ირგვლივ თანამშრომელთა კადრები თავის მეგობართაგან შეკრიბა: ჟურნალში მონაწილეობდნენ პლატონ იოსელიანი, გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი, ალ. ორბელიანი, გრ. ორბელიანი და სხვები.იქვე ერისთავი ათავსებს ლექსებს, პოემებს, თარგმანებს და წერილებს. თარგმნით იგი ბევრს თარგმნიდა. გარდა მიცკევიჩისა თარგმნიდა აგრეთვე ვიქტორ ჰიუგოს, პეტრარკას, შილერს, ბერანჟეს, პუშკინსა და ლერმონტოვს. უმთავრესად იგი თარგმნიდა ისეთ ლექსებს, რომლებიც შეესაბამებოდა მის სულიერ წყობას.

მოღვაწეობის ამ პერიოდში განსაკუთრებით ნათლად მან თავისი თავი გამოხატა პოემაში "შეშლილი". პოემა დაწერილია მარტივი ენით და სხვათაშორის თავადაზნაურული ყოფაც გაკენწლა. მაგრამ ორიგინალური გ. ერსთავი კომედიებშია: აქ მან სათავე დაუდო რეალისტურ ჟანრს და მისი პიესები დღემდე არ ჩამოდის ქართული თეატრის სცენიდან.

კომედიებში "გაყრა", "დავა" ერისთავი ცოცხალი საღებავებით ხატავს მაშინდელი თბილისის ყოფას; ტიპები მოხდენილად არიან შერჩეულნი ცხოვრებიდან და გვეძლევიან ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებში.

მთავარი მოქმედი პირები არიან ახალი ტიპის თავად—აზნაურები, გარუსებულნი, გაღატაკებულნი და ფუქსავატები. ისინი ფუქსავატურად ცხოვრობენ, ეძლევიან სიზარმაცესა და სხვა მანკიერებებს. ეს წარმავალი თავადაზნაურული კლასია, მაგრამ მათ გვერდით მოცემულია ახლადჩასახული ბურჟუაზიის ტიპები, უმთავრესად სომხური წარმომავლობისა. ქალაქელი ვაჭარი მოდის გაკოტრებული თავადაზნაურობის შემცვლელად. იგი ისაკუთრებს მათ ადგილ—მამულს, ჩადებულს ბანკში და თანდათან ყველაფერს ხელთ იგდებს.

კომედიებში მოცემულია ნათელი სურათები თავადაზნაურული საადგილმამულო კულტურისა და ბატონყმური ყოფის ხრწნისა, გამოაშკარავებულია სავაჭრო კაპიტალის აღმოცენების პროცესი, პასაჟებში, რომლებშიაც მოქმედებენ კომედიების მთავარი გმირები.

ინტრიგები მარტივია, თუმცა მოქმედ პირთა ცხოვრებისეულობა ანიჭებს კომედიებს მხატვრულ ღირებულებას..

ქართული თეატრი არსებობდა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, ერეკლეს დროს, ითარგმნებოდა რუს და ევროპელ ავტორთა ტრაგედიები.

ალექსანდრე ორბელიანმა დაწერა ტრაგედია დავით აღმაშენებლის ცხოვრებიდან.

გიორგი ერისთავმა პირველმა შეიტანა კომედია ქართულ სცენაზე და ამით დაუდო სათავე რეალისტურ თეატრს. კომედიურ ჟანრში მას არ ჰყოლია წინამორბედი. მისი ადრეული ლიტერატურული მოღვაწეობის მიმართულებითაც არ ივარაუდებოდა, რომ იგი დაიწყებდა ხელოვნების სრულიად ახალ სახეს—კომედიას დამოგვევლინებოდა თეატრის ნოვატორად. მისი ბედი გრიბოედოვისას ჩამოჰგავს, რომელიც ლექსებსა და პოემებში ტრადიციულ მწელობას აგრძელებდა და მხოლოდ კომედიაში თქვა ახალი სიტყვა. ამასთან გ. ერისთავმა პრველად ქართულ ენაზე თარგმნა "ვაი, ჭკუისაგან".

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა გიორგი ერისთავის საზოგადოებრივი, ლიტერატურული და თეატრალური მოღვაწეობა. ორი წლის შემდეგ ჟურნალი დაიხურა თავად ვორონცოვის სხვაგან გადაყვანის გამო. გ. ერისთავი იძულებული გახდა, თბილისიდან გადასახლებულიყო თავის საგვარეულო მამულში, სადაც მალევე გარდაიცვალა.

მისმა წამოწყებამ სხვა მონაწილენი მიიზიდა და იგი არც შეიძლებოდა ჩამკვდარიყო. განსაკუთრებით ძლიერად ძვრას ქართული თეატრი გრძნობდა, რომელიც დიდხანს იდგა ერისთავისეული რეალიზმის ტრადიციებზე.

შემდგომში მას გამოუჩნდა ბევრი მიმდევარი. ტიპი გაღატაკებული აზნაურისა, იმერელი მოსამსახურისა, ცუღლუტი და ეშმაკი ქალაქელი ვაჭრისა, ძუნწი გაიძვერასი შემდგომში სხვადასხვა ვარიაციით არსებობდნენ რევოლუციამდელ თეატრში.

გაგრძელება იქნება


ჯორჯ ბალანჩინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეკვა მთვარის შუქზე

კრიტიკოსისთვის, რომელიც ცდილობდა ბევრი რამ გაეგო მის ბალეტებზე ჯორჯ ბალანჩინს უკითხავს:

— მოგწონთ ვარდი?

— დიახ, — უპასუხა მან.

— აბა, მითხარით, რა სიუჟეტია მასში? - ეს არის ფერი, არომატი, სილამაზე. მე მინდა, რომ ყველაფერი ძალიან ლამაზი იყოს. აი, ეს არის ჩემი ბალეტი.

ბალანჩინის ბალეტებში მართლაც ყველაფერი ძალიან ლამაზია. "სერენადა" კი ერთ-ერთი პირველი შედევრია, რომელიც წარმოშობით ქართველმა, ამერიკული ბალეტის შემქმნელმა ჯორჯ ბალანჩინმა ამერიკაში დადგა.

"სერენადა" სიყვარულის, სილამაზისა და ოცნების ცეკვაა. მაგრამ ამაზე ბალანჩინი არასდროს საუბრობდა. იგი მოცეკვავეებისგან მხოლოდ ამის გადმოცემას მოითხოვდა.

1933 წელს, ლინკოლნ კირსტაინთან და ედუარდ უორბურგთან ერთად, ნიუ იორკში დაარსებულ ამერიკულ საბალეტო სკოლაში ბალანჩინმა პროგრამაში სცენიური ოსტატობის საღამოს კლასი ჩართო. მას სურდა მოსწავლეებისთვის ეჩვენებინა რით განსხვავდება სცენაზე გამოსვლა კლასში მუშაობისაგან. სწორედ ეს გაკვეთილები და ამ გაკვეთილების შემთხვევითობებია გადმოტანილი "სერენადაში". ბალანჩინმა თითქმის არაფერი არ შეცვალა და ბალეტის ერთადერთ სიუჟეტად მუსიკა განსაზღვრა. ასეა მის ყველა ბალეტში, მუსიკა არის ერთადერთი და მთავარი მომენტი, რის გამოც იგორ სტრავინსკიმ თქვა - "უყურო ბალანჩინის ქორეოგრაფიას, ეს ნიშნავს თვალებით ხედავდე მუსიკას". "სერენადას" სკოლის მოსწავლეები ცეკვავდნენ. ვინ იყვნენ ისინი? – ჩვეულებრივი, უბრალო ამერიკელი ქალბატონები, რომლებსაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ საბალეტო სამყაროზე. მათ არ იცოდნენ არც ერთი პა, არც ერთი მოძრაობა... ისინი ამას საღამოს გაკვეთილებზე სწავლობდნენ. საღამოს გაკვეთილები? – ეს კიდევ რაიმე ახალია ბალანჩინის სტილში? საქმე ის გახლავთ, რომ ყველა ეს ქალბატონი და რამდენიმე მამაკაცი დღისით მუშაობდნენ და ჯერ კიდევ არ იყვნენ საბალეტო სკოლის მუდმივი მოსწავლეები. "სერენადაც" ღამის შთაბეჭდილებითაა შექმნილი, „თუ გნებავთ – ეს არის ცეკვა მთვარის შუქზე" (ბალანჩინი). მაგრამ იგი პეტერბურგის "თეთრი ღამეების" ასოციაციით შექმნილი ცეკვაა, პეტერბურგის მონატრებით შთაგონებული. ბალერინები თითქოს თეთრ, ნათელ ღამეებში მართავენ მეჯლისს და გვაჩვენებენ ჩაიკოვსკის მუსიკის სიდიადეს.

"სერენადა სიმფონიური ორკესტრისათვის" ჩაიკოვსკის მუსიკასთან სცენაზე ბალანჩინის პირველი შეხვედრა იყო, რომელიც იმდენად ნაყოფიერი გამოდგა, რომ 1981 წელს ნიუ-იორკში "ჩაიკოვსკის ფესტივალიც" კი მოაწყო, სადაც ამ გენიალური "პეტერბურგელი კომპოზიტორის" (ბალანჩინის ტერმინია, რადგან პეტერბურგელობა მისთვის უფრო დიდი შინაარსის მატარებელი იყო, ვიდრე უბრალოდ ქალაქის მცხოვრებლის აღმნიშვნელი ტერმინი) მუსიკაზე შექმნილი მისი ბოლო შედევრი "მოცარტიანა" იყო, ერთი კვირის შემდეგ კი ჩაიკოვსკის მეექვსე, "პათეტიკური", სიმფონიის მეოთხე გამოსამშვიდობებელ ნაწილზე - "დაგიო ამენტოზო" დადგმული ცეკვა.

"სერენადას" დადგმას სხვა გარემოებებმაც შეუწყო ხელი. მის შესრულებას შედარებით პატარა ორკესტრი სჭირდება, რისი შესაძლებლობაც მათ ახლადდაარსებულ კომპანიას ამ დროისთვის გააჩნდა. ეს ის დროა, როცა ბალანჩინს ჯერ კიდევ არ იცნობენ, განსაკუთრებით ამერიკაში. იგი ევროპიდან ახალჩამოსულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბალეტშიც იყენებს იმ შთაბეჭდილებებს, რაც იქ მიიღო. "ნიუ იორკ სითი ბალეს" ყოფილი მოცეკვავე სიუზენ შორერი იგონებს, რომ 1933 წელს, "სერენადას" დადგმა რომ დაიწყო და ხელის მოძრაობებს ასწავლიდა კორდებალეტს, ბალანჩინმა თქვა: "გერმანიაში არის საშინელი, პატარა კაცი. იგი ატარებს ულვაშებს და ხელს აი, ასე (ფაშისტურ ჟესტს აჩვენებდა) აკეთებს". მას შეეძლო აეღო ცუდი და გარდაექმნა იგი მშვენივრად".

მთელ ბალეტს "ბალერინა – ეფემერიდებისაგან" (ე. გაევსკი) შემდგარი კორდებალეტი ასრულებს. ისინი სწრაფი და ჰაეროვანი მოძრაობებით, თეთრ, ნათელ ღამეებში თავდავიწყებით ცეკვავენ და მართავენ მეჯლისს. ჩაიკოვსკის საზეიმო მუსიკის თემაზე იწყება ბალანჩინის ქორეოგრაფიული ტექსტი. მთელ ბალეტს განმსაზღვრელ აქცენტად სიმსუბუქე მიჰყვება.

ბალანჩინის სარეპეტიციო დარბაზში, სადაც ადრე რეპეტიციებს გადიოდა აისედორა დუნკანი, პირველ გაკვეთილს 17 გოგონა დასწრებია. სწორედ ასე იწყება "სერენადა". ორი რომბის მსგავსად წარმოდგენილი კორდებალეტი, ციფრი „8"-ის მსგავსად არიან განლაგებულნი სცენაზე. ბალანჩინის ამ გეომეტრიულ ნახაზს ღამის ნაზი შუქი ანათებს. შუქი თანდათან უფრო მკვეთრი ხდება და გოგონები იწყებენ ხელის ზემოთ ნელ-ნელა აწევას. შემდეგ გულზე დაიდებენ და ფეხებს პირველ პოზიციაში დგამენ. ბალანჩინის კლასშიც ასე იწყებოდა მეცადინეობა. პირველივე საღამოს მისტერ ბიმ (ასე ეძახდნენ სიყვარულით ბალანჩინს) ისინი დიაგონალზე მოაწყო და გადაწყვიტა ესწავლებინა პირველი მოძრაობები და ხელის მანევრირება (აწევ-დაწევა). შემდეგ გოგონები პატარა ჯგუფებად იწყებენ ცეკვას, სწრაფად და ჰაეროვნად მოძრაობენ, თავბრუდამხვევ პირუეტებს აკეთებენ წრეზე და ბოლოს ისევ იმ პირველ პოზას უბრუნდებიან, ხელის იმ მოძ-



რაობას აკეთებენ, რითაც დაიწყო ეს ბალეტი. ისევ ის ორი რომბი იხაზება კორდებალეტის მიერ, რომელსაც ანტიკურ ქოროსაც ამსგავსებენ. და ამ დროს სცენაზე შემოდის გოგონა. ბალანჩინის კლასშიც ასე მომხდარა – ერთი ბალერინა დაგვიანებით შემოსულა მეცადინეობაზე. არ იცოდა რა ექნა, სად დამდგარიყო... მისი შემოსვლა სწორედ ასე დარჩა ბალეტში. და უცებ ბალეტში გაჩნდება მამაკაცი სოლისტი. "სცენაზე დგს ქალი და კაცი. ეს უკვე ისტორიაა" - ბალანჩინის ეს თეზისი თითქმის მის ყველა ბალეტში წამყვანი და ძირითადია. ისინი ერთად იწყებენ ცეკვას. გოგონა თითქოს გაურბის ბიჭს, შემდგომ უბრუნდება მას და ბალეტის მეორე ნაწილიც მათი ჰაეროვანი ვალსით სრულდება.

მეორე გაკვეთილზე ბალანჩინს ცხრა გოგონა ესწრებოდა, მესამეზე – ექვსი. "სერენადას" მეორე ნაწილსაც ხუთი გოგონა ცეკვავს, ანუ ბალეტში შემდეგი გაკვეთილების განწყობაა გადმოცემული. წყნარ მელოდიაზე ისინი ერთმანეთისაკენ აბრუნებენ თავს, უწვდიან ხელს და არაჩვეულებრივი რუსული მელოდიის პირველი ბგერებისთანავე იწყებენ მოძრაობას. "სერენადას" პირველ და მეორე ნაწილში გამოკვეთილია სოლისტი გოგონას ვარიაციები. ბალანჩინის ბალეტები, და რა თქმა უნდა "სერენადა", კორდებალეტის შესრულებით გამორჩეულია. "სერენადას" შემსრულებელი ვარსკვლავები კონკრეტული სოლისტები კი არ არიან, არამედ მთელი კორდებალეტი. მაგრამ გოგონას სოლო პარტია ბალანჩინმა ისევ გაკვეთილის შთაბეჭდილებით ჩასვა. ერთმა გოგონამ, რომელიც არც თუ ისე კარგად ცეკ-

ვავდა, ყველაზე რთული პარტია შეასრულა და ასე სპონტანურად შევიდა იგი ბალეტში. ამან ყოველივე უფრო თეატრალური და დრამატული გახადა.

მესამე ნაწილის დასასრულს ახალგაზრდა გოგონები სცენიდან გარბიან. მხოლოდ ერთი მათგანი რჩება იქ დავარდნილი, ხელებში რომ ჩაუმალავს თავი. ერთხელ, როდესაც გოგონები იდგნენ იმ შემაღლებულ ადგილას, რომელსაც ბალანჩინის კლასში სცენას ეძახდნენ, ერთ-ერთი მათგანი ჩამოვარდა და ტირილი დაიწყო. მისტერ ბიმ მუსიკოსს დაკვრა არ შეაწყვეტინა და ეს სცენა უცვლელად დატოვა, რომელსაც ებმის "სერენადას" ბოლო ნაწილი – ელეგია. იგი თავის თავში გარკვეულ მინიშნებას ატარებს სიუჟეტზე. სცენაზე შემოდის სოლისტი მამაკაცი, რომლის თვალებზე ხელი აუფარებია მის უკან მომავალ გოგონას. ამ სცენასაც მისი ისტორია აქვს: რეპეტიციის დროს ბალერინა სცენაზე იდგა. ამ დროს მასთან ჩუმად მივიდა მოცეკვავე ბიჭი და თვალებზე ხელები ააფარა. ბალანჩინმა დაიჭირა ეს მომენტი, მოეწონა და შესძახა: "იყავით, არ გაინძრეთ, ასე დარჩით ამ სცენაში".

ბიჭი მარტო დარჩენას ელოდება, შემდეგ ეხმარება დავარდნილ გოგონას წამოდგომაში და ორივე პარტნიორთან ერთად ცეკვავს. ის თითქოს ვალდებულია გააკეთოს არჩევანი. აირჩევს პირველს და მასთან ერთად ტოვებს სცენას. ფინალში სამ ბიჭს ხელში აჰყავთ გოგონა და ფართოდ გაშლილი ხელებით გაჰყავთ სცენიდან.

უსიუჟეტო ბალეტის ბოლო ნაწილში თითქოს თეატრალური სურათი იხატება. ვინ არის იგი, ვინც დაცემული ქალისკენ მიემართება, რომელსაც უკან ქალის სხეული აკვრია და თვალზე ხელი აუფარებია? მიიჩნევენ, რომ ის არის მხატვარი, რომელიც საკუთარ მუზას ატარებს, როგორც ტვირთს, როგორც საკუთარ ჯვარს; ან იქნებ პოეტია, ან უბრალოდ მოცეკვავე – პარტნიორი, ქალისა და მამაკაცის ისტორიაც შეიძლება ვიგულისხმოთ. ანუ, ვერსია შეიძლება იყოს იმდენი, რამდენი მაყურებელიც ნახავს ამ ბალეტს და გაუჩნდება რაღაც ასოციაცია. ფაქტია, რომ ბალანჩინმა გმირი შემოიყვანა – მამაკაცი, ქალი და პერსონაჟი, რომელსაც "ანგელოზს" ადარებენ, თავისი გაშლილი ხელებით. მას მამაკაცი მიჰყავს ქალთან. მაგრამ, შემდეგ სიყვარული იკარგება, ბალეტის ბოლოს კი ქალი ზეცისკენ მიდის.

"სერენადამ" ბევრი ცვლილება განიცადა. იგი დაიდგა ამერიკის ბალეტის დასში, რომელიც ამერიკული ბალეტის სკოლის მოსწავლეებისაგან შედგებოდა; ნიუ-იორკის ადელფის თეატრში ბალეტი პირველივე სეზონზე წარმოადგინეს; 1935 წლის 1-დან 15 მარტამდე "სერენადა" მონტე-კარლოს რუსული ბალეტისათვის დაიდგა; 1940 წლის 17 ოქტომბერს კი წარმოდგენილი იქნა მეტროპოლიტენ-ოპერის სცენაზე... 1947 წლიდან "სერენადა" "ნიუ-იორკ სითი ბალეს" მუდმივ რეპერტუარში შევიდა.

„სერენადას" შექმნიდან შვიდი ათეული წელი გავიდა. იგი დღესაც ისე ატყვევებს მაყურებელს, როგორც მაშინ, 1934 წელს, როცა ამერიკაში მისი პრემიერა შედგა და ამერიკული ბალეტი დაიბადა.

ბალანჩინი აღნიშნავდა, რომ საბალეტო დადგმები ცოცხლობენ მანამ, სანამ ცოცხალია მისი შემქმნელები. როცა ისინი ცხოვრებიდან მიდიან, სპექტაკლებიც კვდება. მაგრამ ბალანჩინი დღესაც ცოცხალი კლასიკაა. მისი ბალეტები დღეს მსოფლიო საბალეტო დასების რეპერტუარშია. ყოფილი სსრკ-ს სივრცეში იგი პირველად 1984 წელს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაიდგა.

2005 წელს, მას შემდეგ რაც საბალეტო დასს სათავეში ჩაუდგა ნინო ანანიაშვილი, ქართველ მაყურებელს საშუალება მიეცა ბალანჩინის შემოქმედებას უფრო ახლოს გასცნობოდნენ. ახლა დასის რეპერტუარში მისტერ ბის ათი ყველაზე საუკეთესო ბალეტია, რომლებიც თბილისში ბალანჩინის ყოფილმა მოსწავლეებმა დადგეს. მათ შორის არის "სერენადა," რომელსაც არასოდეს აკლია მაყურებელი.

1959 წლის ერთ საღამოს, "სერენადას" მორიგი წარმოდგენის შემდეგ, „ნიუ იორკ სითი ბალეში" ფარდა რომ დაეშვა, მისტერ ბიმ წყნარად თქვა: "არის. ნელ-ნელა აღზევდა. უკვე ოცდახუთი წელი გავიდა. ბალეტისათვის ეს ძალიან დიდი დროა". ეს იყო ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევათაგანი, როცა ბალანჩინმა საკუთარი ქმნილება შეაქო.

სანდრო ახმეტელი

გუბერ მეგრელიძე

ეპოქის სუნთქვა

დიდი ქართველი რეჟისორის, სანდრო ახმეტელის შემოქმედების ძირითად მიმართულებას ჰეროიკულ-რომანტიკული სტილი განსაზღვრავდა. ამიტომაც მისი სპექტაკლები თანამედროვეებსა და შემდგომ თაობებში განსაკუთრებულ ემოციას იწვევდა. ასეთი დამოკიდებულებას ახმეტელის მკვლევარებსაც აქვთ, რომელთა ნაშრომებში სპექტაკლების მხატვრულ სამყაროს ვხედავთ.

სწორედ ასეთ განცდებს აღძრავს ს. ახმეტელის 120 წლის საიუბილეო და ტრაგიკულად დაღუპვის 70 წლის აღსანიშნავად მოწყობილი გამოფენა, სადაც მნახველი ახმეტელისეულ რომანტიკულ სამყაროში ხვდება და პათეტიკური განწყობა ეუფლება. მაყურებელი დადის იმ თეატრის ფოიეში, სადაც ახმეტელი ეროვნული მსოფლმხედველობის თეატრს ქმნიდა და თვალნათლივ ხედავს "ანზორის"' "რღვევას", "ლამარას" კოსტუმებს, აქვე წარმოგვიდგება ცნობილ მსახიობთა აჩრდილები, რომლებიც თითქოს დღესაც ამ კოსტუმებს სულიერად ატარებენ. სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ, რწმენამ და განცდამ ისტორიას შემოუნახა მათ მიერ შექმნილი განუმეორებელი მხატვრული სახეები.

აქ წარმოდგენილი ფოტოსურათები, დეკორაციისა და კოსტუმების ესკიზები არაერთხელ დაბეჭდილა, მაგრამ ამ დარბაზში ისინი განსაკუთრებულ კოლორიტს ქმნიან, ვინაიდან მაყურებელი უშუალოდ ამ ისტორიის თანაგამცდელი ხდება, თითოეული ისტორიული ექსპონატი ახლებურად აღიქმება, ერთ მთლიანობაში ნარმოგვიდგებარუსთაველის თეატრის 20-30-იანი წლების დაძაბული, ეროვნული მუხტით განცდილი და სისხლიანი ისტორია. მნახველს ჩააფიქრებს ახმეტელის შემოქმედების ის პერიპეტიები, რამაც იგი აღაზევა და ტრაგიკულად დასცა...

ფოიეში შესვლისთანავე ყურადღებას იპყრობს "ანზორის", "ლამარას", "მალშტრემის", "ინტერესთა თამაშის", "გმირის" აფიშები, რომლებიც თავიდნვე ამაღლებულ განწყობას ქმნის და 20-იანი წლების ატმოსფეროში შევყავართ. ცალკე ვიტრინაშია თავმოყრილი ს. ახმეტელის შესახებ არსებული 19 წიგნი და ხელოვნების საკავშირო ოლიმპიადის ჟურნალი. მათ აკლია 1958 წელს გამოცემული კრებული, რომელიც იყო პირველი ნაშრომი ს. ახმეტელის შესახებ.

ექსპოზიციის ცენტრში ვხედავთ ს. ახმეტელის მშობლების ვასილ ახმეტელისა და მარიამ ოდიშელიძის პორტრეტები, რომელთა ქვეშ განლაგებულია ს.ახმეტელის პირველი ოჯახი — მეუღლე ტასო როსტომაშვილი, შვილებთან ჯუნასა და შალვასთან ერთად. გვერდზეა თამარ წულუკიძისა და სანდის ფოტო, რაც ორთავეს ტრაგიკულ ბედზე ჩაგვაფიქრებს, თუ რატომ ინება უფალმა პატარა სანდის ტრამვაის ქვეშ მოყოლა, თამარ წულუკიძის დაუმსახურებელი გადასახლება წლების მანძილზე...თუმცა ემოციური გატაცებიდან კვლავ გამოფენას დავუბრუნდეთ.

საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი მშფოთვარე 20-იანი წლები, როდესაც ახმეტელი თავის პირველ შემოქმედებით ნაბიჯებს დგამდა. დიდი ინტერესით აღვიქვამთ მისი პირველი სპექტაკლის "ბერდო ზმანიას" ვ. სიდამონ-ერისთავისეულ ესკიზებს. კვლავ ფიქრები მიტაცებს — სწორედ ამ სპექტაკლით მოიპოვა ახმეტელმა რეჟისორის სახელი და საზოგადოებაც მოულოდნელ რეჟისორულ ძიებებზე ალაპარაკდა.სწორედ აქ გამოჩნდა რიტმის, სპექტაკლის მთლიანობისა და რეჟისორული გადაწყვეტის ის ჩანაფიქრი, რო-

დასი — 1922 წელი

მელმაც შემდგომში უდიდეს მასშტაბებს მიაღწია.

გამოფენაზე წარმოდგენილია რუსთაველის თეატრის დასის 1923 და 1924 წლების ფოტოები, სადაც ს. ახმეტელი მისი მსანავლებლის კ.მარჯანიშვილის გვერდითაა. მათი ფოტო ცაკლე მოლბერტზედაც არის გამოტანილი. ეს ერთობა უპირველესად შემოქმედებით ტანდემს გულისხმობს. ამ პერიოდში ხორციელდება მათი ერთობლივი დადგმები "გმირი", "მათრახის პანაშვიდი", "ვინძორელი მხიარული ქალები". მიღებულმა გამოცდილებამ შემდგომში ს. ახმეტელი უდიდეს რეჟისორად ჩამოაყალიბა.

ყურადღებას იქცევს "ინტერესთა თამაშის" აფიშა, ვინაიდან ამ სპექტაკლის მსვლელობისას აკაკი ვასაძემ ნაიკითხა კორპორაცია "დურუჯის" მანიფესტი, რომელმაც გარდატეხა მოახდინა თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში. აქვეა ორიგინალი ხელნაწერი: "ძველი თეატრი ნანგრევებში...ნოემბრის 25...ქართული თეატრის აუქციონი...მოგება ჩვენ..." დასაწყისიდანვე ჩანს ის ექსპრესია, რამაც იმჟამინდელ საზოგადოებაში წარმოუდგენელი ვნებათაღელვა გამოიწვია...თითქოს უცებ გაცოცხლდა ისტორიის ეს მჩქეფარე ფურცლები და მნახველიც წარმოიდგენს სცენიდან წაკითხულ ტექსტთან ერთად დარბაზის რეაქციას. მართლაც, რუსთაველის თეატრის არტისტი გამოჩნდა ცეცხლოვნად, გიჟად, მშფოთვარედ ფაფარაყრილ რაშზე ამხედრებული და კადნიერად, რიხიანად მოჯირითე ახალი თეატრალური ესთეტიკის დასამკვიდრებლად...აი, 1925-26 წლის სეზონის აფიშასაც, რომელზეც ახმეტელი უკვე მთავარ რეჟისორად წარმოგვიდგება. შემდგომ, "ზაგმუკით" იწყება ს. ახმეტელის დამოუკიდებელი მუშაობის პერიოდი. სპექტაკლის სცენის ფოტოს გარდა, ვხედავთ მთავარი გმირების ილტანისა და ნინგირ-სინის (საპრემიერო პროგრამაში სწორედ ნინგირ-სინს ვკითხულობთ და არა ნანგირ-სინს, როგორც ეს საგამოფენო წარწერაშია მოცემული. იგივე შეცდომა მეორდება კატალოგშიც) სახეებს თამარ წულუკიძისა და აკაკი ვასაძის შესრულებით. აქვე გვეუფლება უკმაყოფილების განცდა, ვინაიდან არ გვხვდება მთავარი გმირის არადეას სახე უშანგი ჩხეიძის შესრულებით.

„ანზორის" კუთხესთან კვლავ რომანტიკული განცდა გვიპყრობს. აკაკი ხორავას გმირის ნაბადს ინტუიციურად სპექტაკლის ფოტოებიდან ცოცხალ დეკორაციებში გადავყევართ, სადაც ანზორი ოჯახის მოყვარულ ადამიანიდან მთიელთა სახალხო გმირად ყალიბდებოდა, რაც მსახიობის ჭეშმარიტ გამარჯვებად იქცა. ფოტოდან მეორე გმირი ახმა შემოგვყურებს. სამწუხაროდ, აქაც გათვალისწინებული არ არის ვასო გოძიაშვილის ახმა, რომელიც თეატრის ისტორიაში ბრწყინვალე სახედ დარჩა. გასაგებია გამოფენის ავტორთა განზრახვა, რომ წარმოეჩინათ ს. ახმეტელის თანამოაზრეები, რომელთა ერთობლივმა შემოქმედებამ რუსთაველის თეატრს უდიდესი წარმატება მოუტანა, თუმცა ჩამოთვლილ უბრწყინვალეს სახეებსაც სათანადო დაფასება სჭირდებათ.

შილერის „ყაჩაღების" შესახებ ფოტოსურათების გარდა, დეკორაციის მაკეტები მნახველს წარმოსახვას უძლიერებენ. აქვეა სერგო ქობულაძის მიერ შესრულებული კოსტუმების შთამბეჭდავი ესკიზები, რომლებიც დადგმის მხატვრულ სახეს სრულფასოვნად წარმოაჩენენ. ვფიქრობთ, სპექტაკლის სავარძელი სრულიად საწინააღმდეგო კუთხეში უფუნქციოდ დგას, რომლის გამოყენებაც ეფექტურად შეიძლებოდა.

„რღვევას" ფოტოებთან ერთად მეზღვაურის კოსტუმიც გარკვეულ ატმოსფეროს ქმნის. ამავე დროს, პირველად გამოიფინა კრეისერის დეკორაციის ესკიზი, რაც სპექტაკლის ისტორიას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

გამოფენა სრულად წარმოსახავს ს. ახმეტე-

„ზაგმუკ" — 1926 წელი

ლის შემოქმედებას. ბევრი სცენოგრაფიული ნამუშევარი პირველად გამოიფინა, ზოგიც იშვიათად იბეჭდებოდა და მათი მთლიანობაში ნახვა მაყურებელს ემოციურ განწყობასაც უქმნის. ასეთებია: "ზაგმუკისა" და "საჭე მარცხნივ"-ის კოსტუმების, "ლატავრასა" და "კაცი სარკიდან" დეკორაციის ესკიზები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. შავიშვილის კოსტუმების ესკიზები "დეზერტირკადან", "ამერიკელი ძიადან" და "ამერიკელი ძიას გასაბჭოებიდან". სამწუხაროა, რომ ამ უდაოდ ნიჭიერმა მხატვარმა თეატრში მუშაობა აღარ გააგრძელა.

ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს გამოფენა, რომელიც მოამზადეს თეატრის მუზეუმის თანამშრომლებმა: ბელა ჭუმბურიძემ, მეგი ლევანიძემ, თამარ კიკნაველიძემ. ექსპოზიციის ავტორია მირიან შველიძე, ხოლო პროექტს ხელმძღვანელობდა თეატრის დირექტორის მოადგილე დიმიტრი ჩიკვაიძე.

გამოფენის ექსპოზიცია ისეა ჩაფიქრებული, რომ მთავარი ყურადღება ს. ახმეტელის საეტაპო სპექტაკლებზე ჩერდება. მიუხედავად ამისა, ექსპოზიციურად გაუმართლებელია სხვადასხვა წლებისა და მხატვრული ღირსებებით განსხვავებული სპექტაკლების ერთად წარმოდგენა. ფოიეს ერთ ბოძზე არ შეიძლება გამოიკიდოს "ზაგმუკი" და "ინტერვენცია", "ყაჩაღები" და "სალტე", "თეთნულდი" და "ინტერვენცია", "ქართა ქალაქი" და "ნაბიჭვარი".

ცალკეა გამოყოფილი რეპრესირებულ მსახიობთა კუთხე, თუმცა გვინდა ყურადღება შევაჩეროთ ძირითად ექსპოზიციაში არსებულ 1924 წელს გადაღებულ დასის ფოტოზე, სადაც ს. ახმეტელის სახე ამოჭრილია. იგი ხომ ათეული წლების მანძილზე "ხალხის მტრად" მოიაზრებოდა. ამიტომაც დიდი რეჟისორის ფოტოს თუნდაც სახლში შენახვაც კი სარისკო გახლდათ. სწორედ ამ საშიშროებიდან გამომდინარე, სათეატრო მუზეუმისა დარუსთაველის თეატრის მუზეუმის თანამშრომელმა ესტატე ბერიაშვილმა ზნეობრივი გმირობით ს. ახმეტელის საარქივო მასალები გადაარჩინა და მომავალ თაობებს მისი შემოქმედების კვლევის საშუალება მისცა. ამიტომაც ამ თავდადებული ადამიანის ფოტო განსაკუთრებულად არის წარმოდგენილი. ამაღელვებელია ახმეტელის დაზიანებული ფოტოს ნახვაც, რომელსაც თ. ღვინიაშვილი სარდაფში წლების მანძილზე ინახავდა, თუმცა მისი და ნინო ახმეტელის მხარდაჭერის გამო ხანგრძლივ გადასახლებაში იმყოფებოდა. ასევე ემოციას იწვევს მსახიობი ია ქანთარიას ჩანაწერი: "მშვიდობით მშობლიურო რუსთაველის თეატრო! 14 წელიწადი შენთვის ერთგული ვიყავი."

იქვე ვხედავთ რეპრესირებულ მსახიობებს, რომლებიც ახმეტელის ერთგულებისთვის დაისაჯნენ: ბუჟუჟა შავიშვილს, ივანე ლაღიძეს, პლატონ კორიშელს, ელგუჯა ლორთქიფანიძეს, ია ქანთარიას, თამარ წულუკიძეს, სუფლიორ ნინო ღვინიაშვილს.

გამოფენაზე პირველადაა წარმოდგენილი გადასახლებაში მყოფი თამარ წულუკიძის ხელით გაკეთებული თოჯინები საბავშვო წარმოდგენისთვის, პირადი ხელჩანთა, სანდის წერილები გადასახლებაში მყოფი დედისადმი, ნ. ღვინიაშვილის ბარათები თ. წულუკიძისადმი, ახმეტელის სპექტაკლების სარეპეტიციო და სპექტაკლების დღიურები, "მეფე ლირის" ახმეტელის სამუშაო ეგზემპლარი, მიხეილ ჯავახიშვილის ნაჩუქარი წიგნი "გივი შადური", შალვა დადიანისა და სანდრო შანშიაშვილის წერილები ახმეტელისადმი.

დიდი რეჟისორის პირად ნივთებთან ერთად გვხვდება ჩიბუხი და მისი საწმენდი. ცნობილია, რომ ახმეტელი ჩიბუხს არ ეწეოდა. მსგავსი ფაქტი არც ვინმეს მოგონებებშია დაფიქსირებული და საეჭვოა ეს ნივთი მას ეკუთვნოდეს.

მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა დასტამ-

ბული გამოფენის კატალოგი, რომელიც ინყება ახმეტელის აღიარებული მკვლევარის ვასილ კიკნაძის წერილით. ფოტოები ისეა დაბეჭდილი, რომ ორიგინალს უახლოვდება და მკითხველი ეპოქის თავისებურ სურნელს შეიგრძნობს. კარგადაა შერჩეული ორიგინალური შრიფტიც, რომელიც ხელნაწერს მოგვაგონებს და კატალოგს საკითხავად უფრო სახიერს ხდის. გამოცემას ამდიდრებს დეკორაციისა და კოსტუმების ფერადი ილუსტრაციები.

სამწუხაროდ ვხვდებით დასანან შეცდომებსაც. რეპრესირებულ მსახიობთა ფოტოებს რატომღაც ახმეტელის "ფაშისტური ჯგუფი" უწოდეს. სინამდვილეში კი, ახმეტელის საქმის საბრალდებო დასკვნასა და განაჩენში მოხსენიებულია "ტერორისტული ჯგუფი". ამ "ფაშისტური ჯგუფის" სახელწოდებაინერციით მომდინარეობს აკაკი ვასაძის ავტობიოგრაფიიდან, რომელიც მან პარტიაში შეასასავლელად დაწერა. ამ შემთხვევაშიც ფაქტის დამახინჯებასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან აკ. ვასაძე "ფაშისტურ წრეს" იხსენიებს. დაინტერესებული პირები სპეციალურად არ აქცევენ იმ გარემოებას ყურადღებას, რომ ეს ტექსტი შავი ეგზემპლარია და რუსთაველის თეატრის მუზეუმის ბეჭედი აქვს დასმული. აქედან ირკვევა, რომ მას ოფიციალური მსვლელობა არ მისცემია. ბევრმა არ იცის, რომ მოყვანილი ფაქტი "დურუჯის" აღდგენის მცდელობას უკავშირდება და 1929-30 წლის სეზონის განხილვისას იხსენიება პოლიტსამმართველოს მესამე განყოფილების ანგარიშში. ამაზე სერიოზული რეაგირება არ მოუხდენიათ, ვინაიდან ეს მცდელობა ახმეტელის ინიციატივით დაიშალა. ამავე დროს, ეს ამბავი 20-იანი წლების დასასრულს განეკუთვნება და ახმეტელის რეპრესირებას არ უკავშირდება. ამ გარემოებას ნახევარი საუკუნის მანძილზე აკაკი ვასაძის საკომპრომეტაციოდ იყენებდნენ და დროა ასეთ უმსგავსობას ბოლო მოეღოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ჯგუფში ივანე აბაშიძე არ შედიოდა, რაც მტკიცდება იქვე გამოქვეყნებული ამიერკავკასიის სამხედრო პროკურატურის სარეაბლიტაციო ცნობით- (და არა ბარათით, რაც არასწორადაა მითითებული). თავად ივანე აბაშიძე რუსთაველის თეატრიდან განთავისუფლების შემდეგ მუშაობდა ლანჩხუთის თეატრის მთავარ რეჟისორად. იგი 1937 წლის 1 სექტემბერს სულ სხვა ბრალდებით დააპატიმრეს და 21 ნოემბერს დახვრიტეს. ამ დროისთვის ახმეტელის ჯგუფი რეპრესირებული იყო.

ფაქტობრივ შეცდომებს ვხვდებით ს. ახმეტელის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებშიც. კატალოგში ვკითხულობთ, რომ ახმეტელმა "დაამთავრა თელავის სასწავლებელი". უნდა იყოს თელავის სასულიერო სასწავლებელი. ს. ახმეტელი 1906 წელს კი არა, 1907 წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ასევე, არც 1917 წელს დაბრუნებულა საქართველოში და არც სავექილო მოღვაწეობა დაუწყია. იგი 1916 წელს დაბრუნდა და აქტიურად შეუდგა თეატრალურ კრიტიკოსობას. ს. ახმეტელი 1923 წლიდან კი არა, არამედ 1925-26 წლის სეზონიდან იყო მთავარი რეჟისორი, რომლის დამადასტურებელი აფიშაც გამოფენაზეა წარმოდგენილი. მისი დახვრეტის თარიღიც არასწორადაა მითითებული. 1937 წლის 28 ივნისს იგი კი არ დახვრიტეს, არამედ სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა, ხოლო 29 ივნისს ახმეტელი დახვრიტეს.

ბუკლეტს რატომღაც არ ჰყავს არც შემდგენელი და არც რედაქტორი. მსგავსი შემთხვევა ჯერ არცერთ გამოცემაში არ შემხვედრია, რაც გარკვეულ უხერხულობას ქმნის.

ვფიქრობთ, თეატრის ხელმძღვანელობამ კარგ წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი და პერიოდულად მოეწყობა მსგავსი მასშტაბის მნიშვნელოვანი გამოფენები, რომლებიც მაყურებელს წარმოუდგენენ თეატრის ისტორიას, ცნობილ მსახიობებსა და სცენოგრაფებს. ეს გამოფენა დამთვალიერებელს პატივისცემით გამსჭვალავს წარსულისადმი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მაგალითად წარმოგვიდგება.

ჯორჯია ოსტროიანი

სვანი — სისოსხლისა და სიჯვდილის პიროსპირ

„ვინც ადამიანის სისხლს დაღვრის, ადამიანის მიერვე დაიღვრება მისი სისხლი, რადგან ღვთის ხატად შეიქმნა ადამი“. დაბადება 9.6

ეს სიტყვები აქვს წამძღვარებული ახალ ქართულ მხატვრულ ფილმს “სვანი“. ვკითხულობთ და უკვე ვგრძნობთ, რომ მძიმე სურათი უნდა ვიხილოთ. ძმები სოსო და ბადრი ჯაჭვლიანები იღებენ ფილმს სვანეთზე და აშიშვლებენ ცოდვიან, ძირმომპალ ზნესა თუ ჩვეულებას — სისხლის აღებას, კაცის კვლას, ბოროტებას, რომელსაც საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე საუკუნეების მანძილზე ემონებოდა... უბატონო, თავის თავის პატრონი სვანი დროთა განმავლობაში ეშმაკის მონად და მსახურად იქცა... “არა კაც ჰკლა“.— გვეუბნება ათი მცნებიდან ერთ-ერთი, მაგრამ ზოგჯერ “ჩვეეა რჯულზე უმტკიცესია“...

პირველივე კადრებიდან სვანეთის მთები გვესალმებიან. თვალი სწვდება პირქუშ, ზვიად მწვერვალს — სვანური ხასიათის გარეგნულ სახეს, ამ ხალხის სიამაყის სიმბოლოს — ცივ და ამაყ თეთნულდს... სურათისათვის შესაფერისი და სახასიათო მუსიკის ფონზე თავს იწონებენ ცადაზიდული სვანური კოშკები და სვანეთიც მთელი თავისი კოლორიტულობით იშლება ხელისგულზე.

დიქტორის ხმა (მსახიობი ზურაბ ყიფშიძე) ჯაჭვლიანთა კოშკის შესახებ არსებულ თქმულებას გადმოგვცემს: “შებინდდებოდა თუ არა, მწვერვალ თეთნულდიდან ცეცხლის სახით თეთრი ანგელოზი შემოდიოდა. კოშკში ლოცვას იწყებდნენ. ანგელოზი მანამდე მფარველობდა მათ, სანამ ამ კოშკიდან სხვა გვარის კაცი არ მოკლეს“...

მაგრამ, ადამიანებს მიწა ზეცაზე მეტად უყვართ და დღენიადაგ “იბრძვიან იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან“. და ორი სვანური გვარიც ტყის გამო დაერევა ერთმანეთს.

სიუჟეტი მარტივად ვითარდება — ჩვეულებრივი კამათი სისხლიან ბრძოლაში გადაიზრდება. ერთ-ერთი გვარის წარმომადგენელნი ტყეს იჩემებენ, მეორენი ედავებიან. ერთი მხარე ცრუობს და იფიცებს კიდეც, ჩვენი მიწააო, თუმცა თავად ჩექმით მოტანილ და ჩუმად დაყრილ მიწაზე დგანან. მათი სიცრუის ამბავს ახალგაზრდა ქალი გაუმხელს ჯაჭვლიანებს და თავმოყვარე ახალგაზრდები სიმართლეს მოითხოვენ. საპასუხოდ ორი ძმიდან ერთ-ერთს — ბეშქენს კლავენ.

ეს ერთი მკვლელობა მომავალში ათად იქცევა. მსხვერპლს ახალი მსხვერპლი მოსდევს...

ბეშქენის სულისათვის ზრუნავენ ახლობლები. აქ სვანური ტრადიციების გარკვეულ ნაწილს შევნიშნავთ. ამ შემთხვევაში მათ ზიანი არავისთვის მოაქვთ. ბეშქენის დედას — მართას, ჭირისუფლებს ფერადი სამოსი აცვიათ... შესაწირავად შავი მამალი შეურჩევიათ... კადრში მხოლოდ მამალს ვხედავთ და ასოციაციურად ვუკავშირებთ მას იმ ადამიანებს, რომელთაც შესაწირი ფრინველივით თუ ცხოველივით ექცევიან. ასეთი რამ ამ სურათში არაერთხელ გვხვდება. თუმცა, ამავე დროს, მათ სწამთ ღმერთი, ხატი, იესო ქრისტე, წმინდა ნინო... კითხულობენ “მამაო ჩვენოს“, ლოცულობენ, სანთელს ანთებენ... ისინი ქართველები არიან...

რექჩიანების გვარი ერთ მკვლელობაზე შეჩერებას არ აპირებს, ამიტომ ბეშქენის ძმა ჯაბეგი (მსახ. ბადრი ჯაჭვლიანი) სხვათა შეგონებით რუსეთში, ჯარში მიდის, თუმცა,

გარკვეული დროის შემდეგ რუს მეგობარ ვალოდიასთან ერთად შინ ბრუნდება. მეოცნებე ვალოდია სვანური კოშკის აგებასა და ლამაზი ოჯახის შექმნაზე ოცნებობს, მაგრამ ჯაბეგის მტრები მასაც კლავენ. ისინი კოშკიდან ისვრიან. მის დაკრძალვაზე ჯაბეგს სვანური ქუდი ახურავს და ეს ავისმომასწავებელია.

ფილმი თავიდანვე მუქ ფერებში წარმოგვიდგება, თუმცა, ალაგ-ალაგ, როცა მომავლის იმედის ნაპერწკალი იელვებს, ეს მუქი ტონები ნათელ, ხასხასა ფერებად გარდაიქმნება და სვანეთის ბუნებასაც ცოცხლად გვიხატავს. ამ მხრივ, რეჟისორისა და ოპერატორის ჩანაფიქრი ერთმანეთს ემთხვევა, იდეა და დადგმა სრულ ჰარმონიაშია.

ფილმში ნამდვილი ამბავია მოთხრობილი, ამიტომ შინაარსს გვერდს ვერ ავუქცევთ. სვანეთის შესახებ ბევრად ძველი კინოფილმებიც არსებობს, მათ შორის „ჯიმ შვანთე" ("მარილი სვანეთს"), "ლილეო"... ამ უკანასკნელში ბევრ სხვა საკითხთან ერთად ყურადღება გამახვილებულია ხალხურ ადათ-წესებზე, რომლებისთვისაც დროის დინებას ვერაფერი დაუკლია, მაგრამ ხომ გააჩნია ტრადიციასაც?!. კარგი უდავოდ უნდა შევინარჩუნოთ, მაგრამ უვარგისი ძირიანად უნდა მოისპოს — გვეუბნებიან რეჟისორები. ამას შეებრძოლა თავის დროზე ვაჟა-ფშაველა, ალ. ყაზბეგი... მავნე ტრადიციები ნათლად დაგვანახა მიხეილ კალატოზიშვილმა თავის „ჯიმ შვანთეში" (მიუხედავად იმისა, რომ აქ სხვა პრობლემაზე იყო გადატანილი ყურადღება). რაც შეეხება „სვანს", ის მაინც XXI საუკუნის პირმშოა, ამიტომ ბევრი რამით განსხვავდება წინამორბედებისაგან... ფილმში გადმოცემული ამბავი XX საუკუნის სვანეთში ხდება, საბჭოთა კავშირი უკვე დაშლილია, აფხაზეთის ომის „ხმაც გაისმის" — არც ისე ახლოს და არც ისე შორს...

რუსეთიდან ჯაბეგის შეყვარებული — ვიკა ჩამოდის და ხმამაღლა აცხადებს, რომ ოფიცრის ქალიშვილია, რომ არაფრის ეშინია და სვანეთშიც გაძლებს... მაგრამ ვალოდიას სიკვდილით დაწყებული, სხვა ბევრი მსგავსი შემთხვევის შემდეგ გაქცევას გადაწყვეტს. არადა, ის ჯაბეგის ცოლი და უკანასკნელი ჯაჭვლიანის დედა ხდება.

აქ აუცილებლად უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა მსახიობებზე, განსაკუთრებით კი ვიკას როლის შემსრულებელზე (ელენე ველიკანოვა), რომელიც საკმაო ოსტატობით ასრულებს როლს. რაც შეეხება მსახიობთა ძირითად ანსამბლს, ფილმის დასაწყისში მათ თამაშში ოდნავი დაძაბულობა შეიმჩნევა, რაც თანდათან უკეთესობისაკენ იცვლება. შესაძლოა, ეს სვანური კილოკავით არის გამოწვეული, რასაც ნაკლებად ვართ შეჩვეულნი, ან მართლაც ზოგიერთი მსახიობის შეცდომაა.

"ვენდეტა" გრძელდება — ჯაბეგი მეგობრის სიკვდილისათვის პასუხს ითხოვს, მაგრამ გვეგნუს გარდა ყველა ყველაფერს უარყოფს. გვეგნუ, სოსო ჯაჭვლიანი, რექჩიანებში ნაკლები სისასტიკით გამოირჩევა და კიდევ ბევრი რამ იცის, იცის, სინამდვილეში ვინ არის ჯაბეგი, თუმცა, ამაზე შემდეგ... ძმები კაბუ და ჩოფე თავად აიძულებენ ჯაბეგს, სასხლეტს გამოჰკრას ხელი... ტყვია კაბუს ხვდება...

და ასე უსასრულოდ...

ამ სოფლის — მულაყის თავკაცი (მსახ. ელგუჯა ბურდული) დაპირისპირებულ გვარებს იმ სიას აჩვენებს, სადაც ორასი გადაშენებული სვანური გვარი წერია. დღეს აღარც ნამოსახლარია მათი და აღარც შთამომავლობა.

ასე უპირებდნენ გადაშენებას რექჩიანები ჯაჭვლიანების გვარს...

ასე გადაშენდა ნესტრიანების გვარიც...

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

წარსულში ჯაბეგის სანათესაოში უბედურება დატრიალებულა — ბიძაშვილ-მამიდაშვილებს — ძაძუ რექჩიანსა და ბედან ნესტრიანს შეყვარებიათ ერთმანეთი — სისხლი აღრეულა. სირცხვილის ჩამოსარეცხად ქალ-ვაჟის მამებს თავად უნდა დაეხოცათ

საკუთარი შვილები. ასეთი იყო შეთანხმება. ფეხმძიმე გოგონას მამამ სიტყვა შეასრულა და მერე თავიც მოიკლა. ბიჭი კი თავისიანებმა ვერ გაიმეტეს. სიტყვის გატეხას ვინ აპატიებდათ და რექჩიანებმა ნესტრიანების გვარი ამოწყვიტეს.

ფილმში ჩართული ეს ეპიზოდი მაყურებლამდე კარგად არის მოტანილი. გოგონას სახე (სალომე გასვიანი) ახლო ხედით არის ნაჩვენები. აღელვებული სვანები განცდებს ძნელად გამოხატავენ, მაგრამ დაძაბული მუსიკა, რომელიც ფონად ადევს ძაძუ რექჩიანის მოკვლის სცენას, შესაბამის ეფექტს ახდენს მნახველზე და ოდნავ მოგვაგონებს მარიტას სიკვდილის ეპიზოდს თენგიზ აბულაძის შესანიშნავი ფილმიდან "ნატვრის ხე".

მოგვიანებით ირკვევა, რომ ნესტრიანებიდან პატარა ბიჭი გადარჩა. რექჩიანები მის გამზრდელ მამიდას — მართას უბრძანებენ, ბიჭი მოსაკლავად გადასცეს მათ. თავად მართას ტყუპი ვაჟები ჰყავს და ძმიშვილის მაგიერ ერთ-ერთ ტყუპისცალს გაიყვანს გარეთ. ამ ყველაფერს გვეგნუ ხედავს და არაფერს ამბობს. მან იცის, რომ ნესტრიანების ვაჟი გადარჩა, არც მსხვერპლად შეწირული ტყუპისცალის სიკვდილი სურს, მაგრამ გაავებული რექჩიანები არ უსმენენ. ის გადარჩენილი ნესტრიანი ჯაბეგ ჯაჭვლიანია.

აქ კი მართლაც საშინელი სცენის მოწმენი ვხდებით. უდანაშაულო ბავშვი სიკვდილს გაურბის, მაგრამ მკვლელები (ამ სიტყვის სრული და ყველაზე საშინელი მნიშვნელობით) წარბშეუხრელად კლავენ მას. მათ შორის სისასტიკით გამოირჩევა ვინმე სიმე, რომელსაც თავად ჯაბეგი უსწორდება — ის კლავს სიმეს და ერთ დიდ ხორცმეტს აშორებს დედამიწას. ამ შემთხვევაში ვენდეტა მართლაც რომ გამართლებულია.

მართას სახით (მსახ. დარეჯან ხარშილაძე) ნამდვილი სვანი ქალის სახეს ვხედავთ. ცოტა თუ შეძლებდა გამოუვალ მდგომარეობაში საკუთარი შვილის გაწირვას, იქნებ არც ჰქონდეს გამართლება, მაგრამ მან ნესტრიანების გვარის გადარჩენა სცადა. თუმცა, წლების შემდეგ, როდესაც გადაშენების საფრთხე ჯაჭვლიანების გვარსაც დაემუქრა, ჯაბეგმა საკუთარი შვილი ბოლო ჯაჭვლიანად დაუტოვა სვანეთს...

ჯაბეგს ოდესღაც მისგანვედანდობილი ჩოფე კლავს — მაშინ, როდესაც გაქცეული ვიკა შუა გზიდან ბრუნდება ოჯახში, როდესაც ორივე გვარი ხატზე იფიცებს, რომ მშვიდობა სურთ, როცა თითქოს ყველაფერი კარგად უნდა დამთავრდეს... სწორედ მაშინ უმუხთლებს ბედი თუ კაცი ჯაბეგს. ეზოში შეშაზე გამო-

სული თითქოს უეცრად რაღაცას იგრძნობს, არე-მარეს, სვანურ ცას მოავლებს თვალს, გაიღიმებს და... ტყვიაც გავარდება...

შესანიშნავი, სულშიჩამწვდომი მუსიკა (ავტ. ჭაბუკა ამირანაშვილი), რომელიც მანამდეც არაერთხელ გვხვდება, დასასრულსაც თავის ფუნქციას ასრულებს, თითქოს სიმღერაა, თითქოს გლოვაც გაისმის... კაენი ისევ კლავს აბელს და ბოროტი მაინც სძლევს კეთილს... სვანი სიცოცხლისა და სიკვდილის პირისპირ დგას და არც ერთს არ აფასებს, სიცოცხლეს კი უმოწყალოდ თელავს...

იმედის ერთ-ერთ ნაპერწკლად ჯაბეგის პირმშო გვრჩება. ვინმემ ხომ უნდა მოუღოს ბოლო მტრობას, ძალადობას, ძმათა კვლას, მოყვასის სიძულვილს... და იქნებ ეს ვინმე ჯაბეგის ვაჟი აღმოჩნდეს?..

ეროვნული თვითშეგნება გვაძლევს ერთმანეთის სიყვარულს, რეჟისორები თავისი ფილმით ხმამაღლა აცხადებენ პროტესტს ცოდვის, უვარგისი ჩვეულებების, მტრობის წინააღმდეგ და ალბათ მაყურებელიც იმედოვნებს, რომ მძიმე და დამთრგუნველი, სისხლიანი სურათის შემდეგ ეს ხმა არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

მავანი იტყვის — რატომ გადაიღეს ამგვარი ფილმი? რატომ ახადეს ფარდა სიმართლეს? იმიტომ, რომ სიმართლეა! იმიტომ, რომ ეს არის სინამდვილე, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ, ისევე, როგორც ვუცქერთ სვანურ ცეკვას, ვუსმენთ სვანურ სიმღერას. კარგი უნდა დავტოვოთ, მოვუფრთხილდეთ, შევინარჩუნოთ, ცუდი — მოვიშოროთ, წარსულს ჩავაბაროთ, ძირიანად მოვსპოთ.

"შებინდდებოდა თუ არა, მწვერვალ თეთნულდიდან ცეცხლის სახით თეთრი ანგელოზი შემოდიოდა. კოშკში ლოცვას იწყებდნენ. ანგელოზი მანამდე მფარველობდა მათ, სანამ ამ კოშკიდან სხვა გვარის კაცი არ მოკლეს"...



მანანა ოქვაძე

შტრიხები პოროტრეტისათვის

თემურ ნინუა

თემურ ნინუა სოხუმში დაბადებული და გაზრდილია. არქიტექტორის ოჯახმა გამოძერწა და ჩამოაყალიბა მისი თვითშეგნება და სულისკვეთება. ხატვა მერე დაიწყო, სოხუმის პიონერთა სასახლის ხატვის წრეში მოხვდა და თითქმის მთელი აფხაზეთი ეტიუდების ხატვით შემოიარა. მამის ოცნება არქიტექტორად ეხილა თავისი ვაჟი, ოცნებად დარჩა, მაგრამ არქიტექტურის მემკვიდრეობით გადმოცემულმა სიყვარულმა თემო ნინუას მხატვრობაში მოგვიანებით მაინც იჩინა თავი, სივრცის შეგრძნება გაუმახვილა... პირველი ნამუშევრებისთვის დამახასიათებელი ფერადოვანი კოლორიტი თანდათან მისთვის გენეტიკურადახლობელი არქიტექტურული დეტალებით შეცვალა და სასცენო სივრცე გრაფიკული შავი და თეთრი ფერით შეავსო...

აკადემიაში სწავლისას უკვე გამოიკვეთა თემურ ნინუას შემოქმედებითი სახე. მას ხიბლავდა ფერადოვნება, სიჭრელე, მრავალპლანიანი მოედნები, მხიარული სათამაშო საწყისი. ამავე დროს მის მიერ უკიდურესად პირობით გარემოში მოთავსებული საგანი ნახატს მრავალმნიშვნელოვნებას სძენდა და მაყურებელს ფანტაზიის აქტიურობისაკენ უბიძგებდა. 1975 წელს გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრში რეჟისორ თენგიზ მაღალაშვილის მიერ განხორციელებული გუგა ნახუცრიშვილის „კომბლე" ქართული ხალხური ზღაპრის თანამედროვე ვერსია იყო, სადაც რეჟისორის გადაწყვეტას ძველ თემაზე ახალი ქართული ზღაპარი გაეკეთებინა, მხატვრის მიერ მოძებნილი ხერხი — პიესის მოქმედი გმირები ჭრელ თოჯინებად, სამოქმედო ასპარეზი კი ძველებურ ფარდაგგადაფენილ ურმად ექცია, საიდანაც ეს გმირები თავდაყირა გადმოცვივდებოდნენ, სპექტაკლის ჩინებული გასაღები გამოდგა. მოქმედ გმირთა კოლორიტულმა ხასიათმა მხატვრის მიერ სახეთა გააზრებას ხელი შეუწყო და დღეს, სპექტაკლის დეკორაციისა თუ კოსტუმების ესკიზებში კარგად ჩანს მხატვრის გადაწყვეტა — ფერადოვანი გამით ავანსცენა და სასცენო სიღრმე გაამთლიანოს, სპექტაკლის მთლიანი ჩარჩო შეკრას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ფერთა სიუხვეში სპექტაკლის საერთო განწყობილება არ დაკარგოს. თემურ ნინუა დღემდე ამ თეზის ერთგულია, რაც არ უნდა გაიტაცოს ძიებებმა, ახალმა მიგნებებებმა, მისთვის ყველაზე მთავარი პიესის იდეისა და საერთო გადაწყვეტის მორჩილებაა.

ერთ ხანს მოზარდმაყურებელთა ქართული თეატრის მთავარ მხატვრად იმუშავა. რეჟისორ ქეთინო ხარშილაძესთან ერთად "რობინ ჰუდი", "ბურატინო" გააკეთა და სწორედ ამ სპექტაკლებში გამოიკვეთა გარეგანი მინიშნებებით მისი ხაზგასმული გატაცება. "ბურატინოში" ძაღლებს ამერიკელი ჯარისკაცების ჭრელი ფორმა ჩააცვა. წარმოიდგინეთ ორი ძაღლი სრული სამხედრო აღჭურვილობით, ანტენებით, სათვალეებით... პოლიციელი — აბჯარში ჩაცმული დონ-კიხოტი... ბავშვებისათვის ალბათ ცოტა მოულოდნელი იყო ამგვარი გადაწყვეტა, მაგრამ მაშინ ნაკლებ ყურადღებას აქცევდა საბავშვო თეატრის მოთხოვნებს, ესთეტიკას, იქნებ მოძველებულსაც, თუმცა რაღაც ასაკისათვის აუცილებელს... მისი ფანტაზია სულ ახალს და საინტერესოს, უჩვეულოს ეძებდა, ასე გაჩნდა "რობინ ჰუდში" ტრადიციული შერვუდის ტყის ნაცვლად ხის ფიცრებისაგან შეკრული, უჯრებიანი სცენური კოლოფი... გამოწევდი ერთ უჯრას, გილიოტინა იყო, გამოწევდი მეორეს — შერვუდის ტყე... თავისთავად დეკორაციის კონსტრუქცია მოხერხებული იყო, სამოქმედო მოედანებსაც ქმნიდა, მსახიობებსა და მაყურებელში კი ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია.

მაგრამ "წითელქუდაზე" მუშაობისას ვერა და ვერ გაექცა მგლის ტრადიციულ სახეს, მგელი მაინც მგელი უნდა ყოფილიყო... ასახვის საგნებისადმი ამგვარი დამოკიდებულება ახალგაზრდა მხატვრის ორიგინალურ აზროვნებაზე მეტყველებდა.

რეჟისორ ნიკა ჯანდიერთან ერთად რუსულ მოზარდმაყურებელთა თეატრში დადგა სპექტაკლი "ყველაფერი ყირამალა", მეტეხის თეატრში — ზურაბ კანდელაკთან ერთად "12 განშორება"... განსაკუთრებით საინტერესოდ მისი ესკიზების მიხედვით შესრულებული კოსტუმები გამოჩნდა. მათში მთლიანად შეესხა ხორცი მის გამომგონებლობასა და ფანტაზიას, იგრძნობოდა იუმორი და ოდნავი ირონია, გამოიკვეთა მისი სტილიც — მოედნის თეატრის საკერებელ-დადებულ, აჭრელებულ თოჯინას მხატვარი თითქოს გვერდიდან შესცქეროდა და მაყურებელთან ერთად იღიმოდა.

1979 წელს, თემურ ნინუას ცხოვრებაში სრულიად მოულოდნელი, თუმცა მისი შემოქმედებითი სრულყოფისათვის შესანიშნავი მოვლენა მოხდა. მისმა ნამუშევრებმა, კოსტუმის რამდენიმე ესკიზმა სცენოგრაფთა საერთაშორისო კვადრენალეზე პრაღაში, ოქროს მედალი მიიღო.

მერე ერთხანს ალექსანდრე რეხვიაშვილთან იმუშავა ფილმზე — "მწვანე ველი", სერგო ფარაჯანოვიც გაიცნო, რომელმაც თავისი ფილმის "აღსარების" მხატვრად მიიწვია, მაგრამ იგი იმდენად მკვეთრი ხელწერის შემოქმედი იყო, რომ მხატვარი ფაქტობრივად არ დასჭირვებია, ფარაჯანოვის გარდაცვალების გამო ფილმი ვერ დასრულდა, მაგრამ მასთან ურთიერთობამ თემურ ნინუაზე დიდი გავლენა მოახდინა. თითქოს კონკრეტული არც არაფერი უსწავლებია, უბრალოდ, დეტალებისგან რაღაცის შექმნა, არაფრისაგან ხელოვნების შექმნა ასწავლა. თეატრის მხატვრებს ნივთის ამგვარი განცდა ყოველთვის ჰქონდათ, მან კი ეს გრძნობა გაუძლიერა.

ტელევიზიაშიც მოსინჯა თავისი ძალები, სატელევიზიო ფილმების სტუდიაში რეჟისორ ზაალ კაკაბაძესთან ერთად "ალი ბაბა და ორმოცი ყაჩაღი" გადაიღო... მართალია საშა რეხვიაშვილი ფერწერისკენ მიბრუნებას ურჩევდა, მაგრამ ეტყობა მისი პირველი დაუკანასკნელი სიყვარული მაინც თეატრი იყო და დარჩა თეატრში. თეატრში, როგორც კი მოხვდები, ისე ჩაგითრევს, უკან ვერ მოიხედავ... თეატრმა მას განსაკუთრებული ლიტერატურის კითხვა დააწყებინა, დოსტოევსკის და ფოლკნერს ისევ სელინჯერი, აპდაიკი, ვონეგუტი არჩია და მხატვრობასაც უფრო მსუბუქად, თამაშივით მოეკიდა. ყველა თეატრმა, სადაც კი ამ ხნის მანძილზე ფეხი დაადგა, თავის შემოქმედებით სიღრმეში ჩაახედა, თავისი სტილის რაღაც დეტალი შესძინა... მსახიობებთან ურთიერთობა ასწავლა, რომ სცენაზე არტისტია მთავარი, იგი უნდა წარმოაჩინო და ტანისამოსი თუ დეკორაცია მას უნდა მოარგო... იყო პერიოდი, როდესაც სტილიზებულ კოსტუმებს აკეთებდა, სურდა ორიგინალური ყოფილიყო. გრიბოედოვის თეატრში გიზო ჟორდანიას მიერ დადგმულ "ცოდვილსა და წმინდანში" თითოეულ კოსტუმს საკუთარი ხელით რკინის იმდენი დეტალი დააკერა, კოსტუმები ისე დაამძიმა, რომ მსახიობები ძლივს მოძრაობდნენ და ამის გამო კიდეც ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ ბოლომდე თავისი გაიტანა. ორიგინალობისაკენ სწრაფვამ მხოლოდ შემდეგ, ნელ-ნელა დაკარგა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან სცენოგრაფიის სტილის ცვლილების მიუხედავად მაყურებელი მსახიობიდან გამომდინარე აღიქვამს ყველაფერს. წლების სვლამ მხატვარ თემურ ნინუას ოსტატობა მოუტანა.

მარჯანიშვილის თეატრში რამდენიმე მნიშვნელოვან დადგმაზე იმუშავა. მალხაზ ყვანიასთან ერთად ჰაუპტმანის პიესა "მზის ჩასვლის წინ" გააფორმა, თემურ ჩხეიძესთან ერთად — "ლამბალო და ყაშა", დავით ანდღულაძესთან ერთად — "სტელა და ავი სული", "დიდოსტატი", "როზენკრანც და გილდენსტერნ მკვდარნი არიან", დავით საყვარელიძესთან ერთად — "ფრანკენშტეინი", "შენსკენ სავალი გზები", დავით ხინიკაძესთან ერთად სოხუმის თეატრში "სრბოლა"... ყოველი მათგანი საინტერესო რეჟისორული სათქმელით, ხედვით გამოირჩეოდა და მხატვრის მიერ შესრულებული სამუშაოც სცენიდან კარგად იკითხებოდა. სპექტაკლების პლასტიკური და ფერადოვანი გამომსახველობა კომპოზიციური, რიტმული, აზრობრივი მრავალფეროვნებით მსახიობებს თვითრეალიზების საშუალებას აძლევდა.

ჰაუპტმანის პიესისათვის შექმნილი მაკეტი სიძველისაგან ფერგადასულ ფოტოგრაფიას ჰგავდა... სტოპარდის პიესაში მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დაყრილი ქვიშიდან გაკვირვებული მაყურებლის თვალწინ მტვერში ამოგანგლული ორი პერსონაჟი ამოდიოდა... ბრატისლავაში გოგი ქავთარაძესთან ერთად დადგმულ სპექტაკლში გორკის "ფსკერზე" — მხატვრის სახელოსნო ქვიშაზე იდგა... საინტერესო იყო ნუკრი ქანთარიასთან ერთად თელავში დადგმული "რიჩარდ II"-ს ორ იარუსიანი დაზგა



— სცენის მთელ სივრცეზე გადაჭიმული პარაშუტის ნაჭრებით შექმნილი ცა და დედამიწა... მარჯანიშვილის თეატრში ლაშა თაბუკაშვილის "ნატაძრალში" სცენის წრეზე დალაგებული დიდი მისტიკური ლოდები, როგორც წინაქრისტინული ინგლისის სალოცავი ადგილი — სთოუნხენჯი... და კვლავ ნუკრი ქანთარიასთან ერთად ვილნიუსის რუსულ დრამატულ თეატრში დადგმული "ყაჩაღების" ინტერიერის რომანტიკული განწყობილებები... სივრცობრივი მანიპულაციებით, პერსპექტივით თამაშით მხატვარი თითქოსდა საჭიროდ თვლიდა მაყურებელი გაეოცებინა, გაეკვირვებინა, ხოლო წარმოდგენის კულმინაციურ მომენტებში მისი ყურადღება იმ საშუალებებზე გაემახვილებინა, რომლებიც ჩანაფიქრის წარმოსაჩენად თუ სახის გახსნისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. "ნატაძრალში" გამოყენებული ცხენის ლეშის ფიტული, ექსკავატორის კოვზი, ლიანდაგზე მოძრავი ვაგონები... ქვების მისტიკური სიმბოლიკა რეჟისორის კონცეპციას ხაზს უსვამდა და მაყურებლისთვის სრულიად ნათელი იყო მათი მნიშვნელობა... ანუ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მხატვრის მიერ მოძებნილი იყო ის აუცილებელი პირობითი ენა, რომელიც ყოველი დადგმის მთავარ აქცენტს იმახსოვრებდა და განვლილი დროის მიუხედავად მაყურებელს სპექტაკლზე დასწრების ცოცხალ გრძნობას უნარჩუნებდა. ამავე დროს, ასახვის მკვეთრად გროტესკული ნიშნები კი არ ასუსტებდა, პირიქით, აძლიერებდა მაყურებელზე მსახიობის თამაშის ემოციური ზემოქმედების ძალას.

თემურ ჩხეიძის მიერ მარჯანიშვილის თეატრში დადგმული "ბედი მდევარი" ძირითადად ფრონტალური მიზანსცენებით აგებული წარმოდგენა იყო. მოქმედება სცენის ცენტრალურ ნაწილში მიმდინარეობდა ან ავანსცენაზე. სპექტაკლის ესთეტიკური სახე — ბედისწერის პლასტიკურ-ფიგურალური სახე ლიტერატურული ნაწარმოებიდან გამომდინარე დეტალების გააზრებით, ზოგჯერ გაზვიადებითაც შეიქმნა. შავ-თეთრად შეღებილი კედლებით შემოფარგლული სცენა, აქა-იქ უწესრიგოდ გაბნეული სკამები, ხეიბრის ეტლი, სცენის მარჯვენა მხარეს რამდენიმე რიგად ჩასმული ვეება ლურსმნები, ხოლო მარცხენა მხარეს კედელს მიბჯენილი, უგასასვლელოდ დარჩენილი კიბე ჩარაზული სამყაროს სიმბოლოდ იკითხებოდა. მარჯვენა კედელზე სამიზნეები ეკიდა, იქვე სამიზნედ ამოღებული ადამიანის ფიგურის კონტურიც ჩანდა, რომელიც სპექტაკლში საკმაოდ აქტიურად თამაშდებოდა. მის ჭრილში სხვადასხვა პერსონაჟები გაიელვებდნენ ხოლმე, ხოლო მის მიღმა თავშეყრილი ხალხი, ადგილობრივი მუსულმანური მოსახლეობა თავიანთი თანამოძმის დასჯა-გაროზგვის სცენას თვალყურს ადევნებდა და ცხადი ხდებოდა, რომ ეს ხალხიც და მასთან ერთად სპექტაკლის მთავარი გმირებიც — ქართველი ექიმი და ქართველი ოფიცერი მიზანში იყვნენ ამოღებული.

სცენის მარჯვენა კედელს კი თითქოს ძველი თვითმფრინავი შეჯახებიაო... ამ სივრცეში მიმდინარე ამბავი წარსულსა და მომავალს შუა იყო მოქცეული. მხატვარს თითქოს მოქმედების დროში განფენა სურდა. განსაკუთრებით ეფექტური ლამბალოს დასჯის სცენა იყო, უცნაური, შემზარავი ხმაური ჯოჯოხეთიდან ამომავალი იდუმალი ხმების ასოციაციას ბადებდა... მაღლიდან ჩამოშვებულ ორ თოკზე ხელებით ჩამოკიდებული ლამბალო შემაძრწუნებლად იღებდა თავისი გულუბრყვილობისა და ერთგულების საფასურს. ეს სცენა საკმაოდ დიდხანს მიმდინარეობდა და მოგწონდა იგი თუ არა, სწორედ ამ სცენაში იბადებოდა ნამდვილი თეატრალური ატმოსფერო. სპექტაკლის ფინალში ძალადობიდან გამოსავლის მაძიებელი ექიმი კიბეზე არბოდა, მაგრამ თეთრ კედელს აწყდებოდა, რომლის გარღვევაც შეუძლებელი იყო...

დათო ანდღულაძემ თითქმის გამიზნულად მიიწვია თემურ ნინუა "დიდოსტატის მარჯვენის" გასაფორმებლად. მხატვარმა, რომლის ხელწერაც სამყაროს გრაფიკული ხედვით მარჯანიშვილის თეატრის სტილისტიკისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა, სპექტაკლი მთლიანად შავი და თეთრი ფერების კონტრასტზე ააგო, მხოლოდ სადღაც, ერთ დეტალში გაკრთებოდა ხოლმე მეწამული ფერი. სპექტაკლის პირქუშ, უფერულ ატმოსფეროს თავისებურად აცოცხლებდა კოსტუმების ოქრო-მკედით ნაქარგი ფაქტურა და საერთო ფონზე აშკარად გამოკვეთილი მუქშინდისფერსამოსიანი არსაკიძე. მოქმედების ასპარეზი მეფე გიორგის სასახლე დარბაზები კი არა, მხატვრის სახელოსნო იყო. თეჯირთა პრინციპით გადაწყვეტილ დეკორაციის კედლებს წვერწამახული ხის ბოძები აგვირგვინებდა, ამ სახელმწიფოში ურჩთა თავების წამოსაცმელად მარგილების ძებნა არ სჭირდებოდათ. სცენის სიღრმეში დაგდებული ხის უზარმაზარი ბორბალი, ბედის ბორბა-

ლის ეს ტრადიციული მეტაფორა სპექტაკლის მსვლელობისას არაერთგზის თამაშდებოდა, იგი ხან შრომისაგან დაღლილ ხელოსანთა დასასვენებელი ადგილი იყო, ხან სვეტიცხოვლის მაკეტის დასათვალიერებელი მაგიდა და მომავალი ტაძრის სიდიადის ყველა კუთხიდან წარმომჩენი. სცენაზე გამოტანილ ყოველ დეტალს აქ საკუთარი ფუნქცია გააჩნდა და საერთოდაც, თემურ ნინუას სპექტაკლებში საინტერესოდ იკითხება ნებისმიერი საგნის არსებობა. საგნები გამოჩენის უმალ იწყებენ სუნთქვას და ყველაზე პატარა, უმნიშვნელო ნივთიც კი დროთა განმავლობაში მნიშვნელოვან აზრობრივ დატვირთვას იძენს.

ნივთი, ისევე როგორც აქტიორი, რეჟისორისა და მხატვრის ჩანაფიქრის რაღაც ნაწილია, ნიშანი, მეტაფორა. გამოცანის გასაღები, რომელიც მაყურებელს ასოციაციების მთელ რიგს სთავაზობს, სპექტაკლის არსის გაგებას უწყობს ხელს ხოლო სცენაზე ემოციებს ამძაფრებს, ჩანაფიქრის მასშტაბს ზრდის. გამოცანის ამგვარი "გასაღები" იყო თემურ ნინუას მიერ გამოგონებული უშველებელი ვაშლი სპექტაკლში — "ნახვის დღე", უზარმაზარი თეთრი ქუდი — "მეორედ მოსვლაში"... ნივთისადმი ამგვარ დამოკიდებულებაში ფარაჯანოვთან ურთიერთობის კვალიც ჩანდა. სასცენო სივრცეში გაბნეული, სრულ სიბნელეში განათებით ამოყვანილი ეს დეტალები მოულოდნელიც იყო და პოეტურიც. კულტურა, ცოდნა, ნიჭი მხატვარს საშუალებას აძლევს იმგვარი ზემოქმედების დეტალები შექმნას, რომლებიც მაყურებელს დიდხანს ამახსოვრდება. უკვე განხორციელებული სპექტაკლების ესკიზებსა და მაკეტებში რეჟისორისა და მხატვრის ერთობლივი შემოქმედების ნაყოფს ვხედავთ.

რუსთაველის თეატრში მისვლა თემურ ნინუასათვის სხვა საფეხურზე ასვლას ნიშნავდა. ეს იყო არა მხოლოდ ერთობლივი დადგმები დიდ მაესტროსთან, არამედ მთლიანად რუსთაველის თეატრში მიმდინარე შემოქმედებით პროცესებში მონაწილეობა. სპექტაკლი, როგორც

ერთობლივი ნაწარმოები თანაავტორობის პირველსავე წამს უნდა დაიბადოს, იგი არავის ლიდერობას არ გამორიცხავს, მაგრამ რობერტ სტურუა იმ რეჟისორთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც თავად ხატავენ და თავისი სპექტაკლის სივრცესაც ძირითადად თავადვე თხზავენ.

თემურ ნინუას მიერ შექმნილი სასცენო სივრცე სპექტაკლიდან სპექტაკლში სულ უფრო და უფრო ინტენსიური, დინამიური ხდებოდა. მის ნამუშევრებში ვერ გამოარჩევდი მხატვარ-გრაფიკოსსა და ფერმწერს. ფერის მისეული გრძნობა და სივრცობრივი ფიქრის, აზროვნების უნარი დეკორაციის სხვადასხვა ელემენტის განსაზღვრულ კონფიგურაციებში გაერთიანდა. მის ესკიზებსა თუ მაკეტებში კარგად ჩანს სპექტაკლის შექმნის პროცესთან ერთიანობა, დეკორაციის ფერადოვან, კონსტრუქციულ იდეაზე დრამატურგის მიერ შემოთავაზებული ყველა დეტალის ზეგავლენა — როგორ შემოვა მსახიობი ან სად გაჩერდება იგი. ყოველ ახალ სპექტაკლზე მუშაობისას ხომ რეალური, ცხოვრებისეული სამყარო უკან იხევს და იქმნება განსაკუთრებული სამყარო, რომლის არაჩვეულებრივ ისტორიებში ათასი ქვეყნისა და ეპოქის ადამიანი, მისი ტკივილი, სიხარული, სიმართლე თუ სიცრუე ერთმანეთში ირევა და მთავარ ადგილს წარმოსახვა იკავებს.

რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე გიზო ჟორდანიას ჯგუფის დამკვიდრების შემდეგ თემურ ნინუამ თითქმის მთლიანად ამ სცენაზე გადაინაცვლა და წლების მანძილზე ფაქტობრივად ამ დასის სპექტაკლების უცვლელი მხატვარი გახდა. მცირე დარბაზს სცენის ამოძრავების საშუალება არა აქვს, ამიტომ ეფექტებით მუშაობდა. "სამანიშვილის დედინაცვალი", "ამაღამ მგონი იქნება ქარი", "ჰამლეტი" — ამ სპექტაკლებმა მხოლოდ მათში მონაწილე მსახიობებს როდი მოუტანეს წარმატება, აღიარება წილად ხვდა მთელ დამდგმელ ჯგუფს და, რა თქმა უნდა, მხატვარს.

XX ს-ის 90-იანი წლების "ჰამლეტი" იმ თაობის საფიქრალით იყო დაღდასმული. ახალგაზრდა მსახიობებმა საკუთარი სიტყვის სათქმელად, ქართულ სცენაზე თავისი ადგილის დასამკვიდრებლად ამ სპექტაკლით გარკვეული ნაბიჯი გადადგეს. რაც შეეხება სცენოგრაფიას, თემურ ნინუამ სცენაზე სამოქმედოდ კოლაჟური სამყარო შექმნა, სიმბოლური ნიშნებიც მრავლად გამოიტანა — ნავში მოთავსებული ქალის ტორსი, ვეფხვის ნატურალური ზომის ფიტული, ორი სვეტი, სცენის მარცხენა კუთხეში დაყრილი ქვიშა, რომელშიც კლავდიუსი კვდებოდა, სარსწამოცმული ბორბალი. განსაკუთრებით საინტერესოდ მან ერთგვარი სარკის კედლები გამოიყენა. სხვადასხვა სისქის მეტალიზებული ფაქტურა, რომლისგანაც ეს სარკეები იყო გაკეთებული თითქოს სუნთქვადა, ვიბრირებდა, თავისი განსაკუთრებული ორგანიკით ცხოვრობ-

და და მსახიობებს მრავალჯერ აირეკლავდა. მათი გამჭვირვალება შემდეგ მოულოდნელად სადღაც ქრებოდა და ადგილს პერსონაჟთა სკულპტურული საგნობრიობა იკავებდა. ერთი შეხედვით ქაოტური სცენოგრაფია სპექტაკლში წამოჭრილ კითხვებს უპასუხოდ არ სტოვებდა, გარდა იმისა, რომ მუშაობდა დეკორატიულად ლამაზი ფაქტურის საგანი და გარკვეული აზრობრივი დატვირთვაც ჰქონდა, რეჟისორის კონცეფციის — პიროვნული დეგრადაციის, სულიერი დაკრძალვის კლინიკის წარმოჩენა.

მაგრამ თემურ ნინუასთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რობერტ სტურუასთან შეხვედრა იყო. სრულიად ახალგაზრდა მივიდა თეატრში, რობერტ სტურუას კი ახალგაზრდებთან ურთიერთობა უყვარს, უხვად აფრქვევს ნიჭიერების სხივებს და მათ ქვეშ საკმაოდ კარგია ნებივრობა, მაგრამ ამავდროულად, თუ მის მსგავსად არ დაიხარჯე, არაფერი გამოვა. თემურ ნინუამ დიდი მაესტროსაგან ფაქტობრივად ახლებური თეატრალური აზროვნება შეისწავლა, აქამდე შეძენილი თვისებები დახვეწა. თანამედროვე თეატრის ერთ-ერთი მთავარი პრინციპიდან გამომდინარე ყველაფერმა ქვეტექსტი შეიძინა, სცენურ სივრცეში თავისუფლად განვითარებული აზრი კი უნებლიე მეტაფორულობით მაყურებლის აზროვნებასთან დიალოგში შევიდა. აქ ნებისმიერი ნივთი, რეპლიკა სცენასა თუ ცხოვრებაში სრულიად საწინააღმდეგო აზრით შეიძლება იქნას გაგებული. სტურუასთან მუშაობისას ვერ ისარგებლებ სივრცის გადაწყვეტის ერთხელ შექმნილი სტერეოტიპით. ის შეიძლება მხოლოდ იმდაგვარი იყოს, როგორსაც რეჟისორის პარადოქსული აზროვნება იმ წამს თხოულობს. სტურუა მუშაობის დასაწყისშივე იძლევა საოცრად ზუსტ მითითებებს, რომლებიც შემდეგ მიზანსცენითა და მსახიობების თამაშით მართლდება. თეატრში მისთვის ყველაფერი მნიშვნელოვანია: ხმა, სიტყვა, ფრაზა, ფაქტურა, ინტონაცია, განათება, ფერი. მან შესანიშნავად იცის სასცენო სივრცეზე ზემოქმედების საშუალებები, მაგრამ დარბაზის სივრცის გათვალისწინებაც ხომ საჭიროა, საჭიროა მათი ურთიერთშერწყმა. ყოველი სცენოგრაფი კი — სპექტაკლის თავისებურ განწყობილებას, ფერისა და განათებისაგან შემდგარ თავისებურ ჰაერს ქმნის. ქსოვილის ფაქტურა, ფერი ამა თუ იმ ხარისხის ფილტრით განათებისას არაჩვეულებრივ შინაგან დინამიკასა და გარეგნულ სტატიკას ავლენს.

სასცენო პლანშეტითა და სიბრტყეებით, ფერთა და სიმბოლოთა თამაშით ძალიან საინტერესო იყო 1983 წელს დადგმული "დაკრძალვა კალიფორნიაში". კინოსტუდიის ერთ-ერთი სახელდახელოდ აგებული პავილიონი, მთელი თავისი ნაირგვარი აპარატურით, ილუმინაციით, პროჟექტორებითა და ფანრებით, ეკრანებით, შტატივებითა და მიკროფონებით... სცენაზე გადაჭიმულ რელსებზე მდგარი კინოკამერა, ხოლო დალაქავებული და ალაგ-ალაგ გარღვეული თეთრი კინოეკრანი — მთელი წარმოდგენის ფონი. მასზე გაელვებული ამერიკული ყოფის მოტივები — ეროვნული დროშის ფრაგმენტები, ცხენოსანი შერიფი და კოვბოების სამი სილუეტი შეჩერებული კადრის ასოციაციას ქმნიდა. სცენის შუაგულში, თეთრ პოსტამენტზე, თეთრი ფიგურა — ცხენოსანი კოვბოი — მარმარილოს ძეგლის პაროდიული მოდიფიკაცია, შორიახლოს კი სამგლოვიარო კატაფალკა მყვირალა რეკლამით — "საუკეთესო კუბოები"... კიდევ რამდენიმე დეტალი — სუფრის ნაცვლად დროშაგადაფარებული, ქაღალდებით მოფენილი თეთრი მაგიდა და ასევე დროშაგადაფენილი რკინის საწოლი... კალიფორნიის შტატის თავისუფალი ქალაქის თავისუფლების მოედანს ირგვლივ ფიცრული ბარიერი აკრავს, რომლის გადაღმაც უსახო მასა — ფიცრული მანეკენები მოსჩანან. სცენაზე მდგარი ყველა საგანი — კატაფალკა, ძეგლიცა და საწოლიც ბორბლებზეა შემდგარი, ხოლო ძეგლი საჭიროებისამებრ ხან ტირანის კაბინეტია, ხანაც აივანი, საიდანაც დემოკრატიასა და თავისუფლებაზე ქადაგებენ... დროთა ქარ-ცეცხლში ჭეშმარიტად არაფერი იცვლება... სწორედ წარმოსახვა ჩუქნის არტისტს ჭეშმარიტი შემოქმედებითი ტკბობის წამებს და ამავდროულად მწარე ხუმრობისთვისაც ამზადებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მათ შემდგომ სპექტაკლებში ფიგურის გამოყენება გახდა. ფიგურა — სიმბოლო პირველად რობერტ სტურუას "ხანუმაში" გაჩნდა. ვილაც, რომლის

სახეც კი არ ჩანდა, სცენაზე იჯდა, გაზეთს ჩასჩერებოდა, მაგრამ უამრავი ასოციაციის მაპროვოცირებელი იყო. აზრობრივი ზემოქმედებით ამ უსახო ფიგურამ შემდეგ რობერტ სტურუას თითქმის ყველა სპექტაკლში გადაინაცვლა, რა თქმა უნდა, თემურ ნინუას შემოქმედებით ხედვაშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ფიგურა — მეთვალყურე, დამსწრე, იქნებ რეალური პიროვნება, თანამოქალაქეც, მესამე თვალი ან იქნებ სულაც ზოგადი კრებითი სახე... ერთსა და იმავე დროს კონკრეტულიცა და განყენებულიც... სცენაზე ესთეტიკურად ლამაზად აღსაქმელი ფიგურა თავისი ჰარმონიულობით, ფერწერულობითა და სიმკვეთრით მხატვრის მიერ სასცენო ნივთის ხასიათისა და პროპორციების შეგრძნების, მხატვრის გემოვნების კიდევ ერთი დასტური შეიქნა. თემურ ნინუას პირველი ფიგურა სტურუას მიერ ოპერაში დადგმულ "შუშანიკის წამებაში" გაჩნდა. მთავარი პერსონაჟები სცენის სიღრმიდან ჩნდებოდნენ და როცა მოქმედებამთელს სცენაზეიშლებოდა, მოულოდნელად საორკესტრო ორმოსთან მჯდარ ჩალმიან კაცსაც ამჩნევდით, რომელიც თითქოს დირიჟორობდა. ვინ იყო იგი, ვის დირიჟორობდა — ორკესტრს, არტისტებსა თუ მაყურებელთა დარბაზს?..

"სტიქსი", ერთ-ერთი უძლიერესი სპექტაკლი სტურუას შემოქმედებაში... მდინარე, რომლის ერთ მხარეს მიცვალებულები არიან, ხოლო მეორე მხარეს — ცოცხლები. როგორ უნდა აქციო თეატრალური სანახაობის საგნად სულის მოგზაურობა გარდაცვალების შემდეგ? და ეს ამბავი მოყვე თეატრის ენაზე, არა მუსიკის, ლიტერატურის ან ფერწერის ენაზე, რაც ალბათ უფრო ადვილია, არამედ უკიდურესად შემჭიდროებული სივრცის ენაზე... ფიზიკურად გადმოსცე გახსნილი ცის სილამაზე, ჰაერის სიმძიმე, რომელიც ასე აწვება და ხუთავს ამ სულს... და სულისა და სხეულის გაყრისას ამ მოგზაურობის აუტანელი ტკივილი, თანდათანობითი, ავადმყოფური გამოცალკევება, მისი თითქმის უსხეულო გარდამოსვლა და სასოწარკვეთა... და იმედი. უდიდესი ცივილიზაცია და მთელი სამაყროს დღევანდელობა.

როგორც პოდიუმზე მოდიან მანეკენები, მსახიობებიც ასე გამოდიან სცენაზე, ყველანი ერთნაირები, სულ თეთრებში... თეთრი ფხვნილით მოფარულ იატაკზე ფეხის ნაკვალევი რჩება, სკამებზე სხდებიან, ეცემიან... სპექტაკლის მთელი ფერწერული გადაწყვეტა — თეთრი ფერის, სამყაროს ყველაზე მკვრივი ფერის დომინანტი ამ სიტუაციაში არამატერიალური სიმკვრივის — სულიერი სიმკვრივის გამოძახილია. მთელი ეს ფილოსოფია უფრო სამყაროს შავ სამუშაოს ჰგავს, რომელიც შრომას და რეზულტატს, მახსოვრობას და ახალ აზრს, თეთრისა და შავის მარადიულ ბრძოლას აერთიანებს. ამ შემთხვევაში რეჟისორისა და მხატვრის შემოქმედება ჩვეულებრიობის ზღვარს გასცილდა. თავიდან სიმბოლიკისაკენ მათი ერთობლივი სვლა მსახიობისა და მისი მსგავსისაკენ წარიმართა, ანურაღაც ხდება აქ, რეალურ სამყაროში და რაღაც — იქ, არარეალურში. გაკეთდა მსახიობების მსგავსი რამდენიმე ფიგურა და ალბათ კარგიც იქნებოდა რომ ისინი სპექტაკლში დარჩენილიყვნენ, მაგრამ ფიგურა მხოლოდ ბოძზე დარჩა. სამაგიეროდ გაჩნდა ძაღლის ფიგურა და ორმა თეთრმა კედელმა, ბოძმა და ფიგურამ ბოძზე "სტიქსში" განსაკუთრებული განწყობილება შექმნა, ჰარმონიულად ერთმანეთს გადახლართა კოსტუმი, დეკორაცია, მოძრაობა, ბაშმეტის შესრულებული ყანჩელის მუსიკა, გუნდი ჯანსულ კახიძის დირიჟორობით... ფსიქოლოგიური თეატრი, რომელსაც თავისი ჩვეული ტემპერამენტი და ენერგეტიკული ძალა დროთა განმავლობაში შემოეფანტა, სულ უფრო ხშირად კი არ განიცდის, არამედ ჰყვება სიუჟეტს და ვეღარაფრით ახერხებს საჭირო ტონალობაში დღევანდელობისათვის ხმის აყოლიებას. ყველაფერთან ერთად სტურუა "სტიქსით" იქნებ თეატრის იმ პირველწყაროს დაუბრუნდა, რომელიც პერიოდულად ყველა დიდ რეჟისორს აწუხებს და აფორიაქებს, რათა ამ თეატრს თავისი ზემოქმედების ძალა და კაცთა და ნივთთა ნამდვილობა დაუბრუნოს...

... ლაშა ბუღაძის "ჯარისკაცსა და... პრეზიდენტში"... შემოყვანილი ფიგურა მოულოდნელად ანგელოზად გარდაისახა. ჩვეულებრივ სამოსში გახვეული ანგელოზი, ოღონდ ხელფეხშკრული, სახედაფარული, თავით ჭერსმიბჯენილი, ვერსად წამსვლელი... რომელსაც შეიძლება, ყურადღებას არც არავინ აქცევს. აზრი სპექტაკლში ანგელოზების შესახებ, მხატვარს და რეჟისორს ერთად გაუჩნდათ — ბიბლიის იაკობის მიერ სიზმარში ნანახი ცისკენ აწვდილი კიბე და მასზე ამავალ-ჩამომავალი ანგელოზები... მათ სურდათ ანგელოზებს პეპლებივით ჰაერში ეფარფატათ, ასე ელაპარაკათ, ემოძრა-



ვათ, მაგრამ ყველა ჩანაფიქრი როდი ხორციელდება... დროთა განმავლობაში ამ სპექტაკლში მიგნებული რაღაც ახალი სადადგმო ხერხი ალბათ სხვა სახით მოევლინება მაყურებელს... ამ შემთხვევაში კი მხატვარმა და რეჟისორმა ბიბლიური პერსონაჟის სიჩუმე ხილული გახადეს. იმდენად დაწერილ და წარმოთქმულ ტექსტს არა აქვს აქ მნიშვნელობა, რამდენადაც იმას, რაც არც დაწერილია და არც წარმოთქმული. სამყაროს შექმნისას დაშვებული შეცდომები, ისევე როგორც შავად შესრულებულ ნაშრომში, მრავალგზის გადაიხაზება. ომები, რევოლუციები, ნგრევა და კატასტროფა მხოლოდ შეცდომებია და სხვა არაფერი. ამ საინტერესო თემას მხატვარი უკიდურესად ძუნწი ხერხებით, რამდენიმე სცენური შტრიხით, არასწორი ხაზითა და ცარიელი სივრცით გამოეხმაურა — სიცარიელე, როგორც მდუმარების სინონიმი, მდუმარება და ყვირილი, როგორც ორი ჭეშმარიტი სახეობა ამბის მოყოლისა. მხატვრის ხმა მიუხედავად მისი გარემომცველი ხმაურისა, კარგად ისმის.

ხოლო თუ დაკვირვებით დააცქერდებით მის მიერ შეთხზული კოსტუმების დეტალებსა თუ თავად კოსტუმს ან სივრცეში მსახიობთა ფიგურების თანაარსებობას, უმალ შეამჩნევთ მათ აქტიურ ქმედითობას. ძნელია ახსნა თუ როგორ იქმნება ესა თუ ის კოსტუმი, ზოგიერთი ესკიზის გარეშეც კი იბადება, უბრალო მონახაზის სახით და თუ ის შინაგანად ნამდვილი და სწორია, სცენაზე უმალ ცოცხლდება. ესკიზი ზოგჯერ თითქოს განსხვავდება იმისაგან, რაც სცენაზე გადადის და ამავე დროს, თითქოს არც არაფრით განსხვავდება, იმიტომ რომ კოსტუმის არსი, მისი სტრუქტურა არსებობის რამდენიმე დონისაგან შედგება და მარტივი ფორმებიდან დაწყებული გმირის სახისაკენ მიემართება. კოსტუმის შექმნისას მხატვარი ხომ გამუდმებით ფიქრობს თუ როგორი იქნება გრიმი, ან საჭიროა თუ არა საერთოდ გრიმი? როგორ იმოძრავებს არტისტი, კონკრეტული ადამიანი მის კოსტუმში... და ხშირად სწორედ ამიტომ თხზავს პორტრეტულ ესკიზს... ცხადია სურვილი მსახიობთან ურთიერთობისა, მასზე დაკვირვებისა, მსახიობის პლასტიკის, მისი ქცევის სტილის, მანერის შესწავლისა ხანგრძლივი პროცესია, ამ პროცესში სულ უფრო და უფრო ახალს სწავლობ და უკვე აღარ შეგიძლია გმირს სამოსის ნაცვლად რაღაც გაუგებრობა ჩააცვა. კოსტუმი მთელი თავისი დეტალებით მსახიობის განუყოფელი ნაწილი ხდება. იყო პერიოდი, როდესაც სტილიზებულ კოსტუმებს აკეთებდა, კუტიურეებს თავისი შემოქმედება პოდიუმზე გამოაქვთ, თეატრში კი მხატვარს სურს მისი კოსტუმი ოდნავ ორიგინალურიც იყოს... მაყურებელი მსახიობიდან გამომდინარე აღიქვამს ყველაფერს და შესაძლოა, აზრის ძიებაში კოსტუმი მნიშვნელოვან ბიძგად, ფერადოვან ლაქად იქცეს. ახმეტელის თეატრის "მილიონერი ქალის ვიზიტში" დიდი თეთრი კაბა, ჯერ იამამოტოსთან, ხოლო შემდეგ გასულ საუკუნეთა ერთ-ერთ გრავიურაზეა აღმოჩენილი თავისი დიდი ქუდით, ჯოხებით რომ უჭირავთ... "ჰამლეტში", როდესაც სათაგურის სცენაში მსახიობები შემოდიოდნენ, კრინოლინების მხოლოდ კარკასები ეცვათ, რასაც კარგა ხნის შემდეგ წაადგა უცხოეთში... ანუ არაფერი არ არის ახალი, ყველაფერი დიდი ხნის წინათ არსებობდა, არსებობს და კვლავაც იარსებებს...

ქართულ მხატვრობაში იყო პერიოდი, როცა სცენაზე ფერი დომინირებდა, ის კი ყოველთვის ცდილობდა სივრცე აეთვისებინა, არქიტექტურული დეტალები შემოეყვანა... ხანდახან დეკორაციაში ისეთ არქიტექტურულ დეტალს თუ ნაწილს ჩადგამს, რომელსაც პიესასთან არავითარი საერთო არა აქვს, მაგრამ ბავშვობის ხსოვნიდან გამოყოლილი, ზღვისპირეთის ქალაქისათვის დამახასიათებელი დეტალებია — რიკულები, პალმა, ნავი... ქვეცნობიერად ყველაფერი ილექება და რადგან ცხოვრებაში რაღაც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა აქვს, ლექსი არ დაუწერია, ამიტომ ცდილობს სათქმელი სიმბოლოებით მოგვაწოდოს. მეგობარი მხატვრები ხანდახან საყვედურობენ, სიზმრები ცხადში გადმოგაქვს და სპექტაკლში სიმბოლიკას მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებო... მაგრამ ხანდახან, ხშირად არა, ხანდახან ესიზმრება, რომ დადის სოხუმის ქუჩებში... მთელი ბავშვობა იქ გაატარა... როგორც იტყვიან, ფეხი იქ აიდგა... სიზმარში ზოგი დაფრინავს, ზოგი მიწაზე ქარივით დაჰქრის, მას კი ესიზმრება ზღვა, რომელიც ძალიან უყვარს და... ცურავს, ამღვრეული წყალია თუ დაწმენდილი, სულ ერთია, ცურავს... თითქოს ფელინის "ამარკორდის" ცოცხალი კადრებია, გაქვავებულ ზღვაშია... მაგრამ მაინც მოსწონს და გული წყდება, რომ ელვიძება... იქურობა უყვარს! იმიტომ რომ იქ დაიბადა, ახლა ვერ ჩადის, თორემ...



ალმას გამოსა

ბუჩუღი მრავალხმიანი სიმღერის ფენომენოლოგიური თავისებურებები

როდესაც ცნება „ხალხურ მრავალხმიანობაზე" ვსაუბრობთ, პირველ რიგში ცნობილი რუსი მეცნიერის, ასაფიევის ფორმულირება გვახსენდება: „მრავალხმიანობა — ეს მუსიკის კოლექტიური აღმოჩენაა". მეცნიერი აქ გულისხმობს მრავალხმიანობას, არა როგორც შედეგს, არამედ — როგორც შემსრულებელთა შემოქმედებით განზრახვას. სწორედ ამ კუთხით ვეცდებით ვისაუბროთ გურული სიმღერის — ქართული ხალხური სიმღერის გამორჩეული ფენომენის შესახებ.

ამ მოვლენის სხვა ქართული კუთხეების შემოქმედებათაგან ყველასთვის ცნობილი გამორჩეულობა ხმათასვლის რთულ გრაფიკულ ნახატშია.

გურული მომღერლების ერთგვარ დევიზად არტემ ერქომაიშვილის გამოთქმა იქცა: „თუ შენ გვერდით მდგომი არ გიყვარს, ისე სიმღერა არ გამოგივა". ამ სიტყვებით გადმოცემულია ჯერ კიდევ სიმღერის დაწყებამდე შემსრულებელთა ერთი იდეით ერთ ანსამბლად გაცნობიერების აუცილებლობა, როგორც სიმღერაში კოორდინაციის მთავარი საფუძველი. ამასთან, ეს იდეა მოყვასის სიყვარულია, რომელიც, თუ მალხაზ ერქვანიძის მოსაზრებას გავიზიარებთ, ერთად მღერის საბოლოო მიზანიცაა. ერთი რამ კი ფაქტია, რომ ზემოხსენებული გამოთქმა გამოკვეთს ხალხური სიმღერის სოციალურ ასპექტს.

აქ გვახსენდება იოსებ ჟორდანია, რომელიც მრავალხმიანობის ფენომენის სოციალური და მუსიკალური ასპექტებით განხილვის ინიციატორია. ამ ორი ასპექტით განსაზღვრული „მრავალხმიანობები" საერთო თანაკვეთის მქონე, მაგრამ განსხვავებულ არეალებს მოიცავენ (სოციალურ მრავალხმიანობად მკვლევარი მიიჩნევს ყოველგვარ ერთობლივ სიმღერას, ხოლო მუსიკალურად — ორი ხმის ერთდროულად ჟღერას). მეცნიერი აყალიბებს ცნებას — „მრავალხმიანი კულტურა". ეს ტერმინი თავის თავში მრავალხმიანობის ორივე — სოციალურ და მუსიკალურ გაგებას მოიცავს.

რამდენად მეტი, ან ნაკლები მასოციალიზებელი ფუნქცია გააჩნია ფუნქციონალურ მრავალხმიანობას ერთხმიან კოლექტიურ შესრულებასთან შედარებით?

ცხადია, რაც უფრო მასობრივია მუსიკირება, მით უფრო ეკონომიურ მეთოდს ირჩევს შემსრულებელი. დღევანდელ სპონტანურ (და არა — განზრახულად ორგანიზებული) შესრულების ფორმებზე დაკვირვებისას მასობრივი უნისონური შესრულების ფონზე, როგორიცაა, მაგალითად, სტადიონზე — გულშემატკივრები და პოპ-მომღერლის მსმენელები, დემონსტრაციებზე, ნაწილობრივ — ჯარისკაცები, ტიპური მრავალხმიანობა კი „კამერული" მასშტაბით შემოიფარგლება.

კოლექტიური ერთხმიანობის — უნისონის, როგორც „მიზნამდე უმოკლესი გზის", თვისება მკაფიოა იმ მიმართებითაც, რომ ქართული მრავალხმიანობის შემსრულებელთა „ნაკლებკვალიფიციური უმრავლესობა" სწორედ უნისონით — გუნდური ბანითაა გამოხატული.

ეს „კამერულობა", შემსრულებელთა რიცხვის სიმცირე კვალიფიკაციის ხარჯზე საქართველოში ყველაზე მეტად სწორედ გურიაშია აქტუალური. ცნება „ტრიო", რომელიც სამი პროფესიონალის მღერას აღნიშნავს და რომელიც გურულებმა ჩვეული სიმკვირცხლით

აიტაცეს, სწორედ ამ უკიდურესად ეკონომიურ საშემსრულებლო რეგლამენტს ასახავს.

ამასთან, ცნებათა „სოციალურისა“ და „მრავალხმიანობის“ ურთიერთმიმართება სხვა მხრივაც იპყრობს ჩვენს ყურადღებას. ცხადია, შემსრულებლის სოციალური სტატუსი გარკვეულწილად პროპორციულია მისი მუსიკალური პარტიის ინდივიდუალობისა. ძველ პლასტებში უთუოდ ასე იქნებოდა. ლიდერის როლი აქ, ჯოგურად მცხოვრები ცხოველების მსგავსად (რასაც საინტერესო ნაშრომს უძღვნის სტივენ ბრაუნი), ინტონირების ინიციატივაშიც აისახებოდა. ხორციელდებოდა „მოწოდება-პასუხის“ პრინციპი, რომელსაც იოსებ ჟორდანია „კითხვა-პასუხის“ სახელით ვრცელ ნაშრომს უძღვნის. სოციალური ფაქტორი ინტონირების ისტორიის ამ ეპოქისათვის მეტად წონადია. შემდეგში, მუსიკის ხელოვნების ჩასახვა-განვითარების კვალდაკვალ, „ლიდერი-ამყოლის“ ურთიერთობიდან აქცენტი „პროფესიონალ-მოყვარულის“ ურთიერთობაზე ინაცვლებს, რომელსაც, რა თქმა უნდა, ჟანრული ფაქტორი უნევს კორელაციას.

„ლიდერი-ამყოლის“ მსგავსად, „პროფესიონალ-მოყვარულის“, ანუ როგორც ე. გარაყანიძე უწოდებს ხალხურ ტერმინზე დაყრდნობით, „ოსტატ-მოყვარულის“ ურთიერთობის შემთხვევაში პირდაპირ კავშირს ვხედავთ მრავალხმიანი შესრულებისას პარტიების ფუნქციონალურ რელიეფურობასთან. ერთდრული მღერის გარემოში ამგვარი რელიეფურობა ყველაზე მკაფიოდ აღმოსავლურ გრძელ სუფრულებში გამოიკვეთება — სოლისტები-ბანი. ასევე მკაფიოა ლიდერისა და მოპასუხის სტატუსთა შორის კონტრასტი.

საინტერესოა, რომ გურული ხალხური ტერმინოლოგია არ იცნობს „კორიფეს“ როლის რელიეფურად გამომხატველ რაიმე ცნებას, გარდა „თავკაცისა“, „მთქმელისა“ და „დამწყებისა“, რომელსაც ტერმინი ძირითადად ტონის მიცემის, დაწყების ფუნქციას აკუთვნებს და არა — მთელი მუზიკირების პროცესში ლიდერობისა. აღსანიშნავია, რომ „მთქმელი“, ანუ სიტყვიერი ტექსტის მატარებელი გურულ სიმღერაში შუა ხმაა, რომელსაც ინიციატივის მხრივ შინაარსდაკარგული სიტყვებით გამოხატული მელოდიზირებული ზედა ხმა და, განსაკუთრებით — ასეთივე ბანი ჯაბნის. ამგვარი რეგლამენტიც ხმათა თანასწორუფლებიანობის კიდევ ერთი დასტურია.

დასავლეთში და განსაკუთრებით — გურიაში „ოსტატ-მოყვარულის“ ფუნქციური კონტრასტი მხოლოდ ორპირულად შესრულების გარემოში მჟღავნდება. ესაა ტრიოსა და გუნდის მონაცვლეობა; ასევე — ტრიოსა და გადაძახილის — ერთხმიანი გუნდური ფრაგმენტის — გამოპასუხება.

საზოგადოდ, ქართულ ხალხურ სიმღერაში „ამყოლისა“ და „მოყვარულის“ სოციალური ასპექტის ყველაზე მკაფიო გამოხატულებად გუნდური ბანი შეიძლება მივიჩნიოთ. მაშინ, როდესაც უნისონური შესრულება ქართული ხალხური სიმღერისთვის აშკარად არატიპიურია, გუნდური უნისონური ბანი, ხშირად განვითარებული მელოდიური სვლებით ხასიათდება, რაც, ჩანასახის დონეზე მაინც, ასეთ ბანს მელოდიის თვისებებს სძენს. გურული „გადაძახილი“ ასეთი უნიფიცირების ნათელი მაგალითია. მაგრამ, ამასთან, მისი რელიეფური უნისონური ფრაზა სცილდება აღმოსავლეთ-ქართული ბანის ფონის როლს და ტრიოს თანასწორ „ალტერნატივად“ წარმოჩნდება. ამგვარად, „გადაძახილი“ გურულ სიმღერებში ხმათა თანასწორუფლებიანობის კიდევ ერთ ნათელ მაგალითად მოჩანს.

არამარტო „გადაძახილის“, არამედ საზოგადოდ ბანის ფუნქცია გურულ სიმღერებში საქართველოს, და არა მარტო საქართველოს, მასშტაბით უპრეცედენტო ნიშნულს აღწევს. მართებულად მივიჩნევთ ნუგზარ ჟორდანიას მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ე.წ. „გურული პოლიფონია“ პირველ რიგში სწორედ ბანის გააქტიურების შედეგია, და რომ — „ტრიოს“ რეგლამენტიც ბანის გამხოლოების, ინდივიდუალიზაციის ნაყოფია. სწორედ ეს ფაქტორი გამოარჩევს გურულ სიმღერას იმერულისაგან, სადაც ბანი ხშირად არანაკლებ აქტიურია და დიდი დიაპაზონისაა. ასე, რომ იმერეთსა და სამეგრელოში, ისევე როგორც აჭარაში, „ტრიოს“ დამკვიდრება, სავარაუდოდ, გურული გავლენით უნდა აიხსნას. ვამბობთ „სავარაუდოდ“, რადგან გადაჭრით ვერ ვუარყოფთ ზოგიერთი არაგურული სიმღერის, მაგალითად „კუნტა ბედინერას“, თუ შეიძლება ასე ითქვას, ადგილობრივი წარმოშობის ვერსიას.

ამგვარ ტრიოს სიმღერებს ე. გარაყანიძე „წმინდა“ სიმღერებს უწოდებს, ანუ — სიმღერებს, რომლებიც სრულდება არა რიტუალური მიმართებით, არამედ — ესთეტიკური მოთხოვნილებისგან გამომდინარე. სიტყვა „წმინდა“ აქ გამხოლოების ნიშნად გამოიყენება. „წმინდა სიმღერა“ — ანუ როგორც — „მხოლოდ სიმღერა“. სიტყვა „წმინდა“ ერთგვარ ორაზროვნების უხერხულობას ბადებს. ჩვენ ამ ცნებას ვამჯობინებდით კარგად ცნობილ „სალაღობოს“. მართალია ამ ტერმინით ჟანრიც აღინიშნება, მაგრამ სწორედ ამ მასშტაბური ჟანრის სახელია ასეთ სიმღერებში სოციალური ფუნქციის ცვალებადობის გამო

მუსიკალური ენის ტრანსფორმაციის ამსახველი. ამასთან, „სალაღობო“ გამოცალკევდება „სუფრულისაგან“, რომლის ჟანრიც, ჩვენი აზრით, პირველ რიგში რიტუალური დანიშნულებისაა, და მხოლოდ შემდეგ — სალაღობო.

ერთი შეხედვით, ასევე გურიაში ლოკალიზირდება მეზობელი კუთხეების მიერ გაზიარებული **კრიმანჭულიც.** თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კრიმანჭულის იმერული, მეგრული, ლეჩხუმური მარტივი ანალოგები ხელს უშლის ამ მოსაზრების აბსოლუტიზაციას. მაგრამ ის კი ფაქტია, რომ გურული კრიმანჭული, განსახვავებით ჩამოთვლილი კუთხეების ანალოგებისაგან მკაფიოდ ჩამოყალიბებულ, ინდივიდუალიზებულ მეთოდად მოჩანს და რიტუალური სფეროდან სალაღობო სიმღერებშიც ინაცვლებს.

კრიმანჭულთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხმათა დიფერენციაციაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგისტრულ პოზიციას. ზოგჯერ შესაძლოა, რეგისტრს მეტი როლი ენიჭებოდეს ინდივიდუალობის შექმნაში, ვიდრე — მოტივურ, ან ტემბრულ სხვადასხვაობას. რეგისტრულად სხვადასხვა მონაკვეთზე არსებული ხმები ფსიქოლოგიურად დამოუკიდებლად აღიქმება (ნაზაიკინსკი). მკაფიო ინდივიდუალობის მისაღწევად გურული კრიმანჭული რეგისტრის ფაქტორს აქტიურად იყენებს. სავარაუდოდ, მაღალი რეგისტრი, იოდლის ტიპის ხმის გარდატეხვა, არტიკულაციის სპეციფიკურობა და „არავოკალურად მელოდიური“ ინტონაციური ფორმულა კრიმანჭულის „არაადამიანური“ (შესაძლოა — "ზეადამიანური") ინტონირებისაკენ სწრაფვას ამყარებს, რაც შესაძლოა, ძველად მაგიური ფუნქციითაც ყოფილიყო განპირობებული.

დღემდე უცნობია, თუ რა ხმიერი მოვლენის ანარეკლია კრიმანჭული: სამონადირეო ან სხვაგვარი დანიშნულების მაგიური რიტუალისა, სამხედრო შეძახილისა, მწყემსის შეძახილისა, საფერხულო ჰეტეროფონიის ორიგინალური ორნამენტისა, ცხოველთა თუ ფრინველთა მიბაძვისა... თავად გურული მომღერლები ხშირად ამ უკანასკნელი ვარაუდისკენ იხრებიან, მაგრამ კრიმანჭულის ფრინველთა ჭიკჭიკთან დასესხების მითს ესთეტიკური საფუძველი უფრო გააჩნია, ვიდრე — მუსიკალურ-ტექსტობრივი ასოციაციისა.

ასეა, თუ ისე, კრიმანჭულის ტემბრული სპეციფიკურობა ყველაზე მეტი ხარისხისაა ქართულ სამუსიკო ხალხურ შემოქმედებაში, რაც გურულ მუსიკალურ დიალექტს კიდევ ერთი ფენომენოლოგიური თავისებურებით გამოარჩევს.

უნდა აღინიშნოს კრიმანჭულის ერთგვარი „დამზღვევის“ როლიც. მის სტაბილურ პლასტზე დაყრდნობით სხვა ხმებს მეტი შემოქმედებითი თავისუფლება ეძლევათ. თითქოსდა იგივე ფუნქცია გააჩნია ქართლ-კახურ გუნდურ ბანს. მაგრამ მისგან განსხვავებით, კრიმანჭული არაა სხვა ხმებზე დამოკიდებული. ერთგვარი „ფუნქციონალური ინიციატივა“ გურულ სიმღერებში სწორედ მას გააჩნია.

გურული სიმღერების სახასიათო ხმას წარმოადგენს ასევე „შემხმობარიც“. ერთის მხრივ, იგი დასავლურ ქართული სამხმიანი ნადურების ბანიდან წარმომავლობას ავლენს, მეორე მხრივ კი — გადაძახილთან ფუნქციურ ნათესაობას. პირველ მოსაზრებას ადასტურებს სამ და ოთხხმიან ნადურებში ბანისა და შემხმობარის ანალოგიური ფუნქცია, ხოლო მეორე მოსაზრების უფლებას გვაძლევს „შემხმობარის“ რამდენიმე ბანის მიერ და ფრაგმენტული ჩართვები, რაც შეიძლება ორპირულობის გამოძახილი იყოს. ასეთ შემთხვევაში ეს პლასტი აღმოსავლურ ქართულ შრომის სიმღერების ბანსაც ეხმიანება.

ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ სიტყვა „შემხმობარი“ შეწყობას გამოხატავს და, „ბანის“ მსგავსად (რა ტერმინსაც ერთ-ერთ მნიშვნელობად სწორედ „შეწყობა“ გააჩნია), ბურდონულ ხმას წარმოადგენს, პერიოდულად ჩართულ ოთხიდან ერთ-ერთ ხმას. საინტერესოა, რომ გურულ სიმღერებში გაბმული ხმა — ბურდონი იშვიათია და „შემხმობარში“, შეწყობაში სწორედ ბურდონი იგულისხმება. შესაძლოა, შეხმობის ერთგვარად დამოკიდებული, დაქვემდებარებული ფუნქციის ასეთი აღნიშვნა ირიბად მიუთითებდეს დანარჩენი ხმების თანასწორ, დამოუკიდებელ ფუნქციაზე.

შედარებით ბუნდოვანი კონტურით ხასიათდება ხმები „წვრილი“ და „გამყივანი“. „წვრილი“ უფრო ხშირად „ღილინის“ ჟანრის, ან ღილინის საშემსრულებლო სტილის სალაღობო სიმღერებში გვხვდება, რაც ხშირად კრინით იმღერება. გამყივანი — ნადურებში. ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ თავად მომღერლები ამ ორ ტერმინს მონაცვლეობით ხმარობენ.

სამაგიეროდ, გურულ სიმღერებში გადაძახილის, ბანის, კრიმანჭულის, შემხმობარის გვერდით თავისებურ ორიგინალურ იერს იძენს სიტყვიერი ტექსტის მატარებელი **„თქმაც“** ანუ „წყებაც“. მიუხედავად იმისა, რომ იგი თითქოსდა იზღუდება ერთის მხრივ მეზობელი ხმების აქტივობით, ხოლო მეორეს მხრივ სიტყვიერი ფუნქციის ჩარჩოებით, სიმღერის მელოდიის, (რაშიც სახასიათო მელოდიურ საქცევს ვგულისხმობთ), გადმომცემი ხშირად სწორედ ისაა. მისი რეჩიტაციული ნა-

ხატი და მოტორული რიტმიკა კრიმანჭულთან ერთად, ზოგჯერ კი — უფრო მეტადაც, სიმღერის მეტრულ ფუნქციონალობას შეიმუშავებს, რითაც ასევე გამოირჩევა მეგრული, იმერული, აჭარული ანალოგებისაგან.

როგორც ვხედავთ, ხმათა ინდივიდუალიზირება ერთი მკაფიო განმასხვავებელი ნიშანია გურული ხალხური სიმღერისა სხვა ქართული მუსიკალური დიალექტების სიმღერებისაგან. მაგრამ გურული სიმღერა მეორე უკიდურესობის სარბიელიცაა: უკრიმანჭულო და, აგრეთვე ე.წ. „ღიღინის" ჟანრისა თუ ტიპის „ტრიოს" სიმღერებში ხმათა სპეციფიკურობა ხმათა უნიფიკაციით იცვლება. **მაშასადამე, სპეციფიკური ხმებისა და ხმათა ფუნქციონალურ უნიფიკაციას შორის ამპლიტუდით გურული სიმღერა საქართველოს მასშტაბით ასევე უნიკალურია.**

მაგრამ გურული ხალხური შემოქმედება მხოლოდ კონტრასტის გამო არ იპყრობს ყურადღებას. ხმათა ეს თანაბრად შეუზღუდავი მელოდიური განვითარება მხოლოდ გურული მუსიკალური დიალექტის კუთვნილებაა. იმის გათვალისწინებით, რომ ტრიოს, კრიმანჭულის, შემხმობარის, გამყივანის ანალოგები სხვა კუთხეებშიც გვხვდება, „ჩვენ მშვიდობას", „წამოკრულის", „ადილას" წყობის სიმღერების პრიორიტეტულ კუთვნილებაში გურიას სხვა კუთხეები ვერ შეეცილებიან. ასეთი წყობა ითვალისწინებს ქართული საგალობელისათვის დამახასიათებელ, და როგორც ჩანს, მისგან მომდინარე მუხლთა მონაცვლეობას. თითოეული ასეთი მუხლი შიდა კადანსით სრულდება და მომდევნოსაგან პაუზითაა გამოყოფილი.

ამასთან, „საგალობლის" ტიპის სიმღერები უპირატესად, ხოლო ზოგჯერ მთლიანად შორისდებულებზე და შინაარსდაკარგულ სიტყვებზე — გლოსოლალოებზეა აგებული. აქ კი ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **გურული სიმღერა სხვა კუთხეებისას გლოსოლალიათა და შორისდებულთა სიმრავლითაც აღემატება.**

საინტერესოა, რომ ქართველი მუსიკისმცოდნეებისა და ენათმეცნიერების მიერ ახლო წარსულში დადგინდა ტერმინ „გლოსოლალიის" ქართული შესატყვისი — „სამღერისი". მაგრამ ამ ცნებამ გლოსოლალიის მხოლოდ ერთი ფუნქციის — სიტყვების, როგორც გასამღერებელი მასალის მნიშვნელობა ასახა, მათი ფუნქციონალური თუ წარმომავლობის დიფერენციაციის უგულებელყოფით. ასე, რომ „სამღერისში" მოექცა შორისდებულებიც.

საზოგადოდ, გლოსოლალიის გამოჩენა სიმღერაში მიანიშნებს სიტყვიერი ტექსტის ორი მიმართულებით ტრანსფორმაციას: უმნიშვნელოვანესი რელიგიური თუ მაგიური დატვირთვის ფრაზები კარგავს თავის პირვანდელ სემანტიკურ მნიშვნელობას, აგრეთვე, ამგვარი სიტყვიერი ფორმები შორისდებულებთან ერთად შემთხვევითი განაწილების პრინციპით მიესადაგება, რათა საჭირო მუსიკალურ ფრაზების რიტმულ ნახატს ფონეტიკურ-არტიკულაციური რელიეფურობა მიანიჭოს. ნიშანდობლივია, რომ არა მხოლოდ გურულ, ასევე — მეგრულ, იმერულ თუ აჭარულ მინამღერ-მისამღერის ფორმის სიმღერებში გლოსოლალიებით ნამღერი და სიტყვიერი ტექსტით აღნიშნული მონაკვეთები მკაფიოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან ე.წ. „პოლიფონიურობის", ანუ ფუნქციონალური მრავალხმიანობის ხარისხით. კერძოდ, ე.წ. მისამღერი, რომელიც ძირითადად „სამღერისებზეა" აგებული, აშკარად უფრო სახასიათო და ორიგინალური სახისაა, ვიდრე — მინამღერი; უფრო მეტიც — ხშირად სიმღერის იერის განმსაზღვრელიცაა. მართლაც, რაც უფრო მარტივი საშემსრულებლო მეთოდი გამოიყენება სიტყვიერი ინფორმაციის მისაწოდებლად, მით უფრო „გამჭვირვალეა" ინტონირება (ბონფელდი), ანუ — უფრო მცირეა ერთგვარი „მხატვრული წინაღობა" ამ ინფორმაციის აღქმის გზაზე. რეჩიტაციაც ამგვარ ეკონომიურ რეგლამენტად გვესახება. მუსიკალური ენის გართულებისას კი იგი უკვე მხატვრული მნიშვნელობის მქონე ელემენტებით — სამღერისებით იმოსება.

რაც შეეხება სიტყვიერი ტექსტის მტვირთველ მონაკვეთს, იგი ძირითადად სემანტიკური მნიშვნელობით უფრაა გამორჩეული. ასეთი შეფარდების გამო ზოგი ამგვარი სიმღერა სწორედ სამღერისების შემცველი მონაკვეთით, ანუ – მისამღერით იწყება.

გურულ სიმღერაში განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს **იმპროვიზაციის** საკითხი. უნდა ითქვას, რომ სიახლის ძიება არაა ხალხური შემსრულებლობის არათუ ძირითადი, არამედ რამდენადმე მნიშვნელოვანი ფაქტორი. ხალხური მომღერალი მოწადინებულია, იმღეროს არსებული სიმღერა და არა — მისი ვარიანტი. სახეცვლილება ხდება არა მიზანმიმართულად, არამედ — სპონტანურად. სწორედ ამიტომაა ამგვარად ეკონომიური ჭეშმარიტი ხალხური სიმღერა და ამიტომ შეინარჩუნა მან არქაული იერი. ამასთან, ყოველ ასეთ ძალდაუტანებელ შესრულებას თან სდევს „ერთჯერადობის", განუმეორებლობის ანაბეჭდი.

ანსამბლთათვის დამახასიათებელი „მეორადი შესრულება" არც თავად ფოლკლორული გარემოსთვისაა უცხო. როდესაც ეთნოფორი კონკრეტულ მასწავლებელს, ან სიმ-

ღერის იმ ავტორიტეტულ შემსრულებელს ასახელებს, რომლის მიბაძვითაც მღერის, „დედნისა და ასლის" ურთიერთობის საკითხს ააქტიურებს.

ის, რომ იმპროვიზაცია გურულ სიმღერას სხვა კუთხის სიმღერებისაგან გამოარჩევს, ახალი არაა. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმპროვიზაციის შემოქმედებითი პრინციპი აქ აბსოლუტური სახით არ ვლინდება. უმეტესწილად იგი ინტერპრეტაციის ფარგლებს არ სცილდება. თვით ამ შეჯიბრშიც, სადაც გამოცდილი მომღერლები ახალ მომღერალს ხმიდან გადაგდების მიზნით სცდიდნენ, იმღერებოდა ყველასთვის ცნობილი სიმღერა. იმპროვიზაცია აქ მჟღავნდებოდა ფრაზის ახალი ვარიანტის შექმნის დონეზე. რაც შეეხება სრულიად ახალი სიმღერის შექმნას, იგი ექსპრომტად, ქმნადობის პროცესში არ ხორციელდებოდა, არამედ გარკვეული თანამეცადინეობის შედეგად, როგორც ეს სიმღერა „ადილას" შექმნის ამბავში ჩანს.

ტიპიური იმპროვიზაცია „კორიფე-გუნდის" სიმღერების წიაღში უფროა მოსალოდნელი, ვიდრე — გურულ თავისუფალ ხმათასვლის სიმღერებში, სადაც მომღერალს მეტი ფრაზეოლოგიური ორიენტირი გააჩნია. ამგვარად ჩვენ ახლოს ვართ იმ აზრთან, რომ **გურული პოლიფონიისათვის ვარიანტული განვითარება უფროა დამახასიათებელი, ვიდრე — იმპროვიზაციული.**

ამგვარი ვარიანტული განვითარება გურულ სიმღერაში, როგორც საზოგადოდ ფოლკლორში ძირითადად ახლებურ ინტერპრეტაციას უფრო წარმოადგენს, ვიდრე — მიზანმიმართულად ახლის ძიების შედეგს.

ახლებური ინტერპრეტაციის რეგლამენტური ფაქტორებია:

• **მისამღერი** — რომელიც ხშირად მინამღერის, ანუ ნამღერის ვარიანტული განვითარებაა სამღერისების გამოყენებით.

• **ტრიო და გუნდი (ან გადაძახილი)** — სადაც გუნდი ან გადაძახილი ერთგვარი დასაყრდენია, ან შეიძლება ითქვას, „სულის მოსათქმელია" ტრიოსათვის, თავისი პარტიის ახალი ენერგიით დასაწყებად.

• **ორი გუნდი** — სადაც ინტერპრეტაცია, მიუხედავად იმისა, რომ თითქოსდა უფრო მომზადებული უნდა იყოს, დიდ გაქანებას ვერ აღწევს, ძირითადად იმის გამო, რომ ეს ფორმა უფრო მეტად რიტუალური ძველი სიმღერებისათვისაა დამახასიათებელი.

• **საგალობლის ტიპის სიმღერები** — სადაც ვარიანტული განვითარების ტენდენცია ყველაზე მძაფრადაა გამოხატული, რაც საგალობლის გამშვენების ტრადიციის გამოძახილია ხალხურ სიმღერაში.

ახლებური ინტერპრეტაციის მიზნობრივი ფაქტორებიდან გამოვყოფდით:

• **ხმების შეჯიბრის მომენტს,** რაც საკუთრივ გამშვენებას, გავარჯიშებას ისახავს მიზნად;

• **სახუმარო, იუმორისტულ სარჩულს,** რაც ზოგჯერ შარჟის გამოყენების საფუძველიც ხდება (მაგალითად „შავ შაშვში").

უნდა აღინიშნოს, რომ გამშვენების ტენდენცია, რომელიც შესაძლოა, უშუალოდ არა, მაგრამ მაინც საგალობლის სტილიდან იღებს სათავეს, საზოგადოდ საეკლესიო მუსიკისათვის დამახასიათებელი ერთგვარი „ინსტრუმენტული ტიპის მელოდიით" ხასიათდება. მისთვის უცხოა ვოკალური მელოდიისათვის სახასიათო გამღერება, მელიზმებით შემკობა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია გურული შემსრულებლობის კიდევ ერთი გამორჩეული მეთოდი – არტიკულაციური ხასიათისა, რომელსაც დ. არაყიშვილმა „გურული **პიჩიკატო**" უწოდა, და რაც ბგერის ერთგვარი ფორშლაგით აღებას გულისხმობს. ამგვარი არტიკულაცია გარკვეულ ნათესაობას ამჟღავნებს კრიმანჭულის არტიკულაციასთან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კრიმანჭულის წარმოშობა ან დამკვიდრება გურულ სიმღერაში სწორედ ამგვარი არტიკულაციით მომზადებულ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო.

ამავე დროს, ამგვარი არტიკულაცია კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გურული მელოდიკის „არავოკალურ" ბუნებას და ხმის ტრიალის კარგ ბაზას ქმნის.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ გურული სიმღერის საშემსრულებლო სტილი მკაფიო რეგლამენტაციით გამოირჩევა, რაც გულისხმობს:

▪ ერთის მხრივ, „ოსტატთა" და „მოყვარულთა" გამოცალკევებას, როგორც მთლიანი სიმღერის, ასევე სიმღერის ცალკეული ფრაგმენტების მასშტაბით, რაც ტრიოს, ტრიოსა და გუნდის, ან გადაძახილის რეგლამენტში განივთდა.

▪ მეორე მხრივ, ხმათა და ნამღერთა განსაკუთრებულ სპეციფიკურობას, რაც გამოიხატება როგორც არტიკულაციურ, ტემბრულ, რეგისტრულ და შემსრულებელთა რაოდენობის რეგლამენტში, ასევე მელოდიურ კანონზომიერებებშიც. ასეთი ხმებია: კრიმანჭული, შემხმობარი, გადაძახილი.

რეგლამენტის ამგვარი სიცხადე კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გურული სიმღერის სიმწყობრისა და სირთულის ერთაინობას.

თამარ გრიგოლია

სალომე ბოგოლაძე

მინის ქალი

„სხეული ნივთიერებაა და სული ხელოვნების იდეა, რომელიც განხორციელებულია მკვდარ მასალაში“.
დ. უზნაძე

წელს უჩვეულო ზამთარი გვეწვია თბილისელებს. უფრო მეტად სუსხიანი, ყინვიანი, ქარიანი. სულ ერთ ღამეში ჩვენი ქალაქი უმნიკვლო სითეთრით დაიფარა, თითქოს ვიღაც მადლიანმა ბამბის ქულაჯა წამოასხა შემცივნებულ, აკანკალებულ ქუჩებს, ზეცისაკენ ხელებაპყრობილ ხეებსა და მკლავებგადაჭდობილ, თავდახრილ ქედებს. დიდია შემოქმედის ძალა, აქ თვით ბუნებაა ჯადოქარი.

"დაბადების (ბიბლიის) წიგნში წერია: "ღმერთმა იმით დაასრულა თავისი შემოქმედების პროცესი, რომ ადამიანის არსებაში საუკეთესოდ შეარიგა სული ხორცს, აქტიურობა — პასიურობას. სამაგიეროდ ნივთიერების მთელი დანარჩენი მსოფლიო განუსულიერებელი დატოვა და ამით, თითქოს განსაზღვრული დანიშნულება მისცა ადამიანის არსებობას“.

დავით უზნაძის ეს გენერალური სიტყვები მაშინ გამახსენდა, როცა ზამთრის ერთ ლამაზ საღამოს მოულოდნელად აღმოვჩნდი თანამედროვე მხატვრის, ქალბატონ თამარ გრიგოლიას სახლში. გარეთ ვარსკვლავებით აჭრიატებული ცა დაჰყურებდა ყინვისაგან დამზრალ, შემცივნებულ თბილისს. მოწყენილი მეჩვენა ულამაზესი ბაღი, თითქოს დიასახლისსაც გადასდებოდა ზამთრის ნოსტალგია. ზღვისფერ თვალებში ჩაბუდებულა უსაზღვრო სევდა. ხეივნის ბოლოს სახელოსნოა. ყინულის ვიწრო ბილიკით ქალბატონ თამარს უცნაურ სამყაროში შევყავარ ნაგვიანები სტუმარი. თვალშისაცემია ფერთა სიუხვე, ლაკონურობა და ურთიერთშერწყმა. ხაზები მკვეთრი, ცოცხალი, თითქოს დატყვევებული გაზაფხული შუშის გამჭირვალე სარკოფაგში. შემოქმედის ნიჭიერება სავსეა ქმნადობის უნარით, უხილავის ჭვრეტის ხელოვნებით. ადამიანის დანიშნულებაც ხომ ესაა "ღვთისგან დაწყებული მსოფლიო შემოქმედების განგრძობა, დაწყებული საქმის დასრულება“.

ქალბატონი თამარ გრიგოლია, როგორც მხატვარი და შემოქმედი დიდი ხანია შედგა. 1976 წელს დაამთავრა სამხატვრო აკადემიის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების განყოფილება. მისი ხაზგასმული ინდივიდუალიზმი და "სახვითისაკენ“ სწრაფვა მთავარი განმასხვავებელი ნიშანი იყო ოთხმოციანელთა დიდი ნაწილისა. მხატვრის ნამუშევრებიდან განსაკუთრებით გამორჩეულია "ადამი და ევა“. ქალის ნაზი სხეული აჰკვრია ძლიერ, ვნებიან ტორსს, ვითარცა ერთხორცს მისას, ნამდვილი ხორცშესხმაა, უფრო კი სულია მისი, შემოქმედის მიერ სიცოცხლემინიჭებული. მე ვეძებ ამოსავალ წერტილს, მხატვრის შთაგონების წყაროს და გაოგნებული ვაწყდები მამაკაცის ფოტოს, როგორც წარსულიდან მომზირალ ლანდს, მერე კი შეცბუნებული მზერა ქალბატონის სევდანარევი, ჩრდილდაკრული მშვენიერებისკენ გადამაქვს. წამიერად ცოცხლდება ყოველივე, ვხედავ მზრუნველ მებაღეს, რომელიც ფაქიზად უვლის პირთეთროვან ვარდებს საყვარელი ქალისთვის. სხვაგვარად არ შეუძლია, რადგანაც ძლიერია სიყვარული. „ამ პატარა ბაღში უნდა იარო, როგორც ჩემს გაშლილ ხელისგულზე! მოვა გაზაფხული, ეს ულამაზესი ვარდები აყვავდებიან და მუდმივად გეხსომები, როგორც დაუღალავი მსახური სიყვარულისა“.

მხატვრის მიერ თბილისის სამხატვრო აკა-



დემიაში შექმნილმა სადიპლომო ნამუშევრებმა პროფესიონალთა ყურადღება მიიპყრო. მინის ტექნოლოგიის შეგრძნების უტყუარობითა და მაღალი გემოვნების ინდივიდუალიზმით განსაკუთრებით აღსანიშნავია საოცარი სიფაქიზით შესრულებული „გამჭვირვალე კაქტუსები", "თეთრი რაში", კომპოზიცია "რიჟრაჟი", თითქოს მზის ათინათები თამაშობენ მის გულში. "ამორძალის" ჯიშიანი, დაჭიმული სხეული კი ვერ მალავს რძისფერ მკერდს, ეს სულისდგმის ტოლფასია. შემოქმედი გრძნეულია და ყოვლისშემძლე, ამაყი მზერით მიაბიჯებს და მეც მივყვები მის ნება-სურვილს მინდობილი. თეთრი ხელები უხეშ მასალას ისე იმორჩილებს, როგორც ყინულის დედოფალი სიმყიფეს.

ავტორისეული სწრაფვა ინდივიდუალიზმისაკენ სასიამოვნო მოულოდნელობებით აღიბეჭდა მის შემოქმედებაში. 1983-84 წლები ნაყოფიერი და გარდამავალი პერიოდი გამოდგა. აღსანიშნავია "საგამოფენო-საექსპოზიციო" ფუნქციის მქონე ნამუშევრები. თანდათან გამოიკვეთა მისი განსაკუთრებული სტილი, მანერა, რომელიც ქართულ, ეროვნულ ფესვებზე აღმოცენებულიყო.

ბავშვობაში ხშირად სტუმრობდა ბებიას. სამეგრელოს უმშვენიერეს სილამაზეს ნაზიარები სავსეა ფერთა ჰარმონიით. გონებაში აღიმართება ლანდი ცისფერთვალება კოლხი ასულისა. თმაგაშლილი მორბის, დატალღულ, ოქროსფერ თმებს ქარი უფრიალებს, თან მოჰყვება ხარბი, თრობაშეპარული მზერა წარსული მოგონებისა. მდინარეში კაბიანად შეცურდება და ასხლეტილ სხეულს კალმახივით ააფართხალებს. მზე დაჰხარის ქალწულის სილამაზეს, გულშიც მზე უნთია, ჩაუქრობელი სურვილი იპყრობს აღბეჭდოს ყოველი წამი მოგონებისა. მერე ყველაფერს აცოცხლებს, საყვარელ ოდა სახლებს, მზის ჩასვლას და ზურმუხტისფრად მობიბინე ველ-მინდვრებს.

1982 წლიდან მხატვართა კავშირის წევრია. 1987 წელს მისი ნამუშევრები "წითელი დროშები" შეფასებული იქნა ოქროს მედლით, როგორც წლის საუკეთესო ნამუშევარი თბილისში. 1989წ. მონაწილეობდა საერთაშორისო სიმპოზიუმში მინის თავისუფალი ამობერვის სპეციფიკით ქ. ლვოვში. მისი ხელოვნების სპეციფიკურობა ძიებისა და ჟინის ნაყოფია. შემოქმედი მოტრფიალეა ძველი კულტურისა. მოგზაურობა — შეცნობისა და შემეცნების წყურვილია, რომელიც არცთუ იშვიათად აღიბეჭდება ნახატისა თუ სკულპტურის სახით. განსაკუთრებით მოიხიბლა ძველი ეგვიპტის ხილვით. მსუყე მზე პირამიდების მხრებზე აცურდა, ობობას ქსელივით გააბა ცხოველმყოფელი სხივები. უდაბნოს სიშიშვლეს ფერი ეცვლება, ხან ოქროსფერია, ხან მეწამული წითელი, ცეცხლმოკიდებულ პურის ყანასავით. ჰაერში ისმის გარდასულ დროთა ხმები, აქლემების ყურისწამღები ბღავილი, იარაღის ჟღარუნი და მრავალათასიან დამპყრობთა ყიჟინი. ამოუხსნელია ეგვიპტის წარსული, თითქოს უცხო არსებანი მოვიდნენ, შექმნეს უზარმაზარი მთები, სფინქსის ქვად აღმართული ქანდაკება და დაუჯერებელი მითები ზეადამიანებზე. შთაგონების ძალით აღვსილი ყველაფერს აცოცხელებს, გონების ქურაში ადნობს და იქმნება ნახატი "ეგვიპტური სერენადა". აქაურებმა იციან თავიანთი ხელოვნების ფასი და ყადრი. ყოველი ნივთი იშვიათი ნიმუშია, ყოველი ფიგურა მრავლისმთქმელი. გაოცებული თვალებით ნთქავს, დამშეულივით ეწაფება უკვდავსა და მშვენიერს. მერე კი, ერთ დღესა თუ ერთ ღამეს იღებს ფუნჯს, ბუნდოვანი სიზმრიდან გამორკვეულივით და აუხსნელი, უცნაური წახნაგები გამოჰყავს, თითქოს სურვილი აქვს ტილოზე საკუთარი ოაზისები გააშენოს.

ითქვა მითი ინი და იანზე, აიღო ფუნჯი და შექმნა "დაბადება", საწყისი და დასაბამი. სამყაროს ბრუნვა, სიყვარულისა და მარადიულობის წრედი. ლეგენდის მიხედვით ინი მზეა, იანი მთვარე, ისინი გამუდმებით დაეძებენ ერთმანეთს, უკვდავი ცეცხლით ალებულ-



ნი. ყველაფერს ახლებურად, თავისებურად აღიქვამს, საკუთარი ინტერპრეტაციით წარმოგვიდგენს, როგორც ერთხელ ბავშვობაში. ზის დიდ სცენაზე, ნორჩი, აქალწულებული და დამფრთხალი. იღებს აკორდს კანკალით, სულის შებერვით, თითქოს სიომ დაუბერა, მერე მეორეს, მესამეს და თვალწინ ეშლება ფერადოვანი ხატება, ფერთა გამმაში იკარგება. ხელებგაწვდილი მაშინ მოდის გონს, როცა მარჯვენაში ჩაბღუჯულ ფუნჯს აღმოაჩენს. ვერ გადაეწყვიტა დაეკრა თუ დაეხატა. ნაბიჯ-ნაბიჯ დაივლის მშობლიურ სანახებს და მამის ძველ ნახატებს აღმოაჩენს. ჩრდილდაფენილ მინდორს, მინდორზე თეთრი რაში დგას, თითქოს ნისლში მიცურავს, რაში ოცნებაა, ფრთაშესხმული ოცნება ზღვისფერთვალება ქალისა. გრძნობს, რომ ვიღაც მიათრევს, საბელით მიარბენინებს. ფეხქვეშ ქვიშაა აალებული, ანაკვერჩხლებული. ქვიშა დნება და თეთრ მასად იქცევა. ქალი გრძნეულია, როგორც მისი კოლხი წინაპარი. მასას სულს ჩაბერავს და დაფიონზე იკვეთება თეთრი ხატება პირველქნილი ქალურობისა.

სიცოცხლის არსი ფესვებშია, აწმყოსა და მომავალში. შემოქმედისა — უკვდავებაში. ეზოში პატარა ბიჭუნა შემორბის სხარტი, დაუდგრომელი ხასიათის, ცოცხალი, მეტყველი, მოლივლივე, მწვანეთვალება, აქაც გადასვლაა გენისა. ბიჭი პიკასოს ნახატებს მაგონებს, სიცოცხლის საგალობელს, ბრძოლას მატერიასა და სულს შორის. ბიჭი სიცოცხლეა, როგორც მთიდან დაქანებული მდინარე, რომელსაც ვერაფერი შეაჩერებს. ბიჭს ჯიშიანი ძაღლი გაეთამაშა, ყეფით შეელაქუცა პატარა პატრონს. ბიჭი გაიქცა და ძაღლიც დაედევნა. ფიქრებში ჩაინთქა ქალი, თითქოს მოგონებამ გაიტაცა. გონებაში წარსულს აქანდაკებს, საყვარელ ქმნილებებს ხელით ეხება. ოთახში მამაკაცის ჩრდილი დააბიჯებს, გრძნობს მის სიახლოვეს, ტკივილამდე სწყურია შეხება. სუნთქვაშეკრული ელოდება სასწაულს. მეექვსე გრძნობა თუ ტალღა ეუფლება და იხსნება მოჯადოებული კარი. მან იცის უკვდავების საიდუმლო. ბუნებაში არაფერი იკარგება, ყველაფერი ემორჩილება კანონზომიერების პრინციპს, მხოლოდ ხდება გარდასახვა — ერთი მდგომარეობიდან მეორეში. ამგვარი გავლენითაა შექმნილი კომპოზიცია "გაორება".

სამყაროს აპოკალიფსური რღვევის რიტმები, უფრო სწორად ბიძგებია წარმოჩენილი თამარ გრიგოლიას ნამუშევარში „გლობალიზაცია"... გლობალიზაციის ტალღებითა და რყევით გაბზარული დედამიწის კონტინენტები, ადამის მოდგმის დარღვეული ცნობიერება და ხახადაღებული ქვესკნელები ატორტმანებს ჩვენს მზერას.

დილაობით თეთრი ვარდების ხეივანი ათასგვარი ჩიტებით ივსება. ქალს უყვარს მათი ყურება. მტრედები საყვარლად ღუღუნებენ, ბელურები სკუპსკუპით დახტიან, გრძელნისკარტა ჩხართვები კი გამალებით კენკავენ ტოტებზე შერჩენილ ფერშეცვლილ ხილს.

სიცოცხლე მშვენიერია, რადგან მშვენიერების საიდუმლო მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულშია, „ხელოვნებისა კი სულიერებაში, პასიური ნივთიერების მაჯისცემაში. ასეთია კულტურული შემოქმედების აზრი და ასეთია ადამიანის ცხოვრების მიზანი."

მივდივარ და ვფიქრობ, მე მებადური ვარ, ანკესმომარჯვებული, დაფიქრებული და სევდიანი. ჩემს თვალწინ გაწოლილა ცის დიდი ოკეანე და ვარსკვლავები თვალმინაბულნი მიცქერიან უძირო ფსკერიდან. ვგრძნობ, რომ ვიღაც გვითვალთვალებს, მზრუნველი, მოსიყვარულე თვალით, როგორც მდინარეში მოფართხალე დამშეულ ლიფსიტებს და მაძლევს გონს, აზრს აქტიური ძალისათვის, შემოქმედებისათვის.

b 213/18

მარცხნიდან: ირაკლი აბაშიძე, ლადო გუდიაშვილი და ვახტანგ ბერიძე
სურათი მოგვანოდეს ზურაბ და ირინა აბაშიძეებმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ვისთვისაც ძვირფასია ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთხოვთ, შეგვეწიოთ!

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას №42; ტელ: 37-61-53,
შპს „ინფო 2007“ გ. ცაბაძის №6; ტელ: 34-11-40 და „საქპრესა“ ტელ: 51-60-04;
„სახალხო ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში – 24-45-22; 24-45-12 სახალხო ფოსტა

3 თვით 9ლ; 6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
თამარ ქიტუაშვილი
დავით გუგუშვილი

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4
ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.
E-mail: vajao@mail.ru Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში

ბერძნული ამფორები

წითელი მთა

ადამ და ევა



სამაია (ფრაგმენტი)

ᲬᲚᲘᲡ 3 ᲬᲚᲘᲡ

ISSN 1512-3789